ნატო სონღულაშვილი

საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

Nato Songulashvili

Soviet Regime and Georgian National Idea (1921-1991)

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2018

UDC(უაკ) 321.74+323.1(479.22)
ს-677

ნაშრომში დოკუმენტური წყაროების, საარქივო მასალის, რომელთა დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შესწავლილია საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდის – საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკური პროცესები, განმათავისუფლებელი ბრძოლის ფონზე წარმოჩენილია ეროვნული მოძრაობის ეტაპები და ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ცალკე ადგილი ეთმობა ეროვნული იდეის ფენომენის განხილვას. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვაჟა შუბითიძე
რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი
ლელა სარალიძე
ისტორიის დოქტორი
ირინა არაბიძე

აღნიშნული მონოგრაფია დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№FR/148/2-101/14) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე

© ნ. სონღულაშვილი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-291-3

შინაარსი

შესავალი.....5

პირველი თავი. ქართული ეროვნული იდეის აღქმა...15

მეორე თავი. ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე XX საუკუნის 20-30-იან წლებში.....91

მესამე თავი. დისიდენტური მოძრაობა საქართველოში.....127

მეოთხე თავი. თავისუფლების აღქმა საბჭოური იდეოლოგიის ფონზე XX საუკუნის 80იანი წლების დასაწყისის საქართველოში („თვითმფრინავის ბიჭები“).....215

მეხუთე თავი. ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში.....236

დასკვნა.....292

რეზიუმე.....296

შესავალი

საქართველოში „საბჭოთა რეჟიმის“ ისტორიის შესწავლა თანამედროვე ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ და უდავოდ გამორჩეულ პრობლემას წარმოადგენს. ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიაში XX საუკუნის აღნიშნული ეტაპი წინააღმდეგობებით, აზრთა განსხვავებულობით, იდეათა ჭიდილის და სამეცნიერო და არა მხოლოდ, წრეებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებითა და შეფასებებითაა ცნობილი. ალბათ, იშვიათად მოიძებნება ეპოქა მსოფლიო ისტორიის მანძილზე, რომელზეც ასეთი დიდი ინტერესით ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ და წერდნენ. აღნიშნული პერიოდისადმი დიდ ინტერესს მოწმობს მრავალი მხატვრული ნაწარმოების, ტილოს, კინოფილმის, სამეცნიერო გამოკვლევის და ა. შ. შექმნა.

საბჭოთა სისტემასთან დაკავშირებით მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა არსებობს ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში და აქედან გამომდინარე მრავალრიცხოვანი აზრია პრობლემასთან მიმართებაში. ბუნებრივია, ამ ფონზე რთულია და ამასთან აუცილებელი საკითხის განსხვავებული კუთხით დასმა და კვლევის ახლებური, ობიექტური მიმართულებით წარმართვა და გაანალიზება. საქართველოს ისტორიის არა ერთი პრობლემა: პოლიტიკური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ რელიგიური სიღრმისეულად არის შესწავლილი და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევაა შექმნილი. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა იმგვარი საკითხების კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, როგორ მოიაზრებდა მთლიანობაში ქართველი დროის მსვლელობაში თავს საქართველოს ნაწილად

და რა ფასეულობათა სისტემა განსაზღვრავდა მათ ბრძოლას თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. მართალია, 1921-1991 წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, თუმცა დრო გარკვეულ რედაქტირებას უკეთებს სამეცნიერო ლიტერატურას, იცვლება საკითხისადმი მიდგომა, პრობლემათა შეფასება-შესწავლის ტენდენციები და გარკვეულ ეტაპზე საჭიროება მოითხოვს ისტორიის გადააზრებას და დროის ლაბირინთებში „მიმალული“ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანას. სპეციალისტთა წრეებისთვის უცხო არ არის საბჭოთა სისტემის მიერ დამკვიდრებული და შემორჩენილი გადმონაშთები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდეც საზოგადოების გარკვეული ნაწილის მსოფლმხედველობას. აღნიშნულს ხელს უწყობს საკითხის ცალმხრივი გაშუქების მცდელობანი და ფართო წრეებისთვის უცნობი ცალკეული ისტორიული წყაროები. საბჭოთა პერიოდში შექმნილი მონოგრაფიები უმრავლეს შემთხვევაში პრობლემათა სუბიექტური და ეპოქის „კლიშეებიდან“ შექმნილი იდეოლოგიითაა დაწერილი. პრობლემის აქტუალობა, სირთულე და მრავალმხრივობა თავიდანვე განსაზღვრავს საკითხისადმი სწორ და მიზანმიმართულ მიდგომას, რასაც შედეგად უნდა მოყვეს არა მხოლოდ ურიცხვი მასალის შეკრება და ერთად თავმოყრა, არამედ შეფასება, მსჯელობა, შესწავლა და საბოლოო შედეგამდე მისვლა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ყოველ ეპოქას თავისი გამოწვევა და ტენდენცია გააჩნია. წლების, საუკუნეების მანძილზე იცვლება და ყალიბდება ახალი

იდეები, იდეოლოგიები. იცვლება ისტორიული მოვ-
ლენებისადმი დამოკიდებულება, შესწავლა-შეფასებ-
ის სტილი. დღევანდელი ისტორიული მეცნიერების
გამოწვევა არა მხოლოდ კონკრეტული საკითხების
კვლევა, არამედ სხვადასხვა სახის წყაროთა ბაზაში
დაცული ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე მო-
ვლენათა კომპლექსური შესწავლაა. საბჭოური პო-
ლიტიკის შეფასება და ამ ახალ განზომილებაში სა-
ქართველოს ადგილის განსაზღვრა მხოლოდ ისტო-
რიის გაბმული თხრობა არაა, არამედ ძირითადი,
კონკრეტული და მასშტაბური მოვლენების გამოვლე-
ნა და ანალიზი. 1921-1991 წლები საკმაოდ რთული
და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდია საქართ-
ველოსთვის. აქ შესაძლებელია გამოიყოს სხვადა-
სხვა ქრონოლოგიური მონაკვეთები, მოვლენები, რო-
მლებმაც განსაზღვრა და გარკვეული გავლენა იქო-
ნია აღნიშნული პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ-
ეკონომიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ მდგომა-
რეობაზე. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მიმართული
იყო მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების
სრული დაქვემდებარებისაკენ, რისთვისაც მიმდინა-
რეობდა აქტიური ბრძოლა როგორც იდეოლოგიურ
დონეზე, აგრეთვე პრაქტიკული ნაბიჯებით. როგორც
აღვნიშნე, პრობლემასთან დაკავშირებით და მოვლ-
ენების შესახებ არაერთი ნაშრომი გვხვდება, თუმცა
ამ შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება საკვლევი
თემის პერიოდებად დაყოფილი ისტორიის ცალკეუ-
ლი მიმართულებების წარმოჩენა. 1. როგორც უკვე
აღვნიშნე, თანამედროვე საქართველოსთვის დამახა-
სიათებელი მრავალი პრობლემა თუ სტერეოტიპი სა-
ფუძველს საბჭოთა პერიოდიდან იღებს. აქედან გა-
მომდინარე, საკითხის ამ მიმართულებით კვლევას
არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების გაცოცხლების

და გააზრების დატვირთვა ექნება, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის წყაროთა შეჯერების საფუძველზე საბჭოური პოლიტიკის მახასიათებლების გამოვლენა და შესწავლა ყველა იმ პრობლემური საკითხის გააზრებით, რომელიც XX საუკუნის ამ მეტად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთ-ერთი რთული შესაფასებელია საბჭოთა რეჟიმის პირობებში. აღნიშნული პრობლემის შესწავლა საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა. მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დაიწყო XX საუკუნის აღნიშნული მონაკვეთის გადააზრება.

ეროვნული მოძრაობის ცალკეული საკითხების გაშუქებასთან ერთად გარკვეული ყურადღება მივაქციე ქართული ემიგრაციის პოზიციასა და მონაწილეობის ფორმებს ანტისაბჭოთა მოძრაობაში. გამოვამზეურეთ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც თავი შეწირეს სასაქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. შევეცადეთ გვეჩვენებინა ხელისუფლების ბრძოლის ხერხები და მეთოდები ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების გამოწვევა, მეთოდოლოგიის დახვეწა საშუალებას გვაძლევს პრობლემის განსხვავებული მიმართულებით წარმოჩენის და გამოკვლევისა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად და შეუსწავლელ საკითხად მიგვაჩნია ეროვნული იდეის პრობლემა საბჭოთა პერიოდში.

ბუნებრივია, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემაა გამოკვლეული და მნიშვნელოვანი მონოგრაფიები თუ ცალკეული სტატიებია შექმნილი. თუმცა ქართველი ერის იდენ-

ტობრივი ანალიზი ანუ საზოგადოებრივი აღქმების წარმოჩენა საშუალებას მოგვცემს ახლებურად შევხედოთ და განსხვავებული კუთხით დავამუშავოთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენა. საბჭოთა რეჟიმის პერიოდის ქართველთა იდენტობის შესწავლა განსაკუთრებულად რთული იყო ეპოქის იდეოლოგიიდან გამომდინარე და სწორედ ეს ფაქტი განაპირობებდა აღნიშნული საკითხით ნაკლებ დაინტერესებას როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს, აგრეთვე მისი დაშლის შემდგომ, გარკვეული პერიოდის მანძილზე. თანამედროვე ვითარება ისტორიის შეფასებისა და გააზრების პროცესში საშუალებას გვაძლევს მრავალი კარდინალური მნიშვნელობის პრობლემა ვაქციოთ განხილვის საგნად და რაც მთავარია ობიექტურად იქნას შესწავლილი.

საბჭოთა რეჟიმის ისტორია მართალია მოიცავს პერიოდს 1921-1991 წლებს, და ეს ერთი შეხედვით ერთიანი პოლიტიკის, იდეოლოგიის ეტაპია, თუმცა, როგორც ყველა ეპოქას, იდეოლოგიას განვითარების გარკვეული გზა გააჩნია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საბჭოური პოლიტიკა იყო, რომელიც ჩამოყალიბების დღიდან განვითარებას, ცვლილებას განიცდიდა და საქართველოც ბუნებრივია, ამ გარდაქმნებს უშუალოდ იღებდა და თავისებურად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო პასუხობდა. სწორედ ამ მახასიათებლების, გამოწვევების, ცვლილებების გათვალისწინებით იქნება პრობლემა შესწავლილი, რადგან დროის ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში სხვადასხვა პერიოდები შეიძლება გამოიყოს იდეური თვალსაზრისით: 1. XX საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც ერთგვარად ყალიბდება და დამკვიდრებას იწყებს საბჭოური სისტემა და პოლიტიკა, რასაც არაერთგვაროვანი რეაქციით ხვდება საქართველოს მოსახ-

ლეობა, უდიდესი ნაწილისათვის მიუღებელი იყო ის სისტემა და იდეოლოგია, რომელსაც საბჭოთა რუსეთი სთავაზობდა. აღნიშნულის გამოხატულებას წარმოადგენდა ის საპროტესტო გამოსვლები, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად განიხილება: 1922-1924 წლების აჯანყებები, რომელთა გამარჯვებით დასრულება მართალია შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა საქართველოს უახლესი ისტორიის საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო და განსაზღვრა კიდეც გარკვეულწილად XX საუკუნის 20-იანი წლების მოვლენები. 2. XX საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც იცვლება ნაწილობრივ საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება საბჭოთა სისტემაში შემავალი ხალხებისადმი, რაც რეპრესიებით გამოიხატა. თუმცა, 30-იანი წლების ბოლოს შედარებით გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, დაიწერა შესაბამისი სახელმძღვანელოები. 3. XX საუკუნის 40-50-იანი წლების დასაწყისი ეს არის პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს და სტალინმა შეძლო საკუთარი იდეების რეალიზება და საზოგადოების მობილიზება ერთიანი იდეოლოგიის ფონზე. მეორე მხრივ, ეს არის II მსოფლიო ომის და მისი შემდგომი პერიოდი, როდესაც ეროვნული მოძრაობა კვლავ აქტიურდება. 4. XX საუკუნის 50-60-იანი წლები. ეს არის ერთი მხრივ სტალინის მიერ შექმნილი იდეოლოგიის, სისტემის ახალი ეტაპით აღორძინების პერიოდი, თუმცა ამავდროულად შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის რღვევის დაწყების ეტაპიც. 5. XX საუკუნის 70-80-იანი წლები, რომელიც დასრულდა სისტემის ნგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საბჭოური პოლიტიკის შესწავლის ფონზე საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული მდგომარეობის წარმოჩენა-ანალიზი.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის შედეგად საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველი ერი მუდმივად ახალი სიახლეების თუ ცვლილებების წინაშე იდგა. საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა საბჭოთა სისტემის დაქვემდებარებაში. ქართველ ერს ახალი სისტემა იმ ეროვნულ ფასეულობებსაც უსპობდა, რაც საუკუნეების მანძილზე ნებისმიერი მტრის შემოსევის შემთხვევაში გადარჩენის მთავარი საშუალება იყო. ეს არის: ქრისტიანობა და ქართული ენა. მართალია საქართველოსთვის სიახლეს არ წარმოადგენდა ახალი დამპყრობლის გამოჩენა და მის დაქვემდებარებაში გადასვლა, თუმცა ნამდვილად ახალი იყო ქრისტიანული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ის ქმედებები, რასაც ასევე მართლმადიდებელი საქართველოს მიმართ იჩენდა.

ეროვნული მოძრაობის შესწავლა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ერის ისტორიისათვის. აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა არსებობს სხვადასხვა პერიოდების შესახებ. რაც შეეხება საბჭოთა სისტემას, ამ მხრივ, აღსანიშნავია XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის დამახასიათებელი მოვლენების ასახვა და შეფასება ცალკეულ მონოგრაფიებში. აღნიშნული ეტაპით დაინტერესება შემთხვევით არ არის, რადგან ეს ჯერ ერთი, პირველი და მეორეც მასშტაბური ამბოხებაა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. თუმცა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფარული თუ იდეური მოძრაობები, რომლებიც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის

საქართველოში, კერძოდ, საბჭოთა პერიოდში ამ შემთხვევაში.

XX საუკუნის 20-იანი წლების აჯანყებების დასრულების შედეგად, მართალია მასშტაბური გამოსვლები აღარ ყოფილა, თუმცა ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით ინტელიგენციას არ შეუწყვეტია ბრძოლა სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. თუმცა ეს ხშირ შემთხვევაში გამოიხატებოდა ფარული მოღვაწეობით, რაც გარკვეულწილად შეაფერხა 30-იანი წლების რეპრესიებმა. ამასთანავე, აღსანიშნავია ქართული ემიგრაციის აქტიური მუშაობა და მოღვაწეობა საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად და საბჭოთა იდეოლოგიის და სისტემისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის.

ეროვნული მოძრაობა ახალ აღმავლობას განიცდის XX საუკუნის II ნახევარში, სტალინის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან ხრუშოვი, ბრეჟნევი. აღნიშნული ეტაპიდან მოყოლებული ერთი მხრივ, საფუძველი ეყრება საბჭოთა სისტემის რღვევის ეტაპს და მეორე მხრივ, აქტიურდება ეროვნული მოძრაობა, რამაც თვალსაჩინო ასახვა ჰპოვა საქართველოს ცხოვრებაზე. ყალიბდება სხვადასხვა ორგანიზაციები: შოთა რუსთაველის, ილიას და სხვათა საზოგადოება, რომელთა მიზანი ეროვნული იდეის აღორძინება და პროპაგანდაა. XX საუკუნის 70-80-იანი წლები კი უკვე თვალსაჩინო გამოხატულებაა ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა.

აქედან გამომდინარე, ამ მოძრაობათა უცნობი და მრავალმხრივი ნიშნების, მახასიათებლების წარმოჩენა ეპოქას და საკითხს განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენს.

თანამედროვე საქართველოში თვალშისაცემია წინა წლებთან შედარებით, საზოგადოების მეტი ჩა-

რთულობა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში, რაც არა მარტო ჩვენი სინამდვილიდან და მხოლოდ ქართველთა ცნობიერების განვითარების დონით აიხსნება, არამედ ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დაფიქსირებული, და ეს ალბათ უფრო დიდი დოზით ეპოქის გამოწვევას წარმოადგენს. თანამედროვე სახელმწიფო განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ანდა მისკენ სწრაფვა მრავალი სახელმწიფოსთვის და მათ შორის საქართველოსთვის პრიორიტეტული ხდება. სწორედ ამიტომ არა მხოლოდ თავად ხალხისთვის, არამედ სახელმწიფოსთვის მისაღებს და აუცილებელს წარმოადგენს განათლებული და საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნე ერი, რომელსაც გაცნობიერებული ექნება არა მარტო დღევანდელი მოვლენების არსი, არამედ ჩაწვდება და ექნება ცოდნა წარსულის, მთლიანად საქართველოს ისტორიის, ტრადიციების შესახებ. ასეთი მიმართულებით განვითარება საქართველოს სამომავლო წინსვლის ახალ გზაზე დააყენებს.

თანამედროვე ეპოქამ მრავალი საკითხის, პრობლემის ახლებური გადააზრება დააყენა დღის წესრიგში. წარსულის, ისტორიის საფუძვლიანი შეფასებისთვის მოვლენათა კომპლექსური ანალიზია საჭირო. საბჭოთა სისტემა და მის სივრცეში მყოფი საქართველოს თემა კი, როგორც აღვნიშნე ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება.

მართალია 1921-1991 წლები საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის არსებობის ერთიანი პერიოდია, თუმცა აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თითოეული წელი შეიძლება ითქვას ახალი ეტაპის, მოვლენების დასაწყისია. საბჭოური პოლიტიკის ძირი-

თადი ტენდენციების ფონზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქართული, ეროვნული მოძრაობის მახასიათებლები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ბუნებრივია ის ცვლილებები თუ გარდაქმნები, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდისთვის დიდ გავლენას ახდენდა საქართთველოს საშინაო პოლიტიკაზე. საქართველო აღნიშნული დროის მონაკვეთში წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირის ნაწილად და ნებსით თუ უნებლიედ განიცდიდა იქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას.

პირველი თავი

ქართული ეროვნული იდეის აღქმა

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ქართველი ხალხი არ შეგუებია და დღიდან გასაბჭოებისა იწყებს ბრძოლას თავისუფლებისათვის. მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში საქართველოში მყოფი თუ საზღვარგარეთ არსებული ძალები, ბუნებრივია, ქართველების სახით იბრძვიან სხვადასხვა საშუალებით: ეს იქნება შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად. შეიარაღებული გამოსვლებით, როგორც ცნობილია გამოირჩევა XX საუკუნის 20-იანი წლები. 30-იანი წლებიდან მოყოლებული კი უფრო თვალსაჩინოა ბრძოლა კულტურული, ეროვნული იდეოლოგიის ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ქართული ემიგრაცია. მთელი აღნიშნული წლების მანძილზე ქართველთა ბრძოლის ფორმები იცვლებოდა, თუმცა მიზანი უცვლელი იყო – თავისუფლების მოპოვება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 20-იან წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული საკითხების შესახებ არსებობს გარკვეული გამოკვლევები. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად გაშუქებულია 1924 წლის აჯანყების მოვლენები. ამჯერად ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო როგორ აღიქმებოდა ეროვნული საკითხი ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ და რა იდეებს სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიის ფონზე.

მართალია, ქართველი ხალხი ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლას აგრძელებს საბჭოთა ხე-

ლისუფლების დამყარების დღიდან, თუმცა იმ იდეოლოგიური ვითარების ფონზე, რასაც აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რთული იყო კონკურენციის გაწევა, როგორც შეიარაღებულ, ისე იდეურ ბრძოლაში. აღნიშნულის დასაძლევად და მიზნის მისაღწევად ეროვნულად მოაზროვნე ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მაქსიმალურად ცდილობდნენ ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, ნათლად აცნობიერებდნენ იმ სირთულეებს, რომლის გადალახვასაც ესწრაფოდნენ. „დღევანდელი რუსი ბოლშევიკები უფრო საშიშნი არიან ჩვენთვის, ვიდრე ძველი იმპერატორების მოხელეები. ბოლშევიკები თავის მიზნის განსახორციელებლად არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, არავითარ სიბოროტეს და ბრძოლა მათ წინააღმდეგ საჭიროა უფრო მედგარი, მომზადებული, განუწყვეტელი. მათი სიტყვები ეროვნული საკითხის პატივისცემისათვის არის სიცრუე და თვალთმაქცობა, რომ უფრო ადვილად მოატყუილონ გულუბრყვილონი და მალე მიაღწიონ საწადელს – ეროვნების მოსპობას. საფრთხეშია ქართველი ერის მიწა-წყალი, სიმდიდრე, ენა, კულტურა, შემოქმედება!

ამ ბრძოლაში მთავარი სიმძიმე, რასაკვირველია, აწვება თვითონ ქართველ ერს, თავის არსებაში უნდა ჰპოვოს მან ყოვლის უწინარეს უნარი თავდაცვისა და წინააღმდეგობისა. არ შეეთვისოს მოძალადეთა პოლიტიკას და არ დათმოს უბრძოლველად არც ერთი თავისი ინტერესი და უფლება. მისი შეგნება უნდა იწვრთნებოდეს ყოველდღიურის ცხოვრებით და მისი ნებისყოფა მტკიცდებოდეს მიყუჩებულის

მოქმედებით იმ დღისთვის, როცა დაჰკრავს ჟამი საქ-
ართველოს სრული განთავისუფლებისათვის“.[1]

1920-იანი წლები, როგორც უკვე აღვნიშნე უფრო აქტუალურია შეიარაღებული მოძრაობის მნიშვნელობით. ამასთან ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების პარალელურად საერთაშორისო საზოგადოების დახმარების მოპოვებას ესწრაფვის. ქართველთა აღნიშნული ნაწილი ნათლად აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რომლის წინაშეც იდგა საქართველო, ამიტომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა უშედეგო იქნებოდა. ეს ფაქტი მათ ნათლად ჰქონდათ გააზრებული.

ქართული ემიგრაცია მაქსიმალურად ცდილობდა ევროპასთან კავშირის დამყარებას და ამ მიზნით ხშირი იყო ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მათ მთავარ მიზანსწრაფვას წარმოადგენდა საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის უსამართლობაში. საყურადღებოა, რომ 1921 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სიტყვით: „საქართველოს თავისუფლება არის ჩვენი თავისუფლება“.[2] 1926 წელს ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი სიმონ ლეონიძე სტატიაში „ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები“ აღნიშნავდა: „სრულებით გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: იშვიათად ყოფილა სხვა რომელისამე ერის საკ-

[1] ამხანაგებს, ჟურნალი, სახალხო საქმე, 1926, რვეული პირველი, გვ. 2

[2] ევროპა და საქართველოს საკითხი, ჟურნალი, თავისუფალი საქართველო, 1921, №6, გვ. 1

ითხი ისე პოპულარული ევროპასა და ამერიკაში, როგორც არის საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე, ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა. ყველამ – უკიდურეს მემარჯვენეებიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენეებამდე (გარდა კომუნისტებისა და მოსკოვის ოქროთი მოსყიდულებისა) – ყველამ კარგად იცის, საქართველო უსამართლოდ, ვერაგულად, ძალით დაიპყრეს რუსის ბოლშევიკებმა და ქართველ ხალხს სრული უფლება და სიმართლე აქვს დაიბრუნოს დამოუკიდებლობა; იციან, რომ საქართველო ძველი ისტორიული და კულტურული ქვეყანაა, რომ ქართველობა ნიჭიერი და ღირსეული ერია, ყოველთვის თავდადებული იყო თავის თვითარსებობისათვის და დღესაც გმირულად იბრძვის და გაუტეხელია, მიუსედავად იმ საშინელი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება. მოწინავე პრესა სარგებლობს ყოველ შესაფერ შემთხვევით, რომ დაგმოს რუსეთის ძალმომრეობა და გამოექომაგოს დაჩაგრულ ქართველ ხალხს. კრებებზე და მიტინგებზე ხშირად გაიგონებთ ჩვენი ქვეყნის სახელს და მისი ბედი ერთი საუკეთესო საბუთთაგანია კომუნისტების წყობილებისა და პოლიტიკის საწინააღმდეგოდ“.[3]

ქართული ემიგრაციის სავსებით სწორი პოზიციის თანახმად: „იმისთვის, რომ ერი სავსებით განთავისუფლდეს სხვისი ჩაგვრისაგან, მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მარტო შინაური ძალები არ კმარა. იმპერიალიზმის ხანაში, როდესაც საერთაშორისო ინტერესები მეტად გადახლართულია, როდესაც ყოველი

[3] სიმონ ლეონიძე, ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები, ჟურნალი, „სახალხო საქმე“, 1926, რვეული პირველი, გვ. 13

ადგილობრივი საკითხი მხოლოდ ერთი რგოლია საერთაშორისო პოლიტიკისა, კითხვას წყვეტს არა მხოლოდ შინაური ძალთა განწყობილება, არამედ საერთაშორისო. როგორი მომზადებულიც არ უნდა იყოს ერი თავისი საკუთარი ძალების მხრით, როგორი თავგანწირვითაც არ უნდა იბრძოდეს იგი დამოუკიდებლობისათვის, ის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ საერთაშორისო ძალთა განწყობილება მის მხარეზე არ არის, თუ გარეშე ძალა მას არ თანაუგრძნობს და არ ეხმარება"[4]

რას აკეთებს ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება? მათი მთავარი მიზანი სოციალიზმის განხორციელება და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნაა. ამისთვის ის ძალ-ღონეს არ იშურებდა. საბჭოთა ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ხდება სკოლა, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება საზოგადოებაში. მაგალითად, რა მდგომარეობაა გორის მაზრაში. „წარსულ წელს არსებულ 102 სკოლას დაემატა 11 ახალი სკოლა. სულ მაშასადამე იყო 113 ოთხწლედი შრომის სკოლა. პროფესიონალური სკოლები – 3, შვიდწლიანი შრომის სკოლა – 3, ჰუმანიტარული ტეხნიკუმი – 2, პედაგოგიური ტეხნიკუმი – 1, საბავშვო ბაღი – 2. ორი სკოლა იყო გახსნილი ამ 11 სკოლის რიცხვში კოოპერატივის მიერ, ამ რიგად სულ შრომის სკოლები იყო მთელ მაზრაში 134, პროფ-ტექნიკური სკოლები – 3, სულ 138 სკოლა.

მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 9. 753. ენის მიხედვით ჩვენ გვქონდა შემდეგი ეროვნების სკოლები: ქართველების შრომის სკოლები იყო – 107, სამი ტე-

[4] ჟურნალი, „ბრძოლა", 1927, №1, გვ. 9

ხნიკუმი, სამი პროფ. სკოლა; რუსული – 3 სკოლა, ბერძნული – 4, ოსური – 10, შეერთებული – 2, სომ-ხური – 5, მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა: სომხები – 437 მოწაფე, რუსები – 150, ოსები – 305, ბერძნები – 105, დანარჩენი ქართველები რიცხვით – 8. 756 მოწაფე. მასწავლებელთა რიცხვი შრომის სკოლებში უდრის – 274 კაცს, ტეხნიკუმებში – 27, პროფსკოლები – 6, საბავშვო ბაღი – 14. ცენზის მი-ხედვით დაბალი განათლების მუშაკნი არიან რი-ცხვით 119 კაცი, საშუალო განათლებით – 178, უმა-ღლესით – 16, დაუმთავრებელი – 8“.[5]

საბჭოთა ხელისუფლებას განსაზღვრული ჰქონდა სასწავლო ლიტერატურაც. მაგალითისთვის საინტე-რესოა ოზურგეთის მაზრის მონაცემები აღნიშნულ-თან დაკავშირებით: „მსმენელთა სახელმძღვანელოს წარმოადგენდა: ტაი-შინის „პოლიტ-ცოდნა“, მეორე გამოცემა. ლექტორი კი სარგებლობდა: 1. იმავე წი-გნიდან, 2. ტაინშის პირველი გამოცემა „პოლიტ-ცო-დნა“, 3. ერდნიკოვის და სვეტლოვის „პოლიტ-ცო-დნის“ კურსი. 4. გრიშინის „პოლიტ-ცოდნა“ და ლე-ნინის მე-XVIII, მე-XIV და XIX ტომებიდან“.[6] სკო-ლებს, გარდა საგანმანათლებლო დატვირთვისა მუ-შათა და გლეხთა პოლიტიკური ცნობიერების ამაღ-ლება ჰქონდა დაკისრებული. საბჭოთა ხელისუფლე-ბა ყველგან: სკოლაში, უნივერსიტეტში, ჯარში, კუ-ლტურულ თუ პოლიტიკურ დაწესებულებებში საკუ-თარი მიზნების რეალიზებას და დანერგვას ცდი-

[5] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (შემდეგში სუიცსა), ფ. 285, აღწ. 1, საქ. №915, ფურც. 20

[6] სუიცსა, ფ. 300, აღწ. 6, საქ. №4, ფურც. 112

ლობდა. ამისთვის არსებობდა სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკურ აღზრდას ხელმძღვანელობდნენ. „წერა-კითხვის უცოდინარეობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლები, საბჭოთა პარტსკოლები, ბიბლიოთეკები, პოლიტცოდნის სკოლები, მოძრავი კინოები და რადიოსადგურები. 1922 წლის საქალაქო და 1923 წლის სასოფლო აღწერის შედეგად მიღებული ცნობებით, საქართველოში /გარდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისა/ 15-40 წლის ასაკამდე იყო სულ 369. 248 წერა-კითხვის უცოდინარი, ამათგან 1921 წლიდან 1927 წლის 1 იანვრამდე-შეისწავლა წერა-კითხვა 139. 224, ე.ი. 35, 5% და დარჩა წერა-კითხვის უცოდინარი 15-40 ასაკამდე 230. 024, ე.ი. 62, 5%“.[7] საბჭოთა ხელისუფლების მიერ სკოლებში დადგენილი სასწავლო საგნები მთლიანად იყო მიმართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების შეცვლისაკენ. ასე მაგალითად, პარტიულ სკოლებში I კურსზე ისწავლებოდა შემდეგი საგნები: 1. ქართული ენა, 2. რუსული ენა, 3. მათემატიკა, 4. ბუნება, 5. ეკონომიკური გეოგრაფია, 6. კლასთა ბრძოლის ისტორია, 7. პოლიტიკური ეკონომია, 8. ს. კ. პ./ბ/ ისტორია, 9. პოლიტიკური განათლება, 10. პარტიული აღმშენებლობა, 11. სახელმწიფო აღმშენებლობა, 12. სამეურნეო აღმშენებლობა“.[8]

ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება ორი მიმართულება: ეროვნული იდეებით გამსჭვალული და

---

[7] სუიცსა, ფ. 300, არღწ.7, საქ. №6, ფურც. 18

[8] სუიცსა, ფ. 300, აღწ. 1, საქ. №8, ფურც. 6

სოციალიზმის იდეოლოგიით წარმოდგენილი ნაწილები. ასეთ ფონზე, ბუნებრივია, რთული იყო ეროვნული პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, თუმცა საწყის ეტაპზე განსაკუთრებით, ეს მეტნაკლებად ხერხდებოდა.

ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად ქართული პოლიტიკური სპექტრი მუდმივად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების უარყოფითი შედეგების წარმოჩენას.

„გაყინულ ქვეყნიდან შემოჭრილი წითელი დესპოტები დაეპატრონენ ჩვენი შრომით შექმნილ და ჩვენი სისხლით დაცულ ჩვენს სიმდიდრეს, ქონებას!..

მოსპეს ჩვენი უფლება – ქართული, გაამეფეს უცხო, – კომუნისტური.

რა მოგვიტანეს?

განადგურება ქონებრივი, გონებრივი! დახშობა ეროვნული განვითარების!

ქართველი ერის დამოუკდებელი კულტურა დაამახინჯეს, ან სრულიად მოსპეს!

შეიჭრნენ სკოლებში!

აღზრდა ეროვნული კი არა, კომუნისტური!

ლაპარაკი ქართული, ფიქრი რუსული –კომუნისტური!

ქართველი ბავშვები–რუსული კომუნიზმის თუთიყუშები!

ქართული სკოლა–მათი გალიები!

ქართული წიგნი-მხოლოდ ქართული ანბანები, შინაარსი, აზრი, მასალა უმთავრესად კომუნისტური!

სურათი: ქართული სახის, სკოლის და სხეულის დამახინჯება!“[9]

---

[9] უდოლარო, ქართული ემიგრაცია და საერთო ფრონტი, ჟურნალი, დამოუკიდებელი საქართველო, 1928, №26, გვ. 5-6

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შედეგად, ქართველი ხალხი XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყებს ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპს, რაც გამოიხატებოდა იდეოლოგიური ბრძოლით. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ბრძოლის მეორე ეტაპზე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილი საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა რუსეთის დაქვემდებარებაში, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისას კი სრული თავისუფლებას ესწრაფოდნენ. აღსანიშნავია, აგრეთვე ქართული სოციალ-დემოკრატია, რომელიც მართალია რუსული სოციალ-დემოკრატიის ნიადაგზე იდგა, თუმცა განსხვავებული მიზანი ამოძრავებდა. თუ მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მათ პროგრამაში სოციალური და ეკონომიკური საკითხი ჭარბობდა, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ეროვნული თემა მნიშვნელოვანი ხდება. საგულისხმოა ისიც, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატია საქართველოს ეროვნული თავის-უფლების მოპოვებისთვის იბრძვის.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს გარკვეული ღირებულებების ერთიანობა გააჩნდა, რაც ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების მთავარი ნიშანი იყო. ესენია: სამშობლო, ენა, რელიგია, ტრადიციები, ისტორიული მეხსიერება. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ერთ-ერთი ნიშანი ხდება 26 მაისის აღნიშვნა და მისი იდეური მნიშვნელობა. რაფიელ ინგილო 1930 წელს სტატიაში „დისციპლინისა და ერთობის დღე“ წერდა: „ყოველი გადახდილი 26

მაისი იმას უნდა შეგვასმენდეს, რომ სამშობლოს თვითმყოფობის აღდგენა მხოლოდ ქართველობის უდრეკი ერთობით შესაძლებელი იქნება. მტერმა ეს უკეთ გაიგო. ამიტომ არის, რომ მან ყველაზე ანჩხლად ჩვენი ერთობის დაფუშვას მიჰყო ხელი.

დრომ მოაღწია დავანახოთ მტერს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ერთობა გაუტეხელია. ქართველობის ერთობა დაეწევა მას და კისერიც სწორედ ამ ერთობით წაეგრიხება".[10]

საუკუნეების მანძილზე ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი ნიშნები გარკვეულ განზოგადებას იძენდა ხოლმე. ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპზე რომელიმე მახასიათებელი აქტუალური ხდებოდა, თუმცა სხვა დანარჩენი მნიშვნელობას არ კარგავდა. ასეთივე მდგომარეობა იყო XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში. ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს 26 მაისის აღნიშვნა დაემატა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. ქართული ენა – მართალია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართულ ენას აშკარა საფრთხე არ დამუქრებია, თუმცა ეტაპობრივად რუსული ენის დამკვიდრებამ სხვადასხვა საქმის წარმოების პროცესში ქართულ ენას გარკვეულწილად მნიშვნელობა დაუკარგა. გაზეთ „ტრიბუნაში" ამასთან დაკავშირებით გრიგოლ შავგულიძე აღნიშნავდა: „მშობლიური ენა – ეს მთელი სამშობლოს ისტორიაა, მასში ნათლად გამოსჩანს მთელი განვლილი გზა და მისი ინდივიდუალური თვისებები და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ყოველი კულტურული ერი თავგამოდებით იცავს თავის ენას.

[10] რაფიელ ინგილო, დისციპლინისა და ერთობის დღე, ჟურნალი, „დამოუკიდებელი საქართველო", 1930, გვ. 6

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ერს თუ როგორმე მოუსპე თავისი ენა, ასეთი ერის სიცოცხლის დღეები დათვლილია“.[11] გაზეთ „შრომაში“ კი ლეო შენგელაია წერდა: „სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენას. ერს უპირველესად ყოვლისა უნდა ჰქონდეს თავისუფალი ენა. უამისოდ ერის კულტურა, მისი – ფილოსოფია, ხელოვნება, პოეზია, მეცნიერება – ვერ გაეფურჩქნება, ერი ვერ გაშლის თავის ინდივიდუალობას და ცხოვრების კვალს ვერ დააჩენს. ამიტომ ენის საკითხს განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოში არ შეიძლება არ მიექცეს უდიდესი ყურადღება“.[12]

2. სარწმუნოება – რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას სამღვდელოებასთან. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს რელიგიის უარყოფა და მისი საზოგადოების ცნობიერებიდან ამოშლა წარმოადგენდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან საბჭოთა იდეოლოგებმა სწორედ სამღვდელოების და რელიგიის დასუსტება-განადგურება დაისახეს მიზნად. გარდა იმისა, რომ მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სასულიერო წოდებისათვის ეკონომიკური ბერკეტების გაუქმება, ზოგადად, რელიგიური გავლენის შესუსტება საზოგადოებაზე. „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიურ აგიტაციას და პროპაგანდას, რაც სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მოსახლეობაში.... ჩვენი ვალია გავაძლიეროთ ყოველდღიური მუშაობა რელიგიის წინააღმდეგ, მასების ანტირელიგიურ აღ-

---

[11] გრ. შავგულიძე, ენის საკითხი, გაზეთი, „ტრიბუნა“, 1922, №291, გვ. 2

[12] ლეო შენგელაია, დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, გაზეთი, „შრომა“, 1922, №1, გვ. 4

ზრდისათვის... მთავარი მიზანია განუმარტოთ მშრომელ მასებს რელიგიისა და ყოველგვარი რელიგიური დღესასწაულების და კერძოდ, აღდგომის სიყალბე".[13] ამას ემატებოდა მეორე ფაქტორიც – სკოლის გამიჯვნა სამღვდელოებისაგან. საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე საქართველოში დამკვიდრებული სისტემის შეცვლა. სკოლა უნდა ყოფილიყო, არა ეროვნული იდეების მატარებელი, რასაც ეკლესია ხელს უწყობდა, არამედ საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი დასაყრდენი.

საერთოდ, განათლების ფაქტორს ერის არსებობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თანამედროვე ნაციისთვის სკოლის და ზოგადად, განათლების როლი ორმაგად მნიშვნელოვანია. ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდობა ეცნობა საკუთარ ეროვნულ ისტორიას, ტრადიციებს და ამასთან ეუფლება სხვადასხვა საგნებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მათი ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, როგორც განხილული მასალიდან ჩანს საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სკოლა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა.

მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის ამგვარი დამოკიდებულებისა სამღვდელოებისადმი ქართველი ერი და კერძოდ, ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურულ-პოლიტიკური სპექტრი ნათლად აცნობიერებდა ქრისტიანული რელიგიის და ქართველი სასულიერო წოდების დიდ როლს საქართველოს ისტორიაში. „ვინ დათვლის? ვინ აწონავს ჩვენი წმინდა მამების ღვაწლსა და ამაგს? როგორი მუყაითობით, მძიმე შრომით და დაუშრეტელი ენერგიით შექმნეს

[13] სუიცსა, ფ. 300, აღწ. 6, საქ. №8, ფურც. 138

ქართული, ეროვნული კულტურა და ის ქრისტიანული ცივილიზაციის უძველეს ერთა შორის პატივითა და დიდებით შეიყვანეს... ჩვენი ისტორიის ყველა ეპოქაში, როცა კი ერი განსაცდელის პირისპირ იდგა; გამოჩნდებოდნენ ხოლმე იოანე საბანისძენი, იაკობ ხუცესები და ქართველ ხალხს სწორედ მაშინ მისცემდნენ სულიერ საზრდოს და ზნეობრივი ძალის საჭედ გრდემლზე ჩაქუჩს მაგრად დაარტყამდნენ. ჩვენი ერის რჩეული შვილები მაღალი შთაგონებით თავიდანვე მიხვდნენ, რომ ერის სულიერ-ზნეობრივი ძალის საფუძველი ქრისტიანული მორალია: სათნოება, სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილი მაპატიებელი ბუნება: ადამიანის ღირსების დაცვა და დაფასება... ერის დიდება არ იქმნება მისი მრავალრიცხოვანობით, არც იარაღის ჩხარუნით, არამედ და მხოლოდ, მისი ზნეობრივ სულიერი მორალით, სათნოებით, შემწყნარებლობით, კეთილშობილებით და მაღალი იდეებისადმი მიძღვნილობით. ეს დაანათლა საქართველოს ქრისტიანიზმმა და ჩვენმა წმინდა მამებმა ჩვენი სამშობლო უძლეველ და უკვდავ ქვეყნად აქციეს ქრისტიანულ სათნოებასთან ზიარებით“.[14] 3. ისტორიული მეხსიერება – „ქართველი ერი ამრთელებს გაწყვეტილ ძაფს წარსულთან, ჩასწვდება მას და ცხოველად წარმოადგენს საკუთარ თავგადასავალს განვლილ საუკუნეთა გასწვრივ. ის იგონებს, რომ ბრძოლა ქვეყნის დახსნისთვის მარტო დღევანდელი ქართველის ხვედრი როდია, არამედ ამ წმინდა საქმეს ემსახურებოდნენ მისი წინაპრებიც. მრავალია მათი საგმირო საქმენი, კიდევ უფრო მრავალია თავდადებულნი, ხალხის მიერ წმინდანებად აღიარებულნი. და არა მარტო იგონებს – ქართველი ერი სისხ-

[14] გაზეთი „ქართული აზრი“, 1956, №74, გვ. 1

ლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის საამაყო სახელები მეტ ძალასა და აღფრთოვანებას ჰგვრის მის მებრძოლ შვილებს. ცხადია, დღევანდელი ვითარება სხვაა, წარსულში იგი სხვა იყო. ამისდა მიხედვით ბრძოლის მეთოდი და ხასიათი დღეს სხვაა, ვიდრე მაშინ. მაგრამ მისწრაფება, თავდადება, ცეცხლი, ის ცეცხლი, რომელიც სწვავს და ღადრავს ქართველის გულს, იგივეა დღესაც: ის არ გამქრალა და ვერც გაჰქრება, სანამ ერი არსებობს. სანამ ეს არსებობა მძლავრად, სტიქიასებურად ცხადდება თვითოეულ ქართველში".[15]

ჟურნალი „დამოუკდებელი საქართველო" 1930 წელს წერდა: „წინათაც ყოფილა საქართველოში ტანჯვის დღეები, რომელიც ქართველ ხალხს მუდამ ბრძოლით შეუცვლია, დღევანდელ თაობას ქართველებისას არ გამოუგონია საქართველოს ინტერესების დაცვა, მისთვის ბრძოლა, ამ წმინდა საქმეს სახელოვნად ემსახურებოდნენ ჩვენი წინაპრები. ამის მოწმეა სისხლით მორწყული საქართველოს მთა და ბარი, ია-ვარდით მოქარგული მინდორ-ველი. ამას ადასტურებს ოქროს ასოებით დაწერილი საქართველოს სასიქადულო ისტორია. ქართველი ხალხი არა თუ იგონებს თავის წარსულს, არამედ ბრძოლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის მოგონებანი გვინათებენ მომავალს და აკაჟებენ ჩვენი ქვეყნის მებრძოლ შვილებს. მართალია დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი უფრო სხვაა, ვიდრე წინათ იყო, მაგრამ მისწრაფება, თავდადება,

[15] ერი ძაძებში, ჟურნალი, დამოუკიდებელი საქართველო, 1926, №2, გვ. 1

სიყვარული თავის ქვეყნის თავისუფლების იგივეა დღესაც“.[16]

4. სამშობლო – 1926 წელს ჟურნალი „სახალხო საქმე“ წერდა: „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება – ეს ხომ ჩვენი არსებაა, გარდაუვალი მიზანი. იქნება ქართველი ერი თავისუფალი – იქნება ძლიერი და განვითარებული, აყვავდება მისი მიწა, დამყარდება ქონებრივი კეთილდღეობა, გაიზრდება ყოველგვარი შემოქმედება; იქნება ქართველი ერი დამონებული – კიდევ უფრო გაღატაკდება საქართველო, დაბეჩავდება ხალხი, დაჰკარგავს ადამიანობას და ბოლოს მოისპობა. შეუძლებელია ცხოვრება გარეშე ეროვნულ განთავისუფლებისა! განვაგრძოთ მისთვის მხნე მუშაობა და მედგარი ბრძოლა, ხან ჩუმი, ხან ფარული, ხან აშკარა და მაღლა. შევიტანოთ ყოველ წრეში მეტი შეგნება, დავრაზმოთ ხალხი განთავისუფლების აზრის გარშემო. მთელი კაცობრიობა, საერთო განვითარება ხელს უწყობს ამ ჩვენს ბრძოლას და ჩვენ გავიმარჯვებთ – ქართველი ერი აღსდგება, საქართველოს კვლავ დაამშვენებს თავისუფლების დროშა“.[17]

იგივე „სახალხო საქმე“ შემდეგ პოზიციას აფიქსირებს: „ქართველი ერის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი შემოქმედების გაშლისათვის, მისი ქონებრივი და კულტურული წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ქართველი ხალხი თავის თავს ეკუთვნოდეს, იყოს თავის ბატონ-პატრონი, იყ-

---

[16] პრ. ინ., 26 მაისი, ჟურნალი, დამოუკიდებელი საქართველო, 1930, №53, გვ. 9

[17] ამხანაგებს, ჟურნალი, „სახალხო საქმე“, 1926, რვეული პირველი, გვ. 4

ოს თავისუფალი. ეს გარდაუვალია, უამისოდ ამაოა სხვა ყოველივე მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ.

მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც ნათელი იყო ჩვენთვის, რომ ეროვნულ თავისუფლებას უნდა ამკვიდრებდეს ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც ხალხს უკეთესად უზრუნველყოფს ქონებრივად, ვიდრე დღეს არის. ჩვენ სოციალიზმსაც ეროვნული თვალსაზრისით ვაფასებთ – იგი მიგვაჩნია უძლიერეს იარაღად ქართველი ხალხის, ქართველი ერის გასამაგრებლად და განსავითარებლად".[18]

ჟურნალი „დამოუკდებელი საქართველო" 1926 წელს აღნიშნავდა: „შეუძ-ლებელია განყენებულად სამშობლოს მიღება. ბევრიც რომ ვიძახოთ, სამშობლო მიყვარსო, ეს არ იქნება მართლა სიყვარული. მუდამ პირზე რომ გვეკრას ქართველი ვარო, ეს მაინც ვერ დაამტკიდებს, რომ ქართველი ვართ. სამშობლოს სიყვარულისათვის საჭიროა მისი სრული შეცნობა: მისი მდინარის ხუვილი უნდა გამოისმოდეს თქვენი გულის ძგერაში, მისი მთის მწვერვალი მაღლით უნდა იზიდავდეს თქვენს ხედვას, მისი ტყის მყუდროება უნდა ისახებოდეს თქვენი ფიქრის იდუმალებაში. და მისი მთვარე სინაზეს უნდა გადაკრავდეს თქვენი სახის კანს. ყოველ თქვენს სიტყვაში, უხმო ხმათა ბგერაშიც უნდა გამოკრთოდეს ნიუანსები, რომლებიც ჩვენ არც გვსმენია, მაგრამ რომლებიც გაუგონიათ და უხილავთ წინაპრებს, და უცნობის გზით გადმოსულა ჩვენზე. საქართველოს შვილი მაშინ შეგიძლიათ უწოდოთ თქვენს თავს, როცა თქვენთვის ამეტყველებულა ყოველი კუნჭული მისი, ველი თუ გორაკი, ქვა თუ ხე, ქალაქი თუ სოფელი, ადგილი სადაც იბრძოდნენ ჩვენი ძველები, სად რომ-

[18] ჟურნალი, სახალხო საქმე, 1926, რვეული პირველი

ელმა გმირმა გაითქვა სახელი, სად რა კეთდებოდა არა მარტო ფიზიკური თავდაცვისათვის, არამედ კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმ-ჯობესებლადაც“.[19]

საზღვარგარეთ ქართველთა ერთიანობის გამომ-ხატველად იქცა 26 მაისის აღნიშვნა, რომელიც ყოვ-ელწლიურად ხორციელდებოდა. 1932 წელს ნოე ჟორ-დანია აღნიშნავდა: „26 მაისი ჩვენი დღესასწაულია, დღესასწაული იმათი ვინც მის მცნებას ასრულებს, მის კვალს მისდევს, მის ხაზს აგრძელებს, მის დრო-შას თავის დროშად აღიარებს. ეს დღე მოუწოდებს ყველა ქართველს ჩადგეს ნაციონალური დისციპ-ლინის კალაპოტში, დაივიწყოს თავისი ჯგუფური თუ პირადი მოსაზრებანი და დაირაზმოს ერთად, მტერთან სამტროდ, მოყვარესთან სამოყვროდ“.[20]

1933 წელს 26 მაისის დღესასწაულზე ნოე ჟორ-დანია კვლავ საქართველოს ერთიანობაზე საუბრო-ბდა: „26 მაისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლიანობის სიმბოლოა, ჩვენი საერთო დროშაა. დღეს საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი მომენტი, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც კულტურული და არც საზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიბრძვით არ-სებობის ძირეული, უდაო და მიუცილებელი საფუძ-ლისათვის. ჩვენ გვინდა ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და პატრონი, როგორც ერი, როგორც ხალხი, როგ-ორც პიროვნება. ყველა ეს უფლება წართმეული გვა-ქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, გა-

[19] ს. ფირცხალავა, სამშობლო უნდა დავიბრუნოთ, ჟურნალი, დამოუკიდებელი საქართველო, 1926, №2, გვ. 2

[20] ნოე ჟორდანია, 26 მაისი, ჟურნალი, „დამოუკიდებელი საქართველო“, 1932, №77, გვ. 1

ნურჩევლად რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სოციალური მდგომარეობისა“.[21]

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართული ენის, სამშობლოს აქტუალი-ზებასთან ერთად ეროვნული საკითხი თავისებური ფორმით ვითარდება. თუ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილის, კერძოდ, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების მთავარი მიზანი საქართველოს ავტონომიის ფორმით რუსეთის იმპერიაში შესვლა იყო, ხოლო სოციალ-დემოკრატების კი სოციალიზმის დამყარება, 1921 წლიდან მოყოლებული ეროვნული იდეისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად იცვლება. როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობამ ჩამოყალიბების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. თუ მაგალითად, XX საუკუნის 900-იან წლებში მათ სამოქმედო გეგმაში სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ეროვნული იდეის თემატიკამ გარკვეული ადგილი დაიკავა მათ პოლიტიკურ იდეოლოგიაში. რაც შესაძლოა ქართველი ერის განვითარების სპეციფიკით აიხსნება. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და სოციალ-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

რა განსხვავება იყო ქართული, ეროვნული ძალების და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ბრძოლაში? როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მიზანს სოციალიზმის დამკვიდრება წარმოადგენდა. განსხვავებით ქართუ-

[21] ნოე ჟორდანია, 26 მაისი, ჟურნალი, „დამოუკიდებელი საქართველო“, 1933, №89, გვ. 2

ლი, ეროვნული მოღვაწეებისგან, რომლებიც მშვიდობიანი ფორმით ცდილობდნენ საკუთარი იდეების რეალიზებას, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკა ძალადობაზე იყო დაფუძნებული.

ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ბუნებრივია აცნობიერებდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულეს და ამიტომ იყო მათ პროგრამაში მთავარი ეროვნული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევა და მათი საზოგადოებაში დამკვიდრება. აღნიშნულს საფუძვლად სხვადასხვა გარემოებები ედო. დავიწყოთ იქიდან, რომ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მიზანმიმართული ბრძოლა გამოუცხადა ქართულ, ეროვნულ ღირებულებებს. მათ მთავარ ამოსავალ პრინციპად დაისახა საუკუნეების მანძილზე ქართული საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საშუალებების, ენის, რელიგიის, ისტორიული მეხსიერების, სამშობლოს ფენომენთა გაუქმება-დასუსტება. 117 წელი რუსეთის ხელისუფლება ამ პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებდა. მართალია, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებულმა პროცესმა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას უკავშირდება, რომელიც იდეოლოგიური ფორმით გამოიხატებოდა შეცვალა გარკვეულწილად რუსეთის პოლიტიკა. თუმცა, კვლავ ძნელი იყო ეროვნული საკითხის აქტუალიზება. რამ განაპირობა რუსეთის დათმობაზე წასვლა? როგორც ცნობილია, XIX საუკუნის II ნახევრიდან ევროპაში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რასაც შედეგად მოჰყვა სხვადასხვა სახელმწიფოების გაერთიანება და ნაცია-სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ამას ემატება ის ფაქტი, რომ რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა. რუს-

ეთი იძულებულია საერთაშორისო გამოწვევებს დაე-
მორჩილოს და გარკვეული რეფორმები განახორცი-
ელოს არა მარტო რუსეთში, არამედ მის მიერ დაპ-
ყრობილ სახელმწიფოებში. აღნიშნული რეფორმების
ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი გამოხატულება იყო განა-
თლების სფეროში დათმობაზე წასვლა. რაში გამოი-
ხატებოდა ეს დათმობა? ბატონყმობის გაუქმებამ და
კაპიტალიზმის დამკვიდრებამ თავისთავად მოითხოვა
საზოგადოების ახალ სისტემაზე გადასვლა, რაც გუ-
ლისხმობდა ეკონომიკური და სოციალური ვითარე-
ბის შეცვლას, კერძოდ, ახალი სოციალური ფენების
ჩამოყალიბებას. ახალი ცხოვრების სტილმა მოითხო-
ვა განათლების საჭიროება, რომელიც აუცილებელი
იყო როგორც რუსეთში, ისე მის მიერ დაპყრობილ
ქვეყნებში. ამას ემატება შემდეგი გარემოება: ერთი
მხრივ, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს საგანმა-
ნათლებლო სისტემის გამოყენებას საკუთარი იდეებ-
ის დამკვიდრებისათვის და მეორე მხრივ, ქართული
ეროვნული ძალები – ეროვნული ცნობიერების აღო-
რძინებისთვის იბრძვიან. ახალ პოლიტიკურ, სოცი-
ალურ-ეკონომიკურ სისტემაში აღმოჩენილი ქართუ-
ლი საზოგადოებისთვის არც ისე მარტივი გადასალ-
ახი აღმოჩნდა ეს ვითარება. ამას მოყვა სამი წელი
საქართველოს დამოუკიდებლობა და 1921 წლიდან
მოყოლებული ახლა უკვე საბჭოთა ხელისუფლება
კვლავ აგრძელებს ქართველთა ეროვნული ცნობიე-
რების შეცვლას საგანმანათლებლო დაწესებულებე-
ბის საშუალებით და არა მხოლოდ.

მართალია, 1921 წლიდან მოყოლებული საბჭოთა
ხელისუფლების წარმომადგენლები სკოლების რაო-
დენობის გაზრდას დიდ ყურადღებას აქცევენ, თუმცა
მათ იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. საზო-
გადოების პოლიტიკური „აღზრდა“ მათი მთავარი ამ-

ოსავალი პრინციპი ხდება. საზოგადოება მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. ქართული პოლიტიკური ელიტა ემიგრაციაშია და იქიდან იბრძვის, საქართველოში საბჭოთა იდეები მკვიდრდება. 1921 წელს გაზეთი „მუშა და გლეხი“ წერდა: „ჩვენ ორ ადგილას გვიხდება ვაწარმოოთ კომკავშირის მუშაობა, ორ სხვადასხვა ადგილას, რომელნიც რამოდენიმედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს არის ქალაქი და სოფელი, ქალაქში მუშაობა ყოველთვის სულ სხვაგვარ პირობებში წარმოებს, ვიდრე სოფელში. თუმცა ჩვენი ქალაქები ვერ არიან ძლიერნი მუშა რიგებით, ისე როგორც სამრეწველო ქალაქები ევროპისა და გინდ რუსეთისა. ჩვენ ქალაქებში ყველაზე მეტად აქვს გადგმული ფესვები მეშჩანიზმს, მაგრამ მიუხედავად ამისა მუშაობა ქალაქში მაინც უფრო იოლ ფორმებში უნდა სწარმოებდეს, ვიდრე სოფლად... მაგრამ უმნიშვნელო დაბებში თუ სოფლებში კომკავშირების მდგომარეობა ბევრად უკეთესია, მუშაობას უფრო მეტი ნაყოფი მოაქვს, ვიდრე მეშჩანურ ქალაქებში, სადაც ჩვენს მუშაობას ეღობება წინ უსაქმო ინტელიგენცია და გარეაქციონერებული წვრილი ბურჟუაზია. ამიტომ ბევრი სოფლები უფრო ამტკიცებენ მეტ რევოლუციონერობას, ვიდრე ქალაქები“.[22]

ამგვარ აზრს ავითარებს გაზეთი „სინათლისაკენ“, რომელიც აქცენტს სოფლის მასწავლებელზე აკეთებს და მისი მეშვეობით და დახმარებით გეგმავს საზოგადოების ფართო ფენების განათლების ამაღლებას და შემდგომ აღნიშნული შედეგის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას. „ამხანაგო, სოფლის მასწავლებელო! შენ კარგად იცი, რომ ქალაქში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა ათასჯერ

[22] კომკავშირის მუშაობა, გაზეთი „მუშა და გლეხი“, 1921, №14, გვ. 4

უფრო ადვილია, ვიდრე სოფლად. ქალაქი არის არ-
ამც თუ მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული
ცენტრიც, აქ არის სასწავლებლების მრავალი რიც-
ხვი, ბიბლიოთეკები, დაწესებულებები, კულუტურუ-
ლი ძალები, ან ცალ-ცალკე ეწევიან კულტურულ სა-
ზოგადოებრივ მუშაობას. მათი ძალებით რესპუბ-
ლიკას შეუძლია წარმატებით აწარმოოს ბრძოლა წე-
რა-კითხვის უცოდინარობასთან მუშებს შორის, მაგ-
რამ ვისზე უნდა დავამყაროთ იმედები ამ მუშაობაში
იქ, სადღაც მივარდნილ სოფლის კუთხეში? აი ეს
არის ძირითადი საკითხი: ამ კითხვაზე ჩვენ გიპასუხ-
ებთ გადაჭრით: შენზე, სოფლის მასწავლებელო, შე-
ნზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს ამ დიდ საქმეში. შენ
უნდა იკისრო სოფლად წერა-კითხვის უცოდინარო-
ბის მოსპობა, შენ უნდა გაგხადოთ აქტიურ მებრძოლ
მომუშავედ ს.ს. საქართველოს რესპუბლიკის „წერა-
კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოე-
ბისა“. შენ უნდა აგამოძრაოთ და მოგცეთ საშუალე-
ბა შემოიკრიბო შენს გარშემო სოფლის ცოცხალი
ძალა“.[23]

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული საზოგადოებ-
ის გარკვეული ნაწილი და განსაკუთრებით ემიგრან-
ტების წარმომადგენლები მუდმივად ამახვილებდნენ
ყურადღებას ეროვნული ფასეულობების მნიშვნელო-
ბაზე. საერთოდ, პოლიტიკური და კულტურული ელ-
იტის მნიშვნელობა და როლი ქართული სინამდვი-
ლისთვის აქტუალური იყო. ისინი ქმნიდნენ იდეოლო-
გიას და მის დამკვიდრებას ცდილობდნენ. 1921 წლი-
დან მოყოლებული აღნიშნული ჯგუფის მოღვაწე-
ობის არეალი საგრძნობლად შესუსტდა და შევიწრ-
ოვდა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ცდილო-

[23] ი. გორდეზიანი, სოფლის მასწავლებელთა მიმართ, გაზეთი, „სინათლისაკენ“, 1924, 15 სექტემბერი, გვ. 3

ბდა ეროვნული იდეების უგულვებელყოფას და განსაკუთრებულ აქცენტს სოციალიზმის მნიშვნელობაზე აკეთებდა. უფლებაშეკვეცილი, ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ახალ უკიდურესობაში აღმოჩნდა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა საბჭოთა რეჟიმმა ჩაანაცვლა. აიკრძალა ეროვნული იდეების მატარებელი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი გახდა, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როდესაც ეროვნული თემატიკის ბეჭდური მედია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, საბჭოთა სისტემაში მთლიანად აკრძალული აღმოჩნდა.

ამ ფონზე, ბუნებრივია რთული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა როგორც განხილული მასალა აჩვენებს ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ეროვნული იდეების აქტუალიზებას მაქსიმალურად ცდილობდა. ეს პროცესი არცთუისე მარტივი იყო, რადგან სხვადასხვა სოციალურ ფენებს განსხვავებული ცნობიერება და მოთხოვნილებები გააჩნდა. საჭირო იყო თითოეული მათგანის ცნობიერების შესწავლა, მათთვის გასაგებ ენაზე საუბარი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებებთან ერთად მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ფაქტორები: 1. კულტურა. „კულტურული სიძლიერე უძლიერესი იარაღია დაჩაგრული ერის ხელში დამჩაგვრელთა წინააღმდეგ. ჩაგრულ-მჩაგვრელთა შორის საბოლოოდ იმარჯვებს არა ის, ვინც დიდტანიანი და ძლიერია ფიზიკურად, არამედ ვის მხარეზეც არის კულტურული და ზნეობრივი პირველობა“. [24] 2. თეატრი. „წარსულში თეატრი

[24] ტ. ხუნდაძე, კულტურული აღორძინებისთვის, გაზეთი, „ბახტრიონი“, 1922, №23, გვ. 3

აძლევდა ტონს ლიტერატურასთან ერთად ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეროვნულ გულისცემას. თეატრში იდგმებოდა ბარიკადები სულის და შეგნების ეროვნული ფრონტის დაცვისათვის. ხდებოდა გმირულ გადმოცემათა ხორცშესხმა. თეატრი გალესილი იყო თავდადების რომანტიკით და ეს ბუნებრივი რეაქცია იყო ეროვნული სახეობის შენარჩუნებისათვის".[25] 3. წიგნი. „წიგნის საკითხი ყოველი კულტურული და ცოტად თუ ბევრად წინ წასული ერისთვის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოდ და კერძოდ, ჩვენისთანა პატარა ერისათვის. ჩვენ თითქმის განვლეთ ის დრო, როდესაც თავდაცვის ერთადერთი საშუალება ფიზიკური სიძლიერე იყო და ეხლა, მეოცე საუკუნეში, თუ ჯერ კიდევ არ გამოსცლია ფიზიკურ სიძლიერეს თავისი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში მან არსებობისათვის ბრძოლაში პირველხარისხოვნება დაკარგა... ეხლა ბრძოლა სხვა ფრონტზეა, სულ სხვა საშუალებათა და მასში, შეიძლება ითქვას პირველი ადგილი წიგნს უჭირავს... დღეს ფიზიკური ბრძოლის მაგივრად უსათუოდ გონებრივი ბრძოლა სწარმოებს და წიგნი, როგორც ნაყოფი ადამიანის აზროვნებისა, გონებისა, ერთადერთი იარაღია ყუმბარაზედ არანაკლებ საშიში... თუ ცეცხლის მფრქვეველი იარაღების მოქმედება სწრაფია, წიგნის მოქმედება ნელა, თანდათანობით და საბოლოოდ პირველს თუ განადგურება მოსდევს, მეორეს სულიერი სიმახინჯე, გადაგვარება".[26]

საბჭოთა რეჟიმის საპასუხოდ განსაკუთრებულად აქტიურობდა ქართული კულტურული ელიტა, რომელიც ეროვნულ იდეაზე და ტრადიციებზე აკეთებდა

---

[25] ქართული თეატრი, გაზეთი „ბახტრიონი", 1922, №7, გვ. 1

[26] გრ. შავგულიძე, წიგნის საკითხი ჩვენში, გაზეთი, „ტრიბუნა", 1922, №287, გვ. 1

აქცენტს, რათა განმათავისუფლებელი მოძრაობა შედეგიანი ყოფილიყო. საზოგადოების ფართო ფენების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების მიზნით ხშირად მანკიერ მხარეებზეც კეთდებოდა აქცენტი. „საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი ეხება კულტურული შემოქმედების ყველა დარგს, ყოველ შტოს. მართალია, აქა-იქ კანტიკუნტად შეხვდებით გამონაკლისს, რომელსაც თითქოს თან ახლავს ყურადღების და დაინტერესების ცხოველმყოფელი ელემენტი. ასეთია ზოგიერთი მოღვაწის იუბილე, ათასში ერთხელ განსაკუთრებულად გამართული წარმოადგენა. მაგრამ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს უფრო მოჩვენებითი ან შემთხვევითი მოვლენაა და საყოველთაო გულგრილობის დამალბობელ სითბოდ არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება.

ეს დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული ავადმყოფობაა, რომელსაც ასაზრდოებს საერთო თანამედროვე პირობები. ხოლო თუ იგი გაძლიერდა და გაღრმავდა საფრთხე მოელის ერის კულტურასა და მომავალს. ყველა ძალა უნდა ამოძრავდეს, რომ ეს საშინელი მუქარა ერის მომავლისა, ეს კულტურული დავრდომილება და უყურადღებობა დაიძლიოს. ეს არის ჩვენი საზოგადოების კულტურული და ისტორიული დანიშნულება.

... ჩვენი ერის ძალ-ღონის და სიმაგრის მიზეზები უმთავრესად კულტურულ ვითარებაში იმალება. უამისოდ როგორც უნდა მოემამაცურებია მკლავი ერთ მუჭა ქართველ ერს, რანაირადაც უნდა გაეჭრა მის მუდამ ამოწვდილ ხმალს და მის ვაჟკაცობას, ეს მაინც ვერ აგვიხსნის, ვერ გაგვაგებინებს საარაკო ნაციონალურ გამძლეობას, საიშვიათო ნაციონალურ მეობის სიმტკიცეს, ჩვენს ერს რომ ახასიათებს ისტორიაში. ... ეს უნდა გვახსოვდეს მარად ჟამს, რა

მდგომარეობაშიაც უნდა მოყვეს ჩვენი ხალხის ბედის ტრიალი, ამის კვალობაზე უნდა ვაღვივოთ და ვაძლიეროთ ეროვნული კულტურის საკურთხეველზე გაჩაღებული ცეცხლი და კიდევ უფრო დიდის მოკრძალებით უნდა ვწიროთ იმ დიდებულ ტაძარში, რომელშიაც „უწირავს ერთიან სულს ერისას“.[27]

ტ. ხუნდაძე გაზეთ „ბახტრიონში“ 1922 წელს წერდა: „ჩვენი წარსული კულტურული სიძლიერის ცოცხალი მაგალითია ისიც, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამ ერთმა მუჭა ქართველობამ ბარბაროსთა ტალღაში გადასროლილმა, ეროვნული ელფერი და ვინაობა დღემდის დაიცვა და შეინარჩუნა. რამდენადაც სუსტდება დღეს ქართველი ხალხის ხელში პოლიტიკური საქმე, იმდენად უფრო ძლიერია და მტკიცედ გვმართებს კულტურულ ნიადაგზე მუშაობა. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ბევრი დაშორებული შვილი, რომელიც უცხო ცის ქვეშ ეწეოდა მუშაობას, დაუბრუნდა თავის ქვეყანას და თავისი ქვეყნის სასარგებლოდ ეწევა მშობლიურ ნიადაგზე კულტურულ აღორძინების საქმეს. მაგრამ დღემდისაც არიან ისეთნი, რომელნიც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „მის დამღუპველ ოსმალეთს ამშვენებენ“. და რომელიმე ქართველმა მეცნიერმა და ხელოვანმა ვერ იგრძნო და ვერ შეიგნო რომ საჭიროა და ის მოვალეა დაუბრუნდეს და ეროვნულ-კულტურულ ნიადაგზე იმუშაოს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, ასეთი პირები უნდა გაიკიცხოს და შეაჩვენოს ხალხმა“.[28]

---

[27] ნ. ს-ლი, ეროვნული კულტურისათვის, გაზეთი, „ლომისი“, 1923, №18, გვ. 2

[28] ტ. ხუნდაძე, კულტურული აღორძინებისათვის, გაზეთი, „ბახტრიონი“, 1922, №23, გვ. 3

სოციალისტ-ფედერალისტთა აზრით: „ერის განთავისუფლების და მისი დამოუკიდებლობის საქმე დამოკიდებული არის არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების შეცვლის პირობებთან, არამედ მთელი კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის არსებობაზე. სანამ არსებობს კაპიტალისტური სისტემა და იმპერიალიზმი, ეროვნული ჩაგვრისა და ყვლეფის მოსპობა შეუძლებელია და ასეთი განწყობილება ქვეყნებს შორის დაუსრულებელი იქნება. ერის განთავისუფლების საქმე კაპიტალისტური მეურნეობის დამხობაზე არის დამოკიდებული. ვისაც სურს ერის განთავისუფლება, მან მთელი თავისი არსებით უნდა ებრძოლოს კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს. ცაპიტალიზმის დამხობა და კაპიტალისტური მეურნეობის შეცვლა ახალი სამართლით სოციალური ურთიერთობით – ეს არის დიდი ეროვნული და სახალხო საქმე“.[29]

ამგვარად, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში შეიარაღებულ გამოსვლებთან ერთად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს კი ხელმძღვანელობდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი. „ჩვენში უაღრესად განვითარებულია ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ეს შედეგია იმ უკუღმართი ბედისა, რომელიც მონურ უღელს გვადგამდა და გაგვაცდევინებდა მთელ საშინელებას კულტურული ერის დამონებისას. ჩვენი შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობა კატეგორიულ ფორმებში მოითხოვს, რომ მკაცრად დაცული იქნეს ყოველ პირობებში ქართველი ერის ეროვნული თავისუფლების ყოველი

[29] ს. დევიანი, ჩვენი ეროვნული პოლიტიკა, გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, №234, გვ. 1

ატრიბუტი, რასაც მოითხოვს ქართველი მშრომელის რეალური ინტერესები და მშრომელთა ბატონობის უზრუნველყოფა... ჩვენ ყველას გასაგონად ვაცხადებთ – ხელი შორს ვინც ვერ ეგუება ჩვენს ეროვნულ თავისუფლებას, ვინც ვერ დაიცავს ჩვენს ენას და ჩვენს კულტურას!

ჩვენ მზად ვართ მეგობრულად დაუკავშირდეთ არა მარტო ახლო მეზობლებს, არამედ ყველას, რასაც გვავალებს, როგორც ჩვენი მსოფლმხედველობა, ისე საქართველოს რეალური ინტერესები, მაგრამ ეს კავშირი ურთიერთ-დათმობისა და ინტერესთა გაგების ნიადაგზე უნდა მოხდეს. დღეს კი ყოველი კავშირი უმთავრესად მარტო ჩვენს ხარჯზე ხდება... ჩვენ სხვისი შევიწროება კი არ გვსურს, საკუთარი თავისუფლებისათვის ვიბრძვით, სხვის ენას კი არ ვდევნით, საკუთარ ენას ვიცავთ დევნისაგან. ვისაც სურს ემსახუროს ქართველ მშრომელ ხალხს, იგი მოვალეა ანგარიში გაუწიოს მის ნებისყოფას, მის კანონიერ მოთხოვნილებას. იგი მოვალეა პატივით მოეპყრას ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას. უნდა დავანახოთ მტერსა და მოყვარეს, რომ ხალხის ჭეშმარიტი თავისუფლების მსახურნი ვართ და არავის არ მივცემთ უფლებას, რომ საქართველო თავისი ბატონობის არედ აქციოს“.[30]

ჟურნალი „ახალი გზა“ 1924 წელს წერდა: „ხალხის კულტურული კეთილდღეობის საუკეთესო საზომად სკოლა შეიძლება ჩაითვალოს უყოყმანოდ. სკოლა, რასაკვირველია ვერ გადაახტება თავზე იმ მატერიალურ ბაზას, რომელზედაც ვითარდება ხალხის კულტურა საერთოდ, ისე რომ, საბოლოო ანგარიშში სკოლის საკითხი ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის მი-

[30] სერ. ამაღლობელი, ეროვნული საკითხი და პრაქტიკული პოლიტიკა, გაზეთი „ტრიბუნა“, 1922, №200, გვ. 1

სი ეკონომიური საკითხის მეორე მხარეა. სკოლის განვითარების დონეს საზღვრად უდევს ეკონომიკის განვითარების დონე“.[31]

ამავე აზრს ავითარებს „ლიტერატურული გაზეთი“: „უმთავრესი და ძირითადი არის სკოლაში ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე და ხარისხი. სკოლაში უნდა მისცეს ახალგაზრდა თაობას აზროვნებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი პირველხარისხოვანი იარაღი, როგორიცაა სწორი და მაღალი ეროვნული კულტურა. სკოლამ უნდა დანერგოს მოსწავლეთა ცნობიერებაში მხატვრული მწერლობისადმი ინტერესი და სიყვარული ისეთი სირმით, რომ იგი შერჩეს ახალგაზრდას მომავალში, მისი სამოღვაწეო სპეციალობის მიუხედავად“.[32]

ჯერ კიდევ 1922 წელს ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ მიუთითებდა, რომ: „საქართველო თავის პატარა, მაგრამ შინაარსიანი ცდით დემოკრატიული წყობილების შექმნისა, დღეს ყველაზე მეტად ევროპის მუშათა კლასში პოულობს თავის მეგობრებს და თანამგრძნობთ. აქ ინასკვება არსებითი, ღრმა, ისტორიული მიზეზებით. აქ ინასკვება არსებითი, ღრმა, ისტორიული მიზეზებით გამოწვეული წინააღმდეგობა საქართველოს და რუსეთის რევოლუციის. იგი გამოიხატება არა საბჭოთა სისტემის მოწონებასა და დაწუნებაში, არა ტერორის და სამოქალაქო ომის მიღებასა თუ უარყოფაში. არა, აქ არის გამოაშკარავებული მთელი ისტორიული და კულტურული გზა ორი ერის: ქართველის და რუსის.

პირველი მიილტვის ერთიანად ევროპისაკენ და ამიტომ ევროპიულ ფორმებში აყალიბებს თავის რე-

---

[31] ი. ახალი სკოლა, ჟურნალი „ახალი გზა“, 1924, №2, გვ. 9

[32] ბესო ჟღენტი, გაზეთი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, №22, გვ. 1

ვოლუციურ მონაპოვართ, იგი ამ მხრივ სავსებით უერთდება და უსისხლხორცდება ევროპის კულტურას და მის ყველაზე უფრო რევოლუციურ კლასს – პროლეტარიატს და ისისხლხორცებს მას. მეორე კი უპირდაპირდება ევროპას – მის ძველ კულტურას და თავის აზიური სახის გამოჩენაში ცდილობს დაამკვიდროს თავისი „მეობა“, თავის დამოუკიდებლობა და განსხვავება“.[33]

საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით და ქართული, ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლით დასრულდა, თუმცა თითოეული მათგანის მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლების მოპოვებისათვის ბუნებრივია განვითარებას, ჩამოყალიბებას და აღმავლობას განიცდის.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად აუცილებელია განისაზღვროს შემდეგი ნიშნები: 1. ქართველი ემიგრანტების შემადგენლობა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, რადგან აქ წარმოადგენილი იყო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. 2. რა წარმოადგენდა მათ მიზანს და რა მეთოდებს მიმართავდნენ დასახული გეგმის განსახორციელებლად?

ქართველთა შორის ერთიანობის შენარჩუნებას ემსახურებოდა 1921 წელს ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემა, რომელიც სოციალ-დემოკ-

[33]წლისთავი, ჟურნალი, თავისუფალი საქართველო, 1922, №17, გვ. 2

რატიული მიმართულების ორგანოს წარმოადგენდა. მათ პირველ ნომერშივე გამოკვეთეს საკუთარი აზრი. „რა არის ჩვენი მიზანი? ჩვენ ღრმად გვწამს და თვითეული პატიოსანი ქართველი, თავის ხალხის გულშემატკივარი, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველო, დღეს უხეშ ძალისაგან გათელილი, კვლავ დაუბრუნდება დამოუკიდებელ ცხოვრებას და სახელმწიფოებრივ შემოქმე-დებას. და ჩვენი საზრუნავია ამ დღის მოახლოვება. ამისთვის კი საჭიროა პირველ ყოვლისა გონების მოკრება, წარსულის დაფასება, აწმყოს გაგება და მათი საშუალებით მომავლის გათვალისწინება ე. ი. შეგნება იმ გზის, რომელიც მიგვიყვანს ახლო და მალე სრულ განთავისუფლებამდე.

თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო, საქართველო ხალხის ნებისყოფის თანახმად მოწყობილი, მისი ნდობით აღჭურვილ დემოკრატიულ წეს-წყობილებით – აი ჩვენი ლოზუნგი, აი რას ვემსახურებით ჩვენ. ჩვენი პროგრამა ამ მხრივ სადაა და მარტივი: მოძალადე რუსის „წითელი“ ჯარის გაყვანა საქართველოდან და ხალხის – თვითგამორკვევის უფლების აღდგენა – აი ამას მოვითხოვთ ჩვენ და ამას მოვუწოდებთ ქართველ ხალხს“.[34]

სამსონ ფირცხალავა 1929 წელს ჟურნალში „დამოუკიდებელი საქართველო“ წერდა: „დამოუკიდებელი საქართველო“ ცდილობს სამშობლოში მყოფ ქართველების და უცხო მხარეს გარდმოხვეწილების განცდები, დაკვირვებანი და ძიებანი შეადუღოს ერთ მისწრაფებაში. ორივენი – იქაურნი და აქაურნი, - ერთ სატრფიალო საგანს ვემსახურებით – საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენას. იქაც და აქაც შე-

[34] რედაქციისაგან, ჟურნალი, „თავისუფალი საქართველო“, 1921, №1, გვ. 1-2

ურიგებელი ბრძოლაა დამპყრობლების წინააღმდეგ, ფარული თუ აშკარა, ბრძოლა მრავალის იარაღით, საშუალებით. ერთი მეორეს ვუზიარებთ ნაგრძნობს და ნაფიქრს, ერთმანეთს ვეხმარებით სწორი მოქმედების საწარმოებლად. ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელი პირობაა ჩვენი გამარჯვებისთვის. ზოგ რამეს ჩვენ ვერ ვხედავთ, ზოგს-თქვენ. ზოგი რამ თქვენ შეგიძლიათ, ზოგი რამ მხოლოდ ჩვენ. უერთმანეთობა ცალმხრივობას წარმოშობდა, და რამდენად ხშირი და სრული კავშირი და დამოკიდებულება გვექნება ერთმანეთთან, იმდენად ჩვენი საქმიანობა – შინაური თუ საგარეო – იქნება მკვიდრი, სწორი, ნაყოფიერი, იმდენად მოახლოვდება ჩვენი ქვეყნის სრული განთავისუფლების დღე“.[35]

სამსონ ფირცხალავა იმავე გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ წერდა: გავითვალისწინოთ ნათლად, რა აძლევს ძალას და შეურყევლობას ქართველი ხალხის დღევანდელ მისწრაფებას, მის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის? ადამიანის სრული განვითარება, მისი სრული ქონებრივი, გონებრივი და სოციალური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებაში. ეროვნებაა უდიდესი ღერძი ცივილიზაციისა, იგია უძლიერესი შემომქმედი და მამოძრავებელი ძალა, რომელიც ასაზრდოებს ჩვენს სხეულსა და სულს, გვაძლევს საშუალებას ჩვენი განზრახვების განსახორციელებლად, მარტო ეროვნებაში, ეროვნულ წრეში შეიძლება გაიშალოს და განაყოფიერდეს ყოველი ის შესაძლებლობა, რომელიც მოეპოვება ადამიანის ბუნებას. ესაა პირველი მცნება, ესაა მთავარი საფუძველი ჩვენი ბრძოლის.

---

[35] სამსონ ფირცხალავა, სამი წელი, ჟურნალი, „დამოუკიდებელი საქართველო“, 1929, №37, გვ. 3

ადამიანი მოკლებული თავის ეროვნებას, მოწყვეტილი ეროვნულ ნიადაგს, ჰავას, მკვდარია, უსულო გვამია, რომელიც შესაძლებელია კიდეც მოძრაობდეს, სჭამდეს, სვამდეს, მეტყველებდეს. მაგრამ მისი ლუკმა იქნება სხვისი ნასუფ-რალი, მისი მოძრაობა მექანიკური, მისი სიტყვა-გარედან ნაკარნახევი. ასეთი ადამიანი ვერაფერს შეჰქმნის ვერც მატერიალურ და კულტურულ დარგში, მაგრამ სხვათა მაჩანჩალა იქნება და ბოლოს ერთიან მოისპობა. ადამიანი არაა მოწყვეტილი ეროვნულ წრეს და მისი არსებობა ადამიანურია, როცა ეროვნება თავისუფალია, როცა ერი არის თავის სრული ბატონი და პატრონი. ესაა მეორე მცნება. ესაა მეორე მთავარი საფუძველი ჩვენი ბრძოლის.

რუსეთი ბოლშევიკური რუსეთი (თუნდაც სხვა იყოს) ძალით შემოიჭრა საქართველოში, დაეპატრონა ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს კულტურას და მონობის ბორკილები დაადვა ჩვენს ეროვნებას. ქართველი ერი თავისუფალი აღარაა, მის ცხოვრებას განაგებენ უცხო მმართველები. ქართველის გული დაკოდილია, ქართველის ენა დაშანთულია, გონება მოშხამული, სხეული განაწამები. მაგრამ ქართველი ერი არ მომკვდარა, ცოცხალი ერია, და უნდა უღლის გადაგდება, თავისუფლების დაბრუნება, არ უნდა სხვისი ბატონობა, რომელსაც მისთვის მხოლოდ დაცემა, სიბეჩავე და სრული განადგურება მოაქვს.“[36]

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე მეტად საინტერესოა ლეო კერესელიძის შეხედულებები. მისი აზრით: „მიუხედავად პოლიტიკური დანაწილებისა და პროვინციალური განკერძოებისა, საქართველოს ცხოვრებათაგან შესაძლებელია დიდი სინთეზების

[36] სამსონ ფირცხალავა, ჩვენი სამი მცნება, გაზეთი, „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, №1, გვ. 3

გამოტანა. ეს სინთეზი უმთავრესად შემდეგია: „1. ქართული ენა. ჩვენი ენა ძლიერი ინდივიდუალური ძალითაა გამოქანდაკებული, გაფაქიზებული და ყოველი მხრით მდიდარი. ამ ენის დამუშავებაში საქართველოს ყოველმა კუთხემ მიიღო მონაწილეობა, დაწყებული სვან-მეგრელებით და გათავებული იმერ-ქართლ-კახელებით. იგი შედეგია ქართველი ხალხის გენიის და ისტორიული ღვაწლის, შემოქმედების და მისი ინდივიდუალური ორიგინალობის. ჩვენი ენის შექმნის საქმეში ისეა გათქვეფილი და შედუღებული საქართველოს ყოველი თემის, ყოველი კუთხის შემოქმედებითი უნარი და ღვაწლი, რომ მათი გადარჩევა და შედარება შეუძლებელია.

2. ესთეტიკა. ქართველი ხალხის შეერთებული ნიჭის, ენერგიისა და შემოქმედებითი ძალის ნაყოფია ჩვენი სასახელო ხუროთმოძღვრება, მხატვრობა და სხვა ეროვნული ხელოვნებანი. ამნაირად, ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული შეერთებული შემოქმედებით შექმნა წმინდა ქართული ესთეტიკა.

3. ეკლესია. ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ჟამთა განმავლობაში მიიღო თავისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური სახე. დიდად განსხვავებული ბერძნული–ანტიოქიის, სომხურ და სხვა ეკლესიათაგან. მას ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ქართული თვისებები და ბუნება, ქართული სული, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაშიც კი რუსეთის ბარბაროსულმა ეკლესიამ ბიუროკრატიული სინოდით ვერ ამოხადა. ეს ქართული სული მას ქართველმა ხალხმა ჩაუდგა. ქართველმა ხალხმა თავისი საერთო ეროვნული შემოქმედებით მიანიჭა თავის ეკლესიას ის ზნეობა და ტრადიცია, რაც საერთო ქართველი ერის ზნეობრივი შეგნების, ბუნების და თვისებათა ნაყოფი იყო. ამიტომ ქართულ ეკლესიას პროვინცია-

ლური კოლორიტი ნაკლებად ჰქონდა. არამედ, არ-სებობდა მხოლოდ წმინდა, საერთო ქართული ტიპის ქართული ეკლესია.

4. ოჯახი. ოჯახი ყოველი სოციალური ორგანი-ზმის უჯრედია. იგი ყოველი ცივილიზაციის უმთავ-რესი ფუძეა. იგი ეროვნული დისციპლინის უმთავრ-ესი სკოლაა, პიროვნებათა უმთავრესი აღმზრდელი ფაქტორი. ქართული ცივილი-ზაციის ბურჯადაც ოჯ-ახი იყო. ქართველმა ხალხმა შეჰქმნა ერთნაირი საე-რთო ტიპის ოჯახი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში ერთი და იგივე ზნეობრივ-აღმზრდელობითი ხასიათი და შინაარსი ჰქონდა.

5. ოქროს ხანა. ამ მრავალმნიშვნელოვან და ბრწყინვალე ეპოქის შექმნაში მთელ ქართველ ხა-ლხს მიუძღვის ღვაწლი. იგი იყო ნაყოფი მთელი ქა-ართველი ხალხის ისტორიული ევოლუციისა, მისი გენიისა, ბრძოლისა და ღვაწლისა.“[37]

ემიგრაციაში წასვლის პერიოდიდან მოყოლებუ-ლი 1991 წლამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქართველი ემიგრან-ტების მოღვაწეობა არ შეჩერებულა და მათი ძალის-ხმევა მიმართული იყო საქართველოს თავისუფლე-ბის მოპოვებისაკენ. ბუნებრივია, 70 წლის მან-ძილზე ეპოქის გამოწვევებიდან, დასავლეთსა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე მა-თი ბრძოლა ზოგჯერ აქტიურდებოდა, და ზოგჯერ პასიური ფორმით გამოიხატებოდა, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, იდეა და მიზნისაკ-ენ მისასვლელი გზა უცვლელი რჩებოდა. ბუნებრი-ვია, მარტივად მისაღწევ მიზანს არ წარმოადგენდა, სამშობლოსგან მოშორებული, უფლებაწართმეული

[37] ლეო კერესელიძე, მიზეზი საქართველოს დაცემისა, გაზეთი „თეორი გიორგი“, 1931, №38, გვ. 2

ქართველი ემიგრანტების ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მათი მოღვაწეობა ორი მიმართულებით მიდიოდა: 1. ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და 2. დასავლური სახელმწიფოების მხარდაჭერის მოპოვების სურვილი დასახული გეგმის განსახორციელებლად.

მართალია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სწრაფვის გამოხატულება დასავლეთთან ურთიერთობა დაემყარებინა შედგა 1918-1921 წლებში და მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას შედეგად მოყვა ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლა, მთელი 70-წლიანი პერიოდი ნათელი მაგალითია ამ ორმხრივი კავშირის დადასტურებისა. დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერები, წარმომადგენლები ღიად და ხაზგასმით აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას, გამოხატავდნენ მხარდაჭერას ქართველი ემიგრანტების მიმართ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული საქართველოს განთავისუფლების გზაზე, უმთავრესად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობით, ეს იქნებოდა შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად ძირითად შემთხვევაში საქართველოში თუ საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ერთიანობით გამოიხატებოდა.

როგორც აღვნიშნე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის 70-წლიანი პერიოდი განსხვავებული გამოწვევებით გამოირჩეოდა. საწყის ეტაპზე ქართველთა მიზანსა და ბრძოლაზე გარკვეული გავლენა იქონია ურთიერთობამ ერთა ლიგასთან, ჰააგის, გენუის და ლოზანის კონფერენციებმა. XX საუკუნის 20-იანი წლები განსაკუთრებული გამომხატველობით გამოირჩეოდა როგორც საქართველოში, სადაც ერო-

ვნული მოძრაობის განსაკუთრებული აღმავლობა აღ-ინიშნება, ასევე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემი-გრანტებს შორის, რომლებიც I მსოფლიო ომის შემ-დგომი პერიოდისა და ზემოთაღნიშნული კონფერენ-ციების, არსებული საერთაშორისო კავშირების გა-მოყენებას ცდილობდნენ საქართველოს თავისუფლე-ბის მოსაპოვებლად. 30-იანი წლები შედარებით პა-სიურია საქართველოში, მთლიანად საბჭოთა კავშირ-ში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე მასო-ბრივი რეპრესიების ფონზე. თუმცა არ წყდება აქტი-ურობა ქართველ ემიგრანტებში საერთაშორისო არე-ნაზე კონტაქტების გასაძლიერებლად და კავშირების განსამტკიცებლად. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქ-ტიურობით გამოირჩევა II მსოფლიო ომის მიმდინარე და შემდგომი პერიოდი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

სამსონ ფირცხალავა 1935 წელს აღნიშნავდა: „შეუდრეკელობამ და განუხრელობამ მოგვიყვანა დღემდის და უეჭველია, ესევეა გზა ჩვენი მომავლის, ჩვენ ვერ დავთმობთ ეროვნულ თავისუფლებას, ვერ შევძლებთ განდგომას ჩვენი ვინაობისა და სახეობი-საგან, ვერ შევეგუებით აწინდელ შავ დროთა. ვიბრ-ძოლებთ, როგორც ყოველთვის – ეს ხომ ჩვენი სტი-ქიაა, ჩვენი ბუნება! საქართველო თავისუფალი, საქა-ართველო თავისი და არა სხვისი, ქართველი ერი-ერი; ეს გარდაუვალია, ამის შებრუნება არავის შეუძლია, არავის, თუ არ წაშლის მთელ ჩვენ ისტორიას და ერთიან არ აღმოფხვრის ჩვენს მოდგმას, რომელსაც სამი ათასის თუ მეტის წლის სიღრმეზე აქვს გადგ-მული ფესვები...“.[38] ქართველი ერისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი მნიშვნე-

[38] სამსონ ფირცხალავა, ჩვენი ეროვნული გამძლეობა, ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1935, №120, გვ. 9

ლობა უცხო არასდროს ყოფილა. საქართველოს ისტორია აღნიშნულის არაერთ მაგალითს მოწმობს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეროვნული მოძრაობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და ახალი ფორმებით გამოვლინდა. შეიარაღებული გამოსვლების მნიშვნელობით განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ისტორია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორ მიმართულებას მოწმობს: 1. შეიარაღებული გამოსვლა და 2. იდეოლოგიური. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური იყო XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა. იდეოლოგიური ბრძოლა კვლავ გაგრძელდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ამჟამად უკვე ემიგრაციაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ამჯერად ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ მიმართულებაზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი აღმავლობა განიცადა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან, რაც გამომდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებით. ქართულ ეროვნულ ძალებს იმედი გაუჩნდათ, რომ საბჭოთა რუსეთის ომში დამარცხების შემთხვევაში შეძლებდნენ საქართველოს განთავისუფლებას. სწორედ ამიტომ საზღვარგარეთ მყოფი ქართული ემიგრაცია ყოველმხრივ ცდილობდა კავშირი დაემყარებინა სხვადასხვა დასავლურ სახელმწიფოსთან, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათი დახმარებით აღედგინათ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“ 1952 წელს აღნიშნავდა: „საბჭოთა რუსეთს ახასიათებს კომუნისტური ტოტალიტარიზმი, რომელიც თავის ბუნებით ეწინააღმდეგება ადამიანის და ერის უფლებათა განხორციელებას. სანამ ეს რეჟიმი არსებობს მოსკოვში, ჩვენს განთავისუფლებაზე (და სხვა ერებისაც) ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად გვიდგას წინ საკითხი ამ რეჟიმის დამხობის. ამის გვერდის ავლა-თავის მოტყუებაა. მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კომუნისტური რეჟიმი აუტანელი გამხდარა, მთელი დასავლეთის ცივილიზაციის მატარებელი კაცობრიობისათვის, რომელსაც მეთაურობენ: პირველ რიგში საფრანგეთი, ინგლისი და აშშ. აქ ჩვენ გვიჩნდება ბუნებრივი მოკავშირე – ძლიერი და საიმედო, რომელსაც ერის და ადამიანის თავისუფლება თავის ლოზუნგად აქვს გამოცხადებული.“[39]

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: იდეოლოგიური და შეიარაღებული გზით. რა განაპირობებდა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიურ ხასიათს? სხვადასხვა სოციალური ფენების ცნობიერების ამაღლება, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა სისტემას საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური მექანიზმი გააჩნდა და საზოგადოებაში საკუთარი იდეების დამკვიდრებას, რეალიზებას ცდილობდა. შეიძლება თამამდ ითქვას, რომ როგორც არასდროს საბჭოთა რეჟიმის პირობებში ბრძოლა შეუძლებელი იყო, მცირედი გამონაკლისების გარდა.

[39] ევგენი გეგეჭკორი, საღი პოლიტიკის ცოცხალი მაგალითი, ჟურნალი, „მებრძოლი საქართველო“, 1952, №1, გვ. 1-2

რა ფაქტორებმა განაპირობა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა?

1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. აღნიშნულ მოვლენას ხელი შეუწყო მსოფლიოში და კერძოდ, დასავლეთში მიმდინარე ფაქტორებმა. საბჭოთა სისტემა მეტნაკლებად იძულებულია დაემორჩილოს საზღვრებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან აშშ-ის პრესიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც სტალინის მიმართ რადიკალური დამოკიდებულებით არ გამოირჩეოდა, ხელისუფლებაში მოდის ჰარი ტრუმენი, რომელიც აქტიურ პოლიტიკას ატარებს საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. ამასთან, აშშ-მა პირდაპირ გამოხატა დახმარების სურვილი II მსოფლიო ომის შედეგად დასუსტებული ევროპის დახმარებაზე.

რა განაპირობებს ამ ფაქტს?

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში აშკარად გამოიკვეთა კომუნიზმის გაძლიერების და აღმავლობის საშიშროება. აქედან გამომდინარე, აშშ-ს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაში და დამკვიდრებაში აცხადებდა პრეტენზიას სერიოზული საფრთხე შეექმნა საბჭოთა კავშირის მხრიდან. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად აშშ-მა შეიმუშავა არაერთი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირის დასუსტებას. ეს გამოიხატებოდა, როგორც პოლიტიკური კუთხით, ასევე იდეოლოგიური. სწორედ აღნიშნულის გამოხატულება იყო დასავლეთ ევროპისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. რათა დასავლეთ ევროპა ყოფი-

ლიყო ძლიერი და კომუნიზმის გავრცელების საფრთხე შემცირებულიყო.

2. ქართული ეროვნული ძალების მთავარი მიზანი გახდა ამ ვითარების გამოყენება საკუთარი გეგმების განსახორციელებლად. ეს კი ბუნებრივია საქართველოს თავისუფლების საკითხს ეხებოდა. ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ელიტა ნათლად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა პრობლემას ვერ გადაჭრიდა, ქვეყანას რეალური საერთაშორისო დახმარება სჭირდებოდა. 1952 წელს ევგენი გეგეჭკორი ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ წერდა: „ჩვენისთანა პატარა ერისთვის არ კმარა მარტო უდაო უფლება, ჩვენ ეს უფლება არამც თუ გვქონდა – ის ცხოვრებაშიდაც გავანაღდეთ, მაგრამ ამან ქართველ ხალხს კატასტროფა ვერ ააცდინა. მწარე გამოცდილებამ ცოტა რამ მაინც უნდა გვასწავლოს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი შენარჩუნება მოითხოვს შესაფერის საერთაშორისო ძალთა განწყობილების შექმნას. თუ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა თვით ქართველი ხალხის გაუტეხელ ნებისყოფაზეა უმთავრესად დაყრდნობილი, მისი განმტკიცება და შენარჩუნება დამოკიდებულია იმ რეალურ გარანტიებზე, რომელსაც საქართველო შეძლებს მოიპოვოს საერთაშორისო ურთიერთობაში.“[40] ნოე ჟორდანია 1951 წელს ჟურნალ „ჩვენ დროშაში“ მიუთითებდა: „ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა ამერიკის სახელმწიფოთა კონგრესზე განაცხადა: როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ჩვენ უნდა დავუპირდაპირდეთ ერთ დიდ საფრთხეს. ჩვენი მომავალი წინსვლა, ჩვენი არსებობაც კი დამოკიდებ-

[40] ევგენი გეგეჭკორი, საღი პოლიტიკის ცოცხალი მაგალითი, ჟურნალი, „მებრძოლი საქართველო“, 1952, №1, გვ. 4

ულია თავისუფალ ერთა დაცვისაგან. ჩვენ უნდა ავაწყოთ ერთად ჩვენი თავის დაცვა და გამოვიყენოთ ჩვენი ძალა დასახმარებლად ევროპის და აზიის მცხოვრებთა, რომ მათ შეძლონ იბრძოლონ მშვიდობიანობის და თავისუფლების დასაცავად. და ეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ აგრეთვე სხვებისთვისაც, სადაც უნდა ცხოვრობდნენ მსოფლიოში“.[41] და, მართლაც: „ერი რომ განთავისუფლდეს სხვისი ჩაგვრისაგან, მარტო შინაური ძალები არ კმარა, მით უმეტეს, დღევანდელ ხანაში, როცა საერთაშორისო მოვლენები, ერთა ინტერესები მეტად დახლართულია, ერთი მეორეზე გადაბმულია, ადგილობრივი საკითხი ერთი რგოლია საერთაშორისო პოლიტიკისა, ასეთ ვითარებაში, კითხვას სწყვეტს არა მარტო შინაური ძალები, არამედ საერთაშორისოც“.[42]

როგორც არსებული მასალა აჩვენებს, ქართველებს არასდროს შეუწყვეტიათ ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა ამ მიმართულებით. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებული აქტიურობა საზღვარგარეთ მყოფი პოლიტიკური ელიტის მხრიდან დაკავშირებული იყო II მსოფლიო ომთან. ბუნებრივია, აღნიშნული მოღვაწეობა არც 1921 წლიდან მოყოლებული იყო მნიშვნელობას მოკლებული, თუმცა II მსოფლიო ომმა მიზანი უფრო აქტიური გახადა. ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება ის ფაქტი, რომ საქართველო ამ ბრძოლაში მარტო არ არის. საბჭოთა კავშირში რასაკვირველია სხვადასხვა ერები იყო გაერთიანებული. ქართული ეროვნული მოღვაწენი იმედს ისახავდნენ, რომ ეს ბრძოლა ერ-

[41] ნ. ჟ. ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, ჟურნალი, „ჩვენი დროშა“, 1951, №9, გვ. 5

[42] „ჩვ, დრ,“ აგვისტო, ჟურნალი, „ჩვენი დროშა“, 1975, №84, გვ. 3

თობლივი იქნებოდა თუ რომელიმე სახელმწიფო თავისუფალი გახდებოდა. ეს პროცესი საქართველოზეც აისახებოდა. ამგგვარი დამოკიდებულება საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა, მაგალითად, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს 1825 წელს დეკაბრისტების გამოსვლამ და 1830 წელს პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს საშუალება მისცა მისი ბრძოლა უფრო ქმედითი გაეხადა და ამ ყოველივეს შედეგად მოყვა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ორგანიზებული იყო.

მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ პირველი მსოფლიო ომიც, როდესაც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი გერმანიის დახმარებით იმედოვნებდა დამოუკიდებლობის აღდგენას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი 1918 წლიდან საერთაშორისო ძალაზე ამყარებდა იმედს. ჟურნალი „ჩვენი ქვეყანა“ 1948 წელს აღნიშნავდა: „ჩვენი საერთო მიზანია ჩვენი ერის, საქართველოს განთავისუფლება, რომელიც აგერ 28 წელიწადია უცხო და სასტიკ უღელშია შებმული და ტანჯვა-ვაებას, ყოველგვარ დაჩაგვრას განიცდის: ეროვნულს, პოლიტიკურს და სოციალურს. როგორ და რა გზით არის შესაძლებელი ამ მიზნის (მისი განთავისუფლების) მიღწევა? ცხადია, მარტო ჩვენ აღარ ვართ დღეს ასეთ მდგომარეობაში, მთელი რიგი ერების, წვრილისა და საშუალოსი, იმავე ბედში არიან როგორც ჩვენ. სანახევროდ ბარბაროსული მტერი დაეუფლა აღმოსავლეთისა და საშუალო ევროპის სახელმწიფოებს, უკვე მიადგა დასავლეთ ევროპის კარსაც და ლამობს შიგ შეჭრას და იქაც მისი საშინელი დიქტატურა გაამეფოს ხიშტით თუ მისი ლაქია-ამქრების საშუალებით. ვერც ეხლა და ვერც მომავალ-

ში მე არ მაქვს წარმოდგენილი ისეთი გარემოება, რომ მხოლოდ საქართველო განთავისუფლდეს და სხვები კი დარჩნენ დაპყრობილი. არ არსებობს ჩვენ სამშობლოსათვის არც საკმაო შინაგანი და არც გარეშე, უცხო ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი გამოყვანა დღევანდელი მდგომარეობიდან. მაშ უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს ბედი ამჟამად მჭიდროდ დაკავშირებულია და გადაბმულია ყველა დანარჩენ ტანჯულ ერთა ბედზე. თუ ერთმა აიყარა აღვირი და მოიპოვა თავისუფლება ყველა დანარჩენები აღსდგებიან - ვინაიდან მათ ყავს საერთო მტერი. მტრის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყვეს და იქნება ერთი განუყოფელი."[43]

აქვე განვმარტავ ერთ საკითხს, როგორც უკვე აღვნიშნე ემიგრაციაში მყოფი ქართული ძალები იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლების მოპოვებისათვის. თუმცა ბრძოლის მეთოდებში მათ შორის იყო გარკვეული განსხვავება: თუ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები მეორე მსოფლიო ომს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მათი მიზანი სოციალისტური რეჟიმის დამხობა იყო, სოციალ-დემოკრატები ეროვნული თავისუფლების აღდგენას სოციალიზმის საფუძველზე იმედოვნებდნენ. ჟურნალი „სოციალისტური აზრი" აღნიშნავდა: „ქართველი ერის იდეალი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა – არის ჩვენი მიზანი, რომელსაც ჩვენ მთელი ენერგიით ვემსახურებით. ვინაიდან თავისუფალი არსებობა ჩვენ მიგვაჩნია საუკეთესო ფორმათ ქართველი ერის კულტურული აღორძინებისა და წარმატებისათვის, ჩვენი მშრომელი ხალხის უფლებების განმტკიცებისა და განვითარებისათ-

[43] ახალგაზრდა მოხუცი, ჩვენი მომავალი, ჟურნალი, „ჩვენი ქვეყანა", 1948, №5, გვ. 7

ვის. ერის თავისუფლება არის დემოკრატიის უდიდესი პრინციპთაგანი და ჩვენი მოძრაობის ბუნებრივი გამოხატულება. ხოლო, როგორც სოციალისტები და ქართველი ერის ინტერესების საუკეთესო გამომხატველნი – ჩვენ ვუკავშირებთ საქართველოს განთავისუფლებას დემოკრატიულ მოძრაობას, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე თვით რუსეთში და უარვყოფთ ისეთ პოლიტიკას, რომელიც იმედს ამყარებს ომზე და სამხედრო-ფაშისტურ ძალებთან დაახლოებაზე."[44] მართალია, როგორც უკვე აღვნიშნე, მათმა იდეოლოგიამ გარკვეული ცვლილება განიცადა და ეროვნული საკითხი მნიშვნელოვანი გახდა, თუმცა ძირითადი პრინციპი უცვლელი დარჩა.

3. ქართული, ეროვნული მოძრაობის დასავლური მიმართულება. ქართველთა მიზანი ყოველთვის იყო დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება და ეს ხაზი მუდმივად გასდევდა ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტის მოღვაწეობას საუკუნეების მანძილზე. საბჭოთა რეჟიმის პირობებში საკმაოდ რთული იყო ამგვარი პოლიტიკის რეალიზება. ამას კარგად აცნობიერებდა ქართული, ეროვნული სპექტრი. თუმცა, საზღვრებს გარეთ მყოფი ეროვნული ძალები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდნენ. XX საუკუნის 40-იანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ეს ხაზი მნიშვნელოვნად გამოკვეთილი იყო. ბ. არსენიძეს მიაჩნდა, რომ: „ქართველი ერი არის ისეთი ერი, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული კულტურული და მორალური ღირებულება, რომელთაც შეუძლია გვერდში ამოუდგეს, როგორც უმცროსი მოძმე, განათლებულ ერთა სახელმწიფოებს. მის ერთ ისტო-

[44] ჩვენი მიზანი, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი", 1934, №1, გვ. 2

რიულ თვისებათაგანს წარმოადგენს არა მხოლოდ მისწრაფება ევროპის კულტურისა და ცივილიზაციისადმი, არამედ კიდევ მეტი, ის, რომ მას თვითონ თავის ისტორიული გზების მანძილზე შემუშავებული აქვს სრულიად დამოუკიდებლად ევროპისაგან ისეთი სოციალური და პოლიტიკური წყობილება, რომელიც ეკუთვნის ევროპიულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ტიპს, როგორც ეს უკანასკნელი გამოიხატა უმთავრესად ევროპიულ სახელმწიფოებში და იმავე დროს წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ და თავისებურ სახეობას ამ საერთო ტიპიური ურთიერთობისას."[45]

4. როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა რეჟიმის სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოში ეროვნული იდეების განვითარება წარმოუდგენელი იყო. ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენდა გარუსების საფრთხის, ქართული ენის, ეროვნული ღირებულებების დაკარგვის აცილება. ბუნებრივია, ნებისმიერი ქართველისთვის და განსაკუთრებით მისთვის, რომელიც ნათლად აცნობიერებდა საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის არსებობის მნიშვნელობას და იმ დიდ ისტორიას, რაც საქართველოს გააჩნდა რთული გადასალახი იყო ის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, რელიგიური თუ კულტურული ცვლილებები, რასაც საბჭოთა სისტემა ახორციელებდა. 1976 წელს მიხეილ ქავთარაძე ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში" წერდა: „ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისთვის, როდესაც ერს პოლიტიკური საერთაშორისო პიროვნება წართმეული აქვს, ცხადია, არსებობს საშიშროება, რომ ჩვენ მეტნაკლებად იმ ერთან გაგვაი-

[45] სიტყვა თქმული მაისობაზე 1946 წელს ბ. არსენიძის მიერ, ჟურნალი, „მებრძოლი საქართველო", 1952, №4, გვ. 6

გივონ, რომლის სახელმწიფო ფარგლებშიც ვიმყოფებით. და ასეც ხდება. რაც უნდა ვარწმუნოთ უცხოელების ფართო წრე, ძნელია მათში ღრმად გამჯდარი შეხედულების შერყევა, რომლის მიხედვით, ჩვენ მართალია „მთლად რუსები“ არავართ, მაგრამ ჩვენი ეროვნება „პროვინციალური პატრიოტიზმია“ და სხვა არაფერი. ამ მდგომარეობასთან ბრძოლა მეტად ძნელია, რადგან იგი აიხსნება ჩვენი გასვლით პოლიტიკურ ასპარეზიდან. მაგრამ თუ საქართველოს საშუალება აქვს პოლიტიკურად გამოჩნდეს, კულტურულად გამოჩენის და ამგვარად უცხოეთისათვის თავისი თავის გაცნობის საშუალება უსათუოდ მოეპოვება.“[46]

საქართველოში შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც ყოველგვარი ეროვნული შეზღუდული იყო, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უფლებაშეკვეცილი იყო, ეროვნული ძალები იმედს მწერლებზე, პოეტებზე, მეცნიერებზე ამყარებდნენ, რომელთა მთავარ მოვალეობად თვლიდნენ ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული შეგნების გაძლიერებას. 1956 შოთა კალანდაძე გაზეთ „ქართულ აზრში“ წერდა: „საქართველოს წარსულის ყოველმხრივი შესწავლა დღის წესრიგში დაისვა. რით აიხსნება ქართველი ისტიორიკოსების და ეკონომისტების ასეთი ტენდენცია? რად მიეცა დავიწყებას აქტუალური საკითხები? საბჭოთა პირობებში ძალიან ძნელია სერიოზულად მუშაობა მიმდინარე პრობლემებზე. ერთი პატარა ლაფსუსი საკმარისია, რომ თავი ამოყო სადმე შორს. საბჭოთა სინამდვილე საშინელი კონფლიქტებითაა დაღარული და დასერი-

[46] მიხეილ ქავთარაძე, მნიშვნელოვანი წვრილმანები, ჟურნალი, „თავისუფლების ტრიბუნა“, 1976, №10, გვ. 11

ლი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ადამიანობის მოდგმის ასეთი კრიზისი. სადაც ჩამქრალა კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის კანდელი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძე ფარისევლობა და მლიქვნელობაა. უტოპიური ანთებით შეპყრობილი იდეალები მიილულნენ, რევოლუციური ფსიქოზი და აღმშენებლობის პათოსი ჩაკვდა. ყველგან და ყველაფერში გულგრილობა. დაიბადა სურვილი, რაც შეიძლება შორს წავიდეს ადამიანი საბჭოთა ასეთ უფერულ და დაწყევლილ ყოველდღიურობისაგან. ...ქართველი მეცნიერების მთავარი მოტივი სულიერი კავშირის აღდგენაა წარსულთან, ნაციონალურ საქართველოსთან, რომ ქართველმა ქართველად იგრძნოს თავი."[47]

ქართული კულტურის შენარჩუნებას და განვითარებას ემსახურებოდა აღნიშნულ პერიოდში გამოცემული წიგნები. ცენზურის პირობებში ხერხდებოდა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქება და ეროვნულ თემაზე იქმნებოდა მხატვრული ნაწარმოებები. ამასთან დაკავშირებით, 1950 წელს პ. სარჯველაძე ჟურნალ „ჩვენი დროშაში" აქვეყნებს სტატიას, სადაც აღნიშნულია, რომ: „თავისუფლების დასაბრუნებლად, – აჯანყებათა ტალღების აზვირთება და მის შემდეგ გავერანებულ ველზე დაღლილობა, დაქანცულობა, სიჩუმე, ნაწილობრივ ძალთა დარაზმულობა შეცვალა – კულტურულ ძალთა დარაზმულობამ... იწყება ახალი ბრძოლის ტაქტიკა, – ეროვნული ენერგიის სამწერლო ასპარეზზე გაშლით, ქართველი ერის კულტურულ ფრონტზე გადასხმით, ხალხისკენ პირის მიბრუნებით; მომდევნო თაობის მიერ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობის გაჩაღებით, ერის დაბალი ფენების საზოგადო ასპარეზზე

[47] გაზეთი, „ქართული აზრი", 1956, №11, გვ. 2

გამოყვანით და ასე ერი მომზადებული ხვდება ბედნიერ დღეს და კვლავ დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობისთვის ირაზმება.“[48]

რა მეთოდებით უპირისპირდება საბჭოთა რეჟიმი ეროვნულ მოძრაობას?

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველთა ეროვნული ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ 26 მაისი ქართული ემიგრაციის ეროვნული დღესასწაული გახდა. აღნიშნულის საპირისპიროდ საბჭოთა რეჟიმი მის სისტემაში გაერთიანებულ ქვეყნებში II მსოფლიო ომში გერმანიაზე გამარჯვებას მთავარ დღესასწაულად აცხადებს. ამის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ერთიანი, საერთო მიზნის მატარებელი გაეხადა მის დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფოები.

ამას გარდა, საბჭოთა ხელისუფლება ქართველთა ეროვნული ცნობიერების შესუსტების ფაქტორად აქტიურად იყენებდა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განსაკუთრებით სკოლებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იგზავნებოდა სხვადასხვა სახის ლიტერატურა, რომელიც შეიცავდა საბჭოთა იდეოლოგიის ელემენტებს და მიმართული იყო საზოგადოებაში ეროვნული ცნობიერების შეცვლისკენ. ამ მიზნით „1944-1945 წლებში მთავრობის დადგენილების საფუძველზე გატარდა ღონისძიებანი პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიტერატურის დაკომპლექტების ხაზით. მთავრობის დადგენილების შემდეგ დაეგზავნა ლიტერატურა: ადიგენის რაიონს – 21, 186 მანეთის, ასპინძის რაიონს - 11. 895 მანეთის, ახმეტის რაიონს - 11, 734 მანეთის, გორის

[48] პ. სარჯველაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ჟურნალი, „ჩვენი დროშა“, 1950, №6, გვ. 30

რაიონს - 29, 711 მანეთის. კაჭრეთის რაიონს - 11, 895 მანეთის, ქლუხორის რაიონს - 8, 258 მან; დუშეთის რაიონს - 13, 318 მან. ახალხევის რაიონს - 8, 704 მან; ახალციხის რაიონს - 28, 510 მან. და ა. შ. სულ ყველა რაიონის პოლიტდაწესებულებებს გარდა იმ ლიტერატურისა, რასაც ისინი უშუალოდ იძენდნენ ადგილზე, გაეგზავნათ ცენტრალიზებული წესით 70, 815 ცალი წიგნი. ლიტერატურა შერჩეული იყო ძირითადად პოლიტიკური, სამეცნიერო-პოპულარული, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული შინაარსის. ლიტერატურით დაკომპლექტება მოხდა ბიბლიოთეკური წესით, ბიბკოლექტორის მიერ. ადგილზე ლიტერატურა გაუნაწილდა პოლიტგანდაწესებულებებს, ამასთან გატარებულია ღონისძიებანი წიგნობრივი ფონდების აღრიხცვისა და მოვლა-დაცვის უზრუნველსაყოფად. ლიტერატურის გარდა პოლიტგანდაწესებულებებს გაეგზავნათ ბელადისა და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები 9 სახელწოდების 5000 ცალი, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს რუკები 4 სახელწოდების 5070 ცალი, სხვადასხვა შინაარსის პლაკატები 11 სახელწოდების 3090 ცალი, საბჭოთა კავშირის გმირების სურათები 18, 400 ცალი და სხვა.“[49]

ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესს გარდა, რეპრესირებული მეთოდებისა აქტიურად უპირისპირდება საბჭოთა იდეოლოგიის მძალვრი სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალებით აქტიურად მოქმედებდა. „საგნების სწავლება მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის შეგნების, მაღალი ზნეობის და მარქსისტული მსოფლმხედველობის გამომუ-

[49] სუიცსა, ფ. 600, აღწ. 4, საქ. №7243, გვ. 24

შავების ამოცანას. თითოეული საგანი სკოლაში იძ-ლევა შესანიშნავ მასალას მოსწავლის იდეურ-პოლი-ტიკური აღზრდისათვის, რისთვისაც თითოეული სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს იმაზე, თუ კონკრეტული გაკვეთილი რამ-დენად ემსახურება ბავშვის მორალურ აღზრდას. ჩვენი სკოლების ზოგიერთი ხელმძღვანელი და მასწ-ავლებელი არ ზრუნავს ამ ამოცანის განხორციელე-ბაზე. არ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დო-ნის ამაღლებაზე...“[50]

„ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის თითქ-მის ყველა საშუალო სკოლებში შექმნილია ათეის-ტური აღზრდის საბჭო, სისტემატიურად ტარდება საბჭოს სხდომები, სადაც იხილება შემდეგი საკით-ხები: „ლენინი რელიგიის შესახებ“, „სახელმწიფო და სამართალი“, „კომკავშირის როლი ათეისტური აღზრდის საკითხში“, „რა არის ცრუ რწმენა“ და მრავალი სხვა, მთელი მუშაობა ისეა წარმართული, რომ ახალგაზრდებს მივცეთ სწორი აღზრდა.“[51]

მაგლითად, „ახმეტის რაიონში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ათეისტურ მუშაობას, 1978 წელს ჩატარებულა 127 ლექცია, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, რომელსაც დაესწრო 10 ათასამდე მსმენელი, გარდა ამისა, რაიონის ლექტორთა ჯგუფს ჩატარე-ბული აქვს 30-ზე მეტი ლექცია-მოხსენება ათეისტურ თემაზე. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ათეისტურ მუშაობას ახალგაზრდებს შორის. სკოლ-ებში არსებულ ლექტორთა ჯგუფები პერიოდულად კითხულობენ ლექციებს ამ თემაზე. რამდენიმე წე-ლია ჩვენი რაიონის პანკისის ზონაზე შექმნილია და მუშაობს მეცნიერული ათეიზმის სახალხო უნივერ-

[50] სუიცსა, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №541, ფურც. 236
[51] სუიცსა, ფ. 1880, აღწ. 1, საქ. №297, ფურც. 15

სიტეტი, ამ ზონაზე ძირითადად ქისტები და ოსები ცხოვრობენ და ამ უნივერსიტეტის მუშაობა ნაყოფიერ გავლენას ახდენს მათზე. რაიონში ორი მოქმედი ეკლესიია (თეთრი გიორგის და ალავერდი).“[52]

1941-1942 სასწავლო წელში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საქმე, განსაკუთრებით სამამულო ომის დაწყების შემდეგ, გასულ წლებთან შედარებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1941 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით 1-4 კლასებში ირიცხებოდა 357 550 მოსწავლე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 407 923 მოსწავლისა ე. ი. 50 413 მოსწავლით ანუ 12, 4% ნაკლები. მე-5-7 კლასებში ირიცხებოდა 206 178 მოსწავლე ნაცვლად 257 635 მოსწავლია ე. ი. 51. 357 მოსწავლით ანუ 20% ნაკლები. მე-8-10 კლასებში ირიცხებოდა 627. 360 მოსწავლე, ნაცვლად 763 801 მოსწავლისა ე. ი. 126. 441 მოსწავლით ანუ 16, 6%-ით ნაკლები. საყოველთაო-სავალდებულო სასწავლო გეგმის შეუსრულებლობის და მოსწავლეთა განთესვის მიზეზების გამორკვევის მიზნით განსახკომის მიერ ჩატარებულ იქნა რიგ რაიონებში სკოლების შემოწმება; დადასტურდა, რომ გეგმის შეუსრულებ-ლობის და მოსწავლეთა სკოლებიდან განთესვის მიზეზები არის შემდეგი:

1. წითელ არმიაში გაწვეულთა ნაცვლად-სასოფლო მეურნეობაში ბავშვთა შრომის გამოყენება.

2. ომის პერიოდში რესპუბლიკის და ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით რიგი სკოლების გაერთიანება-დახურვა: 4. 449 სასკოლო ერთეულიდან დაგვრჩა 4114 სკოლა ე. ი. ქსელი შემცირდა 335 სკოლით. ამ ღონისძიებამ გაა-

[52] სუიცსა, 1880, აღწ. 1, საქ. №322, ფურც. 63

დიდა სკოლის მომსახურეობის რადიუსი, რაც უეჭველია მიზეზი გახდა ბავშვების განსაზღვრული ნაწილის სკოლიდან ჩამოცილების.

3. მე-7-10 კლასებიდან /განსაკუთრებით სოფლად/ წითელ არმიაში გასაწვევ ასაკის ბავშვების /18 წლისა და ზევით/, გაწვევა წითელ არმიის რიგებში; აგრეთვე მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის გაწვევა სახელოსნო და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში.

4. რესპუბლიკის დიდი ქალაქებიდან /თბილისი, ქუთაისი/ და შავი ზღვის სანაპირო ქალაქებიდან /ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, სოხუმი, გუდაუთი, გაგრა/ ომის პერიოდში ზოგიერთ მშობლების მიერ ბავშვების ევაკუირება.

5. გერმანელების სსრ რესპუბლიკიდან გასახლება.

6. ბავშვთა განსაზღვრული ნაწილის სკოლიდან განთესვა სასკოლო გადასახადის გადაუხდელობის გამო.

7. ამასთანავე ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ბავშვთა დიდი ნაწილი განთესილია არა ქართულ რაიონებიდან. /ყარაიას და ბოგდანოვკის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმა შესრულებულია 72%-ით, ხოლო ახალქალაქის და ბაშკიჩეთის რაიონებში 78%-ით/.

8. წინა წლებში ადგილი ჰქონდა წინააღმდეგ სარედაქციო ორგანოების დადგენილებისა 1-ლ კლასებში 7 წლიან ასაკის ბავშვების მასიურად ჩარიცხვას. ამის გამო განათლების სახალხო განათლების სახალხო კომისარიატმა 1941 წლის ზაფხულზე დაუშვა კატეგორიული ხასიათის დირექტივა 8 წელზე ნაკლების ასაკის მქონე ბავშვების პირველ კლასებში ჩარიცხვის აკრძალვის შესახებ. ამან კი გამოი-

წვია კლასების დაკომპლექტების გეგმის 23 941 ბავშვის შეუსრულებლობა.

მიუხედავად ამისა, განათლების სახალხო კომისარიატი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მთავარ განათლების განყოფილების, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ, ომის პერიოდში ამ მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმისადმი ყურადღების შენელებას.“[53]

1940 წლის თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის შესახებ. „აღვნიშნავ, რომ თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მისი არსებობის ოთხი თვის განმავლობაში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია: ინსტიტუტი ძირითადად დაკომპლექტებულია შესაფერისი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა შტატით; მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცია; სისტემა-ტიურად ტარდება იდეურ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის: /საკ. კ. პ. /ბ/ ისტორიის შესწავლა, თეორიული კონფერენციები და სხვა. სათანადო ყურადღება ექცევა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების საყოფაცხოვრებო საკითხების დროულად მოწესრიგების საქმეს, ინსტიტუტი მომზადებულია საზამთრო სესიების ნორმალურად ჩატარებისათვის და სხვა.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის მუშაობას მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნია, რომლებიც ხელს უშლიან ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო და საორგანიზაციო

[53] სუიცსა, ფ. 600, აღწ. 1, საქ. №6596, ფურც. 141

მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეს: ამ დეფექტებს შორის ძირითადია შემდეგი:

ა) ისტორიულ ფაკულტეტებს არ ყავს დეკანი, ამიტომ ამ ფაკულტეტების პედაგოგიურ პროცესზე ძალზე სუსტად ხორციელდება სისტემური კონტროლი.

ბ) კათედრები არ იხილავენ ცალკე სასწავლო დისციპლინებში სწავლების ძირითად საკითხებს და სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ თავიანთ დარგში იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მეთოდურ მუშაობას.

გ) კათედრების გამგეები არასაკმარისად ესწრებიან კათედრის წევრთა ლექციებს და კონსულტაციებს და სისტემატიურად არ ამოწმებენ მათ საკვლევ-სამეცნიერო მუშაობას. კათედრის გამგეების ლექციებზე დასწრების შედეგები არ არის მოსმენილი კათედრების სხდომებზე.

დ) საკვლევო-სამეცნიერო მუშაობაში არ არის ჩაბმული ინსტიტუტის ყველა მასწავლებელი: სამეცნიერო მუშაობის ინდივიდუალური გეგმა არ აქვთ წარმოდგენილი 10 მასწავლებელს.

ე) ინსტიტუტს არ აქვს მოწყობილი სამკითხველო სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი მუშაობის ჩასატარებლად.

ვ) ჯერ კიდევ არ არის ინსტიტუტი მომარაგებული კაბინეტებით, ლაბორატორიებით და თვალსაჩინოების ხელსაწყოებით, რაც ძალზე ხელს უშლის სასწავლო გეგმების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულების საქმეს.

ზ) არ არის მოწესრიგებული თბილისიდან ჩამომსვლელ ლექტორთა სადგურიდან გადმოსაყვანი ტრანსპორტთა საქმე.“[54]

სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემასთან არსებული მონაცემები ნათლად აჩვენებენ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ სახეს და იმ მძიმე მდგომარეობას რაც ქვეყანაში არსებობდა. ამას ადასტურებს 1940 წელს ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის საორგანიზაციო და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ანგარიში. „აღვნიშნავ, რომ ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი ჩამოყალიბებულია, თავის მუშაობაში აქვს ზოგიერთი მიღწევები: ინსტიტუტი ძირითადად დაკომპლექტებულია პროფესორ-ლექტორთა შტატით, სტუდენტთა შორის განმტკიცებულია სასწავლო დისციპლინა, სტუდენტთა პირადი საქმეები წესრიგშია მოყვანილი და სხვა.

ამასთან ერთად ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს:

1. ზოგიერთ საგნებში სასწავლო გეგმები არ არის შესრულებული /ფიზიკა, სამხედრო საქმე, ქართული ენის მორფოლოგია/.

2. ინსტიტუტს არ გააჩნია მუდმივი სტაბილური ცხრილი, სასწავლო მუშაობა მიმდინარეობს დროებითი/ექვსდღიანი/ ცხრილის მიხედვით.

3. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მუშაობს სალექციო საათებში, რის გამოც სტუდენტებს უძნელდებათ ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა. სამკითხველოსათვის არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი. ბიბლიოთეკას არ ყავს კვალიფიციური მუშაკი.

---

[54] სუიცსა, ფ. 300, აღწ. საქ. №45, გვ. 23

4. მოუწყობელია სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, რის გამოც პრაქტიკუმები ვერ ტარდება ხარისხიანად – ნაკლებად აქვს ადგილი თვალსაჩინოებას.

5. სტუდენტები არასაკმარისად არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვა-ნელო ლიტერატურით და საკითხავი წიგნით რუსულ ენაში, ამიტომ ლექტორები მეტ დროს ანდომებენ გრამატიკის შესწავლას საკითხავ მასალიდან მოწყვეტით ან უკეთეს შემთხვევაში იყენებენ იმ მასალებს, რომელიც სტუდენტებს ახსოვთ საშუალო სკოლიდან. წერითი სამუშაოები რუსულ ენაში არ ტარდება სისტემატიურად. არ არის მოწყობილი რუსული ენის კაბინეტი.

7. კათედრის გამგეებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ სათანადო მუშაობა, არ ესწრებიან კატედრის წევრთა ლექცია-პრაქტიკუმებს და არ ამოწმებენ მათ საკვლევო-სამეცნიერო მუშაობის მიმდინარეობას.

8. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ვერ აკმაყოფილებს ინსტიტუტის მოთხოვნილებას, შენობა შეუფერებელია ამ საქმისათვის და საჭირო ინვენტარითაც არ არის უზრუნველყოფილი.

9. არ არის მოყვანილი წესრიგში პროფესორ-ლექტორთა პირადი საქმეები (აკლია ფოტოსურათი, ცენზის საბუთი).“[55]

გარდა ზემოთაღნიშნულისა საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად ცხოვრობდა ეროვნული უმცირესობა. „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს მრავალეროვნული მოსახლეობა. ყველა ეროვნების ბავშვები სწავლობენ ეროვნულ ენაზე.

რუსული მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სამრეწ-

[55] სუიცსა, ფ. 300, აღწ. საქ. №45, ფურც. 35

ველო ადგილებში, ცენტრების მსხვილ რაიონებში და საბჭოთა მეურნეობებში. ასეთ ადგილებში რუსი ბავშვებისთვის გახსნილია 342 სკოლა, სადაც მიმდინარე სასწავლო წელს სწავლობს 84. 041 მოსწავლე. ასეთი სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია კარგი სათავსოებით და სათანადო სასკოლო ავეჯით.

რუსულ სკოლებში მასწავლებლების უმრავლესობა არის მაღალკვალიფიციური რუსი პედაგოგები. სწავლება რუსულ სკოლებში ყოველწლიურად უზრუნველყოფილია მოსწავლეებით და სასკოლო პროგრამებით, რომელიც მიღებულია რსფსრ-დან.

ამ წელს რსფსრ-დან მიღებულ იქნა 35 000 ეგზემპლარი, 86 სახელწოდების, მოსწავლეებისათვის.

ომამდე საშუალოდ საქართველოში მიღებულ იქნა 25 000 წიგნი, ყოველ მოსწავლეზე საშუალოდ 3 სახელმძღვანელო.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა სამამულო ომის პერიოდში საშუალო სკოლა დაამთავრა 8000-ზე მეტმა რუსმა მოსწავლემ. მიმდინარე წელს რუსი მოსწავლეების უმრავლსეობამ წარმატებით ჩააბარა სიმწიფის ატესტატის გამოცდები.

საქართველოს ტერიტორიაზე არის 263 უფროსთა, შვიდწლიანი და საშუალო სომხური სკოლები.

ამ სკოლებში 47 565 მოსწავლე სწავლობს. სომხები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში. თბილისში 12 სომხური საშუალო სკოლაა, სადაც სწავლობს 8762 მოსწავლე. ქალაქ ახალციხეში 51 სომხური სკოლა 10631 მოსწავლით. ბევრი სომხური სკოლაა აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში. სომხური სკოლები მოქმედებს აგრეთვე გორში, თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში და სხვა რაიონებში. ამ რაიონებში ჭარბობს ქართული მოსახლეობა, ამიტომ მოს-

წავლე სომხებმა კარგად იციან ქართული ენა. 1943 წლამდე ამ რაიონებში 8 სომხური სკოლა იქნა განახლებული ქართულ სკოლად, ამ პერიოდისთვის კი დასახელებულ რაიონებში სომხური სკოლები უკვე არ მოქმედებს.

საქართველოს სსრ-ში 1943 წლამდე მოქმედებდა 289 უფროსთა, შვიდწლიანი და საშუალო აზერბაიჯანული სკოლა. ამ სკოლებში იყო 22 470 მოსწავლე. 1944-1943 სასწავლო წელს 50 აზერბაიჯანული სკოლა გადაკეთდა ქართულად. ახალციხის, ასპინძის და ადიგენის რაიონში გადასახლებულებთან კავშირის გამო აზერბაიჯანული სკოლები გაუქმდა.

1945 წელს საქართველოში იყო 150 აზერბაიჯანული სკოლა 19 121 მოსწავლით. ეს სკოლები ძირითადად მდებარეობს ბაშკიჩეთის, ყარაიაზის, ბორჩალოს და ბოლნისის რაიონებში, მაგალითად ბაშკიჩეთის რაიონში არის – 39 სკოლა, ბორჩალოში – 49, ყარაიაზში – 9, ბოლნისში – 35.

განახლებულ სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რადგან ეს სკოლები უზრუნველყოფილია შესაფერისი პედაგოგიური კადრებით, წიგნებით და სასწავლო სახელმძღვა-ნელოებით. სამ სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ სკოლებს. ეს სკოლები უზრუნველყოფილია სასკოლო სათავსოებით, სასკოლო ავეჯით და სხვა აუცილებელი ნივთებით. სომხური სკოლები უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრებით.

სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის შემოაქვთ სომხეთსა და აზერბაიჯანიდან.

1944-1945 სასწავლო წელს სომხეთის სსრ-დან შემოტანილ იქნა 2600 ეგზემპლარი წიგნი 14 დასახელების, 1 წიგნი 18 მოსწავლეზე.

აზერბაიჯანიდან 27000 ეგზემპლარი წიგნი 52 დასახელების 1, 5 წიგნი ყოველ მოსწავლეზე.

ბევრი აზერბაიჯანული სკოლა არ არის უზრუნველყოფილი პედაგოგიური კადრებით, მრავალში მათ შორის ასწავლის საშუალო და უმაღლესი განათლების არ მქონე პედაგოგები.

1943-1944 სასწავლო წლიდან საქართველოში სამხრეთ-ოსეთის ჩათვლით მოქმედებს 350 ოსთა სკოლა 19 500 მოსწავლით.

დადგენილია, რომ ოსების სკოლებში გორის, თელავის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებში სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სკოლებს არ ყავთ სათანადოდ მომზადებული პედაგოგები, ოსური ენის მცოდნენი. ამ სკოლებში ასწავლიან ოსი პედაგოგები საშუალო განათლებით.

ოსეთის სკოლები არ არის უზრუნველყოფილი ოსურ ენაზე არსებული სახელმძღვანელოებით. ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ისტორიის და სხვა მთავარი დისციპლინები ისწავლება სახელმძღვანელოების გარეშე. ოსური სკოლების ბავშვები არ იჩენენ ინტერესს სწავლისადმი, რადგან ოსური სკოლის დასრულების შემდეგ მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაგრძელონ სწავლა вуз-ში.

ამ სკოლების რეორგანიზაცია არის აუცილებელი, რადგან ოსური სოფლები მდებარეობს ქართული მოსახელობის გარემოცვაში, ამიტომ 1944-1945 სასწავლო წელს 80 უფროსი სკოლა–2643 მოსწავლით, 13 შვიდწლიანი სკოლა 1415 მოსწავლით – გო-

რის, ქარელის, ბორჯომის, ხაშურის, ლაგოდეხის და თელავის რაიონებში იქნა რეორგანიზებული ქართულ სკოლებად. სულ განახლებული იქნა 100 ოსური სკოლა და ეს სკოლები მიმართულია 250 კვალიფიციურ პედაგოგზე სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებით. სკოლები უზრუნველყოფილ იქნენ წიგნებით და სასწავლო ნივთებით.

1944-1945 სასწავლო წელს ქართული და რუსული სკოლები განახლდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ქართულ სკოლად გადაკეთდა 23 ოსური საშუალო და შვიდწლიანი სკოლა და რუსულად 22 ოსური საშუალო და შვიდწლიანი სკოლა.

1944-1945 სასწავლო წელს ამ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფას, წიგნებს და სასწავლო ნივთებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაგზავნილ იქნა 240 კვალიფიციური მასწავლებელი.

რეორგანიზებული სკოლისთვის დაადგინეს, რომ სწავლება ამ სკოლებში მიმდინარეობდეს ქართულ და რუსულ ენებზე.

ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც აფხაზური სკოლები. 1945-1946 სასწავლო წელს აფხაზური სკოლებში სწავლება შემოღებულ იქნა ქართულ ენაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუშაობის გაუმჯობესების საქმეს ქართულ სკოლაში კახში, ზაქათალაში და ბელაქნის რაიონს აზერბაიჯანის სსრ-ში. ამ პერიოდში საინგილოში ფუნქციონირებს 15 ქართული უფროსთა შვიდწლიანი და საშუალო სკოლა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საინგილოს თითქმის ყველა მსხვილ სოფელში გახ-

სნილ იქნა სკოლები, სწავლება მიმდინარეობდა აზერბაიჯანულ ენაზე.

1937 წელს ცკკპ აღძრა საკითხი ქართული სკოლების ბავშვების განათლებაზე, მცხოვრებნი ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონებში. ცენტრალურმა კომიტეტმა ნაციონალურ პოლიტიკას დაუკავშირა ქართველი ბავშვების სწავლება აზერბაიჯანულ ენაზე და დაადგინა, რომ სწავლება ქართულ სკოლებში ყოფილიყო ქართულ ენაზე.

სამამულო ომის პერიოდში ამ რაიონების ქართულ სკოლებში სწავლება გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანულ ენაზე და 1943-44 სასწავლო წლის დასაწყისში კახის რაიონის რამდენიმე სკოლაში ქართულ ენაზე.

1944-1945 სასწავლო წელს სპეციალური დადგენილებით სწავლება ბელაქნის, ზაქათალის, კახის რაიონის სკოლებში გადაყვანილ იქნა ქართულ ენაზე. ამ საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს სსრ პარტიულმა ორგანომ. დაადგინეს:

1. კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონის ქართულ სკოლებში დანიშნეს 55 მასწავლებელი. კვარტალში ერთხელ საქართველოდან იგზავნებოდა წამლები და სხვა საჭირო საგნები.

2. ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იყო პროგრამებით, წიგნებით, რვეულებით, კლასგარეშე ლიტერატურით და სხვა. 1944 წლის სექტემბრიდან 1945 წლის თებერვლამდე დასახელებული რაიონების ქართულ სკოლებში გაიგზავნა: 8000 წიგნი, 20000 რვეული, 25000 წიგნი, 2000 მეთოდური ლიტერატურე, 150 საკლასო ჟურნალი, აგრეთვე ბევრი ფანქარი, კალამი, რუკა და სხვა.“[56]

[56] სუიცსა, ფ. 600, აღწ. 1, საქ. №7246, ფურც. 111

გიორგი წერეთელი 1974 წელს გაზეთ „თავისუფლების ტრიბუნაში“ აღნიშნავდა: „ასეთი პოლიტიკით სულ რაღაც ორ-სამ თაობაში დაგვმართებენ იმას, რაც ათასი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს ჩინგის ხანებმა, ლენგ-თემურებმა და შაჰ-აბასებმა; საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვ-რებთა უმრავლესობა ილაპარაკებს რუსულად, იაზროვნებს რუსულად, ექნება რუსული ფსიხიკა და რუსული ჯიგარი. მაშინ, ქართლოსიანთა ნაშიერი უმცირესობაში აღმოჩნდება, მისი მამა-პაპების სისხლით მორწყულ მიწაზე. ცოტა ხანი ქართულმა ენამ იქნებ როგორმე კიდევ იარსებოს, როგორც კუთ-ხურმა კილოკავმა, დაახლოებით ისე როგორც დღეს თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, ბოლოს კი ბუნებრივი კანონით სრულიად მოსწყდება, გადაშენდება, როგორც არა ერთი ენა და ცივილიზაცია გადაშენდა შორეულ წარსულში... ბრმა უნდა იყო, რომ ამ უფსკრულისაკენ მიმავალი გზა არ დაინახო, ძარღვებში ქართული სისხლი გაყინული უნდა გქონდეს, რომ რამე არ იღონო, რათა საქართველო ამ გზას ააცდინო.

ქართველობა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს სახლების აშენებით, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობით, ჩაის და ციტრუსების გაშენებით, დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სკოლების გამრავლებით. რაც მთავარია და აუცილებელი: ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ქართველი ხალხის ნება-სურვილით, ქართველი ხალხით, ქართველი ხალხისთვის – მისი აწმყოსა და მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს ქართველი ხალხის სუვერენობას საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი.“[57]

[57] ჟურნალი, „თავისუფლების ტრიბუნა“, 1976, №4, გვ. 2

დავით ვაჩნაძის შეხედულებით: „ერთი მთავარი მიზეზთაგანი ქართული აზრის მეობის გამძლეობისა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ მის შემოქმედებას არ შჩვევია ბრმა მიბაძვა უცხოელთა მოძღვრებათათვის, ან მის თავზე ძალით მოწვეულ უცხოთა ნააზრევ-ნა-მოქმედარში გათქვეფა. იგი მუდამ თავის მაგარ ფარს, – მშობლიურ ისტორიას, ცხოვრებას და ქართველობას ეკიდებოდა – მით იბრძოდა და ბოლოს ისევ საკუთარი გზა გაჰქონდა. ჩვენს ჟამთა მსვლელობის ვითარებაში ომებით და რევოლუციებით აშლილ კაცობრიობას, ამ სისხლის წვიმების ხანაში, როდესაც წამებულ საქართველოს კვლავ დაემუქრა ყოფნა-არყოფნის მრისხანე ბედი, ყველა ქართველ მამულიშვილთ ევალებათ მაგრად ჩაეჭიდონ თავის ქართველობას, მტკიცედ დაიცვან ქართული აზრის ეს „მეობა“ და მით მოფარებულნი თავგამოდებით იბრძოლონ ყველგან და ყოველთვის ქართველთა მოდგმის მის ძვირფას მემკვიდრეობის, საკუთარ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრების აღდგენა-დამკვიდრებისათვის.“[58]

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარებამ. მართალია, ეროვნულად მოაზროვნე ქართული პოლიტიკური და კულტურული ძალები საბჭოთა რეჟიმის დამყარების დღიდან ახორციელებდნენ სხვადასხვა გეგმებს, თუმცა რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერებული საბჭოთა რუსეთი უკვე აღარ აწყობდა დასავლეთს და ამიტომ აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს აღნიშნულის აღმოსაფხვრელ-

[58] ჟურნალი, „მამული“, 1956, №4, გვ. 4

ად. ამის შეხაებ ზემოთ უკვე ვისაუბრე. დავამატებ იმას, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები ამ ვითარების გამოყენებას შეეცადნენ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა ახალგაზრდობა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდობას ეროვნულად მოაზროვნე ძალები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ მათი ასეთი გააქტიურება დასახული მიზნების განხორციელებისკენ იყო მიმართული. „ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ძირითად ძალას მოსწავლე ახალგაზრდობა-სტუდენტობა წარმოადგენს. ყველაზე მეტად ამ გადაწყვეტილებას გამოხატვა აქვს თბილისში, – მისი ცენტრი კი თბილისის უნივერსიტეტია. სამოციან წლებში არსებული კომუნისტური წეს-წყობილების მიმართ სიძულვილის გამოხატვის ფორმას საქართველოში ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ეკლესიისადმი მისწრაფება წარმოადგენდა. განსაკუთრებით ეს ვლინდება სააღდგომო დღესასწაულების დროს. ამ დღეებში ეკლესიები გავსებული იყო ხალხით. ახალგაზრდობამ დაიწყო პატრიარქის ქადაგებებზე დასწრება.“[59]

II მსოფლიო ომის გამოხატულება იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღმავლობა. ომის და შემდგომ წლებში ეკლესია მაქსიმალურად აქტიურდება, რამაც დადებითი გავლენა იქონია ეროვნულ მოძრაობაზე.

საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდებში, როგორც ცნობილია მართლმადიდებელი ეკლესია გამაერთიანებელ როლს თამაშობდა და საუკუნეების მანძილზე სწორედ ის ახერხებდა ეროვნუ-

[59] გურამ გელოვანი, ეროვნული მოძრაობა საქართველოში (მოკლე მიმოხილვა), ჟურნალი, „გუშაგი“, 1985, №5, გვ. 1

ლი ცნობიერების შენარჩუნებას. ქართულ სინამდვილეში საბჭოთა სისტემის პირობებში ეკლესია შეზღუდული აღმოჩნდა. ამ მხრივ მეტნაკლებად გააქტიურდა II მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდში.

II მსოფლიო ომის შემდეგ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მეტი შესაძლებლობა მიეცა ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამას ემატებოდა აგრეთვე ზემოთ განხილული მოვლენები, რამაც საბოლოო ჯამში საბჭოთა რეჟიმი აიძულა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. 1978 წლიდან საქართველოში გამოსვლას იწყებს საპატრიარქოს ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის იდეებს გამოხატავდა და საზოგადოებას საკუთარი ეკლესიის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. „ქართველი ხალხი ამ ცხოველმყოფელი პურით (იგლისხმება ქრისტიანობა – ნ.ს.) იკვებებოდა პირველი საუკუნიდან, ამ პურის მადლმა მოგვანიჭა ყველა სიკეთე, ამ პურის მადლმა აღაშენა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, მცხეთის ჯვარი, ბოლნისის სიონი, ათონის ივერიის მონასტრის გასაოცარი კომპლექსი, გელათი და სვეტიცხოველი და ბევრი სხვა. ამ პურის ცხოველმყოფელმა მადლმა ჩამოიყვანა საქართველოში ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და წმინდა ნინო, იგივე მადლი ეზიდებოდა ჩვენი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში ქართველ ბერებსა და მონაზვნებს, რათა მათ იქ სხვებისათვის ეთქვათ „სიტყვაი ღვთისაი.“[60] ამიტომ ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“ 1974 წელს ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა: „საჭიროა მთელი ქართველობის მობილიზაცია, ყველა ქართველს კარგად უნდა ესმოდეს, რომ სრულიად საქართველოს

[60] თეოლოგიური წერილები, I, სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, ჟურნალი, „ჯვარი ვაზისა“, 1980, №1, გვ. 37

მართლმადიდებელი ეკლესია, ამჟამად, ერთადერთი ეროვნული დაწესებულებაა, რომელიც ქართველი ერის თვითხელმწიფებას განაპირობებს, სწორედ ამიტომ ჩვენი დამპყრობლების ყურადღება მიპყრობილია მის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ, მთელი ქართველობა უნდა აღსდგეს, როგორც ერთი კაცი მის დასაცავად. არ მისცეს მტერს ნება, არც მისი ფიზიკურად მოსპობის და არც მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის."[61]

1984 წელს ჟურნალი „გუშაგი" აღნიშნავდა: „იურიდიულად ჩვენი ეკლესია, რათქმაუნდა გამოყოფილია საქართველოსაგან, მაგრამ ერისაგან ის გამოყოფილი არაა და არც შეიძლება, რომ იყოს. პირიქით, ის უნდა იყოს ერის საუკეთესო შვილების თავმოსაყრელი, ის წინ უნდა მიუძღოდეს ერს, ასწავლიდეს მას, სულიერად ამდიდრებდეს და ამაღლებდეს.

ერი და ეკლესია არა მარტო მწვავედ განიცდის ერის ტკივილებს, არამედ კიდევაც მკურნალობს მათ. ჩვენი ეკლესია არასოდეს არ ყოფილა მოწყვეტილი ერისაგან, კიდევ მეტი, ერი იბრძოდა ეკლესიისათვის, სარწმუნოებისათვის."[62]

ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" აგრძელებდა მოწოდებებს ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისათვის: „არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ჩვენმა კაცთმოყვარე ერმა მძიმე ტანჯვა გამოიარა... როგორც კუნძულს, მღვრიე ტალღები დიდ მდინარისა, ისე მუდმივად გვადგა ირგვლივ ურიცხვი მტერი... ჩვენი წალეკვა უნდოდა სიბნელისა და ურწმუნოების მძვინვარე ტალღებს. ჩვენი ერი ზღაპრული ძალითა და ენერგი-

---

[61] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, ჟურნალი, „თავისუფლების ტრიბუნა", 1974, №6, გვ. 7

[62] ივერიის ეკლესიის მორალური კრიზისი, ჟურნალი, „გუშაგი", 1984, №4, გვ. 19

ით ებრძოდა მუდამ მტერთა ურდოებს... პირველყოვ-
ლისა ჩვენს ხალხს სწყუროდა არა მხოლოდ თავის
გადარჩენა, არამედ გადარჩენა იმ დიდი მადლისა,
რომელიც ქრისტეს წმინდა კვართს, მოციქულთა ამ
მობრძანებას და ღვთისმშობლის მიერ ქალწულ ნი-
ნოზე ბოძებულ ვაზის ჯვარს შემოჰყვა ჩვენში. ჩვე-
ნმა ეროვნულმა სულმა ქრისტიანობის მიღების შემ-
დეგ ისე შეიყვარა მხოლოდშობილი ძე ღვთისა, რომ
დაუნანებლად ვსწირავდით თავს ჩვენს ქვეყანაში
ქრისტიანობის გადასარჩენად... და ჩვენ შევინარჩუ-
ნეთ ქრისტიანობა საქართველოში, და მისი მადლით
შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა და ეროვნული ჩვენი
სიცოცხლე.

ცნობილია, რომ ყველა ხალხები, რომლებმაც კი
ქრისტიანობა მიიღეს და შეიყვარეს, ისინი დაადგნენ
სულიერი კულტურის აყვავების გზას. ქართველ
ხალხს კი ქრისტიანულმა მადლმა გაცილებით მეტი
მოუტანა, ვიდრე სულიერი კულტურის აყვავებაა,
ქრისტიანობის გარეშე ჩვენ როგორც თვითმყოფი
ერი ვერ ვიქნებოდით, მოვკვდებოდით... მაშასადამე,
ქრისტიანობამ მოგვანიჭა გადარჩენა, შეგვინარჩუნა
ეროვნული სოცოცხლე და თავისუფლება."[63]

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-
ერთი მთავარი იარაღი ეროვნული ცნობიერების შე-
ნარჩუნება და განვითარება იყო. აღნიშნული მიზნის
მისაღწევად კი ერთადერთ გამოსავალს იდეოლოგი-
ური ბრძოლა წარმოადგენდა. ქართული ემიგრაციის
წარმომადგენლები ევროპიდან და ეროვნულად მოაზ-
როვნე ინტელიგენცია საქართველოში მიზანმიმარ-
თულად ცდილობდა ყველა ღონე ეხმარა, რათა ქარ-
თველობა ერთიანი ყოფილიყო ცოდნის საშუალებით.

[63] საშობაო ეპისტოლე, ჟურნალი, „ჯვარი ვაზისა", 1980, №2, გვ. 5

შეიარაღებული გამოსვლის შეუძლებლობის პირობებში, ისე როგორც ხდებოდა XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი გადავიდა ბრძოლის ახალ ფორმებზე, კულტურით, ცოდნით და ერთიანობით მოეპოვებინა საქართველოს თავისუფლება, დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება ჩანს XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში. ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა ნაწილი ქართულ საზოგადოებას მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლისკენ. ო. ზალდასტანიშვილი 1960 წელს ქართველობას მოუწოდებდა: „ჩვენ ყველა მივისწრაფვით ეროვნული თავისუფლებისაკენ, მაგრამ მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველას ერთნაირად გვესმის და ერთნაირად ვცნობთ მის თვისებებს და მოთხოვნილებების საჭიროებას. ზოგი ჩვენგანი თავისუფლებაში ხედავს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ განცხადებას, რომლის აზრით სახელმწიფო წინ უნდა იდგეს, ვიდრე კულტურა... ჩვენ გვინდა ვიყოთ თავისუფალი და თვითონ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი და, უფრო ადამიანური და საფუძვლიანია, ჩვენ გვინდა ვიყოთ პასუხისმგებელი მონაწილე ცხოვრების გიგნატური მსვლელობისა. ჩვენ ამ უფლებას ვთხოულობთ ჩვენი ეროვნული პიროვნების შემოწმების გამო. ჩვენი რასა, ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, ჩვენი რელიგია, ჩვენი სოციალური სტრუქტურა, ყველა ეს განუყრელი ნაწილებია ძლიერი სახელმწიფოსი, რომელიც მემკვიდრეობით ჩაგვბარდა. ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, შევძელით და მრავალი საუკუნეების მანძილზე შემოვინახეთ ჩვენი ეროვნული პიროვნება. მაგრამ დღეს სრულებითაც არ კმარა ვეძიოთ პოლიტიკური თავისუფლების წლები, როდე-

საც ეროვნული თვითარსებობის საფუძვლებია საფ-
რთხეში. ჩვენი ვალია სწორედ მას მივაქციოთ ყუ-
რადღება და ის დავიცვათ.“[64]

1960 წელს „ქართულ აზრში“ დაბეჭდილ სტატი-
აში ო. ზალდასტანიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა
შევიმეცნოთ, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა
გრძელია და ყოველი ნაბიჯით აღვადგინოთ და დავ-
არწმუნოთ მსოფლიო აზრი, რომ საქართველოს არა-
სოდეს არ შეუწყვეტია თავისი ეროვნული ცხოვრება.
მხოლოდ მან დროებით დაკარგა პოლიტიკური თავი-
სუფლება, მაგრამ ის დარჩა ფხიზელი თავის საგუშ-
აგოზე და განაგრძობს შინაგან არსებობას, როგორც
ერი და როდესაც დრო დაუდგება ის კვლავ დაიკა-
ვებს თავის კუთვნილ ადგილს თავისუფალ მსოფლი-
ოში.“[65]

„საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა შე-
ქმნა ყველა ის პირობა და ძლიერი საძირკველი, რო-
მელზეც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა
დაშენდეს. როგორც ყოველ დამოუკიდებელ ერს, სა-
ქართველოსაც აქვს ეროვნულ-პოლიტიკური თავის-
უფლების უფლება, რადგან მისმა მოსახლეობამ და-
ამტკიცა სახელმწიფო მშენებლობის უნარი, შესაძ-
ლებელია უფრო მეტად, ვიდრე სხვებმა გამოამჟღა-
ვნეს, რათა მოიპოვონ ან შეინარჩუნონ თავისუფალი
ცხოვრება. ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც ქართველ
ერს ვერავინ შეეცილება და ამის აღნიშვნა და გამე-
ორება იქამდე უნდა ხდებოდეს, ვიდრე ის სასურველ
შედეგს არ მოიტანს.“[66]

---

[64] დ. შალიკაშვილი, გაზეთი, „ქართული აზრი“, 1960, №38, გვ. 2
[65] იქვე, გვ. 3
[66] სიტყვა წარმოთქმული ა. შ. შ-ში არსებული ქართული
სათვისტომოს მეთაურის, დოკ. ო ზალდასტანიშვილის მიერ
საქართველოს დამოუკიდებლობის 41-ე წლის თავის

გიორგი კერესელიძე ჟურნალ „ბედი ქართლისა-ში“ წერდა: „რამ შეჰქმნა ჩვენ წინაპართა სული?

რით აიხსნება ის საოცარი მოვლენა, რომ მიუხე-დავად უთვალავ ნგრევებისა, აუწერელი წამებისა, ტანჯვისა და ჟლეტისა, ველურთა თუ შედარებით კულტურულთან ხალხებისა ან და დიდი იმპერიების ხშირად ხანგრძლივი ბატონობისა, საქართველო სიკ-ვდილს გადაურჩა, ყოველი განსაცდელისაგან გამარ-ჯვებული გამოვიდა და უდიდესი საუნჯე თვისი, რჯული ქრისტესი, საუკუნეთა განმავლობაში შეურ-ყევლად დაიცვა?

პასუხი ერთადერთია: ქართველთა ძლიერი, უტე-ხი სულით და ეს სული იესომ აღზარდა და გააფო-ლადა... ერს თუ იდეალი არა აქვს, თუ სულიერად ძლიერი არ არის, მარტო მატერიალური სიმდიდრე და ფიზიკური ძლიერება მას ხანგრძლივ ვერ ასულ-დგმულებს. და რაოდენ უფრო მაღალია ეს იდეალი, იმდენად უფრო ძლიერია სული იმისა, ვინც მას დაე-წაფა. თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქართველ-თა თაობები სრულის შეგნებით, თავისუფალი ნების-ყოფით, იესოს რჯულს მსხვერპლად ეწირებოდნენ. რისთვის? რა მისცა ქრისტემ ქართველ ერს?

უზენაესი მორალი, ეროვნული სახე და ძლიერ-ება სულისა ეროვნული თავისუფლებისათვის საბრ-ძოლველად.“[67]

XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა საქა-რთველოს ეროვნული საბჭო, რომელიც იყო საქართ-ველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანო საზღვარგარეთ. „საქართველოს ეროვნული საბჭო

აღსანიშნავად საზეიმო კრებაზე, გაზეთი, „ქართული აზრი“, 1959, №33, გვ. 2

[67] გიორგი კერესელიძე, იესო ქრისტე და ქართველი ერი, წერილი მეორე, ჟურნალი, „ბედი ქართლისა“, 1949, №4, გვ. 12

მიზნად ისახავდა ემუშავა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის“. კერძოდ:

ა) გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მომქმედ ქართულ ძალებს და ორგანიზაციებს.

ბ) გასწიოს სათანადო პროპაგანდა უცხოეთის საზოგადოებრივ წრეებში.

გ) გააცნოს საქართველოს საკითხი და მისი ახლანდელი მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნის პასუხისმგებელ პირებს და ორგანიზაციებს, რათა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირონ, როცა მათ წინაშე ეს საკითხი დადგება.

დ) გამოსცეს ბეჭდვითი ორგანო, წიგნები და საინფორმაციო ფურცლები ქართულ და უცხო ენებზე.

ე). საქმიანი დამოკიდებულება, თუ კავშირი დაიჭიროს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგენლებთან, რომელნიც:

1. უდავოდ სცნობენ ქართველი ერის სუვერენულ უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი;

2. აღიარებენ საერთოდ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ურეზერვოდ.

3. იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

4. იძიებს ნივთიერ საშუალებას თავის დანიშნულების განსახორციელებლად.“[68]

ქართველ-ამერიკელთა ლიგამ 1951 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს გადასცა მემორანდუმი, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ ვთხოვთ გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციებს ახსოვდეს მას, ქართველი ხალხის უფლება, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის წარსულ-

[68] ჟურნალი, „მამული“, 1951, №4, გვ. 6

ში და დღესაც ეწინააღმდეგება დაჩაგვრას.“ [69] ამას გარდა, იდეოლოგიურ ბრძოლასთან ერთად ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეთქმულებებს. „1942 წელს განხორციელდა შეთქმულება. ამავე ხანებში მოძრაობა გაიშალა თუშეთში, რაც სამანელთა სახელს, მათ პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება. პოლიტიკური ჯგუფი „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“ შექმნა ლევან გოთუამ.

არსებობდა საიდუმლო ორგანიზაცია „სახთამეკა“ (საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა კავშირი). პოლიტიკური ჯგუფის შედგენა უკავშირდება მუსტაფა შელიას სახელსაც.“[70] XX საუკუნის 40-იან წლებში „მთელს თუშეთში გაიშალა წინააღმდეგობის მოძრაობა, რაც „სამანის“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები) სახელით არის ცნობილი. ისევე, როგორც 1942 წლის შეთქმულებსა თუ საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტს, სამანელებსაც – და უპირველესად მათ მთავარ ბირთვს – გადაწყვეტილი ჰქონდათ: თუ კავკასიონის კალთებს მომდგარი გერმანელები შემოიჭრებოდნენ, დახვედროდნენ არა როგორც იმპერიის განაპირა მხარეს, რუსეთის პროვინციის მკვიდრნი, არამედ როგორც სრულუფლებიანი სახელმწიფოს წარმომადგენელნი და მოლაპარაკება გაემართათ – იქნებ ქვეყანა როგორმე ეხსნათ ახალი რბევისაგან, თუ არადა პირველნი თვითონ დაცემულიყვნენ მიწაზე.“[71]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შემდეგი

---

[69] იქვე, გვ. 8

[70] რ. ჩხეიძე, დაწყევლილი თაობა (1942 წლის შეთქულება), თბილისი, ნაკადული, 1997, გვ. 4

[71] იქვე, გვ. 21

მიმართულებით ვითარდებოდა. 1. ბრძოლა შინაგანი ძალების აღორძინებით: ეს გამოიხატებოდა, როგორც ეროვნული ცნობიერების აღმავლობით და განვითარებით, აგრეთვე საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით. 2. თითოეულ სოციალურ ფენას თუ ჯგუფს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა საკუთარი ბრძოლის მიმართულება და აზრი. მაგალითი უნდა აეღო სხვა ერების ბრძოლის ისტორიიდან, მაგრამ მთავარი და ძირითადი მოქმედება ქართველი ერის წარსულის გამოცდილებასა და ინდივიდუალური ბრძოლის მეთოდებზე ყოფილიყო დამოკიდებული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც უკვე აღვნიშნე უცხო არასდროს ყოფილა საქართველოსთვის. თუმცა საუკუნეების მანძილზე საშინაო თუ საგარეო გამოწვევებიდან გამომდინარე ბრძოლის მეთოდები იცვლებოდა, თუმცა იდეა უცვლელი რჩებოდა – თავისუფლების მოპოვება.

საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც ქართველი ერის ბრძოლა კვლავ გრძელდება, თუმცა ფორმები იცვლება. თუ XX საუკუნის 20-იან წლების საქართველოსთვის შეიარაღებული გამოსვლები დამახასიათებელია, XX საუკუნის II ნახევრიდან იდეოლოგიური ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი ხდება, იდეა კი უცვლელი – დამოუკიდებლობის აღდგენა. „თუ აჯანყება წარსულში ერთი დიდი იარაღთაგანი იყო განთავისუფლებისა, გამართლებული და აუცილებელი, მიმდინარე ეპოქის გზაზე, მრავალ პოლიტიკურ მოვლენათა და ფაქტორთა ზეგავლენით და ერის ფიზიკური სხეულის შენარჩუნების უზრუნველყოფა უკარნახებს მის უკიდურეს საშუალებისაგან თავის შეკავებას, რომლის გამოყენებას შეუძლია კბილებამდე შეიარაღებული მპყრობელის რისხვამ საფრთხეში ჩააგდოს მისი მიდგმის არსებობაც კი... მაგრამ ეს სრულებით

არ ნიშნავს, ეროვნულად დამონებული ერი, ამა თუ იმ მისაღებ ფორმებში არ გამოხატავდეს თავის ღრმა სურვილის ცხოველმყოფელობას. ერი, რომელიც არ მოქმედებს, არ მოითხოვს, ამა თუ იმ სახით არ ააშკარავებს მისწრაფებას თავისუფლებისათვის, მას არავინ ანგარიშს არ გაუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მის მოთხოვნილებას, ბრძოლას დაძაბული ყურადღებით თვალყურს ადევნებს მტერი და მოყვარე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზები მრავალგვარია. უდავოა, უმთავრეს წარმოადგენს საკუთარი ეროვნული ძალები და ერის შინაური სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომელიც დროთა ცვალებადობაში ვითარდებიან, იცვლებიან.“[72]

ქართველი ერისთვის ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მეტად რთული გადასალახი იყო, რადგან საზოგადოება სხვადასხვა გამოწვევების წინაშე იდგა. ერთი მხრით, საბჭოთა ხელისუფლებას და მეორე მხრივ, ეროვნულად მოაზროვნე ძალების იდეოლოგია, რომლებიც საკუთარი იდეების დანერგვას ცდილობენ საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერებაში. საბედნიეროდ, საქართველოში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა და ეროვნული იდეოლოგია განმსაზღვრელი გახდა ქართველი ერის აზროვნებაში. აღნიშნულის გამოხატულებაა, 1978 წლის და 1989 წლის მოვლენები.

„70-80-იანი წლების მიჯნაზე ეროვნული მოძრაობის ავანგარდში მოწინავე ინტელიგენციის მიერ დამოძღვრილი სტუდენტ ახალგაზრდობა იდგა, რომელსაც უნივერსიტეტის პრესკლუბი წარმოადგენდა. ძი-

[72] „ჩვ, დრ“, ჟურნალი, „ჩვენი დროშა“, 1975, №84, გვ. 2-3

რითადი ყურადღება გადატანილი იყო ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვასა და აღდგენაზე.

ახალგაზრდობა შეუპოვრად იბრძოდა გარეჯის დიდებული სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად, რომელსაც საოკუპაციო ჯარების პოლიგონი დანგრევის საშიშროებას უქმნიდა.

ტოტალიტარული საბჭოური სისტემის ლიბერალიზაციამ ეროვნულ მოძრაობას გააქტიურების საშუალება მისცა. საქართველოში ამ ეტაპზე ეროვნული მოძრაობის მასობრიობა დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნული დამოუკიდებლობის, ეროვნულ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მოღვაწეობასთან."[73]

1990 წელს საქართველოს ეროვნული კონგრესი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე საჭიროა შემდეგი უმთავრესი ნაბიჯების გადადგმა. 1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სრული და უპირობო გაყვანა. 2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი. 3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა.[74]

---

[73] ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2004, გვ. 227

[74] ჟურნალი, „გუშაგი", 1990, №23, გვ. 68

მეორე თავი

ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე XX საუკუნის 20-30-იან წლებში

ყველა ეპოქას თავისი იდეოლოგია გააჩნია და ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე ხშირად იცვლება იდეები და სისტემები. XX საუკუნის იდეოლოგიებს შორის საბჭოთა რეჟიმის მთავარი ამოსავალი იდეა კომუნიზმი ერთ-ერთ მძლავრ და დამკვიდრებულ ფორმას წარმოადგენდა, რომლის ძირითადი მიზანი ახალი სისტემის დაქვემდებარებაში სხვადასხვა სახელმწიფოების გაწევრიანება იყო. მართალია, ეს ყოველივე მარტივად მისაღწევ საშუალებას არ წარმოადგენდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ ეს ყველაფერი რეალობად ექციათ.

რუსეთი, რომელიც XIX საუკუნეში „ევროპის ჟანდარმად“ იხსენიებოდა და რომელიც თურქეთის და ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ომში გამარჯვებული გამოვიდა, მალე გაუჩნდა ამბიცია ევროპაშიც საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა. XIX საუკუნის II ნახევარში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში გავრცელებას იწყებს სოციალიზმის იდეოლოგია. აღნიშნული იდეოლოგიის წარმომადგენლებად გვევლინებიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მოღვაწეობდნენ როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც. სწორედ ამ გაერთიანების, შემდეგში უკვე პარტიის წიაღში ჩამოყალიბდნენ მენშევიკები და ბოლშევიკები. ეს უკანასკნელნი კი საბჭოთა ხელისუფლების ჩამომყალიბლები და ფუძემდებლები გახდნენ.

1. რა ფაქტორებმა განაპირობა სოციალიზმის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბება და აღმავლობა?

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საზოგადოება ახალ გარემოში აღმოჩნდა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სისტემა აღარ არსებობდა, აუცილებლობას წარმოადგენდა ახალი იდეოლოგიის შემუშავება, რომელიც საზოგადოების ფორმირებას და ჰომოგენიზაციას შეუწყობდა ხელს. ფეოდალიზმის და ბატონყმობის ალტერნატივად ყალიბდება ევროპაში კაპიტალიზმი, რუსეთში – კი სოციალიზმი. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო იმყოფებოდა ამ პერიოდში რუსეთის დაქვემდებარებაში ჩვენთან დამკვიდრებას იწყებს სოციალიზმის იდეოლოგია, რომლის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ სოციალ-დემოკრატები. როგორც უკვე აღვნიშნე, სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა ხელი შეუწყეს საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას და გაძლიერებას.

2. რა გარემოებებმა იქონია გავლენა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე?

1. ა) როგორც უკვე აღვნიშნე და როგორც ცნობილია ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა რუსეთის დროს ხელისუფალთა მთავარ ამოსავალ მიზანს წარმოადგენდა კავკასიის და მათ შორის კონკრეტულად საქართველოს სრული დამორჩილება. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მეფის რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას საქართველოში და ამისთვის არ ერიდებოდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. 117 წლის მანძილზე რუსეთმა მოახერხა და საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია ქართული სახელმწიფო, რომელიც დაიმორჩილა არა მხოლოდ პოლიტი-

კური, არამედ რელიგიური, კულტურული კუთხითაც. ავტოკეფალიაგაუქმებული ქართული სამღვდელოება ხელფეხშეკრული აღმოჩნდა და მიუხედავად წინააღმდეგობისა, რუსეთის ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუს ეგზარქოსებს ჩააბარა. ერთი სიტყვით, რუსეთის ხელისუფლებამ ყველა ღონეს მიმართა, რათა ქართული საზოგადოება ეროვნული ცნობიერების შესუსტებით და სახელმწიფოებრიობის გაუქმებით საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია.

ვერც საქართველოს სამწლიანმა დამოუკიდებლობამ გამოიღო შედეგი და მცდელობისდა მიუხედავად 1921 წლიდან უკვე საბჭოთა რუსეთის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის 117 წლის მმართველობიდან გამომდინარე საფუძველი უკვე შექმნილი იყო და საქართველო კვლავ ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

ბ) აქვე შეიძლება გაჩნდეს კითხვა, როგორია საერთაშორისო ვითარება და რას აკეთებენ დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად. პირველ რიგში შეიძლება ითქვას, რომ ისტორია მეორდება და როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე საქართველო მარტო აღმოჩნდა ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთის პირისპირ. საერთაშორისო საზოგადოების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრად. შესაძლოა, ერთა ლიგაში მიღებას რაიმე ქმედითი ნაბიჯები არც მოჰყოლოდა საქართველოსთან მიმართებაში, თუმცა ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოების უმრავლესობა გულგრილობას იჩენდა ჩვენი ქვეყნის მიმართ ამ მაგალითიდანაც ნათლად გამოჩნდა.

აქედან გამომდინარე, რუსეთს გზა ხსნილი ჰქონდა და ისიც შეჩერებას არ აპირებდა. „ევროპის ჟანდარმი“ უკვე კავკასიაში ახალი იდეოლოგიით, ახალი ძალებით პოზიციების განმტკიცებას იწყებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი ემიგრანტების ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის გრძელდება ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც.

როგორც ვხედავთ, დასავლური სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არაერთგვაროვანია. ბუნებრივია, ილუზია იქნებოდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს ევროპის მხრიდან აბსოლუტურ დახმარებაზე ეფიქრა, თუმცა მოლოდინი თავიდან მაინც მეტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სახელმწიფოს ამოსავალი პრინციპი საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვაა, თუმცა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს ცდა არ დაუკლიათ მათი მხრიდან ყურადღების მისაპყრობად და დახმარების მოსაპოვებლად. ბუნებრივია, ქართული პოლიტიკური ელიტის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო, თუმცა ნელ-ნელა ისიც კარგად გააცნობიერეს რა დახმარების აღმოჩენის სურვილი თუ შესაძლებლობა გააჩნდა ევროპას. ბუნებრივია, არ იქნებოდა სწორი დასავლეთის მიმართ ზედმეტად გადაჭარბებული მოლოდინი ჰქონოდა ქართულ ემიგრაციას, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა მეტისმეტად დაძაბული იყო და თითოეული სახელმწიფო საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების ფარგლებში ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა.

საქართველოსთან მიმართებაში რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ის ფაქტიც აბრკოლებდა, რომ დასავლური საზოგადოება ნაკლებად იყო ინფორმირებული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შეს-

ახებ, რასაც განაპირობებდა, როგორც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის შესაძლებლობის ნაკლებობა საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანა საქართველოს სახელი, აგრეთვე ამას ემატებოდა საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული აქტიურობა მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველო მის შემადგენელ ნაწილად წარმოედგინა და დაერწმუნებინა ყველა საკუთარი მოქმედებების ლეგიტიმურობაში. ამას ნათლად ადასტურებს საელჩოს მდივნის სოსი-პეტრე ასათიანის წერილი გაგზავნილი პარიზიდან გენუაში აკაკი ჩხენკელისადმი 1922 წლის 27 აპრილს: „გრენარს ველაპარაკე გუშინ ტელეფონით საგარეო სამინისტროში (თქვენ იცით, რომ ის განაგებს რუსეთის შესახებ ინფორმაციის საქმეს და თუ გახსოვთ პერრეტი მუდამ იმასთან გვაგზავნიდა) რომ გამეგო თუ რამე ცნობები ჰქონდა ამ უკანასკნელი ამბების შესახებ ჩვენში – გამოირკვა, რომ მათ არავითარი, არც ოფიციალური და არც კერძო, გარდა იმისა, რასაც გაზეთში არ კითხულობენ, არ ქონიათ. დანარჩენ საკითხებზე მათთან ლაპარაკი, განსაკუთრებით ეხლა, სრულიად მეტია, მათ არაფერი არ ახსოვთ გარდა გერმანიისა და რეპარაციისა – საერთოდ ყველა თავის ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს და ჩვენი ტრაგედია მათთვის უბრალო სიმპატიის გამომწვევი საგანია და მეტი არაფერი. ჩვენი გადარჩენა ისევ შიგნიდან და რაიმე შემთხვევითი საერთაშორისო კომბინაციიდან თუ შეიძლება – დანარჩენი ყველაფერი ფუჭია – ჯერჯერობით ჩვენთვის ხელსაყრელია კონფერენციის არევდარევა – თორემ თუ შერიგდნენ მაშინ ჩვენი საქმე ცუდად იქნება, რადგანაც პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ექილიბრმა სიმპატიები არ იცის და ღმერთმა იცის ამ ექილიბრის აღსადგენად სად მიგვაკრავენ და ვის გადააყლაპვიე-

ბენ ჩვენს თავს. ამ ექილიბრის წყალობით იყო, რომ ჩვენზე ხუთმეტჯერ მეტი პოლონეთი სამჯერ გაიყ-ვეს...“[75]

სოსი-პეტრე ასათიანი ამავე წლის 2 მაისს უგზავნის წერილს აკაკი ჩხენკელს, სადაც იგი აღნიშ-ნავს: „პირველ მაისს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად ვინახულეთ ბ. პერრეტი-დე-ლა-როკა – ჩვენი ამბების შესახებ, როგორც წინად გწერდით მათ არა-ვითარი ცნობები არ აქვთ, არც კერძო და არც ოფი-ციალური – ჩვენ გავაცანით უკანასკნელი ტელეგრა-მის შინაარსი და განუმარტეთ, რომ მოთმინებიდან გამოსული ხალხი მოუწოდებლად ადგა და იარაღით ებრძვის დამპრყობლებს, რამოდენიმე პროვინციები უკვე თავისუფალია.

... ჩვენს შეკითხვაზე – შეიძლება თუ არა ჩვენს ხალხს რაიმე დახმარება ექნეს თქო – მან ვერაფერი ვერ გვითხრა გარდა იმისა, რომ ჩვენი სიმპატია დი-დი აქვთ და სრული ინსტრუქციები და მემუარი, რო-გორც ის შეგპირდათ თქვენ, გაუგზავნია დელეგაცი-ისათვის. ...გარეშე საქმეთა მინისტრმა საკმაოდ გან-უმარტა თუ რამდენად განსაცდელშია დღეს ჩვენი საკითხი და რომ თანახმად კანის რეზოლუციისა მო-მენტიც არის ჩვენს საკითხსაც შეეხონო, მან აღგვი-თქვა, რომ ყველა ნალაპარაკევს გადასცემდა მთავრ-ობის თავმჯდომარეს.“[76]

შედარებით დამაიმედებელი იყო ევგენი გეგეჭკო-რის შეხვედრა საფრან-გეთის პრეზიდენტთან პუანკა-რესთან. ეს ფაქტი კარგად არის აღწერილი ევგენი გეგეჭკორის წერილში აკაკი ჩხენკელისადმი, რომე-ლიც გაგზავნილია 1922 წლის 11 მაისს: „პუანკარემ გულდასმით მომისმინა და თვითონაც ბევრი გველა-

[75] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №62, ფურც. 4-5
[76] იქვე, ფურც. 6-7

პარაკა. სულ აუდიენციამ 35 წუთი გასტანა. ზედმეტ-ად მიმაჩნია იმის გადმოცემა დაწვრილებით თუ მე რა უთხარი მას, რადგანაც შენ თვით იცი, თუ რას ვეტყოდით. საინტერესოა მისი ნათქვამი. თავდაპირველ-ლად მან გვამცნო, რომ გენუიდან 8 მარტს დეპეშით მიიღო ცნობა, თითქოს ინგლისის დელეგაციას მიუ-ცია წინადადება ფრანგებისათვის დაეშვათ კონფერ-ენციაზე საქართველოს საბჭოთა დელეგაცია; რომ მან პუანკარემ, კატეგორიული უარი შეუთვალა ამა-ზე და ამ პოზიციაზე აპირებს იგი დარჩენას. Pact non aggression –ში ჩვენი შეტანის შესახებ იგი ჩვენს აზრს არ იზიარებს: მას გონია, რომ ეს ჩვენთვის მა-ვნებელი და სარისკოა, – ვინაიდან თუ ერთხელ და-ვშორდით ამა თუ იმ სახით კანის გადაწყვეტილებას, შემდეგ ობიექტურად ძნელი იქნება შეჩერება და თუ შეიძლება შევტოპოთ ისეთ მორევში, საიდანაც ამოძ-რომა შეუძლებელი გახდებაო. ჩვენ განმარტებაზე, რომ ან რუსეთის საზღვრების აღნიშვნის დროს, ან სხვა მომენტში, შეუძლებელი იქნება სრულიად არ შეეხონ ამიერკავკასიას, საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს, ანუ რუსეთის საზღვრების არ აღნი-შვნა და ისე კი მისი მოხსენიება, სწორედ ეს არის საშიშარი და მიუღებელი ჩვენთვის. ... მე ისე გა-ნუმარტე როგორც დამახასიათებელი მომენტი, რომ თვით ბოლშევიკები ვერ გრძნობენ თავიანთ თავს უზრუნველყოფილად ჩვენში, თუ ენერგიულად მოუ-ჭირეთ ხელი, შესაძლოა საქართველოდან ჯარები გააყვანიო-თქვა. მითხრა, დელეგაციას შეუთვლი მო-სინჯონ ამ მხრივ ნიადაგი, გამოარკვიონ რამდენად სერიოზულია ეს გარემოებაო. კარგად მოეწყო, რომ ეს ცნობა მისი ნახვის დღეს მოგვივიდა. ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა ეს მისთვის არ გვეცნობები-ნა. თქვენც კარგი გადაწყვეტილება მიგიღიათ ფრა-

ნგებს ეს არ დაუმალოთ. შესაძლოა პუანკარემ დაპირება არ შეასრულოს, აქედან არ აცნობოს ეს დელეგაციას, ამიტომ თქვენ იქ უნდა უთხრათ მაგათ. ჩემი მისი ნახვის მთავარი საგანი იყო, გამომერკვია, თუ დადგა ისეთი მომენტი, როცა საფრანგეთი აშკარად ხედავს საით არის ახლა რუსეთი, თუ ის, საფრანგეთი, ახდენს თავისი ძალების მობილიზაციას.

ამიტომაც მე სწორად იმით დავიწყე, რომ გადავეცი მოკლე ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ ხნის განმავლობაში. ერთი კია, რომ მან გულდასმით გასინჯა სქემა ჩვენი ფარული სამხედრო ორგანიზაციებისა, შემეკითხა დეტალებზე, ეტყობოდა ამით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ოსმალეთის ხელისშემშლელ მოღვაწეობაზე, თითქმის დაპირებაც მოგვცა, რომ ის ამას მხედველობაში მიიღებს, როცა საშუალება ექნება ამაზე იქონიებს მოლაპარაკებას. ისე კი მთავარ საკითხზე გადაჭრილი პასუხი არ მოუცია, ეს არც იყო მოსალოდნელი. ჩვენი საერთო მდგომარეობა ეხლა ასეთია. ჩვენ ომი არ გვინდა. ვხედავთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ემზადებიან. თუ ბეკებმა (ბოლშევიკები – ნ.ს.) აიღეს აშკარა აგრესიული ხაზი, ჩვენ, რასაკვირველია, მხარს დავუჭერთ იმათ, ვიზედაც ისინი იერიშს მიიტანენო. ამ შემთხვევისათვის, რასაკვირველია, საქართველო ანგარიშში გვყავს და მისმა მთავრობამ მუშაობა უნდა განაგრძოს. აშკარაა იარაღით, თუ სხვა რითაც საჭირო იქნება დახმარებას მიიღებსო. აქნობამდის იქონიეთ ჩემდამი ნდობა, რომ არ დაუშვებ არავითარ კომპრომეტაციას თქვენი საერთაშორისო უფლებისაო.“[77]

[77]სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №63, ფურც. 3

1921 წლის 17 აპრილს ანდრია გუგუშვილი ლონ-დონიდან უგზავნის შემდეგი ხასიათის ინფორმაციას აკაკი ჩხენკელს: „აქაური მთავრობა რამდენადაც მე ვამჩნევ, ჩვენს საკითხს დიდის თანაგრძნობით უყ-ურებს, ჩვენი დამოკიდებულება საქართველოსთან და მის ახლა საზღვარგარეთ მყოფ მთავრობასთან, რო-გორც უწინაც, ისე ახლაც მეგობრულიაო. ძალიან ახლო მომავალში ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებლად მიაჩნიათ. ჯერჯერობით აჯანყების იმ-ედი, როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში არ აქვთ. ბოლშევიკები ამ ჟამად ძლიერნი არიან და აჯანყებას მალე ჩააქრობენო. ამათ გონიათ რომ ბო-ლშევიკები რუსეთში კიდევ კარგა ხანს გაძლებენ, მაგათი გადავარდნის იმედი, თუ კი თვით რუსეთში საერთო აჯანყება არ მოხდა არ აქვთ. შესაძლებე-ლია კავკასიის მეზობელთა შორის ასეთი განწყობი-ლება დაარსდეს, რომ საქართველომ შეძლოს მით ისარგებლოსო. ამაში ესენი გულისხმობენ ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულებას. ამის შესახებ მოლაპა-რაკება რამდენჯერმე მქონდა ლორდ კერზონისა და ლოიდ ჯორჯის მდივნებთან. გარეშე საქმეთა სამინი-სტროსთან მე ეხლა უკეთეს დამოკიდებულებაში ვარ, უფრო მეტი პირები გავიცანი და ყველა კარგად მეპყრობა, ცნობებს, როცა აქვთ სიამოვნებით მაძ-ლევენ. თვითონ მატყობინებენ ცნობებს. ყველა მეკი-თხება თუ რა გეგმები აქვს ჩვენს მთავრობას და რა იმედები დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამათ არ აინტერესებთ ჩვენი საზრვარგარეთ პროპაგანდის გეგმები. ამათ აინტერესებთ ადგილობრივ საქართვე-ლოში მუშაობის გეგმები. დატოვეთ თუ არა იქ რა-

იმე ორგანიზაციაო. როგორია თქვენი პარტიის პოზიცია ახლაო.“[78]

1921 წლის 22 ივლისს ნოე ჟორდანია უგზავნის წერილს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „მთავრობამ დაადგინა საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი მთავრობის ხარჯზე არ უნდა აღემატებოდეს 100-125 კაცს და ეს ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საქართველოში დახვრეტა მოელის. მრავალი დარჩა, მაგრამ მრავალი წამოვიდა სტამბოლში, ასე რომ აქ თავი მოიყარა 800-მდე კაცმა, დიდი უმრავლესობა ისეთი, რომელსაც არასოდეს საქმე არ ქონია არც პოლიტიკასთან, არც ომთან, შემდეგ შეუდექით ამათ ისევ უკან დაბრუნებას, ჩვენ აქ არ გვესაჭიროება უსაქმო ქართველი.

ახლა იკითხავთ უეჭველია, რას ვაკეთებთ ჩვენ აქ. ჩვენ აქ დაგვხვდა მოსკოვის მთავრობის მიერ გავრცელებული ამბავი საქართველოში რუსის ჯარი არ არის, არავითარი ომი არ ყოფილა, აჯანყებულმა ხალხმა განდევნა მენშევიკური მთავრობა და აირჩია ბოლშევიკებისო. ამას ისე უტიფრად და დაჟინებით სწერდნენ, რომ ბევრს სჯეროდა. აქ მყოფი ჩვენი ამხანაგები ამ გასაშტერებელ ჭორს ებრძოდნენ, რასაკვირველია უნდა გითხრათ, რომ ასეთ უტიფრობას და სილაჩრეს ბოლშევიკებისგან არ მოველოდი. აქაურ კომუნისტურ პრესაში ჯერ სწერდნენ წითელი ჯარი მიუახლოვდა თბილისს, აიღო თფილისი და სხვა. მაგრამ როცა ეს იმპერიალისტური თავდასხმა არ მოეწონათ, უცებ შეაბრუნეს ფეხი და სულ წინააღმდეგი ამტკიცეს. გაიმართა პოლემიკა თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალისტურ და ბოლშევიკურ

[78] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №407, ფურც. 14

გაზეთებს შორის ჩვენი საკითხის გარშემო – ე. ი. მართალია რუსის ჯარები მოქმედობს საქართველოში თუ ქართველი ხალხის აჯანყებაა? მოსკოვის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რეკონსტრუქტორების კონფერენციაზე ვენაში სავსებით უარყო თავდასხმა საქართველოზე, რის შედეგი იყო ამ კითხვის კომისიაში გადაცემა სიმართლის გამოსაძიებლად.

ჩვენ ჩამოსვლისთანავე მივიღეთ ზომები სიმართლის დასადგენად და მოსკოვის მთავრობის სიცრუის გამოსააშკარავებლად. უნდა ვთქვა, რომ ამ მიზანს ჩვენ დიდებულად მივაღწიეთ."[79]

1926 წელს ნოე ჟორდანია აღნიშნავდა სამომავლო მიზნებთან დაკავშირებით: „არის მიზანი სადღეისო, სახვალიო, სამერმისო: ასევეა ტაქტიკაც. მხოლოდ ამ სხვადასხვაობაში უნდა იყოს დაცული ერთობა, ნათესაობა და თანხმობა. ეს ერთი ჯაჭვია, რომლის თითოეული რგოლი ნიშნავს განსაკუთრებით მომენტს მოვლენათა სერიისა, რასაც რიგრიგობით ანხორციელებ. ისინი ერთმანეთს გზას უკაფავენ და ეხმარებიან.

რა არის ჩვენი მიზანი?

სადღეისო – საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა და დემოკრატიული წყობილების დამყარება.

სახვალიო – კლასთა განსხვავების მოსპობა და სოციალიზმის დამკვიდრება."[80]

ემიგრაციაში წასვლის შემდეგ კარლო ჩხეიძე მიმართავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად პარტიათა გაერთიანების თაობაზე: „საზღვარგარეთ დიდი ხანია

[79] სცსა, ფ. 2113, აღწ. 1, საქ. №31, ფურც. 41
[80] სცსა, ფ. 2113, აღწ. 1, საქ. №133, ფურც. 23

შედგა ის აზრი, რომ ქართველი ხალხი და მისი წარმომადგენელნი და ხელმძღვანელნი გარეთიანებული და შეთანხმებული არიან საქართველოს განთავისუფლების საკითხში, ჩვენი ურთიერთობა და მუშაობა უნდა იყოს ამ ერთიანობის გამომხატველი, მთლიანი ფრონტის მომასწავებელი და ყოველი წუთას მისი დამადასტურებელი. აქ ყოველი ნაბიჯი, რომელიც ოდნავ ზიანს მოუტანს ჩვენი ერთობის, მთლიანობის შესახებ შედგენილ აზრს, უნდა მოიკვეთოს, როგორც უაღრესად მავნებელი საქართველოს განთავისუფლების საკითხისა და საქართველოსთვის."[81]

ემიგრაციაში წასვლის პერიოდიდან მოყოლებული ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობდნენ დასავლეთის დაინტერესებას საქართველოთი, მის გაცნობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, მისი საჭიროების გამოკვეთას და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევას. აღნიშნულის საჭიროება მეტად დიდი იყო, რადგან დასავლური სახელმწიფოების წარმოდგენა საქართველოსთან მიმართებაში პირველ რიგში საბჭოთა რუსეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარეობდა, ეს უკანასკნელი კი ბუნებრივია ყველა ღონეს ხმარობდა საკუთარი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად.

ქართველი ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის მიმოწერიდან ნათლად ირკვევა მათი აქტიურობა საქართველოს როგორც სახელმწიფოს გასაცნობად საერთაშორისო ასპარეზზე, რის საჭიროებაც ნამდვილად აუცილებელი იყო, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე საბჭოთა რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი უფლებების სამართლიანობის დამტკი-

[81] სცსა, ფ. 2115, აღწ. 1, საქ. №47, ფურც. 1

ცებას და ხშირ შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის მიწოდებასაც კი არ ერიდებოდა დასავლური სახელმწიფოებისადმი. ეს პირველ რიგში უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინა მის მიერ განხორციელებული ქმედებების საჭიროებაში კავკასიასთან და კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში.

რა მეთოდებს მიმართავდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია აღნიშნული მდგომარეობის შესაცვლელად?

როგორც საარქივო მასალები, ემიგრანტული პრესა მოწმობს ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ საკუთარი უფლებების ლეგიტიმაციას, საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, დასავლელი პოლიტიკოსების და არა მარტო, დარწმუნებას საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში. ეს პროცესი განსაკუთრებული გამომხატველობით გამოირჩეოდა XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციებზე, თუმცა აღნიშნული ქმედება არც შემდგომი წლების განმავლობაში შენელებულა.

მართალია, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება პოლიტიკურ მსოფლმხედველობას შორის, თუმცა მიზანი ერთი იყო: დასავლური საზოგადოების დარწმუნება საერთაშორისო მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. აღნიშნული ქმედების საჭიროებას ადასტურებს გიორგი მაჩაბლის მიერ გაგზავნილი წერილი პარიზში 1922 წლის 3 იანვარს: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ჩვენი მთავრობის და ეხლანდელ გაბატონებულთ შორის არის დიდი განსხვავება და ნამეტნავად ძირითად საკითხ-

ში ჩვენი მთავრობა, გარდა იმისა, რომ იგი არის მრჩეველი მთელი ერის მიერ და ამიტომ გამომხატველი მათი სურვილისა, იგი არის მებრძოლი სრული დამოუკიდებლობისა ამ ქვეყნისა იმ დროს, როდესაც ეხლანდელი ვაჟ-ბატონები არიან უბრალო აგენტები მოსკოვისა, დათარეშობენ მხოლოდ რუსის ჯარის დახმარებით და რუსეთთან შეერთების მომხრე არიან. ნათლად უნდა დაინახონ ევროპის სახელმწიფოებმა, ნამეტნავად ინგლისმა ეს განსხვავება. თორემ აქ თურმე ამბობენ: ჩვენთვის განა სულ ერთი არ არის, საქართველოში მენშევიკები იქნებიან, თუ ბოლშევიკებიო, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის.“ ამათი წარმომადგენელი ჩვენში ამგვარ მოხსენებებს აწვდიდა (თუ ეხლაც აწვდის?) თავიანთ მთავრობას და ჩვენ წარსულს წარმომადგენელს აქ ბევრი არ უზრუნია ეს აზრი გაექარწყლებია. აქ დიდი განსხვავება არის საჭირო. ამ მხრივ ჩვენი (მანდაური) ინფორმაციული ბიურო არაფერს თითქმის არ აკეთებს. არ გვაქვს ინგლისურ ენაზე (გარდა ღამბაშიძის წიგნაკისა) არც ერთი ბროშურა, საიდანაც შეეძლო ინგლისელებს წარმოდგენა ჰქონოდა ჩვენს ქვეყანაზე. არ არის რუქები, საიდანაც შეიძლებოდა ადვილად დაგვენახებინა თუ რა დიდებული გეოგრაფიული ალაგი უჭირავს ჩვენს ქვეყანას. ამისთანა რუქები გვქონდა თავის დროზე ბერლინში, ახსნით და აღწერილობით. იბეჭდება სქელ-სქელი წიგნები ორიოდე პირთათვის და უსაჭიროესისათვის კი არაფერი ყურადღება არ არის მიქცეული. მინდოდა ეხლა ზოგიერთ მნიშვნელოვან პირთათვის დამერიგებინა რაიმე ლიტერატურა და ჩვენს ლეგაციაში ვერაფერი ვერა ვნახე გამოსაყენებელი. მარტო ორიოდე ფრანგული სრულიად უმნიშვნელო ბროშურები. საჭიროა ამ საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყუ-

რადღება. უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნაკი ინგლისურ ენაზედ, სადაც მოკლედ უნდა იყვეს მოყვანილი საქართველოს აღწერილობა და უმთავრესი ნაწილი კი დათმობილი საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. რამდენიმე რუქა უნდა განმარტავდეს ამ აზრს. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა, ვიდრე რუსეთის და ჩვენი საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს. კაუცკის ბროშურით პროპაგანდას ვერ გავწევთ."[82]

ამავე წლის 13 თებერვალს აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში გიორგი მაჩაბელი აღნიშნავდა: „ამ რამდენიმე დღის წინათ 5 საათი ველაპარაკე ჩვენს საკითხზედ ბოჯიანო-პიკოს, რომელიც იყო მოსკოვში გაგზავნილი იტალიის მთავრობის წარმომადგენლად და რომელიც დაბრუნდა იქიდგან ერთ თვეზედ მეტია. იგი იქნება აგრეთვე გენუაში იტალიის დელეგაციის წევრად. მის წასვლის წინათ მე მას დიდხანს ველაპარაკე (ჩემი კარგი მეგობარია), რასაც თავის დროზე თქვენც გატყობინებდით. მოსკოვის კომუნისტების სათვალეებით ჩამოსულა. მთლად მათ უჭერს მხარს. ვერაფერი არგუმენტები ვერ მოქმედობენ. „თქვენთვისაც (ქართველისთვის) საუკეთესო გამოსავალია რუსეთის ფედერაციაში დარჩეთო". ან სულელია, თუმცა რა შეიძლება ითქვას მასზედ, ან ბოლშევიკებმა მასაც გამოატანეს პლატინის ქვაბი საჩუქრად. ხუთი საათის ბაასის შემდეგ, რომ ვერაფერს გავხდი, ვუთხარი: კარგად რომ არ გიცნობდეთ მეთქი, მეგონებოდა ბოლშევიკებმა მოგისყიდათ მეთქი. გუშინ ხელმეორედ შემხვდა და გაკვრით მითხრა: ბოლშევიკებს ჯარის გაყვანას საქართველოდან ნუ მოსთხოვთ, მათ სჭირიათ იქ ჯარები და არც გაიყვა-

[82] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №418, ფურც. 13-14

ნენო. მოსთხოვეთ თქვენი დამოკიდებლობის რუსეთთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება საერთაშორისო კონფერენციაზედო.“[83]

1922 წლის იანვარში კანში მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმადაც საქართველო არ მიიწვიეს გენიუს კონფერენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის და ბელგიის პრემიერებმა ბონომიმ და ტენიურმა მხარი დაუჭირეს საქართველოს გენუის კონფერენციაზე დასწრებას, ამის წინააღმდეგ წავიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველო აზიაში იმყოფებოდა, აღნიშნულ კონფერენციაზე კი მხოლოდ ევროპის სახელმწიფოები იყვნენ მიწვეული.

გენუის კონფერენციის მომწვევ ანუ მოკავშირე სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ბელგია) პირველ დელეგატებს ჰქონდათ სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნენ არმოწვეულ სახელმწიფოთა განცხადებები. ამ სხდომაზე, გარდა ჩვენი დელეგაციის განცხადებისა, მოხსენებულ იქნა: საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მემორანდუმი და კათალიკოს ამბროსის წერილი კონფერენციის სახელზე. სხდომამ დაადასტურა კანის დადგენილება და დასძინა, რომ გენუის კონფერენციაზე არ შეიძლება დაისვას ისეთი კითხვები, რომელიც არმოწვეულ სახელმწიფოებს ეხება. ხოლო რაც შეეხება კითხვას, აქვს თუ არა უფლება რუსეთის დელეგაციას საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი) სახელით ილაპარაკოს კონფერენციაზე ეს გადაეცა განსახილველად სამანდატო კომისიას.[84] საბოლოო ჯამში საბ-

[83] იქვე, ფურც. 18

[84] სცსა, 1831, აღწ. 2, საქ. №64, ფურც. 1

ჭოთა რუსეთს არ მიეცა უფლება საქართველოს სახელით გამოსულიყო.

ევროპაში საქართველოს საგანგებო ელჩის აკაკი ჩხენკელის მოხსენებიდან მთავრობისადმი, რომელიც გაგზავნილია 1922 წლის 5 ივნისს აღნიშნულია: არის ერთი მოწამლული იარაღი, რომელსაც კრემლის დიქტატორები იმარჯვებენ და რომელიც უთუოდ ახდენს შთაბეჭდილებას ევროპაში. ეს გახლავთ მათი მტკიცება თითქოს საქართველო სრულიად დამოუკიდებელი იყოს და ამის სადემონსტრაციოდ მის სათავეში ნომინალურად ქართველი კომისრების ყოლა. რუსეთის დელეგაციას ერთხელაც არ განუცხადებია გენუაში, რომ საქართველო შედის რუსეთის ფედერაციაში, პირიქით, ის მას ეძახის მოკავშირე „რესპუბლიკას“.

უნდა ითქვას ერთი რამ, ქართველმა ერმა და მისმა ერთგულმა შვილებმა უნდა მიხვდნენ, რომ მარტო დიპლომატიით ქვეყნის ხსნა შეუძლებელია, არც იცის ასეთი მაგალითი ისტორიამ.[85]

ჯერ კიდევ 1922 წლის 26 აპრილს, აკაკი ჩხენკელი საქართველოს მთავრობას საერთაშორისო განწყობასთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმართებაში წერდა: „იტალიის ოფიციალურ და უფრო კი არაოფიციალურ წრეებს შეფიქრიანება ეტყობათ რუსეთის მიმართ და ახლა უფრო ყურადღებით ეპყრობიან ჩვენს საკითხს. დღეს, მაგალითად იტალიის პრესის წარმომადგენელმა კითხვა დაუსვა სამინისტროს წარმომადგენელს (ყოველ დღე თითოეული დელეგაცია აწვდის ინფორმაციას თავის პრესას), როგორ უყურებთ საქართველოს კითხვასო – პასუხი: ეს კითხვა პირდაპირ არ უდგას კონფერენციას, მაგ-

[85] სცსა, 1831, აღწ. 2, საქ. №64, ფურც. 5

რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სტატუსი, როგორც ჩვენს მიერ ცნობილი, ხელუხლებელი უნდა დარჩესო. მეორეს მხრით, სენატორი კონტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კავკასიის საკითხში, მას მინდობილი აქვს მისი დამუშავება და ის კი გვარწმუნებს, რომ სრულიად ჩვენს მხარეზეა. ასევე დაინტერესებული არიან ზოგიერთი დეპუტატი და თითქმის მთელი პრესა ჩვენდა სასარგებლოდ. შანცერს ყოველდღე ელაპარაკება ვინმე ჩვენს შესახებ, რა თქმა უნდა, მთავრობა არაა ჯერ კიდევ მთლად სანდო, მაგრამ საზოგადო აზრი ჩვენს მხარეზეა."[86] საფრანგეთთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელი აღნიშნავს: „რამდენი კარგი შემთხვევა გაუშვეს ფრანგებმა ხმა ამოეღოთ ჩვენს შესახებ, პირობებიც ხელს უწყობდა, რადგან თითქმის ყველა დელეგაციები ჩიჩერინი ბესარაბიაზე თავის პრეტენზიებს აცხადებდა, ბარტუს შეეძლო საქართველო ეხსენებია. პრესის ხალხი გასაქანს არ აძლევს რაკოვსკის, წამდაუწუმ საქართველოს მაგალითს აჩრის. რუსებისათვის მემუარი – ულტიმატუმი რომ მზადდება, ძალიან კარგად შეეძლოთ ფრანგებს ეხსენებიათ საქართველო პირველი მუხლის განხილვის დროს. აქ რუმინიის წინადადებით, ჩართულია უზრუნველყოფა status qou territorial, საქართველო რომ დაკავებულია, ეს არ ახსენა არავინ და არ მოითხოვა ამ უსამართლობის გასწორება."[87]

აგრეთვე იგი წერს: „შემთხვევით ვნახეთ რაპალოს ხელშეკრულების ავტორი, როცა წერეთლისათვის ვიზას ვიღებდით დიუსელდორფში გასამგზავრებლად. მან თქვა დაახლოებით შემდეგი: საქართველო

[86] სცსა, ფ. 1831, აღწ, საქ. №61, ფურც. 9
[87] იქვე, ფურც. 12

არ შედის რაპალოს ხელშეკრულებაში, მაგრამ ვინაიდან ჩიჩერინს აქვს მანდატი თქვენი ქვეყნისა, ჩვენთვის საკმარისი იქნება ნოტების გაცვლა მასთან, რომ საქართველოზეც გავრცელდეს ხელშეკრულება, ასევე იქნება უკრაინის შესახებ, ტყუილია თითქოს ჩვენ ცალკე დაგვედოს ხელშეკრულება; ჩვენ სიმპატია არ გვაკლია თქვენთვის, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ფაქტიურ მთავრობას, რომელიც რუსეთის ფედერაციაში გრძნობს თავს, ჩვენ არ გავგზავნით თბილისში ელჩს, იქ გვეყოლება მხოლოდ გენერალური კონსული, თქვენი საელჩო ბერლინში წარმოადგენს გახიზნულ მთავრობას, როგორც რუსეთის ძველი საელჩოები მოკავშირე ქვეყნებში, ის არ ჩაითვლება საქართველოს წარმომადგენლობად, ჩვენ მოგვდის თფილისიდან ცნობები ყოველ 2-3 დღე და არაფერს გვწერენ აჯანყების შესახებ, ეს არის ჩამოვიდა იქიდან რუშერის ცოლი და თქვა სრული სიწყნარეაო. ბოლოს უხუმრია კიდეც თავხედურად: ზოგ პატარა სახელმწიფოს უყვარს თავის მარკები ჰქონდეს, თქვენც ხომ ლამაზი მარკები გაქვთ და შეგიძლიათ იქონიოთ რუსეთის ფარგლებშიც.“[88]

საინტერესო ინფორმაციის შემცველია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რეფეტ ფაშასთან შეხვედრა. „კ. გვარჯალაძე: თქვენო აღმატებავ! მე წარმოვადგენ აქ საქართველოს იმ აზრს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა და თავგამოდებით იცავს მას. თქვენ ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ეხლა დიდ ცდაში არიან საქართველოს დამოუკიდებლობას სრულიად მოუღონ ბოლო და ის რუსე-

[88] იქვე, ფურც. 16

თის უბრალო პროვინციად გადააქციონ, როგორც ეს უკანასკნელი ამ ასი წლის განმავლობაში იყო. ჩვენ გვგონია და ღრმად გვწამს, რომ ოსმალეთი დაინტერესებულია – მისი მეზობელი ქვეყნები, როგორც საქართველო და აზერბაიჯანი, იყვნენ დამოუკიდებელი ქვეყნები. ქართველი ერი შეეცდება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავი არავის დაამონებიოს და დარჩეს თავისუფალი. მე მაქვს ინსტრუქციები ჩემი მთავრობისაგან, ვიცით აგრეთვე აზრი ნაციონალურ კომიტეტისა, რომელიც აერთებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა პარტიებს და რომელიც იმყოფება თვით საქართველოში. მე მაქვს დავალებული ვიქონიო მჭიდრო კონტაქტი ოსმალეთის მთავრობასთან და ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრთან, ყველგან აქ ნიადაგი მოვამზადო და მით საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე ნიადაგი ჩაეყაროს.

რეფეტ ფაშა: მე გულწრფელად და ენერგიულად უნდა გაგიცხადოთ თქვენ შემდეგი: ჩვენ ვიცანით საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთიც. თუ ვინმეს შეაქვს რაიმე კორექტივი ამ ქვეყნების დამოუკიდებლობაში ეს ჩვენ არ გვეხება, მათი წარმომადგენელიც (მაგალითად აბილოვი) არის ჩვენში და ამ ქვეყნებს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ, როგორც დამოუკიდებელი.“[89]

რუსეთთან მიმართებაში რეფეტ ფაშამ აღნიშნა შემდეგი: „რუსეთი დღეს კიდევ გვჭირია. მან ჩვენ ბევრი დაგვეხმარა. ინტერნაციონალური ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა კიდევ გამოურკვეველია და ამ პირობებში რუსეთს სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი რუს-

[89] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №110, ფურც. 1-2

ეთი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს. ამ მხრივ მას კავკასიაშიც უნდა შემოიტანოს ცვლილება. მაგრამ მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო, აზერბაიჯანი და თუ გინდაც სომხეთი."[90]

1922 წლის 29 ნოემბერს კონსტანტინე გვარჯალაძე საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში აგრეთვე აღნიშნავს: „ამ სამი თვის წინათ ჩვენ გავიცანით აქ ერთი ქართველი (ბათუმელი) ხოჯა, რომელსაც მასწავლებლის ადგილი უჭირავს სტამბულის ერთ უდიდეს ჯამეში. მან ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: ქართული კარგად იცის, თავი ქართველად მიაჩნია და ჩვენი საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მას ყავს მეგობარი, ოსმალეთის ჯარის პოლკოვნიკი, ტომით აფზახი, აფხაზეთის და საქართველოს დიდი პატრიოტი... ხოჯამ და პოლკოვნიკმა წინადადება მოგვცეს თურქების გენერალურ შტაბის უფროსთან ფევზი-ფაშასთან გავაბამთ კავშირს ჩვენი საქმის გამოო. ფევზი ფაშა თურმე აფხაზ-პოლკოვნიკის სკოლის ამხანაგი ყოფილა...

შეხვედრისას ფევზი ფაშამ აღნიშნა:

...ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი კავკასია. მაგრამ ეხლა ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მომენტია. ჯერ კიდევ „სისხლში ვცურავთ". რუსეთი ძლიერ გვჭირია სანამ ზავს მივაღწევთ. დღეს არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია თქვენთვის, ვერ ჩავიდენთ ვერაფერს, რაც მათთან განწყობილებაში ხელს შეგვიშლის. ვერც ერთ საბუთს, ვერც ერთ დოკუმენტს ვერ მივცემთ ხელში. მათთან ხელშეკრულება გვაქვს, რომლის ძალითაც უნდა მი-

[90] იქვე, ფურც. 3

ვცეთ მათ ისინი, ვისაც მიუთითებენ ჩვენს ტერიტორიაზე, როგორც მათ წინააღმდეგ მომუშავეებს. ამას ნუ გვაქნებიებთ, გადაიმალეთ. ჩვენ არაფერი ვიცით, ვერაფერში დაგეხმარებით, როგორც კი ზავი ჩამოვარდება, ხელები გაგვეხსნება...“[91]

1923 წლის 26 იანვარს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინე გვარჯალაძე აკაკი ჩხენკელს წერს შემდეგი შინაარსის წერილს სტამბოლიდან: „საქართველოსთან ეხლა კარგი კავშირი გვაქვს და ყოველ კვირეულად მაქვს მათთან მიწერ-მოწერა. აქედან მათ ეგზავნებათ ყოველგვარი ცნობები ჩვენს მუშაობის შესახებ. ვუგზავნით მათ აგრეთვე ყოველგვარ ინფორმაციას ევროპის ცხოვრების ყოველ დარგიდან. იქ არალეგალურად გაზეთებს სცემენ და ამ მხრივაც სჭირიათ მასალა. იწერებიან, რომ ყველას გთხოვთ პარიზში გამოგზავნოთ ხშირად წერილები ჩვენი გამოცემებისათვის. ასე რომ ჩვენი კორესპოდენცია არც უბრალოდ იწყება და არც უბრალოდ იგზავნება. ის დაუყონებლივ მიდის დანიშნულებისამებრ. მოგვაწოდეთ ასეთი წერილები ხშირ-ხშირად.

მივწერე ჩვენებს, რომ გამოაგზავნინოს ეროვნული ცენტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი უკანასკნელ ამბების შესახებ. თუ იყო რამე გამოსვლები ან საპროტესტო რეზოლუციები, ესეც მოვითხოვე. თუმცა არა მგონია, რომ რამე ყოფილიყოს იქ. წარმოუდგენელი რეპრესიები არის, არაფერს აღარ ერიდებიან. ყოველგვარ საბაბს ეძებენ, რომ ვინმე დაიჭირონ და მერე მას რუსეთში უკრან თავი. ამნაირ პირობებში კი ძნელად ხდება, როგორც ჩანს პროტესტების განცხადება.“[92]

---

[91] იქვე, ფურც. 7-8

[92] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. 3113, ფურც. 6

1926 წლის 20 სექტემბერს აკაკი ჩხენკელი წერს წერილს ბერლინში დიპლომატიურ წარმომადგენელს ვლადიმერ ახმეტელს: „დიდად პატივცემულო ვლადიმირ, თქვენი წერილები მივიღე დაკავშირებით იმასთან, რასაც თქვენ იწერებით გერმანიის წრეების ახლად დაინტერესების შესახებ, კავკასიის საკითხებით, უნდა გითხრათ, რომ ამჟამად ამისათვის გაცილებით უკეთესი ნიადაგია. ამის თავდებია ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: გერმანიის ერთა ლიგაში და ლოკარნოს ძალაში შესვლა, ერთის მხრით და პოლიტიკური კრიზისი რუსეთში, მეორეს მხრით. ბრიან-შტრეზემანის მოლაპარაკებიდანაც რომ არაფერი გამოვიდეს ჯერ-ჯერობით, ევროპის სტაბილიზაცია ფაქტია, ამას მუსოლინის და მის მიმყოლთა seiteusprunge ვერას დააკლებს. ამ პირობებში რუსეთის კითხვის წესრიგში დასმა ბუნებრივია, მით უფრო იქ დატრიალებული ამბები ამას აჩქარებენ. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ბოლო ხანებში თითქოს იკაფავს გზას შეგნება ევროპა-ამერიკაში, რომ რუსეთი არაა ერთერიანი სახელმწიფო და, თუ მოსკოვი ველიკორუსიით არაა მომზადებული კულტურული ცხოვრებისათვის, იქაური ერები სლავიანებიც არ არიან, ეკონომიურად მთლიანია, სატრანზიტოა და აქვს დიდი სიმდიდრენი. მოსკოვი, როგორც იცით, კავკასიის „გაყიდვით“ ლამობს უმთავრესად ფულის შოვნას, ჯერ მარგანეცი, მერმე ნავთი და ასე ბოლომდის; და ეს პოლიტიკა არაპირდაპირ აჩქარებს უცხოეთის ყურადღებას კავკასიაზე, მის ერებზე. თქვენ მართალი ხართ, კავკასიაზე თვალი უჭირავთ გერმანელებს, სხვებსაც უეჭველად ევროპაში, ამერიკაშიც. იქ მოლაპარაკებაც კი სწარმოებს ბაქო-გროზნას „გაყიდვის“ შესახებ. მაგრამ იმავე დროს, როცა ხედვენ, რომ მოსკოვის ხელისუფლება რღვევის პროცესშია,

ზოგნი დაცდას ამჯობინებენ შეთანხმებას. აი, ამიტომ დიდათ უნდა გავაცხოველოთ ჩვენ ყველამ მუშაობა.“[93]

1927 წლის 6 მაისს აკაკი ჩხენკელის მიწერილი წერილიდან ვლადიმერ ახმეტელისადმი ვიგებთ შემდეგ ინფორმაციას: „ჰოფმანის მისიის შესახებ ლონდონში, ორი ქართველითურთ, ჩვენ უფრო დაბეჯითებით ვიცით, რომ ამას მართალა ჰქონდა ადგილი. საბლინიც ხომ საქართველოს სახელს ფარად იყენებდა. ესეც ცხადია ჩვენთვის. და ეს ხდებოდა ამ რიგათ: ვინაიდან საბლინი გარკვეული იყო იმაში, რამდენად რეალურად თვლიდნენ ლონდონში საქართველოს შეურიგებლობას მოსკოვის „კავშირში“ ყოფნასთან, ის გამოდიოდა ტაქტიკური მოსაზრებით, ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრედ და ამას კიდევაც სწერდა რუსეთის ყოფილ ელჩებს პარიზში, მათი უხუცესის გირსის საშუალებით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ინგლისი ხარჯსაც კი გაიღებსო, და ყოველ ამას უკავშირებდა მონარქისტების მისწრაფებას ჩაითრიონ დიდი სახელმწიფოები ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში. (საბლინის მიწერ-მოწერა გასცა მათმა რწმუნებულმა ერთ-ერთმა სტუდენტმა). თქვენ ალბათ მიმხვდარი ხართ, რომ ინგლისში არ თანაუგრძნობენ მარქსისტების მისწრაფებას და ეს იმ უბრალო მიზეზით, რომ ამაში ისინი ხედვენ ძველი მთლიანი რუსეთის აღდგენას. აი, რატომ ეჭვრებათ მონარქისტებს, რომ ისინი არ შეებრძოლებიან საქართველოს აღდგენას, არც სომხეთისას, ხოლო კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებზე, ისე როგორც თურქისტანზე, უკრაინაზე,

[93] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №338, ფურც. 10

ბელორუსიაზე, ისინი უარყოფით პოზიციაზე დგანან.“[94]

ისტორიის შეფასების პროცესში, ბუნებრივია აუ-ცილებელია ობიექტურობის დაცვა და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მოვლენათა შესწავლა. როდეს-აც საბჭოთა პერიოდის საქართველოს შესახებ ვწერთ, ბუნებრივია, რთულია გვერდი აუარო იმ ტრაგიკულ ეპიზოდებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მთელი 70 წლის განმავ-ლობაში. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ საბ-ჭოთა რეჟიმმა თავისი უარყოფითი დაღი დაამჩნია საქართველოს და ქართულ საზოგადოებას.

მაინც რა იყო საბჭოთა სისტემის მთავარი ამო-სავალი პრინციპი?

ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთის მოღვაწეობა და საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის ბრძოლა მხოლოდ 1921 წლიდან არ დაწყებულა და ამ ყოველივეს გარკვეული ჩანასახი უფრო ადრე გა-აჩნდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ თავიდანვე ნათლად გამოაჩინა თავისი აგრესიული სახე საბჭოთა ხელი-სუფლებამ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩამოყა-ლიბებამდე. ის სტატუსი, რაც ჯერ კიდევ მეფის რუ-სეთმა მოიპოვა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო სფეროში მას აძლევდა იმის საშუალებას საკუთარი სურვილის მიხედვით ემოქმედა და ზოგერთ შემთხვე-ვაში სხვა სახელმწიფოებისთვისაც მიეთითებინა რა პრინციპით ეარსება თუ განვითარებულიყო.

რატომ დაუშვა აშშ-მ თუ ევროპამ საბჭოთა რუ-სეთის აგრესორის როლში გამოჩენა და დამკვიდრე-ბა?

[94] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №388, ფურც. 14

რთულია ცალსახად პასუხის გაცემა ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, თუმცა ფაქტი ერთია, 1921 წლიდან მოყოლებული 1991 წლამდე საბჭოთა ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების აშლასა თუ დარეგულირებაში.

როდესაც აღნიშნულ საკითხზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როდესაც საბჭოთა რუსეთი გამოდის ასპარეზზე აშშ განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა, ის ჯერ კიდევ სრულიად არ იყო გამოსული ჯეიმს მონროს მიერ მიღებული დოქტრინის დაცვისაგან, მართალია აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი აქტიურად ცდილობს მიმდინარე მოვლენების დარეგულირებაში გარკვეული როლი ითამაშოს, თუმცა მისი პასიურობა და კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე ჩართვა გარკვეულწილად მისი პასიურობისკენ მიუთითებს. თუმცა, ალბათ უფრო სავარაუდოა, აშშ ფეხს ნელ-ნელა და მტკიცედ იკიდებდა. XX საუკუნის 20-იანი წლები კრიზისული იყო, როგორც ევროპისთვის, რომელსაც პირველი მსოფლიო ომი ახალი გადატანილი ჰქონდა მთელი სიმწვავით, აგრეთვე აშშ-თვის, სადაც ეკონომიკური კრიზისი მძლავრობდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და მსოფლიოსთვის კომუნიზმზე უფრო საშიში მტერი ფაშისტური გერმანია აღმოჩნდა. ამ ყოველივემ კი საბჭოთა სისტემის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას შეუწყო ხელი.

საბჭოთა სისტემამ საქართველოს ოკუპაციიდან მოყოლებული განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა დასახული

მიზნის მისაღწევად და ავტოკეფალური ქართული ეკლესიის დასუსტებას. 1923 წლის 25 მაისს საქართველოს სოციალისტური პარტიების დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვიდან ერთა ლიგისადმი საქართველოში მიმდინარე რეპრესიების შეწყვეტაში დახმარების აღმოჩენის შესახებ კარგად ჩანს ის სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ. გარდა ფიზიკური განადგურებისა რუსეთი სპობს ერის კულტურას: ენას, მწერლობას, მხატვრობას და ყოველივე თავისუფალ შემოქმედებას. „ისპობა და ნიავდება საუკუნოებით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია: ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები და მორწმუნე ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. განუკითხავად არიან ჩაყრილი სარდაფებში სარწმუნოების საუკეთესო წარმომადგენელნი. ხალხის სიმდიდრეს იტაცებენ და ითვისებენ შემოსეული უცხო ელემენტები. წყველა წრის და პროფესიის ადამიანები ავაზაკურად იცარცვება. ხალხის ნაოფლარით ოკუპანტები განცხრომაში ცხოვრობენ. არც ერთ მშრომელს, არც ერთ მწარმოებელს აღარ ეკუთვნის არც სიცოცხლე და არც მისი ოფლით შეძენილი დოვლათი, ყველაფერს ოკუპანტების ხიშტებით იტაცებენ. ქალაქის მცხოვრებლები იმდენად დაბეგრილი არიან, რომ უკანასკნელ საოჯახო ნივთებს ყიდიან რომ გადასახადები გაასწორონ. ასეთივე მდგომარეობაშია გლეხობა, მთელი მისი ავლადიდება ოკუპანტების განკარგულებაშია და ის სულს დაფავს გაჭირვებისაგან. გლეხს, რომელიც არ არის მომხრე ბოლშევიკების, ყველაფერი წართმეული აქვს, სახლიც და

სამუშაო ინვენტარიც. წართმეულს ურიგებს თავის მომხრეებს, ასეთივე უღლის ქვეშ გმინავს ქართველი მუშები. ციხეებში ერეკებიან ასობით სამშობლოდან. აძევებენ ყველას, ვინც თავის ქვეყნის მოღალატე არ არის და მოძალადეთა მომხრე არ არ-ის. ოკუპანტები საშინელ წამებას აყენებენ მუშებს და გლეხებს რომ მათ ხელიდან გამოგლიჯონ მათი რეჟიმის მოწონება და მხარის დაჭერა. ზოგნი ვერ უძლებენ მეოცე საუკუნის ინკვიზიციას. ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის თავდამსხმელს და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას. ერთა ლი-გისადმი მომართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალება-თაგანი. განათლებული კაცობრიობის წარმომადგენ-ლობავ ისმინეთ ხმა კულტურულ პატა-რა ერისა. ეს ერი იულიტება ფიზიკურათ. ისპობა მი-სი კულტურა, ინგრევა მისი ეროვნული კერა.“[95]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პო-პულარიზაციას ემსახურებოდა მიზნად საქართვე-ლოს უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრის, რომში მთავრობის წარმომადგენლის რაფიელ ივანიცკი-ინ-გილოს მოღვაწეობა, რაც კარგად არის აღწერილი მის მიერ აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერი-ლებში 1927-1928 წლებში. ერთ-ერთ მიმართვაში აღ-ნიშნულია: „... მე მაინც ვსარგებლობ იმ გარემოებით, რომ გერმანული სამღვდელოების გავლენა დიდია ვატიკანში და მასში კი მეგულებიან კეთილისმსურ-ველნი და მეგობარიც. ამ მხრივ ცდას არ აკლებს ვისბადენელი გავლენიანი ბენედიქტელი აბბატი graf galen-ი (ბენედიქ-ტელები, როგორც ლიტურგისტები, ცნობილი არიან თავისი სიმპატიური განწყობილე-ბით ორიენტალური ეკლესიისადმი. მათსავე ორდენს

[95] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №114, ფურც. 7

აწინდელი პაპის მიერ სპეციალი მინდობილობა აქვს მიცემული მუშაობისა ეკლესიათა დაახლოებისათვის). გერმანელები მოქმედებენ სტატს-სეკრეტარი კარდინალი გასპარის საშუალებით (სხვათა შორის ამათ გავლენას მიაწერენ პაპის განკარგულებას „აკსიონ ფრანსესის“ წინააღმდეგ) – უპირველესი იდეა, რაც ასულდგმულებს ჩემს საეკლესიო მუშაობას საზღვარგარეთ, არის საქართველოს ეკლესიის პოპულარიზაცია და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ როგორც უწინ გერმანიასა და ავსტრიაში, ეხლაც აქ – იტალიაში – ზოგი რამ ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ გაკეთდა, ყოველ შემთხვევაში მის თანამგრძნობთა რიცხვი იზრდება, ხოლო ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპერსპექტივოდ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯოჯოხეთურ პირობებში ჩაყენებულნი ჩვენი ეკლესიის მმართველნი პრაქტიკულად მოკლებულნი არიან საშუალებას თვითონაც გააბან კავშირი აქაურ დაწესებულებებთან.“[96]

1928 წლის 20 თებერვალს რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მიერ გაიგზავნა წერილი რომის პაპის სახელზე, სადაც აღწერილია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ: „... რომ წარმოსადგენი გახდეს მთელი საშინელება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა, საკმარისია თუნდაც მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ კომუნისტებმა ორი პირველი წლის მანძილზე გაუქმეს 500-ზე მეტი საყდარი, რომელთა უმეტესობა მათ მიერ შეგინებულ იქნა, ხელისუფლების სპეციალი დეკრეტით ეკლესიას წართმეული აქვს უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლება. ამას გარდა, კომ-

[96] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №309, ფურც. 4-5

უნისტებმა ეკლესიის მოძრავი შენობის ექსპროპრი-აციაც მოახდინეს „საეკლესიო განძეულობათა ჩამ-ორთმევის“ სახით. ქართულ ეკლესიას აყრილი აქვს უფლება საკუთარი სასწავლებლების გახსნისა კულ-ტის მსახურთა მოსამზადებლად, კომუნისტურ სკო-ლებში კი, როგორც ცნობილია, სწავლების სისტემა დამყარებული არის მატერიალისტურ-ათეისტურ პრი-ნციპზე და მოზარდ თაობას სარწმუნოებისადმი მტრობა და სიძულვილი ენერგება. კომუნისტური ძა-ლაუფლების ეს უკანონო მოქმედებანი და საზოგად-ოთ მათ მიერ გამოწვეული ცხოვრების უწესოებანი ჩამოთვლილია სპეციალ მემორანდუმში, საქართველ-ოს ეკლესიის მეთაურმა 1922 წლის ჯენოვის (იგუ-ლისხმება გენუა – ნ. ს.) საერთაშორისო კონფერენ-ციას რომ წარუდგინა.

გარნა ყოველივე ეს არ იქმნა კმასაყოფელად მი-ჩნეული: კომუნისტური ღვთისმგმობელი ხელი შეეხო განსაკუთრებულად პატივცემულ ცნობილ სარწმუნო-ებრივ ცენტრებსაც, რომლებიც უძველეს ჟამთაგან წარმოადგენდნენ მთელი ქართველი ხალხის უღრმეს სასოებისა და თაყვანისცემის საგანს. მათ აიკლეს და გააუქმეს სხვათაშორის ორი უმეტესად გამოჩენი-ლი მონასტერი: ბოდბისა (აღმოსავლეთ საქართველ-ოში), სადაც ასვენია ცხედარი საქართველოს მოციქ-ულის წმინდა ნინოსი (338) და მოწამეთისა (დასავ-ლეთ საქართველოში); უკანასკნელში მთავრობის მი-ერ წაქეზებულმა ბრბომ შებილწა განსასვენებელი მე-VIII საუკუნეში არაბთა მიერ წამებულთა არგვეთ-ელთა მთავართა ძმათა დავით და კონსტანტინე.“[97]

აგრეთვე იგი აღნიშნავს: „საქართველოს სამეფოს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობა-

[97] სცსა, იქვე, ფურც. 11

ში განუცდია არაერთი სისხლიანი დღე უცხო ტომთა შემოსევისა, მაგრამ აზიის ველური ბრბოებიც კი ნებას აძლევდნენ თავისთავს ქართველთა სარწმუნოებისა და ეკლესიის ხელშეხებას, დღევანდელი დამპყრობლები კი მთელს თავის რისხვას აქეთკენ მიმართავენ! გამძვინვარებულ ტერორს პირზე საცობი აუკრავს მწუხარებაში შთაგდებული და მუსრგავლებული საქართველოს უბედურ მოსახლეთათვის. გარნა სასომიხდილი კვნესა თანამემამულეთა გვადებს ვალდებულებას დანაშთენთ, რომელნიც ამ ტერორის პირდაპირ დაკვრას აცდენილნი ვართ, ვამცნოთ თქვენი უწმინდესობის უმაღლეს საყდარს ეს გაუგონელი დევნა უძველეს საქრისტიანო ეკლესიისა."[98]

საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის ამსახველია სიმონ მდივნის წერილები ვარშავიდან ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელისადმი და ანდრია გუგუშვილის წერილები ლონდონიდან აგრეთვე აკაკი ჩხენკელისადმი. 1930 წლის 5 სექტემბრის სიმონ მდივნის გზავნილში საუბარია შემდეგ საკითხებზე: „ამჟამად აქ ჩვენს მდგომარეობას ფესვები მაგარი აქვს, თუმცა როგორც ყოველგვარ მცენარეს ხან დიდი სიცხე და ხან გამუდმებული წვიმა აწუხებს, ისე ჩვენ მდგომარეობას აქვს თავისი ღრუბლიანი დღეები და ხან ქარიშხალის ცუდ გავლენას განიცდის. ვინ არის დამნაშავე? ჩემი აზრით, ორივე მხარე, მეტი წილი ჩვენია.

1. ჩვენი მეგობრები შიშობენ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ინტერნაციონალის და რუსეთის სოციალისტური პარტიების ზეგავლენით რუსეთის ორიენტაციას არ დაბრუნებოდა. ვინ უწყობდა ამ

[98] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №309, ფურც. 14

შიშს ხელს? ჩვენი ოპოზიცია, დაურიდებელი დავა ჩვენ მოკავშირეებთან, ვერაგობა ზოგიერთი ჩვენი მოკავშირეებისა და რუსეთის სოციალისტური პრესის იერიშები სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და ამისდა მიხედვით შესაძლებლობა რუსეთის დემოკრატიასთან შეთანხმებისა დამოუკიდებლობის დათმობით.

ჩვენი მეგობრები მოკლებული არიან ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს თვალყური ადევნონ. არ ყავთ სანდო და ქართული ენის მცოდნე პირი. ყოველგვარ ჩვენ ნაწერს მასალას ისინი აგროვებენ ან ჩვენი ოპოზიციონერების შემწეობით ან კიდევ დრო გამოშვებით რუსულ გაზეთების საშუალებით. ჩვენ თავად ერთხელაც არ მოგვიწოდებია თარგმანი იმ მასალისა, რომელიც ჩვენ ჟურნალ გაზეთებში იბეჭდება და ეხება ინტერნაციონალში და რუსულ სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებთან ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას.“[99]

1934 წლის 9 მარტის ლონდონიდან გაგზავნილი ანდრია გუგუშვილის წერილში აღნიშნულია: „პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ აქ, ლონდონში და მით უმეტეს ინგლისში საერთოდ, საზოგადოებრივი აზრი საქართველოს შესახებ სრულებით არ არსებობს.

საჭიროა, მაშასადამე საზოგადოებრივი აზრის დამუშავება.

საზოგადოებრივი აზრის დასამუშავებლად აუცილებლად საჭიროა წესის ან საზოგადოების დაარსება.

საჭიროა დაარსდეს ორი სერიოზული საზოგადოება, მნიშვნელოვან პირთა ხელმძღვანელობით,

[99] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №170, ფურც.3

რომელთა გარშემო ძალას შემოიკრებენ პროქართული და პრო კავკასიური ელემენტები.

ერთი უნდა იქნეს წმინდა ლიტერატურულ-ისტორიული საზოგადოება და მეორე – წმინდა პოლიტიკური.

ლიტერატურულ-ისტორიული საზოგადოების მიზანი იქნება გააცნოს ინგლისს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, ერთი სიტყვით მთელი მისი საყურადღებო წარსული; მისი ღირსებანი და ღირებულება, როგორც ერისა და სახელმწიფოსი.

პოლიტიკური საზოგადოების მიზანი კი – ბრძოლაა ჩვენი ერის უფლებათა აღდგენისათვის.

პოლიტიკური მუშაობა რომ სავსებით ნაყოფიერი იქნეს საჭიროა მისი მტკიცე ნიადაგზე მტკიცე მიზნით დაყენება და ვინაიდან ესენი აქ ჩვენ სრულებით არ გვიცნობენ, არ იციან რა არაფერი ჩვენი ეროვნულ-კულტურული ღირსებისა და მოთხოვნილებისა. ასეთ პოლიტიკურ მუშაობას წინ უნდა უძღოდეს კულტურული მუშაობა, საზოგადოებრივი აზრის დამზადება.

მიზანშეწონილობისათვის საჭიროა პირველად ლიტერატურულ-ისტორიული საზოგადოება დაარსდეს და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ეს საზოგადოება ფეხს მოიდგამს – და ამას არ უნდა მოუნდეს 6-12 თვის მეტი – ამავე საზოგადოების წევრთა მიერ და ინიციატივით პოლიტიკური საზოგადოება.

პოლიტიკური საზოგადოების დაარსება დღესაც შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ ნიადაგის მოსამზადებლად ამასაც დასჭირდება კულტურული მუშაობა, საქართველოს ვინაობის ახსნა და საზოგადოებრივი აზრის, ვთქვათ, აღზრდა. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ ორი მიზნის განცალკევება.

ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსება კიდევ იმიტომ არის კარგი, რომ ბევრია ხალხი, რომელიც პოლიტიკურ საზოგადოებაში არ ჩაეწერება, მაგრამ კულტურულ საზოგადოებაში ჩაეწერებოდა. კულტურულ საზოგადოებაში საქართველოსთან უკვე კარგად გაცნობილი წევრი, რა თქმა უნდა, დროის განმავლობაში, საქართველოს პოლიტიკაშიც დაინტერესდება, ამნაირად ბოლოს იგიც გახდება ჩვენი პოლიტიკური თანამგრძნობი."[100]

XX საუკუნის 40-იან წლებში პარიზში დაარსდა „თავისუფალ ქართველთა კავშირი", რომელსაც შემდეგი გეგმა გააჩნდა: „თავისუფალ ქართველთა კავშირს არა აქვს არავითარი პარტიული, ჯგუფური ხასიათი: ე. ი. ის მიზნად არ ისახავს ერის შინაგან პოლიტიკურ და სოციალურ წყობის საკიტხებს სურს:

1. მისცეს საშუალება გაერთიანებულ მუშაობისა ყოველ ლტოლვილ ქართველს, რომელიც ეროვნულ სიმაღლეზე დადგება და საქართველოს განთავისუფლების საკითხს მთავარ მიზნად დაისახავს.

2. რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ლტოლვილების ოჯახში შესვლა და გაერთიანებულ ძალით ეროვნულ უფლებების მოპოვება.

3. საქართველოს საკითხის დამუშავება და დასმა ყოველ იმ ძალების და სახელმწიფოების წინაშე, რომლებიც წინ გადაუდგნენ, ან გადაუდგებიან რუსეთის წითელ იმპერიალიზმს.

4. დროისა და პირობების შერჩევით საქართველოს შესახებ მემორანდუმების შემუშავება და წარდგენა ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალურ უწყებათა,

[100] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №290, ფურც. 9-10

ორგანიზაციათა, პასუხისმგებ პიროვნებათა წინაშე და საერთაშორისო დაწესებულებათა მიმართ.

5. უცხოელ მწერლობა-პრესა-რადიო-სინემასთან მუდმივი კავშირი და მათი საშუალებით ეროვნული საკითხის გაშუქება.

6. ეროვნული შინაარსის მოხსენებებით გამოსვლა როგორც ქართულ, ისე უცხო საზოგადოებაში და საერთოდ კულტურულ მუშაობის წარმოება [როგორც: სამშობლო სინამდვილის შესწავლა, ახალგაზრდობის მოვლა და მისი ეროვნული მომზადება და სხვა.].

7. მუდმივი კავშირის შექმნა და განზრახულ მუშაობაში ჩაბმა სხვადასხვა ქვეყანაში გადახვეწილ ქართველ ლტოლვილებისა.

8. სახიფათო მოვლენების შემთხვევაში: ემიგრაციაზე ზრუნვა მისი ფიზიკურ და მორალურ გადარჩენის მიზნით.“[101]

ევროპაში ჩამოყალიბებული პრომეთეული მოძრაობის მთავარი ამოსავალი პრინციპი 1937-1938 წლებში შემდეგი იყო: „პრომეთეული მოძრაობის საერთო ფრონტი არის ნაციონალური ხასიათის, რაიცა აერთებს ყველა ჩაგრულ ერებს. იდეოლოგიური პლატფორმა არის დამარღვეველი და გამთიშველი ელემენტი. ვერც ერთი ერი და მისი ორგანიზაცია თავზე ვერ მოახვევს მეორე ერს რეჟიმს, ეს არის თვითეული განმათავისუფლებელი ერის საშინაო საქმე. ჩვენი შემწე და თანამგზავრია ყველა იმ სფეროებში, ვინც ებრძვის რუსეთის მთლიანობას და ითხოვს ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას, მიუხედავად ამ სფეროების იდეოლოგიისა და რეჟიმისა. კავკასიის კონფედერაციული საბჭო აგებულია არა მარტო ნაციო-

[101] სცსა, ფ. 1831, აღწ.2 საქ. №294, ფურც.

ნალურ ერთობაზე, არამედ ამასთანავე იდეოლოგიურ ერთობაზედაც, რაც იყო მიღებული კავკასიის პირველ კონფედერაციაზე 1935 წელს და გამოქვეყნებულია."[102]

აკაკი ჩხენკელის მონაცემებით 1946 წლისთვის ქართველ ემიგრანტთა რაოდენობა საზღვარგარეთ ასე გამოიყურებოდა: 1. საფრანგეთში – 1500; 2. გერმანიაში – 500; 3. იტალიაში – 300; 4. ინგლისში – 100; 5. ბელგიაში – 70; 6. საბერძნეთში – 35; 7. ისპანიაში – 50; 8. თურქეთში – 20; 9. ირანში – (თეირანში – 100) – 300; მანჯურიაში (ხარბინი) – 5000; სულ: 7. 475; არიან გაფანტულად ლტოლვილნი სკანდინავიაში, შაჰაიში და სხვაგან."[103]

[102] სცსა, ფ. 1831, აღწ.2, საქ. №178, ფურც 3
[103] სცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №261, ფურც. 2

მესამე თავი

დისიდენტური მოძრაობა საქართველოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უკავია დისიდენტური მოძრაობის შეფასებას. ამ მხრივ აღსანიშნავია: იგორ კვესელავა, „საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), ტ. I“,[104] დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II“,[105] ლელა სა-რალიძე, „საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვა-წეობის ისტორიიდან“,[106] ო. თუშურაშვილი, ვ. ლუარ-საბიშვილი, „ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია“. [107] XX საუკუნის 70-იანი წლების დისიდენ-ტური მოძრაობის გაშუქებას მიეძღვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მოამბის მე-12 ნომერი.[108]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოვიძიეთ დოკუმენტური წყაროები, რომელთა ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

---

[104] ი. კვესელავა, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), ტ. I, (თბილისი, 2004).

[105] დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი II, (თბილისი, 2016)

[106] ლ. სარალიძე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვწეობის ისტორიიდან, კრებული, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1 (16), (თბილისი, 2015)

[107] ო. თუშურაშვილი, ვ. ლუარსაბიშვილი. ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია, (თბილისი, 2016)

[108] ჟურნალი, საარქივო მოამბე, №12, 2012

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე საზოგადოებისთვის უცხო არასდროს ყოფილა ძალადობის გამოვლინება და მთელი 1921-1991 წლების მანძილზე მრავალი აგრესიული მეთოდის გამოყენების შედეგად უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ჩვენს ქვეყანას მრავალი პრობლემა მოუტანა, რომელიც მთელი აღნიშნული წლების მანძილზე გრძელდებოდა და შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც საზოგადოების ცნობიერებაში დარჩენილი მავნე ჩვეულებები გარკვეული ფორმით ისევ იჩენდა თავს.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა და იძულებული იყო მოესმინა და წაეკითხა ის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება სთავაზობდა იყო ცალკეული გამოვლინებები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. საქართველოს მაგალითზე შესაძლოა განვიხილოთ 1924 წლის აჯანყება, რომელიც მართალია დამარცხდა, თუმცა საზოგადოების ცნობიერების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება საბჭოთა რუსეთსა და საქართვე-ლოში დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებით და აღმავლობით.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა დასახულ მიზანს – საბჭოთა რეჟიმისაგან საქართველოს განთავისუფლებას ვერ მიაღწიეს, შეიარა-ღებულ გამოსვლებს ასეთი მასშტაბური ადგილი შემდგომ პერიოდში აღარ ჰქონია. თუმცა, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ

ეროვნულად მოაზროვნე ძალებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. II მსოფლიო ომის და შემდეგ პერიოდში ეროვნული მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა და ეროვნულ ძალებს საქართველოს განთავისუფლების იმედი გაუჩნდათ.

აღნიშნულის გამოვლინებას წარმოადგენდა 1956 წლის მოვლენების ფონზე ახალგაზრდათა ჯგუფის გააქტიურება. როგორც ზვიად გამსახურდიას ჩვენებიდან ირკვევა: „... მე შევადგინე და დავბეჭდე საბეჭდ მანქანაზე, ქართულ ენაზე ფურცლები 7 ცალი ერთიდაიგივე შინაარსის, რომლებიც იწყებოდა მოწოდებით „ქართველებო“ ხომ არ დაგავიწყდათ 9 მარტის „სისხლიანი ღამე“ და მთავრდებოდა სიტყვებით „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ და გავავრცელე ისინი ქ. თბილისში სხვადასხვა ადგილას.“[109] კითხვაზე თუ რა მიზეზით დაიწყო ანტისაბჭოთა ფურცლების დაბეჭდვა და გავრცელება, ზვიად გამსახურდია პასუხობს: „ჩემს მიერ ანტისაბჭოთა ფურცლების შედგენის და გავრცელების მიზეზი შემდეგია:

1. ჩემი აზრით, არ სრულდებოდა და არ სრულდება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული ლენინური პრინციპი მოკავშირე რესპუბლიკების უფლების შესახებ კავშირიდან თავისუფალი გასვლის.

2. 1956 წლის 9 მარტს მომხდარი ამბები ქალაქ თბილისში.

3. ვინაიდან მე მიმაჩნდა, რომ პოლონეთში და უნგრეთში დაღვრილ იქნა უდანაშაულო ხალხის სისხლი და აგრეთვე, უნგრელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჩვენს

[109] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 1, ფურც. 39

პრესაში გამოცხადებული იქნა, როგორც ფაშისტური ბუნტი, და სხვა მიზეზები, რომელთა გახსენება ამჟამად არ შემიძლია.“[110]

არალეგალური ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით შემდეგს აღიარებდა: „... საუბრის დროს ჩვენ შევეხეთ 1956 წლის 9 მარტის მდგომარეობას ქალაქ თბილისში და გამოვთქვით უკმაყოფილება იმის გამო, რომ აღნიშნულ დღეს 9 მარტს საბჭოთა ჯარის ნაწილების მიერ დახოცილი იქმნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებსაც ჩვენ ვთვლიდით უდანაშაულოდ დახოცილებს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბრძანება სროლისა ჯარის ნაწილებს, თითქოს მისცეს მაღლიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოვთქვით ჩვენი უკმაყოფილება და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შეგვექმნა არალეგალური ჯგუფი.“[111]

ანატოლი მიქაძის და ვლადიმერ საყვარელიძის დაპირისპირების ოქმიდან ვიგებთ შემდეგს: „1953 წლის ზაფხულში ი. ბ. სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას დაპატიმრების შემდეგ ჩვენ ვიყავით რა ახლო მეგობრები: მე –ვლადიმერ სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა, ზვიად გამსახურდია და ანატოლი მიქაძე ხშირად გამოვთქვამდით უკმაყოფილებას იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინის სიკვდი-ლის შემდეგ მისი სახელი მივიწყებული იყო და ბერია კი თითქოს უსამართლოდ იყო დაპატიმრებული, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ თუ ანატოლი მიქაძემ – ზუსტად არ მახსოვს – ჩემთან საუბარში გამოთქვეს აზრი არალეგალური ჯგუფის შექმნის შესახებ და მითხრეს, რომ ამ ჯგუ-

[110] იქვე, ფურც. 40

[111] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 2, ფურც. 221

ფის მიზანი იქნება საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. ჩემი თანხმობის შემდეგ ჩვენ შევიკრიბეთ ზვიად გამსახურდიას სახლში, სადაც იყო თამაზ გუნჯუაც.

1953 წელში ჩვენ ჩავატარეთ ორი თუ სამი არალეგალური შეკრება, მაგრამ არავითარი გადაწყვეტილებანი ჩვენი ჯგუფის მუშაობის ირგვლივ არ მიგვიღია. აღნიშნული შეკრებების შემდეგ, რომელიც ტარდებოდა ზვიად გამსახურდიას სახლში ჩვენ დავიშალეთ და თითქმის არაფერი არ გაგვიკეთებია 1956 წლის 9 მარტის ამბებამდე. 1956 წლის ზაფხულში – არდადეგების დაწყების პერიოდში გამსახურდიას ინიციატივით ჩვენ განვაახლეთ მუშაობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ქალაქ თბილისში 1956 წლის 9 მარტს მომხდარი ამბები."[112]

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ახალგაზრდათა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანატოლ მიქაძე დაკითხვისას შემდეგნაირ ჩვენებას იძლევა: „ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბერია დააპატიმრეს როგორც ხალხის მტერი, მე და ზოგიერთ ჩემს სკოლის ამხანაგებს, როგორებიც არიან: გამსახურდია ზვიადი კონსტანტინეს ძე, გუნჯუა თამაზი ტარასის ძე, სიხარულიძე ვლადიმერ (ვოვა) ვასილის ძე, ცერცვაძე თემური და კიდევ სხვები, რომლებიც ამჟამად არ მაგონდება, არ გვჯეროდა მისი დანაშაული და ერთმანეთში გამოვთქვავდით უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით ბერიას მავნებლურ მოქმედებაში და უკმაყოფილების გამოთქმაც შევწყვიტეთ. მაგრამ ჩემი ინიციატივით და წინადადებით ჩამოყალიბდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავ-

[112] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 5, ფურც. 88-89

და არალეგალურ მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

...მე ასე მქონდა გაგებული, რომ ქართველები დაჩაგრულია რუსებისაგან და ჩემი მიზანი იყო ქართველი ერის განთავისუფლება ამ ჩაგვრისაგან, რაც შესაძლებლად მიმაჩნდა საქართველოს რუსეთთან გამოყოფის საშუალებით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენს სკოლაში დავაარსეთ არალეგალური ორგანიზაცია. პირველად მისი წევრები ვიყავით: მე – მიქაძე ანატოლი აბესალომის ძე, გამსახურდია ზვიადი კონსტანტინეს ძე, გუნჯუა თამაზი ტარასის ძე, სიხარულიძე ვალოდია ვასილის ძე.

...ჩვენი მიზნის სისრულეში მოყვანისათვის ჩვენ გეგმად ვისახავდით პირველ რიგში გაგვეფართოებინა ჩვენი ორგანიზაცია მასში ახალი წევრების მიღების გზით. ამისთვის ჩვენ უნდა გაგვეწია აგიტაცია ჩვენი სკოლის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ჩვენ ჩავთვლიდით სანდოთ. პრაქტიკულ ღონისძიებად გვქონდა აგრეთვე დასახული შეგვედგინა ანტისაბჭოთა პროკლამაციები და გაგვევრცელებინა თბილისში. პროკლამაციის შინაარსი უნდა ყოფილიყო მიმართული საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისათვის... გარკვეული პერიოდის შემდეგ ორგანიზაციაში წევრებად მიიღეს: კოსტავა მერაბი მუსიკალური სკოლის მოსწავლე, დოჩანაშვილი გურამი 47-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე, ცერცვაძე თემური პირველი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე და მეტრეველი ჯონდო, იგივე ცქმუნა, 47-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე.“[113]

თეიმურაზ ცერცვაძე დაკითხვისას აღნიშნავდა: „ერთ-ერთი გზა ჩვენი არალეგალური ჯგუფის მუშა-

[113] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 1, ფურც. 261, 267

ობისა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იყო ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლების შედგენა და გავრცელება, რათა გაგვეწია ხალხში აგიტაცია არსებული მიზნების მისაღწევად.“[114]

ანატოლ მიქაძე პროკლამაციების გავრცელებასთან დაკავშირებით შემდეგ ჩვენებას იძლევა: „...გავინაწილეთ პროკლამაციები და ადგილები ვის სად უნდა გაეკრა. მე, გამსახურდიამ, დოჩანაშვილმა და სიხარულიძემ ოთხი ცალი პროკლამაცია გავაკარით: კამოს ქუჩაზე, ველოდრომზე და სამხედრო კომისარიატთან ახლოს. პლეხანოვის პროსპექტზე სამხედრო სასწავლებლის წინ და ქალაქის საავადმყოფოს წინ „გორკის“ პარკის შესასვლელთან. მეორე ჯგუფმა, რომელშიდაც შედიოდნენ: გუნჯუა, მეტრეველი, ცერცვაძე და კოსტავა მიაკრეს პროკლამაციები რუსთაველის მოედანთან „საქშატროისტროს“ შენობას, გრიბოედოვის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის შესავალში. მესამე ცალი სად მიაკრეს არ ვიცი.“[115] პროკლამაციის შინაარსიის შესახებ იგი აღნიშნავდა: „ფურცელში ჩვენ მოვუწოდებდით ქართველ ხალხს და მოვაგონებდით მათ 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარ მდგომარეობას. მოვაგონებდით მათ 1924 და 1937 წლებს, როგორც ქართველი ხალხის განადგურების წლებს, ვწერდით სანამ უნდა გვქონდეს მოხრილი ქედი კომუნისტების ქვეშ და მიუთითებდით, რომ ჩვენს წინაპრებს სისხლი არასოდეს არავისთვის არ შეურჩენიათ. ამ ფურცელში ჩვენ ვწერდით, რომ თითქოსდა მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის ბოროტმოქმედებით და რომ დღეს წყდება თითქოს ჩვენი ხალხის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. მიუთითებდით თითქოსდა დროა ერთი

[114] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 3, ფურც. 270
[115] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 1, ფურც. 269

დროშის ქვეშ გაერთიანების და დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის. გარდა აღნიშნულისა, ჩვენ ვწერდით, რომ თითქოს მსოფლიო ბობოქრობს და დგება კრემლის ჯალათების განკითხვის დღე, თითქოს თბილისში და ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი სისხლი სამართალს ითხოვს და რომ თითქოს მათი აღსასრული მოახლოებულია. წერილში ძმურ სალამს და თანადგომას ვუცხადებდით უნგრელ ხალხს და ვწერდით, რომ თითქოს ყველა დამონებული ერისთვის იქცეს მაგალითად უნგრელ ხალხთა მოქმედება და მოუწოდებდით ქართველებს საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის ლოზუნგის განხორციელებისაკენ და ვწერდით, ძირს რუსი ოკუპანტები და მოღალატე ქართველი კომუნისტები. ფურცელს ვამთავრებდით შემდეგი წარწერით: რომელი მოღალატე ამას ჩამოხსნის სიკვდილი არ ასცდება!“[116] ამის პარალელურად ანატოლ მიქაძემ ჩამოაყალიბა სოფელ მარნში არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, სადაც ხუთი პიროვნება იყო გაწევრიანებული. მათ მიზანს წარმოადგენდა გაევრცელებინათ ანტისაბჭოთა ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდა ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

როგორც თამაზ გუნჯუას დაკითხვიდან ირკვევა: „დაახლოებით ჩვენმა არალეგალურმა ჯგუფმა ჩაატარა 10 არალეგალური შეკრება, ამათგან მეტრეველისა და დოჩანაშვილის ბინაზე თითოჯერ, ერთიც 26 კომისრების სახელობის ბაღში, დანარჩენი კი ზვიად გამსახურდიას სახლში. აღნიშნულ არალეგალურ შეკრებებში სხვა წევრებთან ერთად მეც ვიღებდი მონაწილეობას.“[117] არალეგალური ჯგუფის წე-

[116] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 1, ფურც. 364-365
[117] შსს, ფ. 6, საქ. №1322-56, ტ. 2, ფურც. 101

ვრებს გააჩნდათ თავისი ფიცის ტექსტი, რომელიც შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოლებდა ერთგულად და პირნათლად.“[118]

აღნიშნული გაერთიანების მიზანს წარმოადგენდა: 1. ჯგუფის რაოდენობის გაზრდა ახალი წევრების მიღების გზით; 2. ფულადი ფონდის შექმნა ჯგუფის მუშაობისათვის; 3. საბჭდი მანქანის შეძენა; 4. ანტისაბჭოთა ფურცლების დამზადება და გავრცელება; 5. სხვა არალეგალური ჯგუფის დადგენა და მასთან კავშირის დამყარება.“[119]

XX საუკუნის 70-იან წლებში ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა უკავშირდება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელებს. მათ, თავისი მოღვაწეობით ახალი ერა დაიწყეს საქართველოს ისტორიაში. ბუნებრივია, რთული იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა ეროვნული ძალები მაქსიმალურად ცდილობდნენ დასახული მიზნის მიღწევას. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი თამამი ნაბიჯი იყო 70-იან წლებში ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ და „ოქროს საწმისის“ გამოშვება, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა. საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ არ დაეშვათ ეროვნული ძალების საქმიანობის განვითარება-აღმავლობა, მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო იკვეთებოდა საბჭოთა რეჟიმის სისუსტე. თავის მხრივ, აღნიშნული ვითარების გამოყენებას ცდილობდა ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი.

რა ფაქტორებმა განაპირობა ქართული დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბება?

---

[118] იქვე, ფურც. 112

[119] იქვე, ფურც. 155

1. როგორც უკვე აღვნიშნე, დისიდენტურ მოძრაობას საფუძველი ეყრება როგორც საბჭოთა სისტემაში მთლიანად, ისე კერძოდ, საქართველოში. XX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბებული დისიდენტური მოძრაობის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს შორის მიმართავდნენ ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებას, სწორედ ამ მოტივით იყვნენ ისინი დაპატიმრებული 1977 წელს.

1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის შემდეგ, 1970 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი. დაახლოებით იმავე პერიოდში მოსკოვშივე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი. 1974 წელს კი ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში ჩამოყალიბდა, რომელსაც მოგვიანებით „ჰელსინკის ჯგუფი“ ეწოდა. მის მთავარ ამოსავალ პრინციპს და ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლება.

2. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ხრუშჩოვი ცდილობს საკუთარი პერსონის გამოკვეთის და ამაღლების ფონზე სტალინის სახელის დამცრობას და ე. წ. „ჰუმანური“ მეთოდების გამოყენებით საზოგადოების ფართო ფენების გულის მოგებას. აღნიშნული პოლიტიკის გამგრძელებლად გვევლინება ლეონიდ ბრეჟნევი. სწორედ ჯერ ხრუშჩოვის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა 1956 წელს უნგრეთში მომხდარი მოვლენები, სადაც ამბოხებულთა მიზანს წარმოადგენდა უნგრეთის საბჭოთა

სისტემისაგან გამოყოფა და შემდეგ ბრეჟნევის დროს, ანალოგიური მოვლენების განვითარება 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში. მართალია, ამ გამოსვლებს რეალური შედეგი არ მოუტანია, თუმცა მსოფლიოს მიეცა საშუალება, რომ ნათლად დაენახა საბჭოთა რეჟიმის აგრესიული მეთოდები.

3. ზემოთაღნიშნული მოვლენები გარკვეული საფუძველის ჩამყრელი გახდა დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებისა საქართველოში. განსაკუთრებული გავლენა იქონია 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმა. ხრუშჩოვის მიერ განხორციელებულ ქმედებას პროტესტით უპასუხეს ქართველებმა და მათ შორის ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, რომლებმაც გარკვეული ჯგუფის შექმნით და ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებით თავისი პროტესტი გამოხატეს საბჭოთა რეჟიმის მიმართ.

დისიდენტური მოძრაობისთვის დამახასიათებელი იყო საკუთარი თვითგამოცემების არსებობა. ეს პროცესი ეხებოდა, როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად საბჭოთა კავშირს. როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში XX საუკუნის 70-იან წლებში გამოიცა „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა, ვიწრო წრეების მასშტაბით და საზოგადოების ფართო ფენებში ასახვა არ ჰქონია. ეს ფაქტორი შემდეგი გარემოებებით იყო განპირობებული: 1. საწყის ეტაპზე დისიდენტური მოძრაობა ისეთი სიმძლავრით არ გამოირჩეოდა, რომ გავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე. 2. ამას ხელს უშლიდა საბჭოთა სისტემის არსებობა, რომლის პირობებში აქტიური ნაბიჯების გადადგმა სირთულეს წარმოადგენდა. 3. დისიდენტური

მოძრაობა დიდი მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდა.

საბჭოთა კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით საქართველოში დისიდენტები ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს საბჭოთა სისტემისაგან გამოყოფას. დასახული მიზანი კი მარტივად მისაღწევი ნამდვილად არ იყო. მართალია XX საუკუნის 70-იან წლებში უკვე ნათლად იყო გამოკვეთილი საბჭოთა რეჟიმის კრიზისი, თუმცა მისი მძლავრი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური რესურსი ჯერ კიდევ არ იძლეოდა მასში შემავალი სახელმწიფოების განთავისუფლების საშუალებას.

მართალია, ქართველი დისიდენტები თავისი მოღვაწეობის ფარგლებში ცდილობდნენ შეხებოდნენ ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საქართველოს განვითარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, თუმცა მათი ეს მცდელობა ხშირად უშედეგოდ სრულდებოდა. რა განაპირობებდა ამ ფაქტს? 1. მართალია, დისიდენტური მოძრაობა ჩამოყალიბებას იწყებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც და წესით ამ გარემოებას გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს მდგომარეობაზე, მითუმეტეს, რომ კავშირი ქართველ და რუს დისიდენტებს შორის არსებობდა და საქართველოში არალეგალურად ვრცელდებოდა რუსი დისიდენტების ლიტერატურა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული განსხვავებული ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს გზა არსებითად რადიკალური იყო, რაც პირველ რიგში გამომდინარეობდა იქიდან, რომ ქართველი დისიდენტების მთავარ მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა.

რუსი დისიდენტების ძირითადი ამოსავალი პრინციპი ადამიანის უფლებების დაცვა იყო. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა მნიშვნელობას მოკლებული არ იყო, რაც საბჭოთა რეჟიმის პირობებში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირი არ უშვებდა აზრის თავისუფლად გამოვლენის საშუალებას და აღნიშნული მიმართულებით გააქტიურება ხელს შეუწყობდა საზოგადოების ფართო ფენების უფლებების დაცვას, თუმცა ეს რუსეთში და საქართველო მთელი თავისი არსებობით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აქ არა მხოლოდ ადამიანის უფლებები იყო დასაცავი, არამედ ეროვნულიც. ეს ფაქტი, კი ბუნებრივია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის განსხვავებული გზით განვითარების საშუალებას იძლეოდა. 2. იმისთვის, რომ გარკვეული იდეა გავრცელდეს საზოგადოებაში პირობების შექმნა და ცნობიერების მომზადებაა საჭირო. მართალია, ქართული საზოგადოება აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ სამშობლო სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, მაგრამ ბრძოლის დაწყება და გააქტიურება არც ისე მარტივი იყო. საზოგადოების დიდი ნაწილი მიჩვეული იყო საბჭოთა რეჟიმს და გადატანილი რეპრესიების მასშტაბებიდან გამომდინარე გარკვეული შიშის გრძნობაც არსებობდა. მას სჭირდებოდა მომზადება იმისთვის, რომ ბრძოლა დაეწყო. ისე როგორც XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, როდესაც თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით იწყებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის და განმტკიცებისთვის, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა XX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში. ადრე ბრძოლა მიმართული იყო მეფის რუსეთის,

ახლა კი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ 117 წელი საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ 1921 წლიდან საბჭოთა რეჟიმის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა შეიძლება ითქვას მოდუნებული ჰქონდა ბრძოლის უნარიც და ეროვნული აზროვნებაც. ამიტომ ქართველ დისიდენტებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლებისთვის, მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირი მნიშვნელობით და აზროვნებითაც საბჭოთა რუსეთის ტყვეობაში იმყოფებოდა. 1921 წლიდან ჩამოყალიბებული მძლავრი მექანიზმის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ძალადობრივი თუ იდეოლოგიური საშუალებით მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების დასუსტებას და საკუთარი, მისთვის მისაღები იდეის დამკვიდრებას. განსხვავება XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მოღვაწეებს შორის ის იყო, რომ ამ უკანასკნელთ უფრო ნაკლები საშუალება ჰქონდათ პრესის თუ სხვა მეთოდებით ეროვნული აზრის გავრცელებაში. 3. ისევე, როგორც XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ეროვნული მოღვაწეების მიზანს წარმოადგენდა დასავლეთის ყურადღების მიპყრობა და იქ არსებული სისტემის გადმოღება საქართველოში, XX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი დისიდენტები მაქსიმალურად ცდილობდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარების მოპოვებას და მათი მეშვეობით მსოფლიოს ინფორმირებას საბჭოთა რეჟიმის მეთოდების სისასტიკეში. დისიდენტ ავთანდილ იმნაძის საქმეში ვკითხულობთ: „1978 წლის იანვარში იმნაძემ ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძის წინადადებით (გასამართლებულია ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის) შემდგომში საზღვარგა-

რეთ გადასაცემად გავრცელების მიზნით, ფოტოწესით გადაიღო რცხილაძის მიერ ანტისაბჭოთა შინაარსის პასკვილი „ინფორმაცია“ და „კრიტიკა“, რომელშიც გარდა ცილისწამებისა, საბჭოთა სინამდვილეზე არის მოწოდება საბჭოთა წყობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ფოტოფირი, რომელზეც გადაიღო „ინფორმაციისა“ და „კრიტიკის“ სრული ტექსტი იმნაძემ თავისი ინიციატივით, ასევე უცხოეთში გავრცელების მიზნით დაურთო მის მიერ 7 ნოემბერს გავრცელებულ ანტისაბჭოთა ხასიათის ფურცლების ასლი და გადასცა რცხილაძეს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ინფორმაცია“ და „კრიტიკა“ შედგებოდა ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური მონაჭორებისაგან, გამოთქმული იყო მუქარა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურთა მიმართ, ქება-დიდებით იყვნენ მოხსენებული საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები, რომლებიც 1922-1924 წლებში იარაღით ხელში ებრძოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას.

1978 წლის თებერვალში იმნაძემ შეადგინა და გაამრავლა 700-800 ეგზემპლარის საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების სახელის გამტეხი ცილისმწამებლური მონაჭორების შემცველი ფურცლები, რომლებიც 1978 წლის 17 თებერვალს გაავრცელა, თბილისის უნივერსიტეტის ახალ და ძველ შენობაში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის VI კორპუსში, რუსთაველის გამზირზე მდებარე №52 სახლისა და თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ლენინის მოედანთან.“[120]

ქართული დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვალენტინა ფაილოძე დაკითხვისას

[120] ფ. 6, საქ. №29246, ტ. 6, ფურც. 74-75

აღნიშნავს: „წინა წლებში, მხედველობაში მაქვს 1974 წლის მარტის თვემდე ე. ი. ჩემს დაპატიმრებალმდე მე ვახდენდი წერილების დამზადებას, შედგენას, რომელთა შინაარსი აგებული იყო სახარების ცალკეული მუხლების განმარტებაზე. სახარების ცალკეული მუხლების განმარტების მიხედვით წერლებში ვწერდი კომუნისტური წყობა არ იყო და არ არის ხალხის კეთილდღეობის მომტანი. აღნიშნული წერილების გადაცემას ვახდენდით საზღვარგარეთ ტურისტებზე გადაცემის მეშვეობით და ამას ვაკეთებდი იმ პერიოდში, როდესაც მე ვმუშაობდი სვეტიცხოვლის ეკლესიაში მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელად. თუ რამდენი წერილი მაქვს გადაცემული ტურისტებზე ან რომელ სახელმწიფოდან იყვნენ ტურისტები, რომელთაც გადავეცი წერილები და კონკრეტულად თუ რომელ შემთხვევას რომელ წელში ჰქონდა ადგილი ეს ამჟამად არ მახსოვს და არ შემიძლია ასეთის დასახელება. ტურისტებზე ზემოაღნიშნული წერილების გადაცემას უფრო სწორად მათ დამზადებას და გადაცემას ვახდენდი ვინმე კონკრეტული პირის წინადადების გარეშე. ამას ვაკეთებდი უშუალოდ ღვთის დავალებით. აღნიშნული დოკუმენტები ასევე ვრცელდებოდა ჩემს მიერ რესპუბლიკის ფარგლებში.“[121]

აქვე საინტერესოა შევაფასოთ 1. რა როლი ეკავა ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ზოგადად ქრისტიანობას? და 2. რა მეთოდებს მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლება ქრისტიანობის წინააღმდეგ?

1. ქართველი დისიდენტების მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვასთან ერთად საქართველ-

[121] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 6, ფურც. 41

ოს სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. მათ სამოქმედო პროგრამაში შეიძლება ითქვას დიდი ადგილი ეკავა ყველა იმ საკითხს, რომელსაც საბოლოო ჯამში საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიყავდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ისნი ხშირად აკრიტიკებდნენ სამღვდელოებას ეკლესიის სრულყოფის მიზნით. ამასთან ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა რეჟიმის მომხრე პირების გაძლიერება და დამკვიდრება ეკლესიაში. 1975 წელს ჟურნალ „ოქროს საწმისში“ ელისაბედ ქავთარაძე სტატიაში „ქვეყანა დაკარგული საფლავებისა“ აღნიშნავდა: „რელიგია ხომ უფრო თავდაცვის დროშა იყო, ვიდრე ცეცხლით და მახვილით ღმერთმსახურობა, აზრის მეტაფიზიკური მწვალებლობა, მისტიურ ჭვრეტის ბინდ-ბუნდები და ასე შემდეგ. თვით ჩვენი ეკლესიაც თავიდანვე ცეცხლის ხაზზე იყო გამოსული. უმაგალითო მსხვერპლის გაღებით იგი გვერდში ედგა არაქათგამოცლილ ხალხს ბრძოლა-გადარჩენის მძიმე საქმეში, უდიდესი წვლილი შექონდა ეროვნული კულტურის საგანძურებში და უფრო მეტიც: ცნობიერეად თუ შეუცნობლად, ეროვნული გამძლეობის ერთ-ერთი კატალიზატორის როლი მან შეასრულა.“[122] სწორედ ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა. 1976 წლისთვის საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო. „...ეკლესიას თანდათან შეუმცირდა მრევლი, ეკლესიები იკეტებოდა ზედიზედ, 35 მოქმედი ეპარქიიდან 100-მდე საეკლესიო პირია /ყველა თანამდებობის/, კურსებში სწავლობს ყოველწლიურად 13 კაცი. საქართველოს ეკლესიის უკიდურეს ჩაგვრაზე და დის-

[122] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 44, ფურც. 210

კრიმინაციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს საეკლესიო ჟურნალი, მაშინ როდესაც ასთი ჟურნალები არსებობს რუსეთში, სომხეთში, ბალტიისპირეთში და უკრაინაში. საქართველოს ეკლესიას არ აქვს არავითარი პუბლიკაციების უფლება /გარდა კალენდრისა/, არ არსებობს სასულიერო სემინარია, ხოლო ის კურსები, რომელნიც მის მაგივრობას სწევენ, ახალგაზრდებს არაფერს ასწავლიან გარდა საეკლესიო რიტუალისა და ხუცური ანბანისა /ფიქტიურად არსებობს დანარჩენი საგნები: ეკლესიის ისტორიის, საღვთო წერილი და სხვა, თუმც ლექციები ამ საგნებში არ იკითხება/. კურსებზე სწავლობს ყოველწლიურად 13-მდე კაცი, ხოლო თვითეული გამოშვება უდრის სამ სამღვდელო პირს.“[123]

2. საბჭოთა კავშირი მთლიანად კრძალავდა რელიგიას და რელიგიურ დაწესებულებებს. ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მთავარ რელიგიად კომუნიზმს აღიარებდა. „იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურეს საქართველოში კომუნისტებმა რჩეული სამღვდელოება, ან როგორ მოახდინეს მათი დემორალიზება, როგორ ჩააცვეს ანაფორა ჩეკისტებს, როგორ აქციეს ეკლესია სამასკარადო ადგილად, რომელიც მხოლოდ უცხოთა თვალის ასახვევადაა დატოვებული, ამის შესახებ მთელი ეპოპეა შეიძლება დაიწეროს. 1921 წლიდან ათეიზმი ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა. დაიწყო ტოტალური ომი ქრისტიანობის წინააღმდეგ, ეკლესიების ნგრევა, საყოველთაო აგიტაცია. ფარულად კი – ეკლესიის დემორალიზაცია, ჭეშმარიტ ქრისტიანთა განადგურება...

[123] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 8, ფურც. 23-24

...ყველაზე საზარელი საქმე უშიშროების კომიტეტისა არის მისი ფარული ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. საეკლესიო თანამდებობებისათვის არჩევენ არა მხოლოდ ათეისტებს, არამედ კრიმინალურ და პათოლოგიურ ათეისტებს. ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ხალხს ეკლესია შეაძულონ. ასეთი სასულიერო პირები ამოკლებენ და ამახინჯებენ საეკლესიო რიტუალებს, ეწევიან ფულის გამოძალვას, ათასგვარ უხამსობასა და გარყვნილებას.“[124]

ქართველი დისიდენტების მცდელობას დაეცვათ ეროვნული იდეალები და განემტკიცებინათ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება უშედეგო აღმოჩნდა და 1977 წელს დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. „საქართველოში პატრიოტთა წინააღმდეგ ჩატარებული რეპრესიები შეიძლება განხილულ იყოს, როგორც იმ საერთო რეპრესიული ტალღის ნაწილად, რომელიც გავრცელდა სსრკ-ში, როდესაც 1977 წელს თებერვლიდან მოსკოვში დააპატიმრეს „ჰელსინკის“ ჯგუფის ხელმძღვანელი დოქტორი იური ორლოვი და შემდეგ ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი. მალე უკრაინაშიც დაპატიმრებულ იქნა ამ ჯგუფის ორი უკრაინელი წევრი /ერთ-ერთი მათგანია უკრაინელი მწერალი ნიკოლა რუდენკო/, ასევე ლიტვაშიც.

საქართველოში რეპრესიები ფაქტიურად დაიწყო 1977 წლის მარტის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში კულტურის სამინისტროში შევიწროება და ფაქტიური „დევნა“ გამოუცხადეს „ჰელსინკის“ ჯგუფის აქტიურ წევრს, ისტორიკოს ვიქტორ რცხილაძეს. ხელისუფალთა გაღიზიანება რცხილაძის მიმართ, გარდა მისი მოღვაწეობისა თვითგამოცემისეულ

[124] შსს, ფ. 6, საქ. №29237-79, ტ. 7, ფურც. 156-157

ჟურნალებში, გამოწვეული იყო კიდევ იმით, რომ იგი, როგორც კულტურის ძეგლთა ინსპექტორის უფროსი, ზ. გამსახურდიასთან ერთად, დაუფარავად ააშკარავებდა და უჩიოდა ყველა ხელმისაწვდომ ინსტაციებში, საბჭოთა რუსეთის არმიის სარდლობას მათი ბარბაროსობის გამო, როდესაც ისინი ათეული წლების მანძილზე არტილერიის ცეცხლით სპობდნენ 30 კმ-ზე გადაჭიმულ კლდეში გამოკვეთილი VI საუკუნის დავით გარეჯის მონასტრის სენაკებს უნიკალური ფრესკებით. ვიქტორ რცხილაძისადმი ხელისუფალთა გაღიზიანება გამოწვეული იყო იმით, რომ ეს უკანასკნელნი რცხილაძისაგან, როგორც სამინისტროს განყოფილების ხელმძღვანელებისაგან, არ მოელოდნენ ასეთ „ზურგში დარტყმას“.

არსებული ცნობის თანახმად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ში დაბარებულ იქნა კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი, 1943 წლიდან კომპარტიის წევრი უჩა სერგოს ძე ბაქრაძე, რომელსაც დაავალეს „ნიადაგი მოემზადებინა“ ვიქტორ რცხილაძის მოხსნისათვის. ....ვიქტორ რცხილაძეს ერთ-ერთ მთავარ დანაშაულად ეკლესიაში სანთლის დანთება ჩაუთვალეს და მოხსნეს თანამდებობიდან.“[125]

1977 წელს 7 აპრილს დაპატიმრებულ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან დაკავშირებულ საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია: „წლების მანძილზე საბჭოთა ხელისუფლების დასუსტების მიზნით ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდას, ამზადებდნენ, ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული განწყობილების გამომხატველ ლიტერატურას და სხვა მასა-

[125] შსს, ფ. 6, საქ. №29237, ტ. 9, ფურც. 7-8

ლებს, სხვადასხვა გზით იძენდნენ და გავრცელების მიზნით ინახავდნენ, ან ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ როგორც ჩვენს ქვეყანაში არალეგალურად დამზადებულ, ისე საზღვარგარეთ გამოცემულ თხზულებებს, რომლებიც დამახინჯებულად წარმოგვიდგენდნენ საბჭოთა სინამდვილეს, შეიცავდნენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების სახელისგამტეხ ცილისმწამებლურ მონაჭორს, აგრეთვე მოწოდებებს მისი დამხობისათვის საბრძოლველად."[126] ამასთან დაკავშირებით კი ზვიად გამსახურდია წერდა: „მე დავიბადე ისეთ სახელწიფოში, სადაც თავისუფალი პიროვნება, საკუთარი სინდისის კარნახით მოქმედება, ჭეშმარიტი იდეალის სამსახური მიუტევებელ დანაშაულად ითვლება. საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია: 1) ყალბი დოგმების მიხედვით აზროვნება 2) სხვისი საეჭვო სინდისის კარნახით მოქმედება 3) ყალბი იდეალის სამსახური. ამ იდეალის განხორციელებისა თვით მცირეწლოვან ბავშვებსაც არ სჯერათ.

კომუნიზმი არის უტოპისტების მიერ შეთხზული ზღაპარი, რომელიც ანარქიზმს წარმოადგენს ჩვენს ეპოქაში ...რადიო, ტელევიზია, პრესა ჩაგდებული აქვს ტოტალიტარულ ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს ხალხის ინტერესების, მისი გულისა და გონების დახშობას.

1956 წელმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო აქტიური ბრძოლა ბოროტმოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლისთვის დამაპატიმრეს. ჩვენ დაგვწამეს ხულიგნობა და მოქალაქეთა შეურაცხყოფა, მაგრამ ნახსენები არ იყო ანტისაბჭოთა საქმიანობა. ეს მიმართული იყო მამაჩემის წი-

[126] შსს, ფ. 6, საქ. №29218, ტ. 63, ფურც. 30

ნააღმდეგაც.“[127] 1977 წელს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით მორწმუნეთა უფლებების დაცვის ქრისტიანული კომიტეტის წევრები სსრკ-ში: მღვდელი გლებ იაკუნინი, მთავარდიაკონი ვარსონოფიი ხაიბულინი, ვიქტორ კაპიტანჩუკი მიმართავენ მსოფლიო საზოგადოებას: „კიევში რუდენკოსა და ტიხის, მოსკოვში ორლოვისა და გინზბერგის დაპატიმრების შემდეგ თბილისში სუკ-ის ორგანოებმა დააპატიმრეს ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულების მეთვალყურე ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია და ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული კომიტეტის წევრი მერაბ კოსტავა, ორივე ქრისტიანები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევრები არიან.

გამსახურდიას და კოსტავას მოღვაწეობა მიმართული იყო ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, რელიგიის დაცვისათვის, ქართული ეკლესიის თავისუფლების ფერხთქვეშ გათელვის წინააღმდეგ. კერძოდ, ისინი გამოდიოდნენ ქართული რელიგიური და ნაციონალური წმიდათაწმიდა ადგილის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასაცავად, რომელიც ამჟამად ინგრევა იმის გამო, რომ სადაც ეს კომპლექსი მდებარეობს, საარტილერიო პოლიგინად აქციეს.“[128]

1978 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრების შემდეგ დისიდენტმა ავთანდილ იმნაძემ გაავრცელა პროკლამაციები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და მოუწოდებდა საზოგადოებას ებრძოლათ არსებული სისტემის წინააღმდეგ. ამავე დროს აღინიშნა ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავი და აღნიშნულ დოკუმენტში ამ მოვლენის მიმართაც იყო გამოთქმუ-

[127] შსს, ფ. 6, საქ. №29218, ტ. 64, ფურც. 12
[128] შსს, ფ. 6, საქ. №29237, ტ. 9, ფურც 30

ლი პროტესტი. „რას ვზეიმობთ?! ვის ვუკრავთ ტაშს?! ნუ გადავიქცევით ბრბოდ! გავანთავისუფლოთ ჩვენი აზროვნება კომუნისტურ-დემაგოგიური იდეოლოგიის არტახებიდან; იდეოლოგიისა, რომელიც სიცრუესა და სიყალბეზეა აგებული. სწორედ ამიტომ ახშობენ თავისუფალ აზრს ციხეებით, იძულებითი შრომის ბანაკებით და ფსიქიატრიული საავადმყოფოებით. ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავი არის 60 წლისთავი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ყველაზე ტირანული სისტემისა.

ჯერ არსად, არასოდეს არც ერთ სისტემას არ დაუმონებია ხალხი ისე, როგორც ეს გააკეთა საბჭოთა სისტემამ, საბჭოთა იმპერიამ, ამ ერთიანმა კომუნისტურმა საპყრობილემ, რომელშიც იძულებით არიან შერეკილნი დაპყრობილი ერები. კომუნისტურმა დიქტატურამ ერთხანს მიითვისა სახელი „პროლეტარიატის დიქტატურისა“. მაგრამ, არსად არასოდეს არცერთ სისტემას მუშა ისეთ საცოდავ მდგომარეობაში არ ჩაუყენებია, როგორც ეს მან გააკეთა. კომუნისტური დიქტატურა მიმართულია საზოგადოების ყველა ფენის წინააღმდეგ.“[129] აღნიშნული მოწოდების მთავარი მიზანი იყო საზოგადოების დარწმუნება-გათვითცნობიერება საბჭოთა რეჟიმის უსამართლობაში. მართალია, ამ ყოველივეს უკვე ნათლად აცნობიერებდა ყველა სოციალური ფენა, თუმცა ერთიან ლოზუნგად ჩამოყალიბებულ მიმართვას ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდების როლი უნდა შეესრულებინა. როგორც აქაც არის აღნიშნული 60 წელი არც ისე ცოტა დროა იმისთვის, რომ საზოგადოება მიხვდეს რა მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ არსებული ვითარებიდან გამომდინარე მა-

[129] შსს, ფ. 6, საქ. №29246-79, ტ. 5, ფურც. 34

სობრივი პროტესტი წარმოუდგენელი იყო. ტოტალიტარული რეჟიმი ყველას და ყველაფერს ეხებოდა და ნებისმიერი გამოსვლა, რომელსაც ეროვნული შეფერილობა ექნებოდა კრახით ასრულებდა არსებობას. მაგრამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ვითარება რადიკალურად იცვლება, თავისუფალ აზრს მეტი გასაქანი ეძლევა და ქართული საზოგადოების ეროვნულად მოაზროვნე ნაწილიც მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ეს მოწოდება საინტერესო და მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მართალია მიმართვა ყველა სოციალურ ფენაზე ვრცელდება, თუმცა აქცენტირებულია მუშა, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა. მისი მდგომარეობის წინა პლანზე წამოწევით პროკლამაციის ავტორი ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ყველა უფლებაშეზღუდული და უფლებაშელახულია.

დაახლოებით ასეთი აზრია გატარებული უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც გაავრცელეს ნორვეგიელმა და ფრანგმა ტურისტებმა. აქ აღნიშნულია: „ჩვენი **გლეხის** შრომა კომპარტიამ გადააქცია ყველაზე უფრო შავ, ყველაზე უფრო უმადურ სამუშაოდ. ქვეყნის დამპურებელი კაცი წარმოადგენს უმიწაწყლო მოჯამაგირეს, უპასპორტო ყმას. მისი შრომა მას არ ეკუთვნის. მას არ ეკუთვნის თვით მისი საკარმიდამო ნაკვეთი, მისი წართმევა ყოველთვის ძალუძს ხელისუფლებას. მას პაიკივით ამოძრავებენ აქეთ-იქით: თუ იგი მოისურვებს სადმე წასვლას, მას არ აძლევენ პასპორტს; თუ მოისურვებს დარჩენას ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, მას ასახლებენ გადიდებულ დასახლებებში. მათხოვრული ულუფის ამარა ხნავს იგი სხვის მიწას

სხვისივე ინვენტარით, რომლისთვისაც თავად იხდის მრავალგზის.

ჩვენი **მუშა**, რომლის სახელითაც კომპარტია მართავს ქვეყანას, ექვემდებარება მის მონოპოლიას. თვითმარქვია ბატონები – ცკ და პოლიტბიურო – სწყვეტენ ყველას ბედ-იღბალს. სუპერკაპიტალისტების ძალაუფლებისაგან გაქცევა შეუძლებელია, აკრძალულია მათ წინააღმდეგ გაფიცვა, მათ ვერსად უჩივლებ. ადამიანი გადაქცეულა ჭანჭიკად იმ მანქანისა, რომელსაც მართავს უსულგულო აპარატი. მისი მომავალი უნუგეშოა. ქალის უმძიმესი შრომა არსებობის შესანარჩუნებლად, ანადგურებს ჯანმრთელობას და ანგრევს ოჯახს. შრომის უსახობა, ცხოვრების უიმედობა და სიცარიელე, დათრგუნული ადამიანური ღირსება იწვევენ განურჩევლობას.

ინტელიგენცია გადაქცეულია რეჟიმის ლაქიად. მისი ტრადიციული ამოცანაა – იყოს საზოგადოების სინდისი და გონება. მას კი აიძულებენ დიქტატურის გამართლებას, განმტკიცებას და განდიდებას. მეცნიერება, კულტურა, განათლება, კანონი, ეთიკა – ყოველივე ეს მოვალეა ემსახუროს კომპარტიის ინტერესებს, განამტკიცოს მისი განუსაზღვრელი ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაზე და განამტკიცოს მისი ზეგავლენა მთელ მსოფლიოში.

გაძარცვულნი არიან გლეხები: მათ წართმეული აქვთ თავისუფალი შრომის უფლება თავიანთ მიწაზე. გაძარცვულნი არიან მუშები: მათ წართმეული აქვთ გააზრებული შრომის უფლება. გაძარცვულია ინტელიგენცია: მას წართმეული აქვს თავისუფალი აზროვნების უფლება. გაძარცვულია მთელი ხალხი: მას წართმეული აქვს ტრადიციები, სარწმუნოება,

ღირსება, კეთილდღეობა, თავისი ბედის წარმართვის უფლება.“[130]

საინტერესოა რა შეფასებას აძლევდა საპირისპიროდ საბჭოთა ხელისუფლება დისიდენტების მოღვაწეობას. „...ისინი ავრცელებენ სხვადასხვა მონაჭორებს, წერენ პროტესტებსა და მიმართვებს, რომლებშიც აღვირახსნილ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწევიან ჩვენი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, მთლიანად ჩვენი წესწყობილების წინააღმდეგ...

1977 წლის იანვარ-მარტში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელება ჰპოვა არალეგალური წესით დამზადებულმა ჟურნალებმა „ოქროს საწმისი“ №4-მა და „საქართველოს მოამბის“ პირველმა და მეორე ნომრებმა. ამ ჟურნალებში იყო ცილისწამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, დამახინჯებული სახით შუქდებოდა საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა, აგრეთვე იყო სხვა მონაჭორი, რომელიც სახელს უტეხდა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, განდიდებული იყვნენ პირები, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს, ხდებოდა პროპაგანდა ანტისაბჭოთა მასალებისა და მათ შორის საზღვარგარეთული ანტისაბჭოური ორგანიზაციის „სახალხო შრომითი კავშირის“ ფურცლისა, რომელიც შეიცავს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოწოდებებს.“[131]

სინამდვილეში აღნიშნულ ჟურნალებში შუქდებოდა ეროვნული საკითხის ამსახველი სხვადასხვა მასალა, რაც პირველ რიგში ქართველთა შორის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას ემსახურებოდა.

---

[130] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 19, ფურც. 143

[131] შსს, ფ. 6, საქ. №29218, ტ. 64, ფურც. 2

მაგალითად ჟურნალ „საქართველოს მაომბის“ პირველ ნომერში წარმოდგენილი იყო ინფორმაციები, განათლების, რელიგიის, კულტურის და სხვადასხვა საკითხებზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგანმანათლებლო საკითხის გაშუქებას. „1957-1958 წლებში მოსკოვმა დასვა საკითხი ნაციონალურ რესპუბლიკათა სკოლებში ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების გაუქმებისათვის. ეროვნული ისტორია უნდა ესწავლებინათ სსრკ-ს ისტორიასთან ერთად, ფაქტიურად რუსეთის ისტორიას რომ წარმოადგენს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ასე რომ, ცხრილში, ჟურნალსა და დიპლომში აღარ აღინიშნებოდა საქართველოს ისტორია. ამჟამად საქართველოს ისტორიას განკუთვნილი აქვს 65 საათი და მას ასწავლიან მაღალ კლასებში ოთხი წლის განმავლობაში სსრკ-ს ისტორიასთან ერთად.

განაწილება საათებისა კლასების მიხედვით ასეთია: VII კლასში საქართველოს ისტორიას ეთმობა 35 საათი, ერთიანი ოდენობის ნახევარზე მეტი და მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. /ამავე კლასში საქართველოს ისტორიას ეთმობა 70 საათი/. VIII, IX და X კლასებისთვის რჩება მარტოოდენ ათ-ათი საათი და ამ სამი წლის მანძილზე სწავლობენ მხოლოდ XIX-XX საუკუნეების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ 1957-1958 წლებამდე ამ პერიოდს საქართველოს ისტორიისას სკოლებში საერთოდ არ ასწავლიან. მაშინ საქართველოს ისტორია ცალკე ისწავლებოდა საკმაოდ კარგად შედგენილი სახელმძღვანელოთი /ავტორები: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია/. ამ სახელმძღვანელოთი ძირითადად ორი წლის მანძილზე, IX-X კლასებში ასწავლიდნენ და იგი მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასა-

წელისამდე. თითოეული კლასისათვის 1948-1952 წლებ-ში განკუთვნილი იყო 66-66 წლიური საათი: სულ 132 საათი, ხოლო 1953-1958 წლებისათვის საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს ეთმობოდა 99 საათი / IX კლასი-49 საათი, X კლასი-50საათი/, მაშინ როდესაც ამჟამად ამ ძირეულ და უვრცელეს პერიოდს საქარ-თველოს ისტორიისას, ეთმობა მხოლოდ 35 საათი. გარდა ამისა, IV კლასში არის უფლება სსრკ-ს ის-ტორიის რთულად შედგენილი მასალებიდან, რომელ-იც 70 საათს მოიცავს, 15 საათი დაეთმოს საქართვე-ლოს ისტორიას. თანაც ამ სახელმძღვანელოს კურსი იქითკენაა წარმართული, რომ მისი 2/3 დაეთმოს სა-ბჭოთა პერიოდს, ხოლო 1/3 რევოლუციამდელ პერი-ოდს. სასკოლო განათლების მესვეურებში არსებობს აზრი, რომ ფეოდალური პერიოდის ისტორია, მეფეთა და გარდასული დროის გმირთა ცხოვრებაზე ყურად-ღების გამახვილება საჭირო არ არის, რომ ეს ხელს უშლის მარქსისტულ-ინტერნაციონალური სულისკვე-თებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ამ აზრე-ბს მოსკოვის კარნახითა თუ საკუთარი ინიციატივით განსაკუთრებით ნერგავდა ამ ბოლო ხანებში საქა-რთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ედუ-არდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ამგვარად, ბა-ლანსი სსრკ-ს /იმავე რუსეთის/ და საქართველოს ისტორიის სწავლებას შორის თითოეულ კლასში ამ-გვარია: სსრკ-ს ისტორია 105 საათი – საქართველოს ისტორიაა დაახლოებით 15 საათი. თუკი პეტრე დი-დის პერიოდს ხმარდება 8 საათი, ივანე III-ისას და IV-ისას ერთად 10 საათი, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ცალკ-ცალკე თითო საათი.“[132]

[132] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 8, ფურც. 11

დოკუმენტებში დაცულია აგრეთვე შემდეგი ხასიათის ინფორმაცია: 1958 წლის 26 აგვისტოს საქართველოს განათლების სამინისტროში მოწვეულ ისტორიკოსთა თათბირზე ნიკოლოზ სამხარაძემ, რომელიც იყო I საშუალო სკოლის მასწავლებელი განაცხადა: „...მილიონები იმისთვის როდი ღვრიდნენ სისხლს, რომ სულ მალე წაართმევდნენ სისხლით მოპოვებულ ეროვნულ თუ სოციალურ თავისუფლებას, მათ შვილებსა და შვილიშვილებს მამა-პაპათა ისტორიის შესწავლასა და თავისუფალ აზროვნებას აუკრძალავდნენ. დღეს ასე ისმის საკითხი: უარყოფა, ხელის აღება ჩვენთა წინაპართა სახელოვანი წარსულის ხსოვნისა, ეს ნიშნავს აწმყოშიც და მომავალშიც ბრმად მივდიოთ და მივყვეთ მბრძანებლის ნებას, შევეთვისოთ და შევესისხლხორცოთ მას...

...ერი ცხოვრობს არა მარტო აწმყოთი, არამედ წარსულითა და მომავლით. წარსული არის საფუძველი და დიდი შემეცნებითი განძი, რომელიც გვაუწყებს, თუ რას იქმოდნენ ჩვენი მამა-პაპანი სასახელოსა და სასიქადულოს, ვინ ჩააყოლა ფუყე და უვარგისი ქვა ეროვნულ შენობას, ვინ იყო მამაცი და შეუპოვარი სამშობლოს ზღურბლთა დაცვისას. კარგისა და ავის შეცნობა ეროვნულის წიაღში ახალ თაობას საშუალებას მისცემს უკეთ გაიგოს და შეიმეცნოს აწმყო და მომავალი. ერის თვითგამორკვევა შეუძლებელია ისტორიული წარსულის შესწავლის, დამოუკიდებელი სუვერენული უფლების განხორციელების გარეშე. ქართველი ხედავს, რომ არსებობს ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების იერარქია. გარეგნულად ქართველი ხალხი თითქოს თავად განაგებს საკუთარ თავს და თავის ბედის ბატონ-პატრონია, მაგრამ არსი სინამდვილისა მეტად მწვავეა და მტკივნეული. ყოველივე ეს ნომინალურია და არა არსის

რეალური არსობა. ნამდვილად არსებობს ეროვნული სახელმწიფოს მექანიზმი, მაგრამ ამ მექანიზმს არ გააჩნია ცხოველმყოფელი თვითმოქმედი ეროვნული სული. ეს ეროვნული სული ქართველ ხალხს რუსმა დამპყრობელმა გამოაცალა 1801 წელს."[133]

აგრეთვე: „დღეს მტერი უმიზნებს და სპობს ეროვნული ყოფადობის დასაყრდენს. ველიკორუსმა კარგად იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობა, აღზრდილი თავის წინაპართა გმირულ ისტორიაზე, თავისი ერისადმი მაღალი გრძნობითა და სიყვარულით განიმსჭვალება. ერის სულის შესწავლით ახალი თაობა კარგად გამოიცნობს მტერსა და მოყვარეს. თავის წინაპართა ღვაწლს სხვა ხალხების ნამოღვაწარ შედარებას, რაიც მისცემს გაგების უნარს: ვინ ვიყავით, ვინ ვართ და ხვალისთვის რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ავმაღლდეთ და უზრუნველვყოთ ეროვნული ყოფადობა."[134]

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება საგანმანათლებლო სისტემისადმი შემთხვევითი არ ყოფილა, რადგანაც საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლების პროცესში მნიშვნელოვანი იყო მათზე მონოპოლიის უფლება ხელიდან არ გაეშვა. სწორედ ამიტომ, საგანმანათლებლო-სასწავლო ცენტრები საბჭოთა ხელისუფლებამ მისი მეთვალყურეობის მთავარ ობიექტად აქცია. ამას თან ემატებოდა ეკლესიაზე გავლენის მოხდენის მისწრაფება. საბჭოთა ხელისუფლება არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას სასულიერო წოდების უფლებების შესაკვეცად და ეკლესიებზე კონტროლის მოსაპოვებლად. როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოური რეჟიმი სარწმუნოების და კერძოდ, ქრისტიანული რე-

[133] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 8, ფურც. 13
[134] იქვე, ფურც. 15

ლიგიის მიმართ განსაკუთრებული ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლები არ ერიდებოდნენ ეკლესიების ძარცვას. ამასთან დაკავშირებით დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვალენტინა ფაილოძე ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში აქვეყნებს სტატიას სათაურით „ეკლესია და კომუნისტები“, სადაც ამგვარ ფაქტზეა საუბარი. „სოფელ ნაკანში, 1974 წელს უცნობმა პირებმა გაძარცვეს ეკლესია, მილიცია დიდხანს ამაოდ „ეძებდა“ მძარცველებს. თუმცა შემდგომში ამ სოფლის მცხოვრებლებმა ზოგიერთი ხატი მესტიის მუზეუმში იხილეს. /1966 წელს მესტიის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესიიდან გაიტაცეს ძვირფასი სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც საზღვარგარეთ მოხვდა, საიდანაც იგი ქართველმა ემიგრანტებმა დააბრუნეს/. სვანები იმანაც აღაშფოთა, რომ წმინდა გიორგის ტრადიციული დღესასწაული მთავრობამ ძალმომრეობით გადაატანინა 3 მაისიდან 9 მაისს, ე. ი. გამარჯვების დღეს.

მესტიის რაიონულ ცენტრში 1976 წელს უცნობმა პირებმა გაძარცვეს აგრეთვე მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც მარგიანების გვარს ეკუთვნის. წაღებულია 21 ძვირფასი ხატი. დანარჩენი ხატები მუზეუმში გადაიტანეს. ხელისუფლება არავითარ რეალურ ზომებს არ მიმართავს დამნაშავეთა აღმოსაჩენად. დაახლოებით იმავე დროს გაიძარცვა მაცხოვრის ეკლესია სოფელ მულახში, წაღებულია 9 ხატი. იქვე მაცხოვრის ეკლესიაში, რომელიც მადლიანთა გვარს ეკუთვნის, მოხუც მცველს აქვს სამალავი, სადაც ხატებია შენახული. მთავრობა ცდილობს აიძულოს იგი ჩააბაროს ხატები, მაგრამ იგი არ თანხმ-

დება, ხალხი ერთობ აღშფოთებულია ამგვარი აქციების გამო. სვანებს მიაჩნიათ, რომ ეკლესიებს თავად კომუნისტები ძარცვავენ, ვინაიდან ხალხი ნებაყოფლობით არ აბარებს ხატებს.“[135]

ამავე ნომერში წერდა ზვიად გამსახურდია „ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობაზე“: არასდროს, არც ერთ ეპოქაში ქართული კულტურის ძეგლთა მდგომარეობა არ ყოფილა ესოდენ სავალალო, როგორც დღეს... არც ერთი ეპოქის ბარბაროსებს არ შეუქმნიათ ისეთი დიდი საფრთხე ჩვენი კულტურის ძეგლებისათვის, როგორც დღევანდელთ. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გასაბჭოებულ საქართველოში ათეისტური კამპანიის თუ ფსიქოზის დაწყებისას ხელისუფლებამ ნგრევის გარდა დაკეტა და გააუქმა დიდი უმრავლესობა მომქმედი ეკლესიებისა, რამაც გამოიწვია მათი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, ვინაიდან ე. წ. „სახელმწიფო დაცვას“ არ ძალუძს და არც სურს იხსნას მათი უმრავლესობა დაზიანებისა და განადგურებისაგან, ათეისტური პროპაგანდა იწვევს აგრეთვე აგდებულ, ზერელე დამოკიდებულებას კულტურის ძეგლთა მიმართ მოსახლეობის უკულტურო, შეუგნებელ მასაში, რისი შედეგიც გახლავთ ის დანაშაულები, რომელთაც სჩადიან ძეგლთა მიმართ /წარწერები, ნგრევა, აფეთქება, დაწვა და სხვა/.“[136]

1974 წელს საადგომო დღესასწაულზე სხვადასხვა ეკლესიებში სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მლოცველებს. „სიონის ტაძართან სპეციალური შტაბი იყო მოწყობილი, სადაც აგრეთვე ახალგაზრდების დაკითხვა მიმდინარეობდა.

---

[135] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 8, ფურც. 71

[136] იქვე, ფურც. 72

დაკავებულთა შორის იყვნენ: ვ. ქურციკიძე – პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, გ. გედევანიშვილი – უნივერსიტეტის მესამე კურსელი სტუდენტი, ე. ვასილიევა – გზათა მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, მ. ვასილიევა – ტრიკოტაჟის მეორე ფაბრიკის მუშა ქალი, ლ. ნედოსეკინა – სამოცდამეხუთე პროფტექსასწავლებლის მოსწავლე, ე. ბაბილოვი – მესამე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, სათამაშოების ფაბრიკის მუშა – ნ. მალახიევა, მეათე კლასის მოსწავლე – გ. ჩიბურდანიძე, სამოცდამეერთე საშუალო სკოლის მეათეკლასელი – გ. უზილაშვილი, კამოს სახელობის მექანიკური ჩამომსხმელი ქარხნის მუშა – მანჯავიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მბეჭდავი ქალი – დ. დადვაძე, წიგნების გამყიდველი ქალი – თ. ოჩიგავა, პედაგოგი – ნ. დუღაშვილი დით დ. დუღაშვილით, მათი მეგობრები – ნ. ზვიადაური, ო. მეტრეველი, ოთხმოცდამეშვიდე საშუალო სკოლის მეორე კლასელი გოგონა – ნ. მეტრეველი, ონის რაიონის საშუალო სკოლის მეათეკლასელი გოგონა – რ. ჩიკვაიძე, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გოგონა – გ. ტყებუჩავა, ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, კომკავშირელი – თ. თვარაძე, ეთერზეთების ქარხნის ყოფილი მუშა გოგონა – დ. ცომაია, გამომთვლელ მანქანათა ქარხნის უფროსი ინსპექტორი კადრების განყოფილებაში – ლ. პოჩიკაილო, კომკავშირლები: გ. სირაძე, მ. სულავა და ა. შ.“[137]

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში საინტერესო ინფორმაციაა დაცული აგრეთვე 1975 წლის აღდგომის დღესასწაულის შესახებ. „ამ წელიწადს

[137] შსს, ფ. 6, საქ. №29237-79, ტ. 7, ფურც. 163

აღარ იგრძნობოდა უშიშროების კომიტეტისა და კომკავშირლების ისეთი აქტივობა, როგორც წინა წელს. მოქმედებდნენ უფრო ფარულად და მეტი სიფრთხილით. სახალხო რაზმელთა შტაბებში იმავე ადგილებში იყო მოწყობილი, როგორც წინა წელს. ქაშუეთის ეკლესიასთან რეიდში მონაწილეობდნენ: კომკავშირის ქალაქკომის პირველი მდივანი წულაძე, კალინინის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ი. ჭელიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ვ. მანგიაშვილი, აქტივისტი კომკავშირელი ხარაბაძე, კალინინის რაიმილიციის უფროსის პირველი მოადგილე თ. ჯიბლაძე, ზონის პროკურორი მეშვილდიშვილი და ა. შ. შტაბის უფროსი კინოთეატრ რუსთაველში იყო კინოთეატრის დირექტორი ვ. ლუკოვიცკი. აკავებდნენ მხოლოდ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ეკლესიაში სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ამრიგად, შემდეგი პირები იქნა დაკავებული: პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. დემეტრაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორეკურსელი გოგონა ც. მინდიაშვილი, მელიორაციის ტრესტის მემანქანე ქალი თ. ჩიტიშვილი, საყოფაცხოვრებო მომსახურების №49 კომბინატის თანამშრომელი გ. ჩიტიშვილი, ფეხსაცმლის ფაბრიკის ბუღალტერი ლ. კვერნაძე, სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტი რ. სირაძე.“[138]

„საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტების ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა არ აპირებს შესრულებას თავისი საერთაშორისო ვალდებულებებისა ადამიანის უფლებების სფეროში.

ციხეებში და ბანაკებში კვლავინდებურად იტანჯებიან ასობით პოლიტიკური პატიმრები, – ადამიან-

[138] იქვე, ფურც. 164-165

ები, რომელნიც გაასამართლეს მხოლოდ პოლიტიკური, ან რელიგიური შეხედულებებისათვის, ან საზოგადოების დამოუკიდებლად ინფორმირების ცდებისათვის. მათი შენახვის რეჟიმი ზოგიერთ ასპექტში ძლიერ გამკაცრდა უკანასკნელი წლის განმავლობაში.

არ არის დაგმობილი და შეწყვეტილი ფსიქიატრიული რეპრესიების პრაქტიკა. არავითარი ცვლილებები არ მომხდარა უკეთესობისაკენ თავისუფალი ემიგრაციის საკითხში, არც ოჯახების შეერთებას უფრო კერძო საკითხში. ამ წელს გაიზარდა კიდევაც ისეთ ადამიანთა რიცხვი, ვისაც უარი ეთქვა გამგზავრებაზე. იდევნება ყოველგვარი ფორმები ინფორმაციისა. იდევნება ყოველგვარი ცდები სკკპ ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელ ასოციაციების შექმნისა."[139]

1976 წელს რუსი დისიდენტი ამალრიკი თავისი წიგნის „იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?" ქართულად გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „საქართველოს ტრაგიკული ბედი აქვს – დიდი სახელმწიფოებით გარშემორტყმული მცირერიცხოვანი ერის ბედით. ხშირად ასეთი ხალხის ბედი სრული ასიმილაცია იყო, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველომ შეძლო ორი ათასი წლის განმავლობაში შეენარჩუნებინა თავისი ენა, თავისი კულტურა, თავისი სახე და თვითონ ცნება „საქართველო."

თუკი ერი შეინარჩუნებს ამ მისწრაფებას თვითშენახვისაკენ, მაშინ საქართველო შეძლებს ამ გარდაუვალი ქაოსიდან განახლებული და დამოუკიდებელი გამოვიდეს.

---

[139] შსს, ფ. 6, საქ. №29218-78, ტ. 19, ფურც. 16

ამჟამად მთელ მსოფლიოში ორი გამოკვეთილი ტენდენცია არსებობს – მცირერიცხოვან ნაციათა გამოცალკევებისა, ერთი მხრივ და ზენაციონალური პოლიტიკურ-ეკონომიკური კონგლომერატების შექმნისა, მეორე მხრივ. ჩემის აზრით, ეს ორი ტენდენცია არ უპირისპირდება ერთიმეორეს: შესაძლებელია სამხედრო დაპყრობები და ძალმომრეობითი ასიმილაცია შეცვალოს დამოუკიდებელი ერების, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ."[140]

XX საუკუნის 70-იანი წლების ქართული დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლის ავთანდილ იმნაძის საქმეში დაცულია სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია პროკლამაციების დაბეჭდვის და გავრცელების შესახებ. აგრეთვე მის დაკავებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ სამართალში მიცემული იმნაძე იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად და მოქმედებდა რა მისი შესუსტების მიზნით, 1976 წლიდან დაპატიმრებამდე ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას, ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური შინაარსის ფურცლების დამზადების, გამრავლების და გავრცელების გზით. გარდა ამისა, ინახავდა თავის ბინაში შემდეგი გავრცელების მიზნით ლიტერატურას, რომელიც შეიცავდა ცილისმწამებლურ მონაჭორს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეზე და მოწოდებას საბჭოთა წყობილებასთან ბრძოლის შესახებ."[141]

თვითონ ავთანდილ იმნაძე კი შემდეგ აღიარებას იძლევა: „ზოგიერთს შეიძლება ექნეს ისეთი შეხედულება, თითქოს მე მტრულად ვიყო განწყობილი რუ-

[140] შსს, ფ. 6, საქ. №29237-79, ტ. 7, ფურც. 146-147
[141] შსს, ფ. 6, საქ. №29246, ტ. 6, ფურც. 73

სი ერისადმი. მაგრამ ეს ასე არ არის და ამაში მე დაგარწმუნებთ. განა შეიძლება ისეთი ერის შეძულება, რომელმაც შობა ტოლსტოი, პუშკინი, ესენინი, ჩაიკოვსკი. ეს შეუძლებელია, მე მხოლოდ ჩემი ერის ბედი მაწუხებდა, რომ იგი არ გახრწნილიყო და არ გადაგვარებულიყო. უკანასკნელ დროს ქართველთა შორის თავი იჩინა შუღლმა და მტრობამ, ჩაიკეტნენ საკუთარ ტყავში, მინიმუმამდე დაეცა ადამიანის გემოვნება და კულტურა, თეატრი დაცარიელდა. ახალგაზრდები დეგენერატიზაციის გზას დაადგნენ. უპატიოსნება არავის არ ეპატიება, განსაკუთრებით კი მედიცინის და პედაგოგიური შრომის მუშაკებს, მე მიმაჩნია უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვნად. მე ძალიან მაწუხებდა ქართული ეკლესიის ბედი, როგორც მართლმადიდებელს, რადგან მოკალათდნენ გახრწნილი ადამიანები, მაინტერესებდა ქართული კულტურის ძეგლების ბედი. ყოველივე აქედან მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ესაჭიროებოდა.“[142]

1978 წლის თებერვალში ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ვიქტორ რცხილაძის დაპატიმრების შემდეგ დისიდენტებმა გაავრცელეს შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: „დღეს, როდესაც მსოფლიოს პროგრესული ძალები მთელი შემართებით ილაშქრებენ ადამიანის უფლებების დასაცავად, მაშინ როდესაც ჰელსინკის ხელშეკრულებაში გარკვევითაა ნათქვამი ადამიანისა და ერის უფლებათა შესახებ, ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია თავისი ხმა შეუერთოს ამ საერთო გამოძახილს.

დიდი ხანია რუსეთის პროგრესული ადამიანები ხმას იმაღლებენ იმ დარღვევათა წინააღმდეგ, რასაც

[142] შსს, ფ. 6, საქ. №29246-79, ტ. 5, ფურც. 28-29

ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა ჰელსინკის დეკლარაციას, ასეთი მოძრაობა ფართოდ გაიშალა უკრაინაში, ბალტიისპირეთში, სომხეთში და ჩვენს სამშობლოში, საქართველოში. ისევე, როგორც სხვა „მოკავშირე რესპუბლიკებში“, ჩვენშიც ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლას ემატება ეროვნული პრობლემებიც. მართლაცდა, ვისთვის არ არის ნათელი ის ფაქტი, რომ ჩვენი ეროვნული უფლებები აბუჩადაა აგდებული, ნადგურდება ერის კუთვნილი სიმდიდრე, მისი ისტორიული ძეგლები, ფაქტიურად იდევნება ქართული ენა, დაცემულია ქართული ეკლესია – ჩვენი ერის სულიერი დასაყრდენი, ქართული კულტურა ფეხქვეშ ითელება.

სწორედ ამ პრობლემებს ეხებოდნენ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისა და „ჰელსინკის ჯგუფის“ წევრები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვანი. ამ ადამიანებმა საკუთარ ტკივილად სცნეს ერის ტკივილი და მამაცურად აღიმაღლეს ხმა ადამიანისა და ერის უწმინდესი უფლებების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ. ისინი მოქმედებდნენ სრული კანონიერების ფაგრლებში, თვით საბჭოთა კანონების გათვალისწინებითაც კი.

...ნუ ვიქნებით ქართველებო გაჩუმებულნი, მოვიკრიბოთ გამბედაობა და ვთქვათ ჩვენი სათქმელი, გარწმუნებთ, რომ ყოველი ჩვენთაგანის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნუ გავწირავთ ჩვენთვისვე თავგანწირულებს. ნუ მივცემთ საშუალებას ხელისუფალთ სასაცილოდ აიგდონ ადამიანის უწმინდესი უფლებები. დავიცვათ ამ უფლებებისათვის უანგაროდ მებრძოლი ადამიანები,

რადგან ჯერჯერობით თუ კიდევ გვიდგას სული, თუ ვარსებობთ, თუ შეგვრჩა სიწმინდე, თუ შეგვიძლია სიყვარული მამულისა და თუ ჯერ კიდევ წარმოადგენს ჩვენთვის რაიმეს მისი მომავალი, მხოლოდ ასეთი ადამიანების შემწეობით...“[143] ავთანდილ იმნაძის ჩვენებაში აღნიშნულია, რომ მან არსებული პროკლამაციები გაავრცელა თბილისის სხვადასხვა ქუჩებზე: დინამოს სტადიონზე – 200 ცალი, უნივერსიტეტის მმაღლივ კორპუსში – 150, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში – 200, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში – 150, ლენინის მოედანზე და მეშახტის სახლთან დაახლოებით 150 ცალი პროკლამაცია.[144]

ავთანდილ იმნაძის მიერ დამზადებული პროკლამაციების შეიცავდა შემდეგ შინაარსს: „უკვე 60 წელია, რაც კომუნისტები ექსპლუატაციას უწევენ პატიოსან მშრომელ ხალხს. 60 წელია, რაც მათ დემაგოგიასა და სისხლიან ტერორს არ უჩანს დასასრული. საქართველო კვლავაც ოკუპირებულია. ერს გადაგვარება ემუქრება. ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავი არის 60 წლისთავი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ყველაზე ტირანული სისტემისა. ჯერ არსად, არასოდეს არცერთ სისტემას არ დაუმონებია ხალხი ისე, როგორც ეს გააკეთა საბჭოთა კომუნისტურმა საპყრობილემ, რომელშიც იძულებით არიან შერეკილნი დაპყრობილი ერები...“[145]

რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას ავთანდილ იმნაძის დაკავებასთან დაკავშირებით: „1978 წლის 25 აპრილამდე სამართალში მიცემული ა. პ. იმნაძე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა 1976-1978 წლებში დამზადებულ და გამრავლებულ საბჭო-

[143] შსს, ფ. 6, საქ. №29246-79, ტ. 5, ფურც.
[144] იქვე, ფურც. 46-47
[145] იქვე, ფურც. 67

თა სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ ანტისაბჭოთა შინაარსის შემდეგ მასალებს: ქართულ ენაზე ხელნაწერ დოკუმენტს, რომელიც იწყება სიტყვებით: „შეიძლება ასეთი შემთხვევისათვის საქართველო ყოფილიყო მზად...“, რომელშიც ცილისმწამებლურად გადმოცემულია თითქოს სსრ კავშირში ადგილი აქვს მცირე ერების ასიმილაციის ტენდენციას და რომ საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისათვის აუცილებელია „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, ხელნაწერ დოკუმენტს თან ერთვის ტექსტი შემდეგი სიტყვებით: „ღია წერილი ბატონ კევი რუემსს“, რომელიც შეიცავს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების სახელის გამტეხ ცილისმწამებლურ მონაჭორს და დებულებას იმის შესახებ თითქოსდა 1921 წლის 25 თებერვალი „გახდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღედ“, აგრეთვე ხელნაწერ დოკუმენტს ქართულ ენაზე, რომელიც იწყება სიტყვებით: „დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო...“ და შეიცავს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების მიმართ ბოროტ წილისწამებას. უწოდებს რა საბჭოთა კავშირს მსოფლიოში ერთადერთ სახელმწიფოს, სადაც ბატონობს ტოტალიტარული სისტემა; შვიდ ცალ ფოტოფირს, რომელზედაც აღბეჭდილია ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის საბჭოთა კავშირიდან გაძევებული ა. სოლჟენიცინის წიგნის „მშვიდობა და ძალადობის“ ტექსტი გამოცემული რუსულ ენაზე, რომელშიც ავტორი გამოდის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, სწამებს ცილს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და საბჭოთა სინამდვილეს, დისკრედიტაციას უკეთებს დემოკრატიულ უფლებებს და საბჭოთა საზოგადოების თავისუფლებას;

ქალაქ თბილისში მის მიერ 1978 წლის 17 თებერვალს გავრცელებული ფურცლების ტექსტს, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე.“[146]

აგრეთვე: „ამავე პერიოდში ა. პ. იმნაძე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა პომერანცევის სტატიის „ადამიანი და თანამედროვე სისტემა“ ერთ ეგზემპლარს, რომელიც შესრულებული იყო საბჭდ მანქანაზე რუსული შრიფტით და გამოცემული იყო თეთრ ემიგრანტულ გაზეთში „რუსსკაია მისლში“ საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა გამომცემლობის მიერ, რომელშიაც ავტორი ცილს სწამებს სსრ კავშირისა და სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გამოდის კომუნისტური წყობის წინააღმდეგ და უწოდებს რა მას „რეჟიმად“, ამტკიცებს თითქოს „...კომუნიზმი, კომუნისტური სისტემა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას და რომ მათ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ ძალადობით, რომ კომუნიზმი არაადამიანურია.“ [147]

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაპატიმრებას გამოეხმაურა უცხოეთში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების და გამომცემლობების ჯგუფები. მათ განცხადებაში მხარდაჭერა იყო გამოხატული გრიგოლ ჟვანიას, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით. „ჩვენ მოვიტხოვთ კრემლის ხელისუფლებამ შეწყვიტოს საქართველოში უმიზეზო რეპრესიები, ასიმილაციის და რუსიფიკაციის პოლიტიკა, ნება მიეცეს ქართველ ხალხს თვით განაგოს თავისი ბედი, თანახმად ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობამაც, სადღესასწაულო ვიტარებაში, სან ფრანცისკოში ხელი მოაწერა 1948 წელს.

---

[146] შსს, ფ. 6, საქ. №29246-79, ტ. 5, ფურც. 70-72

[147] იქვე, ფურც. 72-73

თხოვნით მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებას, ყველას, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე, ადამიანის და ერის თავისუფლება და თანასწორობა ძვირფასია, მხარი დაგვიჭიროს ამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებში“.[148] დოკუმენტს ხელს აწერდნენ: 1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით, ალექსი აბაშიძე; 2. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სახელით, ნიკოლოზ ურუშაძე; 3. თავისუფალ ქართველთა კავშირის სახელით, ოთარ ზურაბიშვილი; 4. ჟურნალ „ივერიის“ სახელით, მიხეილ ქავთარაძე; 5. ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნის“ სახელით, გიორგი ნოზაძე; 6. ჟურნალ „მერანის“ სახელით, გია სარჯველაძე, გივი ბეგიაშვილი.

70-იანი წლების დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის ვახტანგ ჭითავას საქმეში დაცულია ამავე მიმართულების წევრის ვაჟა ჟღენტის ჩვენება, სადაც იგი აღნიშნავს: „1978 წლის დეკემბერში, ჩვენი (იგულისხმება ვახტანგ ჭითავა, სულიკო გოგია – ნ.ს.) ერთ-ერთი შეხვედრისას, ჩვენ მიზნად დავისახეთ აგვემხედრებია ქართველი ერი ბრძოლისათვის და მიგვეღწია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან საქართველოს გამოყოფისათვის და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისათვის. ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იყო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. ეს შეხვედრა შედგა ქალაქ რუსთავში კაფე „მერანის“ წინ, გაზეთების სტენდთან. საუბრის დროს მე წამოვაყენე წინადადება შეგვექმნა ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლები და გაგვევრცელებინა.“[149]

---

[148] რადიო თავისუფლება, დოკუმენტები, ტ 36, მიუნხენი, 1953-1983 წლები, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

[149] შსს, ფ. 6, საქ. №29246-79, ტ. 4, ფურც. 348-349

ვაჟა ჟღენტი თავის არალეგალური ხასიათის ნაშრომში „რა უნდა იცოდეს და გააკეთოს თითოეულმა ქართველმა რომ იგი იყოს ჭეშმარიტი და თანმიმდევრული ქართველი“ წერდა: „მთელ მსოფლიოში წარმოიშვნენ უამრავი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და 20-ე საუკუნისთვის თამამად შეიძლებოდა გვეწოდებინა ერთა თავისუფლების საუკუნე, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე შავი უზარმაზარი კოლონიალიზმის ლაქა არ არსებობდეს და ეს ლაქა ე. წ. საბჭოთა კავშირი არის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ პერსპექტივა დასახა რამდენადმე დადებითად მაინც გადაჭრილიყო ეროვნული საკითხი რუსეთში, მაგრამ ბოლშევიკების ხელშეწყობით დამხობილ იქნა დემოკრატიული მთავრობა და სათავეში მოექცა კვლავ დიქტატორული რეჟიმი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთი მეფე შეიცვალა მეორე მეფით, რომელსაც „ბოლშევიკი“ ერქვა. მხოლოდ ეს თვითმარქვია პროლეტარიატის იდეების დამცველი „მეფე“ უფრო სასტიკი და ულმობელი აღმოჩნდა, რომელიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რათა შეენარჩუნებინა უზარმაზარი ტერიტორიები და მსოფლიოს ბატონობა მოეპოვებინა.“[150]

როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაპატიმრების შემდეგ ისევ გრძელდება დისიდენტური მოძრაობა, რომლის წევრები ახალი შემართებით იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სულიკო გოგია დაკითხვისას აღნიშნავს: „მე თავს დამნაშავედ ვცნობ მასში, რომ 1979 წლის თებერვალში ჩემს თანამოაზრეებთან – ვახტანგ ამირანის ძე ჭითავასა და

[150] იქვე, ფურც. 361-362

ვაჟა პეტრეს ძე ჟღენტთან ერთად გადავწყვიტეთ ანტისაბჭოური შინაარსისი ფურცლების დამზადება და გავრცელება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. კერძოდ, ქ. გორის და ქ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამავე ქალაქის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ერთი სიტყვით სტუდენტებს შორის. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ვიმოქმედებდით ქართველ სტუდენტებზე და ადვილი იქნებოდა ჩვენი მცდარი იდეების მათ თავზე მოხვევა. იმავე პერიოდში გადავწყვიტეთ, რომ ქ. გორში ანტისაბჭოთა ფურცლებს გაავრცელებდა ჭითავა, ქ. ქუთაისში – ჟღენტი, ხოლო თბილისში გავრცელება მე ჩემს თავზე ავიღე. ასევე გადავწყვიტეთ, რომ გავრცელება მე ჩემს თავზე ავიღე. ასევე გადავწყვიტეთ, რომ გავრცელება უნდა ყოფილიყო ერთდროული, დილის საათებში.

იმავე წლის თებერვალში, ჩვენ შევიმუშავეთ გასავრცელებელი ანტისაბჭოური დოკუმენტის ტექსტი, სადაც მოვუწოდებდით ახალგაზრდობას არ ეზეიმათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე, 25 თებერვალი, ვუწოდებდით ამ თარიღს გლოვის დღეს, რასაც ვასაბუთებდით მოცემულ დოკუმენტში. გლოვის ნიშნად მოვუწოდებდით შავი სამკლაურების გაკეთებას და შეკრებას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საქართველოს „მომავალ ბედ-იღბალზე“ აზრის გამოსათქმელად. ამ შინაარსის დოკუმენტის შედგენაში ჩვენ სამივემ თანაბარი მონაწილეობა მივიღეთ.... სულ დამზადდა 500 ცალი ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცელი.“[151]

ვაჟა ჟღენტის ძმა იური ჟღენტი დაკითხვისას აღნიშნავდა: „... ჩვენ ხშირად გვქონია ნაციონალურ თუ

[151] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 2, ფურც. 220-221

პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი. ძირითადად ვაჟა ლაპარაკს ჩამოაგდებდა ქართული დედაენის გარშემო. მას ხშირად ჰქონდა საუბარი, რომ საქართველო და ქართველი ერი გარუსების გზას არის დამდგარი, რომ წარმოება-დაწესებულებებში ძირითადად რუსულ ენას ხმარობენ, ამბობდა აგრეთვე, რომ მშობლიური ენის დავიწყება გამოიწვევდა ერის დაღუპვას და საქართველოს „რუსიფიკაციას“. ერთ დროს იგი აღშფოთებული იყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლის შინაარსზე, ხოლო შემდგომ ამ მუხლის შინაარსის შეცვლაზე. მას ჩემთვის ხშირად უთქვამს, რომ საქართველოში საჭირო არ არის აგებული იქნეს დიდი ქარხნები და ფაბრიკები, რადგან ნაციონალური კადრები ვერ ახერხებენ დიდი ფაბრიკა-ქარხნების ათვისებას, რაც იწვევს რუსეთიდან სპეციალისტების საჭიროებას და საბოლოო ჯამში ქართველების მიგრაციას. ვაჟა ჟღენტს საუბარი ჰქონია ჩემთან ასევე საქართველოს მენშევიკური მთავრობის და მისი ლიდერის ჟორდანიას ირგვლივ. ვაჟა იწონებდა ჟორდანიას მთავრობის ზოგიერთ მხარეს, თუმცა ამავე დროს იგი აკრიტიკებდა მისი პოლიტიკის ცალკეულ მხარეს. თუმცა ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკაში უფრო მეტს დადებითს ხედავდა, ვიდრე უარყოფითს.“[152]

ვაჟა ჟღენტი თავის „არალეგალურ“ ნაშრომში აგრეთვე წერდა: „ამჟამად არ არსებობს კოლონიები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენს პლანეტაზე აქა-იქ შემორჩენილი არის პატარა სახელმწიფოები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს გავლენას განიცდიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 1980 წლისათვის, ყველა ეს

[152] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 3, ფურც. 366-367

პატარა სახელმწიფოები საბოლოოდ სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ.

ახლა მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ერთგვაროვანია, როგორ უნდა გავიგოთ სახელმწიფოს ერთგვაროვნება? დღეისათვის თითქმის დამთავრებულია ეროვნებიზაცია დედამიწის ყველა კონტინენტზე. ყოველ სახელმწიფოში ხალხის აბსოლიტურ უმრავლესობას შეადგენს ის ერი, რომელ ერსაც ეკუთვნის სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ერთადერთი ენა.

რასაკვირველია ამ სახელმწიფოში ცხოვრობენ სხვა ერის წარმომადგენლები, მაგრამ ყველა ისინი აქ მოიყვანა ბედის უკუღმართობამ და ეს ხალხი, მხოლოდ და მხოლოდ ემიგრანტთა უფლებებით სარგებლობენ."[153]

აქ ერთი შეხედვით ზოგადად არის საუბარი, თუმცა ნათელია, რომ ავტორის მთავარი გულისტკივილი საქართველოს პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით დაწყებულია პროცესი ყველა ერის დამოუკიდებლობის, სუვერენობის მინიჭების შესახებ, მაგრამ XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსაც კი საქართველო ისევ ძველი პრობლემის წინაშე დგას, ის ისევ საბჭოთა რეჟიმის დაქვემდებარებაშია. ავტორის სურვილი, რომ 1980 წლისთვის დამოუკიდებლობადაკარგული ერები სუვერენობას მოიპოვებენ, მართალია გადაჭარბებულია, მაგრამ სურვილი იმდენად ძლიერია, რომ პროცესების სწრაფად განვითარების იმედს გამოთქვამს. მისი მიზანია, მკითხველს დაანახოს, რომ მართალია XX საუკუნეა, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი ერი ისევ

[153] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 146

სხვის დაქვემდებარებაში იმყოფება, რაც სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება.

აღნიშნული იდეის განვითარება განპირობებული იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ან საქართველოში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ვითარებით, როდესაც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ადამიანის და ერის უფლებების დაცვის საკითხი. საქართველოს, როგორც მდიდარი ისტორიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს იმედი გაუჩნდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება არც ისე შორეული ნატვრა იყო. ქართული დისიდენტური მოძრაობის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობდნენ ეროვნული იდეის ჩამოყალიბება-განვითარებაზე ეზრუნათ და ეს ყოველივე საზოგადოების ფართო ფენებამდე, თითოეულ ქართველამდე მიეტანათ. ზემოთაღნიშნულ ციტატაში, გარდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა ეროვნული ენის უზენაესობაზეცაა საუბარი. ეს ფაქტი შემთხვევითი ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა ქართველთა ერთიანობამ ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ მოაგვარა. მაგრამ, პრობლემა ახალია, და ჯერ ისევ სტკივა თითოეულ ქართველს გული, საკუთარი ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ფასეულობის მიმართ გამოვლენილი ნეგატიური ქმედებით, რომლის სულისჩამდგმელი საბჭოთა რეჟიმია.

ვაჟა ჟღენტი თავის ბროშურაში პარალელს ავლებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. „ცალკე აღნიშვნის ღირსია აშშ. საყოველთაოდ ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები წარმოიშვა ემიგრანტთა ხარჯზე, რომლის უმრავლესობას ინგლისელები

წარმოადგენენ და ბუნებრივია, სახელმწიფო ენად ინგლისური იქნა მიღებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცალკეულ ეროვნებებს არავითარი მორალური უფლებები არა აქვთ მოითხოვონ ტერიტორიული გამოყოფა. კაცმა რომ თქვას, მათ გარკვეული ტერიტორიებიც არ გააჩნიათ, ამდენად ამერიკის შეერთებული შტატები ემიგრანტთა ნებაყოფლობით არის ჩამოყალიბებული. თუმცა აქაც ჯერ კიდევ ვერ არის გადაჭრილი სათანადოდ ზანგთა და ადგილობრივ ინდიელთა ეროვნული საკითხები. ყოველი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე და პრეზიდენტი ცდილობს ეს პრობლემა დადებითად გადაჭრას, მაგრამ მათ ჯერჯერობით 100%-იან შედეგისათვის არ მიუღწევიათ. ჩანს ეროვნული საკითხების მოგვარება ძნელი საქმეა, და იგი უმთავრესად დამოკიდებულია თვით უბრალო ხალხის მასებზე. ვერავითარი სახელმწიფო წყობილება და მთავრობის მეთაურის მცდელობა სრულიად მას ვერ გადაჭრის თუ საზოგადოება ნათლად ვერ შეიგნებს იმას, რომ ეროვნული ჩაგვრა ყველაზე უფრო დიდი ბოროტებაა, რომელი ბოროტებაც კი არსებობს ქვეყნიერებაზე.

ყველაზე უფრო უებარი საშუალება ერების თვითგამორკვევისათვის ერების დამოუკიდებლობის მოპოვებაა, მაგრამ მოყვანილი დებულება აშშ-თვის გამორიცხულია. ამრიგად, მთელ მსოფლიოში წარმოიშვნენ უამრავი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და 20-ე საუკუნეს თამამდ შეიძლებოდა გვეწოდებინა ერთა თავისუფლების საუკუნე, რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე შავი უზარმაზარი კო-

ლონიალიზმის ლაქა არ არსებობდეს და ეს ლაქა ე. წ. საბჭოთა კავშირი არის.“[154]

ავტორი პირდაპირ გამოხატავს თავის ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოურ დამოკიდებულებას და საბჭოთა კავშირს ასახელებს ყველაზე უფრო ძალმომრეობით სისტემად. მართალია, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნათლად აცნობიერებდა საბჭოთა რეჟიმის არასამართლიანობას, მაგრამ ეს არ კმაროდა. აუცილებლობას წარმოადგენდა საზოგადოების ცნობიერების მომზადება და ეროვნული იდეალებით განმტკიცება, რათა ბრძოლა უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, ქართველი დისიდენტები პროკლამაციების გავრცელების საშუალებით ცდილობდნენ ეს იდეები საზოგადოების თითოეულ წევრამდე მიეტანათ და სათანადო ნიადაგი მოემზადებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

იგი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის და ზოგადად, სახელმწიფოში მშობლიური ენის მდგომარეობაზე. იგი ნათლად აცნობიერებს იმ ფაქტს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ენის სტატუსს ერის არსებობაში. მისი ასეთი დამოკიდებულება მით უმეტეს მნიშვნელოვანია იმ დროისთვის, როდესაც 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად უამრავი ადამიანი გამოვიდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. „საბჭოთა კონსტიტუციის ძალით ყველა რესპუბლიკას ეძლევა უფლება თავიანთ ენაზე აწარმოონ ყოველგვარი საქმიანობა თავიანთ რესპუბლიკაში, მაგრამ ასე როდია რეალური მდგომარეობა – ამა თუ იმ რესპუბლიკაში მტკიცედ იკიდებს ფეხს რუსული ენა და იდევნება ეროვნული ენ-

[154] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 147-148

ები. ავიღოთ საქართველო: დღევანდელ საქართველოში ყველა დაწესებულება, წარმოება, სახელმწიფო აპარატი თავიანთ საქმეებს უმთავრესად რუსულ ენაზე აწარმოებენ. ენა ადამიანს წარმოებითი ურთიერთობის დროს სჭირდება და თუ ეს საჭიროება მოისპო – რასაკვირველია, ერიც დაივიწყებს მშობლიურ ენას... არავითარ შემთხვევაში ქართველმა ერმა არ უნდა დაუშვას რუსული ენის გაბატონება საქართველოში.“[155]

იგი აგრეთვე პრობლემას სვამს შემდეგნაირად:„ რა უნდა იცოდეს და გააკეთოს თითოეულმა ქართველმა, რომ იგი იყოს ჭეშმარიტი და თანმიმდევრული პატრიოტი. 1. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ქორწინების ფაქტი სხვა ეროვნების ადამიანებთან, განსაკუთრებით რუსებთან. 2. არავითარ შემთხვევაში გასაქანი არ უნდა მიეცეს კუთხისტურ გამოვლენებს. ყოველივე ეს ასუსტებს ქართულ პატრიოტიზმს. საქართველოს არცერთ კუთხეს არავითარი პრივილეგია არ უნდა მიეცეს. ყველა ერთი სიმაღლის ძმები ვართ - დაწყებული აჭარიდან, დამთავრებული ინგილომდე. 3. ქართველო, სადაც შენ მუშაობ შეეცადე დოკუმენტაცია აწარმოე ქართულ ენაზე. შთააგონე ყველა არაქართველს საქართველოში ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. 4. სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიე დიდი წარმოება-ქარხნის გახსნას საქართველოში და აი რატომ? მეფის რუსეთს, ერთა უმცირესობანი განუვითარებელ მდგომარეობაში რომ ჰყოლოდა, ამისათვის ამ ქვეყნებიდან ნედლეული გაჰქონდა და მას ამუშავებდა ცენტრალურ რუსეთში. ეს, ერთი მხრივ კარგიც იყო ერთა უმცირესობისათვის, რადგანაც ნაკლებად ხდე-

[155] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 154

ბოდა ასიმილაცია. ამჟამად რუსული ხელმძღვანელობა უფრო ეშმაკურად იქცევა – საქართველოში ხსნის საკავშირო დაქვემდებარების ფაბრიკა-ქარხნებს. ბუნებრივია, ადგილობრივი მუშახელი ამ წარმოებებს ვერ დააკმაყოფილებს და მწარმოებელი ძალები უნდა იქნას მოწვეული საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან. ამის ნიადაგზეა, რომ რუსთავი დღეს რუსულ ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე ქართულს. ყველასათვის ცნობილია, ქართული სოფელიც მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის და ქალაქიც.

საქართველოს ძალიან დიდი გეგმები აქვს, როგორც ჩაის მოყვანისა, ასევე ყურძნისა. რასაკვირველია, ქართველ ქალებს ძალიან უჭირს ესოდენ დიდი რაოდენობის ჩაის მოკრეფა. ყოველივე ამის გამო ზოგიერთ რაიონებში ჩამოსახლებულ იქნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან გარკვეული რაოდენობის მოსახლეობა. მაგალითად, მახარაძის რაიონში ჩაასახლეს სომხები. ისინი გარკვეული წლების განმავლობაში ჩუმად იყვნენ, ბავშვებიც ქართულ სკოლებში შეყავდათ, მაგრამ გავიდა ხანი და მათ უსამართლო პრეტენზიები წამოუყენეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მოითხოვეს სომხური სკოლების გახსნა, აგრეთვე თავი მეტად გამომწვევად უჭირავთ. თქმა არ უნდა, ასეთი მოვლენები საკავშირო მთავრობას აწყობს. მათ იციან რაოდენ მძლავრად არის განვითარებული ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობა და სურთ როგორმე აღგავონ ქართველი ხალხი პირისაგან მიწისა. არას დაგიდევენ ეს აღგვა სომხების მიერ იქნება შესრულებული თუ აზერბაიჯანელების მიერ. ქართველი ერი პატივს სცემს მოძმე სომხეთსა და აჯერბაიჯანს, მაგრამ თუ სუვერენიტეტი დარღვეული იქნება, მაშინ სულერთია, ყველა ერის წინააღმდეგ უნდა იყოს მახვილი აღმართული. 5.

ყოველი ქართველი მოვალეა კრიტიკული თვალსაზრისით შეხედოს მთავრობის დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, დააფიქსიროს ხომ არ შეიცავენ ისინი მზაკვრულ მეთოდს საქართველოს ეროვნულობის შესუსტების შესახებ. 6. ყოველმა ქართველმა თა-იდან უნდა ამოიგდოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, აგრეთვე ხრუშჩოვისტების ქადაგებანი, რადენადაც მათ შეუძლიათ ქართველი ერი დაღუპვის გზაზე დააყენოს. 7. მხარი დაუჭიროთ საზღვარგარეთელ ადამიანების გამოსვლას, რომლებიც საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხს შეეხებიან. ყველა ისინი საბჭოთა ერებს მოუწოდებენ დამოუკიდებლობისაკენ. 8. მხარი დაუჭიროთ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც ახლა საქვეყნოდ ცნობილი არიან. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას, ნუგზარ შარიას და სხვებს, რომლებმაც თავიანთი უზრუნველი ცხოვრება ერის კეთილდღეობას შესწირეს და იგი ციხეზე და ემიგრანტობაზე გაცვალეს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აყვეთ ოფიციალური პრესის მონაჭორებს მათ შესახებ. 9. მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ იმას, რომ ყოველგვარ დაწესებულებაში საქმეები იწარმოებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ ხელმძღვანელი პიროვნებების გამოსვლა სიტყვებში რუსულ ენაზე... სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყველა არაქართული სკოლების გახსნას საქართველოში. 10. ქართველო განთავისუფლდი ყოველგვარი ადამიანური ინსტიქტებისაგან, რომელიც შენს ქართულ პატრიოტიზმს ვნებს. 11. ქართველო არ დაგავიწყდეს, რომ საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის მიჯნაზე. მისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობა უდიდესია, ამას ემატება საქართველოს მდიდარი ბუნებრივი პირობები და ზომიერი ჰავა, რომ-

ლებიც ხალხისთვის სახარბიელოა. თუ გავითვალის-წინებთ იმასაც, რომ ქართველი ხალხი ბუნებით ინ-ტერნაციონალისტია, სტუმართმოყვარე, ყოველივე ამ-ის გამო უცხო ტომის ადამიანების ადვილად მკვი-დრდებიან საქართველოში.

...ქართველო შენი კეთილი გული არ გახდეს მიზ-ეზი ქართველი ხალხის სამუდამო გადაშენებისა."[156]

განვიხილოთ თითოეული პუნქტი: 1. პირველივე ნაწილში ვაჟა ჟღენტი მოუწოდებს ქართველებს თა-ვი შეიკავონ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ქორწინებისგან და განსაკუთრებით რუსებისგან. მა-რთალია, ცოტა გადაჭარბებულია აღნიშნული დამო-კიდებულება საკითხისადმი, თუმცა ავტორი ისეა მი-მართული ქართული გენოფონდის დაცვისკენ და სა-ქართველოში ქართველების სამართლებრივი და სრულუფლებიანი გაძლიერებისკენ, რომ ყველა მე-თოდს მიმართავს როგორმე შეამციროს სხვა ეროვ-ნების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდა საქა-ართველოში. ეს ფაქტი დაახლოებით გავს იმ სიტუა-ციას, როდესაც VII საუკუნის დასაწყისში ქართულ-სომხური დაპირისპირების და განხეთქილების დროს კირიონ ქართველთა კათალიკოსმა და სომეხთა კათ-ალიკოსმა აბრაამ აღბათანელმა მოუწოდეს მრევლს ერთმანეთთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ. „მა-თგან ქორწინებისაგან სრულიად განეშორეთ." XX საუკუნეში უკვე საქართველოსთვის ყველაზე დიდ მტერს და მთავარ მოწინააღმდეგეს რუსეთი წარმო-ადგენდა. საბჭოთა რეჟიმის მძლავრი მექანიზმის სა-შუალებით შესაძლებელი იყო ქართველთა რაოდე-ნობა შემცირებულიყო და ხშირ შემთხვევაში ასეც ხდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, მართალია ქართ-

[156] შსს, ფ.6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 161-166

ველებისთვის ასეთი მდგომარეობა უცხო არ იყო, მაგრამ შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად იდეოლოგიური მეთოდით მომუშავე სისტემას ქართველი ერი შემცირებისკენ მიჰყავდა. სწორედ, აქედან გამომდინარეობს ავტორის გულისტკივილი, რაც სავსებით სამართლიანია.

2. მეორე პუნქტში იგი კუთხურობაზე საუბრობს. ეს პრობლემაც, როგორც ყოველთვის ამჯერადაც აქტუალურია. რუსეთისთვის კი ეს ფაქტი უცხო ნამდვილად არ იყო. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან მოყოლებული ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ქართველთა შორის ერთიანობის შემცირებით ხელი შეეწყო დაპირისპირებისათვის და ქართველი ერის თითოეულ წარმომადგენლებს შორის ბრძოლისთვის. ბუნებრივია, იმ ფონზე, როდესაც ჯერ მეფის რუსეთის ხელისუფლება და შემდეგში საბჭოთა რეჟიმი მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო აღნიშნული მოვლენისთვის, რთული ხდებოდა ერთიანობის შენარჩუნება. ამ უარყოფით მოვლენაზე ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფლების პოლიტიკამ შედეგი გამოიღო და ქართველებს, თითოეული კუთხის წარმომადგენლებს შორის ერთიანობის აღქმა შემცირდა. რა გასაკვირი იყო, რომ ეს პრობლემა აღნიშნულ პერიოდშიც აქტუალური ყოფილიყო.

შემთხვევითი არ იყო ავტორის მიერ ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, იმ ვითარებაში თუ ქართველებს შორის ერთიანობა არ იქნებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდებოდა. როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო პრობლემური სწორედ ეს საკითხი იყო ყოველთვის, ყველა საუკუნეში და განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა XIX-XX საუკუნეებში და იმ დროს, როდესაც

საბჭოთა რეჟიმი ყველანარი მეთოდის გამოყენებას მიმართავდა, რათა ეს მოვლენა საზოგადო გამხდარიყო და ქართველთა სრული დამორჩილებისათვის გამოეყენებინა ეს მდგომარეობა ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მნიშვნელობას მოკლებული არ არის. თუმცა სამწუხაროა, მისმა ამ ბროშურამ დღის სინათლე ვერ იხილა და საზოგადოების ფართო ფენებში არ გავრცელებულა. მაგრამ, დისიდენტური მოძრაობის შეფასების პროცესში საინტერესოა, დისიდენტური მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენლის ნააზრევის განხილვა.

3. მესამე საკითხად ვაჟა ჟღენტს გამოტანილი აქვს ქართული ენის პრობლემა. ამასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე ვისაუბრე, ამიტომ აქ ვრცლად აღარ შევეხები, თუმცა აღვნიშნავ, რომ ქართულ ენას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნებაში. ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ.-მდე IV-III საუკუნეებში, როდესაც ფარნავაზმა ქართული სამეფოს გაერთიანებას დაუდო სათავე, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა. „ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი თვინიერ ქართულისა.“ შემდეგშიც, როდესაც ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა ქრისტიანობასთან ერთად ქართული ენა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა ხდებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ იოანე ზოსიმე ქართულ ენას საკრალურ დატვირთვას სძენდა. გიორგი მერჩულე კი აღნიშნავდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ სწორედ ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნეში რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთავარი დარტყმა ქართუ-

ლი ენის წინააღმდეგ მიმართა და ყოველდღიურ საუბარში თუ საქმის წარმოებაში რუსული ენის დამკვიდრება მოითხოვა.

საბჭოთა რეჟიმი კი, რომელიც ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ იბრძოდა, ქართული ენის სტატუსს დადებითს ვერაფერს შესძენდა. მართალია, იგი გამოდიოდა ლოზუნგით, რომ საბჭოთა სისტემაში გაწევრიანებულ ერებში განსაკუთრებული როლი ენას უნდა მიკუთვნებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა და სინამდვილეში, მშობლიური ენის მდგომარეობა ყველგან და მათ შორის საქართველოში არცთუისე სახარბიელო იყო.

4. მეოთხე პუნქტად გამოტანილი საკითხი, ერთი შეხედვით არც თუ ისე უწყინარია, თუმცა თავის თავში ღრმა პრობლემას მალავს. საბჭოთა სისტემა, თავისი დიქტატორული და დესპოტური მმართველობის ფონზე ცდილობდა ხალხის მასების გულის მოგების მიზნით დიდი რაოდენობით ფაბრიკა-ქარხნები გაეხსნა, თუმცა ამას ჰქონდა უარყოფითი მხარეები, რაც ავტორის აზრით მუშა-ხელის სიმცირის პირობებში სხვა ეროვნების წარმომადგენლების ჩამოსახლებას უწყობდა ხელს და ეს კი საქართველოზე უარყოფითად აისახებოდა, რადგან მოსული ხალხი ისე გაზულუქდებოდა ხოლმე, რომ გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას ითხოვდა და ეს ყოველივე ძირძველი ქართული მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. თუმცა, შესაძლოა ითქვას, რომ სხვა ეროვნებათა ჩამოსახლება მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნებში მათი დასაქმებით არ აიხსნება და ამ ყოველივეს, უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. ასეთი მეთოდი სხვადასხვა დამპყრობლებისათვის იყო დამახასიათებელი და საქართველოს ამგვარი შემთხვევის მრავალი მაგალითი ახსოვს. თუმცა, ეს პროცესი გან-

საკუთრებით ინტენსიური ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი.

XIX საუკუნეში 20-იან წლებში გენერალმა ერმოლოვმა სომხები ჩამოასახლა, მოგვიანებით ხელისუფლებამ საქართველოში ბერძნები, გერმანელები და სხვადასხვა სექტები: დუხობორები, მოლოკნები და სკობცები დაამკვიდრა. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, კუთხურობის გაძლიერებასთან ერთად სხვადასხვა ეროვნების ჩამოსახლების პროცესი აქტუალური ხდება. სწორედ ამიტომ მოუწოდებს ავტორი ქართველ ერს, რომელიც სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, არ დაუშვას სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ჩამოსახლება თუ უფლებების გაზრდა უკვე საქართველოში მცხოვრებლებისათვის.

5. მე-5 და მე-6 მუხლში იგი მოუწოდებს ქართველებს ბრმად არ მიიღონ საბჭოთა რუსეთის მიერ მიღებული დადგენილებები, თუნდაც ერთი შეხედვით უწყინარი იყოს, არ უსმინოს ხრუშჩოვისტების გამონათქვამებს და ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედოს, რაც ქვეყნისთვის საზიანო შეიძლება იყოს. ბუნებრივია, ამგვარი დამოკიდებულება სწორია, რადგან 1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ხალხმა გარკვეული გამოცდილება მიიღო და ხელისუფალთა ქმედებების ნამდვილი მიზანი უკვე ცნობილი ხდებოდა, ანდა თუ კი იყო ისეთი, ვისაც ჯერ კიდევ სჯეროდა ხელისუფლების, მასაც გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდა.

ეს არ იყო საბჭოთა რეჟიმის დასაწყისი პერიოდი, როცა ხალხის გარკვეულ ნაწილს მათი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჰქონდა. ეს უკვე XX საუკუნის 70-იანი წლები იყო, როდესაც რეჟიმის ნამდვილი სახე ყველასთვის ცნობილი იყო და სა-

ზოგადოებას უნდა ეზრუნა საკუთარი თავის და ქვეყნის გადარჩენისთვის.

6. მე-7 მუხლში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ვითარების გამოყენებაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის 40-50-იან წლებში, II მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა საბჭოთა კავშირში გაწევრიანებული ერები თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ამ ყოველივეს იმედს აძლევდა ის ფაქტი, რომ თვითონ აშშ და ევროპა არ იყო დაინტერესებული საბჭოთა რეჟიმის გაძლიერებით. ამიტომ დამორჩილებული ერები და მათ შორის, ქართველები ცდილობდნენ ეს ვითარება გამოეყენებინათ.

7. მე-8 პუნქტი ქართველი ეროვნული მოღვაწეების როლის შეფასებას ეხებოდა და ვაჟა ჟღენტი მიმართავდა ქართველებს, მიებაძათ იმ გმირებისათვის, რომლებმაც საკუთარი თავი გაწირეს სამშობლოს და ქართველი ერის გადასარჩენად. ქართველი ეროვნული მოღვაწეების ქმედებას წესით საზოგადოებაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა, რადგან წლების მანძილზე გარკვეული მონური მორჩილების სინდრომი ჩამოყალიბდა და XX საუკუნის 70-იან წლებში კვლავ გააქტიურდა ხალხი, რასაც საბოლოო ჯამში ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე გავლენა უნდა მოეხდინა.

8. მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტები წინა მუხლების გამეორებაა და ქართული ენის დაცვისაკენ მოწოდებაა და სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევაზეა საუბარი.

1979 წელს ქართველმა დისიდენტებმა გაავრცელეს შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: „ძვირფასო თანამემამულენო! ტრადიციული გავხადოთ ქართული ენის დღესასწაული!

ყოველ ქართველს მოვუწოდებთ 14 აპრილს მონაწილეობა მიიღოს სადღესასწაულო დემონსტრაციაში ლოზუნგით – ქართული ენა უპირველეს ყოვლისა! როგორც შარშან, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქართველი ახალგაზრდების მაღალ, ეროვნულ თვითშეგნებას.

ქართული ენა ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივ ენად უნდა იქცეს პრაქტიკულადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლიურ დედა-ენას ლიკვიდირება მოელის.

თითოეული ქართველის უწმინდესი ვალია მთელი არსებით დაიცვას ჩვენი ეროვნული საუნჯე; მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა წარმოება-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ძირითადად გამოცხადებულ იქნას საუკუნეების ქარტეხილებს გადარჩენილი ჩვენი მშობლიური ენა ქართული.“[157]

აგრეთვე გავრცელდა შემდეგი ხასიათის პროკლამაცია: „ნუ იზეიმებთ 25 თებერვალს! ქართველებისთვის ეს დღე გლოვის დღეა! 1920 წლის 7 მაისს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და კრემლის გამგებელთა შორის. მაგრამ, სულ მალე, 1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკურმა რუსეთმა უხეშად დაარღვია ამ სახელმწიფოთა სახელშეკრულებო პირობები, რასაც შედეგად მოჰყვა წითელი არმიის მიერ საქართველოს მთელი ტერიტორიის იკუპირება, ხოლო მისი ბუნებრივი და კანონიერი მთავრობა საზღვარგარეთ იქნა განდევნილი...

ყოველი ჩვენგანის წმინდათაწმიდა მოვალეობაა – დამოუკიდებელი საქართველოს მარადიული თავი-

[157] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 215

სუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად – 25 თებერვალს, უახლოესი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, მოვაწყოთ ერთ საათიანი შეკრება. ამ დროის განმავლობაში კიდევ ერთხელ გამოვთქვათ საღი აზრი საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე, ხოლო მეორე დღეს, გლოვის ნიშნად, შავი სამკლაურებით გამოვცხადდეთ წარმოებებსა და სასწავლებლებში.

გვჯერა, რომ ჩვენი კოლეგები – სტუდენტები, ახალგაზრდები, როგორც შარშან გაზაფხულზე დედა-ენის დაცვის დროს, ახლაც ერთსულოვნად მხარს დაუჭერენ ამ ეროვნულ-პატრიოტულ მოწოდებას. დადგა დრო უკუვაგდოთ შიში და გულგრილობა“ ყველაფერი საქართველოსთვის!“[158]

დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვაჟა ჟღენტმა 1978 წელს დაწერა შემდგი ბროშურა „198... წელი“, სადაც იგი აღნიშნავს: „რაში მდგომარეობს ყოველი ქართველისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება და რა სიკეთე მოაქვს მას ერისთვის, აგრეთვე თითოეული ადამიანისთვის, რომლებიც საქართველოს მიწაწყალზე ცხოვრობენ.

ქართველისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება ცხადზე უცხადესია – ამიერიდან ქართველებს აღარ ემუქრება დიდ ერებთან ასიმილაცია, ქართული ენა გადაურჩა სამუდამო მოსპობას, ერს კვლავ დაუბრუნდა ეროვნული სულიერი მოთხოვნილებანი და ასე შემდეგ. სამუდამოდ უნდა გვახსოვდეს თუ ერი არსებობს და მას გააჩნია საკუთარი მიწა-წყალი უნდა არსებობდეს მისი დამოუკიდებელი სახელმწიფო. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ ერს გადაშენება, მოსპობა ემუქრება. და თუ ერი გარკვეული პერიო-

[158] იქვე, ფურც. 218

დის განმავლობაში არსებობს – ეს ხომ ერის ჭეშმარიტი არსებობა არ არის. სჯობს სიკვდილი, ვიდრე მონობაში – სიცოცხლე.“[159]

იგი კავკასიელი ხალხის ერთიანობაზეც საუბრობს. ეს საკითხი ავტორს შემთხვევით არ აქვს წამოწეული წინა პლანზე, მისი მიზანია კავკასიელთა ერთიანობის შენარჩუნებით წინააღმდეგობა გაუწიონ საერთო მტერს და ამ შემთხვევაში რუსეთს. „მე არ მინდა იმის თქმა, რომ მაინცდამაინც კავკასიურმა რასამ ერთი სახელმწიფო შევქმნათ, მაგრამ ამ ყველა კავკასოიდის სანუკვარი სურვილი უნდა იყოს ჩვენს შორის დამყარდეს ურთიერთმეგობრობა, რომელიც გამოიხატებოდა ერთმანეთისადმი დახმარებით, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც. ხოლო უმთავრესი კი, რომელიც მარად უნდა გვახსოვდეს – არც ერთმა ერმა არ უნდა უღალატოს საერთო კავკასოიდურ ინტერესებს და ვიღაც გადამთიელის ბრმა პროპაგანდის მსხვერპლი არ გავხდეთ.“[160]

ჯერ კიდევ 1972 წელს ნიკოლზ სამხარაძე წერდა: „გლეხ კაცს /სადღაა ოჯახი აცხოვროს. თავის მამა-პაპის გაშენებულ ვაშლზე და მსხალზე ნაყოფის მოკრეფის უფლება არ აქვს. მიწა ჩვენია. ნაშრომიც ჩვენია, თუ გადარჩა სახელმწიფო გეგმას, მოგცემთ. ეს სახელმწიფო ვისია!? – ხალხისო – გაიძახიან მბრძანებლები. ხალხი მოკლებული ელემენტარულ უფლებას, დაბეჩავებული, დაკნინებული უსაგნოთ დაეხეტება. ოფიციალობა ახალ-ახალი გეგმებით და დაპირებებით იყოლიებს ხალხს, რომ დღეს თუ ხვალ კომუნიზმს ავაშენებთო. ბრბოს სჯერა, შე-

[159] შსს, ფ. 6, საქ. №29273-80, ტ. 4, ფურც. 221-222
[160] იქვე, ფურც. 227-228

გნებულს გულს უკლავს დაუსრულებელი უბედურება.

კომუნიზმი მიზნად ისახავს დღემდე არსებული ცივილიზებული კაცობრიობის მიერ შექმნილი ეკონომიკურ-პოლიტიკური ყოფის დამხობას, მოსპობას. უარყოფს კერძო საკუთრებას და პიროვნულ თავისუფლებას, რითაც კაცობრიობას აბრუნებს ველურობისაკენ.“ [161] აქედან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების ცნობიერება შელახულია და დიქტატორული რეჟიმის პირობებში ყველანაირი უფლება ჩამორთმეული აქვს. მძიმე მდგომარეობაში იმყოფება არა მხოლოდ ხალხის მასები, არამედ ხელისუფლებაში მყოფი ეროვნულად მოაზროვნე ძალები, რომლებიც თავისი შეხედულების გამო საბჭოთა რეჟიმის სამიზნე ხდება და ძალადობით თუ ნებაყოფლობით პოსტის დატოვება უწევს.

ფაქტობრივად, ადამიანი ახალ სისტემაში მთლიანად უფლებაშელახული აღმოჩნდა და რეჟიმზე დამოკიდებული გახდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლები. მართალია, საწყის ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლება საზოგადოებას ეკონომიკურ და სოციალურ ხელშეუხებლობას და განვითარებას პირდებოდა, მაგრამ სიტყვები სიტყვებად დარჩა, რაც მოყვანილი ციტატიდანაც ნათლად ჩანს. ამ ყველაფერთან ერთად სიტუაციას ართულებდა ის ფაქტიც, რომ საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა და მთლიანად ყალბი იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა. მაგალითად რესპუბლიკური პარტია მთავარ დასაყრდენ ძალად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალგაზრდობას მიიჩნევდა. 1979

[161] შსს, ფ. 6, საქ. №29297-84, ტ. 2, ფურც. 139-140

წელს გამოცემულ ჟურნალ „სარკმელის“ №2-ში ვკითხულობთ: „რით უნდა დავიწყოთ ახალგაზრდობის მომზადება? ბუნებრივია, საქმის დასაწყებად არალეგალური ლიტერატურა არ გამოგვადგება. ჯერ ერთი, ეს კონსპირაციის დარღვევაა და მეორე, კაცს, რომელსაც არალეგალურ ლიტერატურას გადავცემთ, ამისათვის მზად უნდა იყოს. ჩვენდა საბედნიეროდ, ბოლო წლებში გაცილებით დიდი რაოდენობით მოიპოვება ლეგალური ლიტერატურა, რომელიც სრულიად საკმარისია მზადების პირველ ეტაპზე. ასეთებია, თუნდაც მუხრან მაჭავარიანის ლექსები და ლევან სანიკიძის „უქარქაში ხმლები“, უკანასკნელის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საზოგადოების გაღვიძებულ ინტერესს ეროვნული მდგომარეობისადმი. საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს იძლევა აგიტაციისთვის ქართული ფილმები, თატრები და სხვა. წინა თაობის სწორედ ამგვარი საქმიანობა გვაძლევს საშუალებას მოვამზადოთ ახალი კადრები. ამ შემთხვევაში ჩვენ ისღა გვრჩება, არსებული მასალები მივიტანოთ ახალგაზრდობამდე, ავუხსნათ და მივახვედროთ ქვეტექსტური მინიშნებანი.

უაღრესად დიდია როლი აპრილის (14 აპრილის – ნ. ს.) დემონსტრაციისა. საერთოდ, ამგვარი დემონსტრაციები, გარდა იმისა, რომ ერთდროულად მოიცავენ საზოგადოების დიდ ნაწილს, მასებს გამარჯვებას, საკუთარი თავის რწმენასაც უნერგავენ და გაცილებით ეფექტურნი არიან.“[162]

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკური პარტია საზოგადოების ფართო ფენების ეროვნული ცნობიერების ამაღლებას პირველ რიგში ახალგაზრდობის ნაციო-

[162] შსს, ფ. 6, საქ. №29297-84, ტ. 2, ფურც. 168-169

ნალური შეგნების გაღვივებით იწყებს. რადგანაც, ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას ახალი თაობა და ახალი აზროვნება სჭირდებოდა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა საბჭოური გავლენისაგან, მისი იდეოლოგიისაგან. ბრძოლის აღნიშნულ ეტაპზე მთავარი ხდება ეროვნული ხასიათის შემცველი წიგნების, ფილმების პროპაგანდა, სადაც აქცენტი იმაზე გაკეთდებოდა, რაც ახალგაზრდების ეროვნულ გრძნობებს აამაღლებდა.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 70-იანი წლების ბოლოს კიდევ უფრო ძლიერდება და აქტიური ნაბიჯების გადადგმისაკენ ემზადება ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია, რამაც ქართველი ერის ერთობას შეუწყო ხელი და საზოგადოებას მისცა სტიმული უფრო მეტად დაეცვა საკუთარი სამშობლო. „ქართველი ახალ-გაზრდობა თავისუფალია იმ ცრუ-რწმენისაგან, რომელსაც საბჭოური კომუნიზმი ეწოდება. მას არ გაუვლია არც 30-იანი წლების ტერორი და არც 1956 წლის სისხლიანი მარტი; და თუ ვინმეს კვლავ შემორჩა „დიდი ბელადისადმი“ სიმპატიები, ეს უფრო გაუნათლებლობის ბრალია ან მემკვიდრეობით მიღებული სენი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად ჩამოიშორებს. სწორედ ახალგაზრდობის გააქტიურებისაკენ უნდა წარმიმართოს სრპ-ს მუშაობა. ჩვენ უნდა შევძლოთ ბრძოლის ხაზი გადავიტანოთ ინსტიტუტებში, ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, საწარმოო დაწესებულებებში, ხოლო შემდეგ კი სკოლებში. როდესაც მზადების წინა ხაზი სკოლებში გადაინაცვლებს, გვექნება საუცხოო ბაზა ახალი კადრების წარმოჩენისა, ეროვნულ-გან-

მათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისა და რაც მთავარია, იქნება მტკიცე საფუძველი, რომელზედაც დაშენდება დამოუკიდებელი საქართველო.“[163]

საქართველოს ახალი სისხლი და ახალი ძალა ნამდვილად სჭირდებოდა. 1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და შეიძლება ითქვას ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდეენებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ მეთოდს მიმართავდა. ის არ ერიდებოდა ძალადობრივი საშუალების გამოყენებასაც. ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც მეფის რუსეთის დროს უფრო დიდი როლი ითამაშა ქართველი ერის ერთიანობის ჩამოყალიბებაში, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებული გამომხატველობით გამოჩნდა 30-იან წლებში. მართალია, ეროვნული იდეა მეფის რუსეთის დროსაც იდევნებოდა, თუმცა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1921 წლამდე (1918-1921–საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც იდეოლოგიას ქმნიდა საქართველოში, აგრკვეული წვილილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში და ეროვნული ძალების მობილიზებაში.

[163] შსს, ფ. 6, საქ. №29297-84, ტ. 2, ფურც. 168

XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივმა რეპრესიებმა მრავალი ქართველი ინტელიგენტის სიცოცხლე შეიწირა. ეს ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა იმ ადამიანების წინააღმდეგ მიმართა, რომელთაც შესწევდათ იმის ძალა და გააჩნდა ის აზროვნება, საკუთარი რესურსი ქართველი ერის ერთიანობის გაძლიერებაში დაეხარჯა. საბჭოთა იმპერიამ, ფაქტობრივად საქართველოს საღად მოაზროვნე ნაწილი წაართვა, რათა დამონება უფრო ადვილი გამხდარიყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის 40-50-იანი წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში. ამის შესახებ უკვე ვისაუბრე და აქ ვრცლად აღარ შევეხები, თუმცა აღვნიშნავ, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული და განსაკუთრებით, სტალინის სიკვდილის შემდეგ საფრთხე შეექმნა, რაც გამოიხატებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვითარებიდან. მართალია, 1956 წლის 9 მარტს „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ ყველაფერი მხოლოდ სტალინისთვის დაებრალებინათ, თუმცა საზოგადოება და განსაკუთრებით, მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდებოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გამგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. მაგრამ იმასაც ნათლად აცნობიერებდა, რომ მასობრივი ერთიანობა იყო საჭირო. სწორედ აღნიშნულის ქადაგებას ისახავდა მიზნად XX საუკუნის 50-იან წლებში ახალგაზრდა ქართველი დისიდენტების მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ისინი მოუწოდებდნენ ქართველ საზოგადოე-

ბას საბჭოთა რეჟიმისაგან თავის დაღწევის აუცილებლობაზე.

რესპუბლიკური პარტია ჟურნალ „სარკმელის“ პირველ ნომერში მიმართავდა ქართველ ხალხს: „მხოლოდ და მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს თავისი სასიცოცხლო პრობლემები;

მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ საქართველოს ხელეწიფება დაიცვას ქართული ენა;

მხოლოდ და მხოლოდ დაუმონებელ სახელმწიფოს ძალუძს თავისი ხალხის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება;

მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს სრული ეკონომიკური და კულტურული განვითარების საშუალება.“[164]

XX საუკუნის 80-იან წლების საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ახალი ჯგუფი, რომელსაც ბრძოლის თავისებური მეთოდები და სტილი გააჩნდა, თუმცა მიზანი ერთი იყო: დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

ქართული დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშნავდა: „... როგორც ჩემი ერის ინტერესების გულშემატკივარმა, ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მქონდა სურვილი რომ საქართველო გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, გამხდარიყო დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა... ამისთვის, მე რომ გამიჩნდა ასეთი სურვილი მხოლოდ ამით არ ვკმაყოფილდებოდი და მაინტერესებდა ქართველი საზოგადოების აზრი და ამისთვის თუ იყო შესაძლებლობა, მე

[164] შსს, ფ. 6, საქ. №29297-84, ტ. 2, ფურც. 245

ვიგებდი ხალხის აზრს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ვმუშაობდი ტაქსზე, სადაც ურთიერთობაში ვიყავი ხალხთან და თუ სიტუაცია იყო იმისა რომ შევკითხოდი რა აზრისა იყვნენ საქართველოს საბჭოთა კავშირის გამოყოფისა, უმეტეს შემთხვევისა პასუხობდნენ, რომ მათ ჰქონდათ სურვილი რომ საქართველო გამხდარიყო დამოუკიდებელი ქვეყანა, ზოგჯერ ყოფილა ბევრი შემთხვევა, რომ დავლაპარაკებივარ მგზავრებს, მომისმენია ლაპარაკი ამ თემაზე, რომ საქართველოს აქვს უფლება გახდეს დამოუკიდებელი და ურთიერთსაუბარში გამოუთქვამთ აზრი, რომ ვინ არის ისეთი რომ არ სურდეს საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მარა რა გინდა ვინ გაგიშვებს ნებითო, ხოლო ძალით ამის გაკეთება არ მოხერხდებაო. ადამიანები რომლებიც გამოხატავდნენ ასეთ სურვილს იყვნენ ქალებიც და კაცებიც, ახალგაზრდები და მოხუცები, თითქმის ყველა კატეგორიის, წლოვანების ხალხი... მე შემექმნა ისეთი შეხედულება, რომ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ხალხი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები და არა მარტო თბილისის მკვიდრნი, ქართველი ერის უმრავლეს ნაწილს სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა“.[165] ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი ეს კარგად გამოხატავს მის დამოკიდებულებას საქართველოს და ზოგადად ეროვნული საკითხისადმი. მეორეც, აქ ნათლად ჩანს საზოგადოების აზრის გამოვლინება ქვეყნის თავისუფლებასთან დაკავშირებით. მართალია, ეს არის პერიოდი (1983- ნ.ს.), როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევის ნიშნები იკვეთება,

[165]შსს, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 81-83

თუმცა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა მაინც შეუძ-ლებლად ესახება მოსახლეობას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საზოგადოების ფართო ფენებში მომწიფე-ბულია აზრი საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-დგენის თაობაზე. ქართველი ეროვნული მოღვაწეე-ბის ბრძოლას გარკვეული შედეგი უკვე გააჩნია.

ზაქარია ლაშქარაშვილის განცხადებიდან შესაძ-ლებელი ხდება ქართული საზოგადოების დამოკიდე-ბულების გარკვევა საქართველოს თავისუფლებასთან მიმართებაში. აქ საინტერესო ისაა, რომ ლაშქარა-შვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი შეხე-დულებით და ბრძოლით დამოუკიდებლობის აღდგე-ნისადმი და ცდილობს მოსახლეობის თვალსაზრისის გარკვევას, რათა ბრძოლა შედეგიანი ყოფილიყო.

ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „...საუბრის დროს მე ხანდახან გადავუკრავდი ხოლმე სიტყვას საქართ-ველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შესაძლებ-ლობაზე, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდე-ბელი სახელმწიფო. ამით მინდოდა გამეგო, თუ ვინ რა შეხედულებისა იყო ამ საკითხზე. ბევრი ამას გულგრილად უყურებდა, ხოლო ვისაც მოსწონდა ეს აზრი მე მათ უფრო ვუახლოვდებოდი. ამგვარად მე ავირჩიე პირთა გარკვეული წრე. ესენი იყვნენ: შიო გელენიძე, ამირან მდინარაძე, გივი ახლოური, მიშა ბე-იტაშვილი, დათო ფირანიშვილი, არჩილ ხახვიაშ-ვილი და მალხაზ მაისურაძე, აგრეთვე ნოდარ მეგვე-ლია.

დაახლოებით 1981 წლის აპრილში თუ მაისში მე მათ გავუზიარე აზრი შეგვექმნა ორგანიზაცია, რომ-ელიც იბრძოლებდა საქართველოს საბჭოთა კავში-რიდან გამოყოფისათვის და ამით ჩვენი წვლილი შე-გვეტანა საქართველოს განთავისუფლების საქმეში, რაზედაც ისინი დამთანხმდნენ. ჩვენ გადავწყვიტეთ

შევკრებილიყავით და გვემსჯელა თუ როგორ გვემუშავა და რა გზით განგვეხორციელებინა დასახული მიზანი. როგორც მოვილაპარაკეთ, ყოველთვის 15 რიცხვში უნდა შევკრებილიყავით „მუშტაიდის ბაღში“, სადაც განვიხილავდით აღნიშნულ საკითხებს. ჩემი წინადადებით ჩვენს ორგანიზაციას ვუწოდეთ „სეგო“ – „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მოლაპარაკებისამებრ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და ვმსჯელობდით თუ როგორ გვემოქმედა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გაგვეზარდა ჩვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი და მოგვეზიდა ხალხი ნაცნობ-ამხანაგების წრიდან. ვინც ჩვენს აზრს იზიარებდა. ამ გზით ჩვენი ორგანიზაციის წევრები გახდნენ: ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ გოგბაიძე, მალხაზ კვინიკაძე და სულიკო ჭულაყიძე თუ ჯულახიძე...“[166]

როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა: „ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს გამიჩნდა აზრი შემექმნა ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ე. ი. საბჭოთა კავშირიდან მისი გამოყოფისათვის. მაშინ ეს აზრი გავუზიარე ჩემს ჯარის ამხანაგებს: თამაზ ბიბიაშვილს და სოსო ჩიხლაძეს. ეს იყო 1974-1975 წლებში. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა ორგანიზაცია, რომლისთვისაც გვეწოდებინა „საქართველოს ეროვნული პარტია“. მე გადმოვაქართულე საბჭოთა არმიის მეომრის ფიცი. შევცვალე რა მასში ზოგიერთი სიტყვები. ფიცი იყო დაახლოებით შემდეგი შინაარსის: „მე ესა და ეს, ნებაყოფლობით შევდივარ რა საქართველოს პარტიაში ვფიცავ ერთგულად ვემსახურო ჩემ სამშობლოს – საქართველოს

[166] ი ქ ვ ე, ფურც. 104

ინტერესებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლო მისი განთავისუფლებისათვის. თუ ამ ფიცს არ შევასრულებ დავიმსახურო ხალხის სიძულვილი და სასჯელის უმაღლესი ზომა“. თამაზმა და სოსომ დაწერეს ეს ფიცი ფურცლებზე, მოაწერეს ხელი, ხოლო შემდეგ ქიმიური ფანქრის საშუალებით დაუსვეს თითების ანაბეჭდები. პრაქტიკულად ჩვენ არ გვიმოქმედია, რადგანაც არ ვიცოდით თუ რა და როგორ გაგვეკეთებინა. საბჭოთა არმიის რიგებიდან მე და თამაზი დავბრუნდით ერთად, ხოლო სოსოს კიდევ უნდა ემსახურა 1 წელი. ეს იყო 1975 წლის შემოდგომაზე. ამის შემდეგ თამაზ ბიბიაშვილს შევხვდი რამდენჯერმე, ხოლო სოსო ჩიხლაძე აღარ მინახავს“.[167]

„სეგო“-ს, ესე იგი „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია არის არალეგალური, მისი მიზანია ეროვნული თავისუფლე-ბისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ხოლო ამოცანაა საქართველოს განთავისუფლება კოლონიური მდგომარეობიდან და სრულუფლე-ბიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მასში აგრეთვე ჩაწერილი იყო, რომ ორგანიზაციის წევრების ვალია არალეგალურად განუმარტონ ხალხის მასებს ორგანიზაციის საქმიანობა, მისი პოლიტიკა და მიეზიდათ ისინი თავის რიგებში, აგრეთვე ებრძოლათ რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, დაეცვათ ორგანიზაციის საიდუმლოება. წესდება ითვალისწინებდა აგრეთვე ახალი წევრის მიღების პირობებსაც. წევრად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქართველი, ვინც მხარს უჭერდა ჩვენს საქმიანობას და მიიღებოდა ორგანიზაციის რომელიმე წე-

[167] შსს, ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 102-103

ვრის რეკომენდაციით გაცნობისა და შესწავლის შემდეგ“.[168]

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ტარიელ ღვინიაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს; „კრებებზე ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყოფის გზით, ვმსჯელობდით დისციპლინაზე, კონსპირაციაზე, რათა ჩვენი ორგანიზაციის არსებობა ცნობილი არ გამხდარიყო სათანადო ორგანოებისათვის. თუ როგორ უნდა განგვეხორციელებინა ჩვენი მიზანი. ამაზე ბევრს ვთათბირობდით, მაგრამ კონკრეტულ გზებს ვერ ვხედავდით. ერთადერთი რის გაკეთებაც შეგვეძლო ეს იყო ფურცლების დაბეჭდვა და მათი გავრცელებით ხალხში აგიტაციის ჩატარება, რადგანაც ვფიქრობდით, რომ ჩვენს გარდა კიდევ არსებობდნენ არალეგალური ორგანიზაციები არამარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რომ ყველგან მოხდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზებული გამოსვლები, რასაც მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა და როგორც ეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა საქართველო მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. ამ მომენტისთვის ჩვენ მზად უნდა ვყოფილიყავით, რათა უფრო ორგანიზებული მოქმედებით მონაწილეობა მიგვეღო გამოსვლებში და ამ საქმეში ჩვენი წვლილიც შეგვეტანა. ჩვენი ორგანიზაციის ყოველ წევრს შეგვქონდა გადასახადი საწევროს სახით 10 მანეთის რაოდენობით, ხოლო ის წევრები, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ იხდიდნენ

[168] ი ქ ვ ე, ფურც. 121

2 მანეთს, რათა ორგანიზაციას ჰქონოდა გარკვეული ფულადი თანხა, რომელსაც პრაქტიკულ საქმიანობაში საჭიროებისამებრ გამოვიყენებდით. ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი სამფეროვანი დროშა: წითელი, ლურჯი და მწვანე ზოლებით, რომელიც წარმოადგენდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ნიმუშს".[169]

ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „... შევკერე სამფეროვანი დროშა. წითელ, ლურჯ და მწვანე ფერებს შორის ჩავხატე თეთრი ზოლები. ლურჯი ფერი ნიშნავდა წყალს, მწვანე-მიწას, თეთრი-ჰაერს, ხოლო წითელი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილ სისხლს. დავხატე აგრეთვე სახაზავი ფორმატის ქაღალდზე მომავალი „დამოუკიდებელი" საქართველოს ღერბის ნიმუშიც. იგი მსგავსი იყო საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ღერბისა იმ განსხვავებით, რომ იმ ადგილას, სადაც წარწერაა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" ჩემს მიერ დამზადებულ ნიმუშში ეხატა თორმეტი ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ჩემს ნიმუშში არ იყო აგრეთვე, ნამგალი და ურო. ვარსკვლავები ნიშნავდა საქართველოს კუთხეებს. ღერბის ცენტრში მზისა და მთის ფონზე ჩავხატე თავთავები და ვაზის რტო ყურძნის მტევნით. ვაზის რქა გამოხატული იყო ჯვრის სახით, როგორც ქართული ქრისტიანობის სიმბოლო".[170]

სეგო-ს გაწერილი ჰქონდა წევრების სტრუქტურა და ორგანიზაციის უფლება-მოვალეობანი. მისი წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნებით ქართველი, ვისთვისაც მისაღები იქნებოდა ორგანიზაციის პროგრამა, წესდება და აღიარებდა ფიცის ტექსტს. ამას-

---

[169] შსს. ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 286-287

[170] ი ქ ვ ე, ფურც. 122

თან იბრძოლებდა საქართველოს დამო-უკიდებლობისათვის და ხელს შეუწყობდა ორგანიზაციის გაძლიერებას და გამრავლებას და პატრიოტულად მოაზროვნე პირების ჯგუფში მიღებას. „აქტიურად ავრცელებდეს ეროვნული პატრიოტიზმის იდეებს ქართველ ხალხში, იბრძოდეს რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, არალე-გალურად, სიტყვით და საქმით უწყობდეს ხელს ქართველი ხალხის კავშირის განმტკიცებას. ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან შეგნებული, აქტიური, ეროვნული საქმის ერთგული, ეროვნებით ქართველი ხალხი განურჩევლად სქესისა და სოციალური მდგომარეობისა. ახალი წევრები მიიღებიან ორგანიზაციაში შემავალი წევრის რეკომენდაციით, გაცნობისა და შესწავლის შემდეგ. ორგანიზაციაში მიიღებიან ის პირნი, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ“.[171] ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხს განიხილავდა საერთო კრება და ამტკიცებდა ორგანიზაციის კომიტეტი. განსაზღვრული იყო სპეციალური სასჯელი იმ პირებისთვის, რომლებიც მოვალეობას არ შეასრულებდნენ და შესაძლებელი გახდებოდა მისი გარიცხვა ჯგუფიდან.

სეგო-ში გაწევრიანების მსურველი დებდა ფიცს, რომელიც შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „მე... პირადი სურვილითა და ნებაყოფლობით ვხდები არალეგალური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრი.

ვფიცავ ვიყო ორგანიზაციისა და სამშობლოს წინაშე ერთგული, მამაცი, თავდადებული, დისციპლინირებული მებრძოლი.

---

[171] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 116-126

პირნათლად შევასრულებ ორგანიზაციის წესდებითა და პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ დავალებას, მტკიცედ დავიცავ ჩემს ორგანიზაციის საიდუმლოებას, ვიბრძოლებთ თანამოაზრეთა გვერდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

თუ მე დავარღვიე ჩემი ფიცი მაშინ მომეზღოს ერის ზიზღი და სიძულვილი, დავისაჯო ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული სასჯელით."[172]

შიო გელენიძე ჩვენებაში აღნიშნავდა: „რადგანაც ჩვენი ორგანიზაცია მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ არავითარი სტრუქტურული ქვედანაყოფები არ გვქონია და ერთ ჯგუფს შევადგენდით. ჯონი ლაშქარაშვილს ქაღალდის ფურცელზე შედგენილი ჰქონდა გეგმისმაგვარი ნახაზი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია მისი წევრთა რიცხვის გაზრდის შემთხვევაში... ამ ნახაზის მიზედვით ორგანიზაცია შედგებოდა ათეულებისა და ასეულებისაგან. ყოველ ქვედანაყოფს უნდა ჰყოლოდა მეთაური. ორგანიზაციის ყველა წევრს ერთმანეთთი არ უნდა სცნობოდათ, მხოლოდ მეთაურები უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა კი განხორციელდებოდა რაიმე ორგანოს საშუალებით. ჯონის ახსნით ყოველ ქვედანაყოფს უნდა ჰქონოდა თავისი პირობითი სახელი და შერჩეული ჰქონდა კიდეც, მაგრამ მე არ მახოვს, რადგანაც ძალზე უცნაური სახელწოდებები ჰქონდათ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო თვითონ ჯონი ლაშქარაშვილი. ხელმძღვანელად ის ჩვენ ავირჩიეთ ერთ-ერთი პირველი შეკრების დროს...

[172] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 127

...„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის“ წევრები ვიყავნით: მე (იგულისხმება შიო გელენიძე – ნ. ს.), ჯონი ლაშქარაშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი, გურამ გოგბაიძე, მიშა ბეჟიტაშვილი, მალხაზ კვინიკაძე, გივი ახლოური, ამირან მდინარაძე, დათო ფირანიშვილი, ნოდარ მეგველია, მალხაზ მაისურაძე, აგრეთვე გივი ახლოური, ოლეგ გოგუაძე და სულიკო ჯულაყიძე. მიშა ბეჟიტაშვილი აღნიშნულ ორგანიზაციაში მე მოვიყვანე ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. ტარიელ ღვინიაშვილი მოიყვანა მიშა ბეჟიტაშვილმა თავისი მოსვლიდან დაახლოებით 2 თვის შემდეგ. გურამ გოგბაიძე, მალხაზ კვინიკაძე, გივი, ოლეგი და სულიკო მოიყვანა ჯონი ლაშქარაშვილმა.“[173]

სულუკო ჯულაყიძის აღიარების მიხედვით: „... ერთხელაც მე და ჯონიმ გადავწყვიტეთ ჩვენც მოგვეწყო ამ შეთქმულების (1832 – ნ.ს.) მსგავსი რამ, რათა საქართველო გამხადრიყო დამოუკიდებელი და გამოსულიყო საბჭოთა კავშირიდან. საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა იმისთვის გვინდოდა, რომ მას დაებრუნებინა თავისი ისტორიული მიწა-წყლები, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობაში არავისზე ყოფილიყო დამოკიდებული. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვეგროვებინა ხალხი, ვინც ამ ამბის მომხრე იქნებოდა და შეგვექმნა ორგანიზაცია ამ საქმისათვის. ჩვენ უნდა მოგვეძებნა ისეთი ხალხი, ვისაც სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს უშუალოდ მათთან, ნაცნობები იქნებოდნენ თუ შემთხვევით შეხვედრილნი, საუბარში უნდა გამოგვერკვია და შემდეგ შეგვეთავაზებინა

[173] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 64-65

ჩვენი აზრი ორგანიზაციის შექმნის შესახებ. როცა გარკვეულ რაოდენობას შევაგროვებდით ჩამოგვეყალიბებინა ორგანიზაცია.“[174]როგორც სულიკო ჯულაყიძის ჩვენებიდან ჩანს, ორგანიზაციის წევრები მიზნად ისახავდნენ არა მხოლოდ ისეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დასახული მიზნის მიღწევას, არამედ ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ ორგანიზება გაეწიათ ისეთი მასშტაბური გამოსვლისათვის, როგორც ეს იყო 1832 წელს. აღნიშნულის მისაღწევად კი მათი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა სანდო ხალხის შეკრება.

1981 წლის დეკემბერში გაავრცელეს ახალი პროკლამაცია: „ქართველებო, თუ კიდევ შეგრჩათ სინდისი, თუ კიდევ გიჩქეფთ ძარღვებში ქართული სისხლი, თუ კიდევ გიცემთ გული, როგორც ქართველს შეშვენის, თუ კიდევ გინდათ თავი დაიხსნათ რუსეთის მონობისაგან, თუ კიდევ გსურთ ნახოთ საქართველო თავისუფალი და ძლიერი, იბრძოლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. არაფრის გულისთვის ნუ დავიღუპებით, თუ დაღუპვა გვიწერია საქართველოსთვის დავიღუპოთ, ჩვენი მომავლისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის.“[175]

მართალია ჯგუფის წევრთა მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებიდან განთავისუფლება იყო, რადიკალური ნაბიჯების გადადგმისაგან მაინც თავს იკავებდნენ, რადგან მათ აკლდათ გამოცდილებაც და შესაძლებლობაც უფრო მაქსიმალური ნაბიჯების გადასადგმელად. ამას თავადაც აღიარებდნენ. თუმცა

[174] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 277
[175] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 114

არსებული რეჟიმი იმდენად მიუღებელი იყო, რომ თუნდაც მინიმალური ქმედებებით ბრძოლა მაინც მნიშვნელოვანი იყო. მათი მოღვაწეობის ძირითად სფეროს პროკლამაციების ბეჭდვა და გავრცელება წარმოადგენდა, ამავდროულად ისინი იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დამოუკიდებლობის მოპოვება საქართველოზეც დადებით გავლენას მოახდენდა და დასახულ მიზანს – სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მიაღწევდა. აღნიშნული გეგმა რომ განხორციელებულიყო, საჭიროდ მიაჩნდათ მაქსიმალურად დაეფარათ საკუთარი ორგანიზაციის არსებობა ხელისუფლებისათვის, რათა შეძლებოდათ ეროვნული საქმის კეთება დიდი ხნის განმავლობაში, რაც პროკლამაციების გავრცელებით გამოიხატებოდა. მხოლოდ ვიწრო ჯგუფური მუშაობა ვერაფერს გახდებოდა თუ საზოგადოების ფართო ფენები არ ჩაერთვებოდნენ ამ საქმიანობაში, თუ მათი ეროვნული ცნობიერება არ ამაღლდებოდა და განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ამიტომ საჭიროებას წარმოადგენდა აღნიშნულ ორგანიზაციას რაც შეიძლება დიდხანს ეარსება კონსპირაციულად და საკუთარი წვლილი შეეტანა ეროვნული მოძრაობის განვითარებაში.

აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობდნენ კავშირის დამყარებას სხვადასხვა ცნობილ სახეებთან, რათა მათი ბრძოლა უფრო მეტად შედეგიანი ყოფილიყო. დისიდენტური მოძრაობის და ორგანიზაცია სეგო-ს ერთ-ერთ წარმომადგენელს ჯონი ლაშქარაშვილს ჰქონდა მცდელობა დაკავშირებოდა თამარ ჩხეიძეს, რომელთან შეხვედრასაც იგი შემდეგნაირად იხსენებს: „მე შევეკითხე თამრიკოს რა

აზრისა იყო რომ შექმნილიყო არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისათვის. აგრეთვე ავუხსენი, რომ ამისი სურვილი გვქონდა ჩემი მხრიდან იქ მყოფთ, მაგრამ არ მითქვია გვქონდა თუ არა შექმნილი რაიმე ამდაგვარი. თამრიკომ ეს აზრი არ მოიწონა და თქვა, რომ არალეგალურად არაფერი გამოვიდოდა, რომ ყველაფერი აშკარად უნდა გაკეთებულიყო და მაგალითად მოიყვანა საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მოწყობილი დემონსტრაცია... საბოლოოდ ჩვენ ერთ აზრამდე ვერ მივედით და დავშორდით ერთმანეთს".[176]

აგრეთვე საინტერესოა ტარიელ ღვინიაშვილის ჩვენება. იგი აღნიშნავს, რომ 1983 წლის თებერვალში ჯონი ლაშქარაშვილთან ერთად წავიდა უცნობ პირთან შესახვედრად, რომელმაც მათ ჟურნალ „საქართველოს მოამბის" ნომრები და ივანე ჯავახიშვილის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა" გადასცა. „გავხსენით გაზეთში შეხვეულები და ვნახეთ, რომ ესენი იყო ჟურნალი „საქართველოს მოამბე" №1 და ივანე ჯავახიშვილის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში" და კიდევ რაღაც პატარა ბროშურები, რამდენადაც მახსოვს სკკპ ყრილობის შესახებ. ყველა ჩამოთვლილი ლიტერატურა იყო დაახლოებით თანაბარი რაოდენობით, ასე 20-25 ცალი... ზუსტად არ მახსოვს, იმ დღეს თუ შემდეგში ჯონიმ მითხრა, რომ უცნობი, რომელმაც ეს ლიტერატურა გადმოგვცა იყო ზვიად გამსახურდია. საიდან იცნობდა ჯონი ზვიად გამსახურდიას, ან როდის შეთანხმდნენ ისინი შეხვედრაზე და ლიტერატურის გადაცემაზე მე არ ვიცი. ამის შეხაებ ჯონის

[176] შსს. ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 99

ჩემთვის არაფერი უთქვამს და არც მე მიმიცია შეკითხვა“.[177]

ამასთან დაკავშირებით ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშნავს: „მართალია, მე ვუთხარი ღვინიაშვილს, რომ ის უცნობი, რომელმაც ლიტერატურა გადმოგვცა ზვიად გამსახურდია იყო, მაგრამ ეს არასწორია. მე მინდა ვთქვა, რომ მინდოდა შემექმნა აზრი, რომ თითქოს ჩვენს გარდა სხვებიც არსებობდნენ, რომლებიც ჩვენნაირად ფიქრობდნენ. მხოლოდ ამის დასამტკიცებლად მე მოვიშველიე ავტორიტეტი – როგორც სიმართლისათვის მებრძოლი და ჩემს მეგობრებს ვუთხარი, რომ უცნობი, რომელმაც ლიტერატურა გადმომცა იყო ზვიად გამსახურდია“.[178]

მოყვანილი ჩვენებიდან ჩანს, რომ ორგანიზაციის წევრები მუდმივად ფიქრობდნენ საქართველოს მდგომარეობაზე, როგორც მის წარსულზე, ისე აწმყოზე და მომავალზე. მათი მიზანი საქართველოს თავისუფლება იყო. როგორც ლაშქარაშვილის ჩვენებიდანაც იკვეთება და ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნე, ორგანიზაციაში გაწევრიანებული პირები, რომლებიც მძღოლები იყვნენ, ხალხის ფართო ფენებში ატარებდნენ გამოკითხვით საუბრებს, საიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებაში სულ უფრო იკვეთებოდა საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის სურვილი.

მათ მიზანს აგრეთვე წარმოადგენდა კავშირი დაემყარებინათ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მაგრამ მათი არაკვალიფიციურობის გამო ყველა მცდელობა, როგორც ტარიელ ღვინიაშვილი აღნიშნავს კრახით სრულდებოდა. ტარიელ ღვინიაშვილი აღნიშნავს: „ორგანიზაციის წევრები ვიკრიბებოდით თვეში ერთხელ, უმეტესად ვიკრიბებოდით ბაღებში

---

[177] ი ქ ვ ე, ფურც. 289-290

[178] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 309

და თუ შესაძლებელი იყო ჯონი ლაშქარაშვილის ბინაში ან ჩემს სახლში. ყოველთვიურად ვიხდიდით საწევრო გადასახადს ათი მანეთის ოდენობით. შეკრებებზე ვსაუბრობდით საქართველოს შესახებ. ჩვენი აზრით, საქართველოს მცხოვრებთ სურდათ, საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არსებობდა სხვა ორგანიზაციები და გადავწყვიტეთ მათთან კავშირი გვქონოდა, მაგრამ ჩვენი ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა. ჩვენს ორგანიზაციაში, რომელშიც ოც კაცამდის შედიოდა ძირითადად საშუალო განათლების ხალხი იყო, რომლებსაც პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეეძლო და ჩვენც მხოლოდ საუბრით ვკმაყოფილდებოდით".[179]

XX საუკუნის 70-იანი წლების დისიდენტური მოძრაობისგან განსხვავებით, 80-იანი წლების დისიდენტებს ნაკლები გამოცდილება, პოლიტიკური ალღო და კავშირები გააჩნდა. როგორც არსებული საარქივო დუკემენტებიდან ირკვევა, ორგანიზაცია „სერგო"-ს წევრები, მართალია ეროვნული ცნობიერების მაღალი დონით, საქართველოს საბჭოთა კავშირისგან განთავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით გამოირჩეოდნენ, თუმცა მოქმედების არეალისა და იდეების საზოგადოების ფართო ფენებში გავრცე-ლების შეზღუდული შესაძლებლობებით ხასიათდებოდნენ. 1. სავარაუდოა, რომ ეს ყოველივე განპირობებული ყოფილიყო იმ პერიოდის ქართულ პოლიტიკურ ელიტასა და საზღვარგარეთთან ნაკლები კონტაქტით. და 2. საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი ზეწოლისა და მეთვალყურეობის პირობებიდან გამომდინარე, აღნიშ-

[179] შსს. ფ. 6, საქ. №29301, ტ. 1, ფურც. 298-299

ნული ორგანიზაციის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა და შესაბამისად, მათი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი და საბოლოო მიზანი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ განხორციელდა იმ კონკრეტულ ეტაპზე. როგორც ერთ-ერთი ჩვენებიდან ირკვევა, ჯგუფის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის გაგზავნას გეგმავდნენ. ჯონი ლაშქარაშვილი აღნიშნავდა: „თუ რა მიზნით ჩამოვაყალიბე ე.წ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ ამაზე თვით სახელწოდება მიუთითებს. მე ვთვლიდი და ვთვლი კიდევაც, რომ საქართველო იმყოფება კოლონიურ მდგომარეობაში, არ გვაქვს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, უფრო სწორად ჩამორთმეული გვაქვს იგი და განვიცდით ეროვნულ ჩაგვრას რუსეთის მხრიდან, რადგანაც ჩვენში ტარდება რუსიფიკატორული პოლიტიკა. ტაქსზე მუშაობის პერიოდში ვხვდებოდი მრავალ ადამიანს, ეროვნებით ქართველს, რომელთაც ასევე მიაჩნდათ და სურდათ საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან. სწორედ ამ მიზნით ჩამოვაყალიბე „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“. მე განზრახული მქონდა და ვაპირებდი ოფიციალური წერილით მიგვემართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მთავრობებისათვის და მოგვეთხოვა, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, სუვერენული სახელმწიფო, რომლის მთავრობაც გარდა საკუთარი ხალხის ნება-სურვილისა არავის დაემორჩილებოდა, ხოლო ყოველივე ეს მომხდარიყო ერის პოლიტიკური თვითგამორკვევის გზით. თუ ეს თხოვნა დაკმაყოფილებუ-

ლი არ იქნებოდა, მაშინ მივმართავდით გერთიანებუ-
ლი ერების ორგანიზაციას“.[180]

აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა 1981 წელს დაამზადეს შემდეგი შინაარსის შემცველი პროკლამაცია: „ქართველებო, თუ კიდევ შეგრჩათ სინდისი, თუ კიდევ გიჩქეფთ ძარღვებში ქართული სისხლი, თუ კიდევ გიცემთ გული, როგორც ქართველს შეშვენის, თუ კიდევ გინდათ თავი დაიხსნათ რუსეთის მონობისაგან, თუ კიდევ გსურთ ნახოთ საქართველო თავისუფალი და ძლიერი, იბრძოლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. არაფრის გულისათვის ნუ დავიღუპებით, თუ დაღუპვა გვიწერია საქართველოსთვის დავიღუპოთ, ჩვენი მომავლისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ვისაც ეს არ სურს, ის ქართველი არ არის და არც აქვს უფლება იცხოვროს საქართველოში“.[181]

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში აგრეთვე დაცულია შემდეგი შინაარსის შემცველი პროკლამაცია: „მოგიწოდებთ ყველა კავკასიელ ხალხს, რომლის საერთო რიცხვი დღეს დაახლოებით 17 მილიონია, შევკავშირდეთ, გავერთიანდეთ კავკასიელი ხალხი, ყველას ერთი მიზანი გვქონდეს, კავკასიის დამოუკიდებლობა, კავკსიელთა თავისუფლება, ძალა ერთობაშიაო და საჭიროა გაერთიანება, თორემ ცალ-ცალკე მცირერიცხოვანი ვართ და უძლურები ვიქნებით 145 მილიონი რუსის წინაშე.

მოგმართავთ თხოვნით კავკასიელ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას, ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანებს. გეორგიევსკის ტრაქტატის აღ-

---

[180] ი ქ ვ ე, ფურც. 195-196

[181] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 3, ფურც. 114

ნიშვნის დღეს პროტესტით შევხვდეთ. იმ დღეს სახლებიდან არ გამოხვიდეთ და ქუჩები ცარიელი იყოს, ეს თარიღი მარტო რუსეთის მარიონეტებმა, ერის მოღალატეებმა იზეიმონ. თუ შესაძლებლობა გვექნება იმ დღეებში გლოვის ნიშნად შავი ტანსაცმელი ჩავიცვათ...

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

თავისუფლება კავკასიას!"[182]

აღნიშნული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი იმიტომ, ქართველებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს და მეორე, კავკასიელ ერებს ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობაში არწმუნებს. რაც მთავარია, XX საუკუნის 80-იანი წლები აქტიურობით გამოირჩევა. ეს აღარ არის პერიოდი, როცა ვერავინ ვერ ბედავდა ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევას და იატაკქვეშა მოქმედებაც მეტად მცირე იყო. ამ პერიოდში ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა და არა მხოლოდ, შესამჩნევად აქტიურდება, ეს მოწოდებაც ამის დასტურია. მართალია, „სეგო"-ს წევრები ფართო კავშირებით არ გამოირჩეოდნენ, თუმცა მათ ერთი, საერთო მიზანი ჰქონდათ – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

რაც მთავარია, მიმართვა გამოირჩევა იმითაც, რომ კავკასიის ერთიანობაზეა საუბარი. საერთო მტრის – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა მათი აზრით, უფრო შედეგიანი იქნებოდა. მით უფრო, რომ საბჭოთა რეჟიმის გავლენა ეხებოდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

ენრიკო თვალაძის საქმეში დაცულია თამაზ გიორგაძის ჩვენება, სადაც ის ედუარდ გუდავასთან და-

[182] შსს, ფ. 6, საქ. №29301-84, ტ. 2, ფურც. 421

კავშირებით აღნიშნავს: „იგი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირში არსებული მუშაობის პირობები თითქოს და მიუღებელია საღად მოაზროვნე ნორმალური ადამიანისთვის. მანვე ცინიკურად განმიცხადა, რომ შრომითი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში (იგულისხმება სსრკ- ნ. ს.) თითქოს ხალხის ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მიმტკიცებდა რა თავის უაზრო შეხედულებების სისწორეს, გუდავამ ცინიკურად დამისვა შეკითხვა – რას ვაკეთებ მე და ვის ვემსახურები, ან საერთოდ რისთვის ვცხოვრობ. ...მთელი ამ საუბრის მანძილზე იგი ცდილობდა დაგერწმუნებინე იმაში, რომ საზღვარგარეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობის პირობები და საერთოდ ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალია საბჭოთა კავშირთან შედარებით, განსაკუთრებით აქებდა ინგლისის სახელმწიფოს და განმიცხადა, რომ ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციისათვის და აპირებდა ინგლისში ცხოვრებას. გარდა აღნიშნულისა, მან მითხრა, რომ პირადად მას და მისი ოჯახის წევრებს აღძრული ჰქონდათ შუამდგომლობა საბჭოთა მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ, რომ ეს იყო მათი კონსტიტუციური უფლება და რომ თითქოს ამ კონსტიტუციური უფლების დარღვევას წარმოადგენდა ის, რომ თავიანთ შუამდგომლობაზე მათ განეცხადათ უარი.“[183]

ალექსანდრე სამადაშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს: „როდესაც გუდავამ დაიწყო საუბარი, რომ მას იცნობდნენ დასავლეთში, მე ვკითხე მას საიდან იცნობდნენ, ედუარდმა მითხრა მე, რომ მას ჰქონდა გაზეთ „Гардуан“-ის კორესპოდენტის ტელეფონის ნო-

[183] შსს, ფ. 6, საქ. №29316-86, ტ. 2, ფურც. 414-415

მერი, რომლის მეშვეობითაც ის გადასცემდა ინფორ-მაციას. ამასთან ერთად, ედუარდმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა შეხვედრა აშშ-ის საელჩოს მეორე მდი-ვანთან."[184]

ასსია პოდოიანი, რომელიც ედუარდ გუდავა-სთან ერთად მუშაობდა გამოძიებას შემდეგი ხასია-თის ინფორმაციას აწვდის: „ედუარდი მუდამ მეუბნე-ბოდა, რომ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა უცხო-ეთის რომელიმე ქვეყანაში და კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრებისა და ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ იქ ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში და რომ იქ თითქოს სრული თავისუფლება არსებო-ბდა. უნდა ითქვას, რომ ჩემთან საუბრებში ედუარდი ერიდებოდა საბჭოთა წეს-წყობილების აუგად მოხსე-ნიებას, ჩვენი სახელმწიფოს ძირის გამომთხრელი მონაჭორები და შეხედულებები არ გამოუთქვამს და არც რაიმე წერილობითი, ბეჭდვითი ან სხვა სახის ანტისაბჭოთა შინაარსიის შემცველი ლიტერატურა არ უჩვენებია."[185]

რაც შეეხება ენრიკო თვალაძეს, მან აღიარა, რომ „სურვილი გადასულიყო საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ, კაპიტალისტურ ქვეყანაში მას ჰქო-ნდა ჯერ კიდევ 1955 წელს, მაგრამ მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან არ სურდა დაეტოვები-ნა დედამისი თბილისში."[186]

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერი-ოდის ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განმავლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია დისიდენტური მოძრაობა, რომელიც ახალი

---

[184] იქვე, ფურც. 441

[185] იქვე, ფურც. 446-447

[186] შსს, ფ. 6, საქ. №29316, ტ. 8, ფურც. 230

ფორმით ყალიბდება და ვითარდება XX საუკუნის 80-იანი წლებში. როგორც განხილული მასალა მოწმობს, ქართველი დისიდენტების მთავარი იდეა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო, თუმცა დასახულ მიზნამდე მისვლა არც თუ ისე მარტივ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომ ქართველი ეროვნული მოღვაწეების თითოეული ნაბიჯი, ქმედება მნიშვნელოვანი და აქტუალურია და მათ შორის აღნიშნული პერიოდის დისიდენტების. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდებოდა ახალი სისხლი და ახალი ძალა.

1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და შეიძლება ითქვას, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდეენებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არ ერიდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასაც.

XX საუკუნის 40-50-იან წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში, განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ. მართალია, 1956 წლის 9 მარტის „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ ყველაფერი მხოლოდ სტალინისთვის დაებრალებინათ, თუმცა საზოგადოება და განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდებოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გა-

მგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. თუმცა ეროვნული ძალების ერთიანობის აუცილობლობასაც ნათლად აცნობიერებდნენ. სწორედ აღნიშნული იდეის ქადაგებას ისახავდა მიზნად ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პროტესტი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მათმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში, რაც ახალი ფორმით აღორძინდა 80-იან წლებში და როგორც ზემოთ განხილული მასალები მოწმობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული საზოგადოება და მთლიანად საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც განსხვავებული გზით მიყავდა ჩვენი ქვეყანა. მართალია, საქართველოსთვის უცხო არასდროს ყოფილა სხვის მორჩილებაში და დაქვემდებარებაში ყოფნა, როდესაც ხშირად დგებოდა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, თუმცა დროის აღნიშნულ მონაკვეთში მტერი განსხვა-ვებული ფორმით და მოტივით მოდიოდა, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით, არამედ იდეოლოგიური გზითაც იპყრობდა საქართველოს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას შეიარაღებული გზით შედეგად მოჰყვა დაპყრობა ყველა მიმართულებით. საბჭოთა რუსეთი არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას საქართველოს სრულად დამორჩილებისათვის. გარდა იმისა, რომ ტერიტორია უკვე მის დაქვემდებარებაში იყო საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ათასგვარ ძალადობრივ საშუალებას საქართ-

ველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დამორჩილების თვალსაზრისითაც:

1. საბჭოთა რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მოსახლეობა აიძულა დამორჩილებოდა და ეღიარებინა ახალი ხელისუფლება. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი აღარ არსებობდა და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა ახალ ძალაუფლებაზე. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს წაართვა ტერიტორია, მოსახლეობას სამშობლოს აღქმა და რაც მთავარია, ეს არ იყო რიგითი დამპყრობელი, რომელიც მხოლოდ ფორმალური აღიარებით, ან ეკონომიკური სანქციებით დაკმაყოფილდებოდა, ეს იყო სისტემა, რომელიც მთლიანად ცვლიდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მძლავრ მექანიზმს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ერქვა.

2. საბჭოთა რუსეთმა დიდი ზიანი მიაყენა და ფაქტობრივად გაუქმების საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას და რელიგიას. მეფის რუსეთის პოლიტიკა შეიძლება ითქვას კვლავ გრძელდებოდა ახალი სახელწოდების და მმართველობის ფორმის, სისტემის მიერ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მეფის რუსეთის დროს რელიგია მაინც იყო შედარებით თავისუფალი და საზოგადოებას შეეძლო ქრისტიანული სარწმუნოება ეღიარებინა და მისი მეშვეობით საკუთარი ინდივიდუალობა გადაერჩინა, საბჭოთა რუსეთის შემთხვევაში რელიგია მთლიანად უგულებელყოფილი იყო. ეს კი დიდ დარტყმას აყენებდა საზოგადოების ფართო ფენებს, მათ ცნობიერებას.

3. დამპყრობელი განსაკუთრებული სისატიკით უსწორდებოდა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ახალი ხელისუფლების მიმართ პროტესტს გამოხატავდა.

საზოგადოება იძულებული იყო მიეღო არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ფორმაც.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი არსებობის მანძილზე მუდმივად ცდილობდა საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეროვნული ძალებისათვის ხელის შეშლას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა ეროვნული მოძრაობა ყოველთვის განაგრძობდა არსებობას, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც შეიარაღებული ფორმით, როგორც ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში, ან იდეოლოგიური კუთხით, რომელიც მთავარ ხაზად გასდევდა ეროვნული ძალების ბრძოლას მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში. ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაც ამ ბრძოლის ნაწილია, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.

მეოთხე თავი

თავისუფლების აღქმა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის საქართველოში საბჭოური იდეოლოგიის ფონზე („თვითმფრინავის ბიჭები“)

თავისუფლების ფენომენის აღქმა და თავისუფლებისათვის ბრძოლა, ბუნებრივია უცხო არასდროს ყოფილა ქართული სინამდვილისთვის, თუმცა ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე დამოკიდებულება და ბრძოლის მეთოდები იცვლებოდა, იდეა კი ყოველთვის ერთი იყო: დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

საბჭოთა რეჟიმის მიმართ, მისი 70-წლიანი არსებობის მანძილზე არათუ მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფოებს, არამედ ამ ქვეყნებში მცხოვრებ სხვადასხვა სოციალურ ფენებს თუ სოციალურ ჯგუფებს საკუთარი დამოკიდებულება გააჩნდა. ეს ყოველივე აღქმის და ბრძოლის საშუალებების და მიდგომების განსხვავებით გამოიხატებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების საშუალებით ფორმირდებოდა, ან კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ შექმნილი ეროვნული იდეოლოგიით, რომელიც საზოგადოების ფართო ფენებამდე პროკლამაციების, ბეჭდური მედიის და არალეგალური ლიტერატურის მეშვეობით აღწევდა.

ეროვნული თავისუფლების იდეისთვის და მისი პრაქტიკული თვალსაზრისით განხორციელებისათვის რეალიზება განსაკუთრებით რთული იყო საბჭოთა რეჟიმის პერიოდში. ეროვნულად მოაზროვნე ძალებს უნდა ებრძოლათ არა მხოლოდ ხელისუფლების, არ-

ამედ მტკიცედ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სისტემის წინააღმდეგ, რომელიც საკუთარი იდეოლოგიით და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით უპირისპირდებოდა მათ. ეს პროცესი ხანგრძლივი და დამთრგუნველი იყო სამშობლოს ინტერესების დაცვისთვის მებრძოლი ადამიანებისთვის. საჭიროებას და აუცილებლობას წარმოადგენდა მუდმივი მზადყოფნა ახალ-ახალი საფრთხეების და გამოწვევების პირისპირ, ამ ყველაფერთან ერთად კი საზოგადოების დამახინჯებული ცნობიერების შეცვლისთვის ბრძოლის წარმოება.

XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველო გამოირჩევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განახლებით და აღმავლობით. დროის აღნიშნულ მონაკვეთში, ერთი მხრივ ჩამოყალიბებას იწყებს და მეორე მხრივ, კი უკვე დამკვიდრებული იდეა და ბრძოლის მეთოდები ახალ ეტაპზე გადასვლით გამოიხატება. კერძოდ, გრძელდება დისიდენტური მოძრაობა XX საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, აქტიურდება პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება, რაც მათი სააშკარაოზე გამოსვლით გამოიხატება, რასაც შედეგად 1989 წლის 9 აპრილი და შემდეგ კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. ეროვნული თავისუფლების იდეა აქტუალური ხდება, თუმცა თავისთავად ეს ფენომენი ინტერესს და მნიშვნელობას მოკლებული არასდროს ყოფილა.

1980 წლიდან მოყოლებული საბჭოთა რეჟიმის კრიზისი სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. სხვადასხვა სოციალური ფენები თუ სოციალური ჯგუფები

საკუთარ პოზიციას, რომელიც ხშირ შემთხვევაში საბჭოთა სისტემის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა სულ უფროდაუფრო მეტად აფიქსირებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი მთელი 70-წლიანი არსებობის მანძილზე პროტესტს ყოველთვის იწვევდა, თუმცა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის და არქონის პირობებში მათი მოსაზრება ფართო გამოხატულებას ვერ პოულობდა. II მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში თუ საბჭოთა კავშირში სულ უფრო მეტი გააქტიურების საშუალებას იძლეოდა. დისიდენტური მოძრაობის დაწყება კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განახლების საფუძველი და შემადგენელი ნაწილი გახდა ქართულ სინამდვილეში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეროვნული თავისუფლების იდეა ახალი ფორმით აღორძინდა და გამომხატველი გახდა XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში. განსხვავებით წინა პერიოდისაგან, ქართველი ეროვნული მოღვაწეები უფრო აქტიურები ხდებიან საზოგადოებრივ ასპარეზზე, იატაკქვეშა მოღვაწეობას ფართო საზოგადოებასთან კონტაქტი ცვლის.

საერთოდ და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საბჭოთა პერიოდის საქართველოში ყველა სოციალურ ფენას თუ სოციალურ ჯგუფს ეროვნული თავისუფლების აღქმის და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საკუთარი ხედვა და სტრატეგია გააჩნდა. მაგალითად, ქართველი დისიდენტების მიზანს ანტისაბჭოთა არალეგალური პრესის, ლიტერატურის და პროკლამაციების გავრცელება წარმოადგენდა, რომლის მიზანი საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღ-

ლება იყო, თუმცა მხოლოდ ამ ფორმით არ შემოიფარგლებოდნენ. XX საუკუნის ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ქუჩის აქციებსა თუ მიტინგებს მიმართავს პრესის გავრცელებასთან ერთად.

თავისუფლების თავისებური გაგება გააჩნდა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ახალგაზრდათა ჯგუფის ერთ ნაწილს, რომელიც „თვითმფრინავის ბიჭების“ სახელით არის ცნობილი. აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალური და განხილვადია. ამ პრობლემას სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემა თუ საგაზეთო სტატია მიეძღვნა, თუმცა მნიშვნელოვანია აგრეთვე საარქივო მასალის გათვალისწინებით გაანალიზება და შეფასება. 1. პირველ რიგში, აუცილებლობას წარმოადგენს განისაზღვროს ეპოქის მახასიათებლები, საბჭოური და ქართული სინამდვილე. 2. საზოგადოების რა ნაწილს წარმოადგენდა აღნიშნული ჯგუფი, რა იყო მათი მიზანი და რამდენად ჰქონდათ გააზრებული საკუთარი ჩანაფიქრი და ბრძოლის ფორმა. 1. XX საუკუნის 80-იანი წლები გარდამტეხი ეტაპია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის და მათ შორის საბჭოთა კავშირისთვის. ერთი მხრივ, დასასრულისკენ მიდის „ცივი ომი“ და ნათლად იკვეთება საბჭოთა სისტემის კრიზისი. აშშ, რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა II მსოფლიო ომის პერიოდიდან მოყოლებული, მსოფლიოში პირველობაზე აცხადებს პრეტენზიას, ეს გამოიხატებოდა მისი მხრიდან, როგორც შეიარაღებული ბრძოლის წარმოებით, ასევე იდეოლოგიური კუთხითაც. II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ აშშ მთელი ძალებით იწყებს ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც დიდ ბრიტანეთთან ერ-

თად მის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა. აშშ-ის პოლიტიკა უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში ჰარი ტრუმენი მოვიდა. თუმცა, აშშ-ს ბრძოლა საბჭოთა სისტემის მიმართ მხოლოდ ვიეტნამსა და კორეაში წარმოებული საბრძოლო მოქმედებებით არ გამოიხატებოდა. აშშ-ს ხელისუფლებამ ევროპაში მტკიცედ დამკვიდრებისათვის აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. „მარშალის გეგმის“ ფარგლებში დასავლეთ ევროპის მიმართ ფინანსური დახმარების შემდეგ საკუთარი პოზიციები საკმაოდ გაიმყარა და ბრძოლა ახალი მიმართულებით წარმართა. ამ ორ მხარეს შორის დაპირისპირება გამოიხატებოდა არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლის ფორმებით, არამედ კულტურული, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური კუთხით.

1980 წლიდან მოყოლებული საბჭოთა სისტემის კრიზისი თვალსაჩინო ხდება. შეიძლება ითქვას, რომ აშშ გაიმყარა საკუთარი პოზიციები დასავლეთ ევროპაში. მისი ფინანსური დახმარებით დასავლეთ ევროპა ფეხზე მყარად დადგა, ევროკავშირის ჩამოყალიბებამ კი მასში გაწევრიანებული სახელმწიფოების გაძლიერებას შეუწყო ხელი, სამაგიეროდ აშშ ერთი მხრივ ევროპაზე მოიპოვა გავლენა, იდეოლოგიური ბრძოლის შედეგად საბჭოთა სისტემის სახელის უარყოფით აფიშირებას შეუწყო ხელი საერთაშორისო არენაზე და მეორე მხრივ, დაიწყო საკუთარი ძალების მობილიზება აღმოსავლეთში. ერთი სიტყვით, XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის ნამდვილი სახე და შესაძლებლობები ყველასთვის ცნობილი გახდა. ისიც ფაქტი იყო, რომ ნელ-ნელა საბჭოთა სისტემა დასასრულს უახლოვდებოდა და საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ეტაპი იწყებო-

და და მასში საბჭოთა კავშირის ადგილი უკვე აღარ იყო. ფაქტობრივად აშშ საბჭოთა კავშირთან იდეოლოგიურ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. ალბათ, სწორედ ამიტომაც „თვითმფრინავის ბიჭების“ იდეალი და თავისუფლების სიმბოლო აშშ იყო.

რაც შეეხება აღნიშნული გამოწვევების ქართულ სინამდვილეზე ზეგავლენას.

როგორც განხილული მასალა მოწმობს, 1980 წლიდან მოყოლებული საქართველო განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. თუმცა, დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოღვაწეების გარკვეულ ნაწილს არ აღმოაჩნდა შორსმჭვრეტელობის უნარი და პოლიტიკური ალღო. ერთია თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და მეორეა გარემო პირობების, ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინება. ალბათ, აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ ნეგატიურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ ერთიანობის ნაკლებობა და გეგმაზომიერი მოქმედების არქონა, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ხანგრძლივად დამკვიდრებული იდეოლოგიის და სისტემის გავლენით და იმ ფაქტითაც, რომ გარკვეული გამონაკლისების გარდა საზოგადოება დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას და დამოუკიდებელ მოქმედებას გადაჩვეული იყო და მეორე – დასავლეთი აქტიური ნაბიჯების გადადგმისაგან თავს იკავებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ეროვნულ-გა--მათავისუფლებელ მოძრაობას გააჩნდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, თუმცა ერთი რამ ფაქტი იყო, რომ აღნიშნული მოძრაობით ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ისტორიაში, რაც გახ-

და საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

2. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება „თვითმფრინავის ბიჭების“ საპროტესტო გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იყო ახალგაზრდათა ჯგუფი, რომლებიც გამოირჩეოდნენ განათლებით, საზოგადოებრივი აქტიურობით, პროფესიული წარმატებით. მათ შეეძლოთ საკუთარი მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შეეტანათ საქართველოს ისტორიაში. მაგრამ, როგორც არსებული ფაქტები მეტყველებენ, სხვაგვარი გზა აირჩიეს და განსხვავებული მიზნები დაისახეს.

ბუნებრივია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საბჭოთა სისტემაში ცხოვრება უარყოფით გავლენას ახდენდა მასში დაქვემდებარებულ სახელმწიფოებზე და საზოგადოებაზე და მათი ამგვარი დამოკიდებულება სავსებით ლოგიკური იყო. მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა: რამდენად ჰქონდათ ჩამოყალიბებული და გააზრებული დასახული მიზანი და რამდენად იყვნენ მზად აღნიშნული იდეის თუ გეგმის განსახორციელებლად? რა ფაქტორებმა უბიძგა თითოეულ მათგანს პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვისაკენ? მათ ხომ ისედაც შეეძლოთ საკუთარი პროფესიული წარმატებით თავისი სიტყვა ეთქვათ და თავისი ადგილი დაეკავებინათ საზოგადოებრივ სარბიელზე.

მართალია, ახალგაზრდათა აღნიშნული ჯგუფის პროტესტი განპირობებული იყო რეჟიმის მიერ დამკვიდრებული დოგმებისა და თავისუფლების არარსებობით, თუმცა საარქივო დოკუმენტების ანალიზისა და შეფასებისას გვიჩნდება აზრი, რომ „თვითმფრინავის ბიჭების“ გეგმას იმ ეტაპზე არ ჰქონდა სრულ-

ყოფილი სახე და თავიდანვე განწირული იყო დამარცხებისთვის. ერთია სურვილი და მეორე, განხორციელების უნარი და შესაძლებლობა.

აღნიშნული საკითხის შეფასებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს განისაზღვროს ჯგუფის შემადგენლობა და აქედან გამომდინარე, დასახული გეგმის რეალურობა. ეს იყო ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც გამოდიოდა აგრესიის და უსამართლობის წინააღმდეგ. მათი იდეალი თავისუფლება იყო. ამ იდეას ნათლად გამოხატავს მღვდელი თეიმურაზ ჩიხლაძე თავის ჩვენებაში, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელად მოიაზრებოდა. „1966-1967 წლებში ქალაქ თბილისში მრავალმა ადამიანმა დაიწყო „ჰიპების“ მოძრაობის მიბაძვა, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთში. პირველი, რომელმაც მიბაძა ამ მოძრაობას თბილისში ვიყავი მე. ამ დროისთვის, ჩემს ირგვლივ გაერთიანდნენ ჩემი თანამოაზრენი, რომლებიც იზიარებდნენ „ჰიპების“ ცხოვრების სტილს და ზნე-ჩვეულებებს. აგრეთვე ჩემს პოლიტიკურ და სოციალურ მრწამსს. მინდა აღვნიშნო, რომ ძირითადი პუნქტი ჩვენი მოძრაობის, როგორც „ჰიპების“ იყო პროტესტი აგრესიის წინააღმდეგ. ჯგუფში მე ვიღებდი შემოქმედებით, უნარიან ახალგაზრდებს, რომელთაც უნდა ეხატათ, ეწერათ მუსიკა და ა. შ. აგრეთვე იზიარებდნენ „ჰიპების“ მოძრაობის პრინციპებს. მათ ჰქონდათ გრძელი თმები, ეცვათ ძველი ჯინსები და ტანსაცმელი. ამის საშუალებით ჩვენ გამოვხატავდით პროტესტს ფუფუნების წინააღმდეგ, აგრეთვე ნარკომანიის წინააღმდეგ, რითიც ჩვენ განვსხვავდებოდით „ჰიპების“ სხვა მოძრაობისგან. აშშ-ს მიერ ვიეტნამის მიმართ განხორციელებული აგრესიის წინააღმდეგ ჩვენ დავამზადეთ ლოზუნგები,

პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლითაც გვინდოდა გამოგვეთქვა პროტესტი, მაგრამ მილიციამ დაგვაკავა.“[187]

შემდგომ პერიოდში თეიმურაზ ჩიხლაძემ ახალი წრე შემოიკრიბა. „80-იან წლებში მან მიიმხრო სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე და თევზაძე. 1981 წელს ჯგუფში მიიღო კახა ივერიელი, რომელმაც თავის მხრივ 1982 წელს მოიყვანა თავისი უმცროსი ძმა პაატა ივერიელი. 1982 წელს კი გეგა კობახიძე მიიღეს. 1983 წელს მიქაბერიძემ და წერეთელმა გია ტაბიძე მიიყვანეს.“[188]

გეგა კობახიძის ჯგუფში მიღებასთან დაკავშირებით კი მღვდელი თეოდორე აღნიშნავდა: „... დათო მიქაბერიძესთან და სოსო წერეთელთან საუბრის დროს მათ მითხრეს გეგა კობახიძის ჯგუფში მიღებასთან დაკავშირებით. ახასიათებდნენ მას, როგორც თანამოაზრეს, ფაშისტური იდეის და წეს-ჩვეულებების მიმდევარს, რომ ატარებდა ფაშისტურ სვასტიკას და რომ ის იყო მზად ნებისმიერი დანაშაულისთვის, ოღონდ წასულიყო ჩვენი ქვეყნიდან მუდმივ მცხოვრებლად კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ გარემოებამ მომცა საშუალება დავთანხმებულიყავი მიქაბერიძეს და წერეთელს მის ჯგუფში მიღებაზე.“[189]

თეიმურაზ ჩიხლაძე კახა ივერიელთან შეხვედრას შემდეგნაირად იხსენებს: „ჩემთან საუბრის დროს შევიტყვე, რომ და საფუძვლიანად დამისაბუთა, უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები ძალიან უკმაყოფილო იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ე.წ. სო-

[187] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 1, ფურც. 98-99
[188] იქვე, ფურც. 36
[189] იქვე, ფურც. 134

ციალისტური სისტემის. იქ სწავლობდნენ კომუნისტური ლიდერის შვილები და მათ უთქვიათ, ჩვენ ქვეყანაში როდესაც დავბრუნდებით, მამაჩვენებს მოვკლავთ, კომუნისტური გზით რომ აპირებენ ცხოვრების წაყვანას ხალხშიო. ზანგებს უთქვამთ, სიტყვა „რასიზმი“ რა არის აქ გავიგეთ და ჩვენთან შედარებით მონები ხართო. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ წავსულიყავით „პირუტყვული ქვეყნიდან“ საზღვარგარეთ „თავისუფალ სამყაროში“... გამოითქვა აზრი, რომ დასავლეთში იყო თავისუფლება.“[190]

თეიმურაზ ჩიხლაძე, იგივე მამა თეოდორე დაკითხვისას აღნიშნავს: „ მე, სოსო წერეთელმა და თეიმურაზ თევზაძემ შევქმენით „ქრისტიანული მრწამსის შემსწავლელი საზოგადოება“ – ჭეშმარიტების შეცნობის და სახარების შესწავლის მიზნით. სოსო წერეთელი იყო ძალიან სათნო, ნიჭიერი და ერთგული თავისი სამშობლოსი და ხალხისა. ჩვენ დავიწყეთ სახარების შესწავლა თავიდან ბოლომდე. როდესაც მივადქით ერთ-ერთ თავს, სახარება გვასწავლის, რომ „თუ გდევნიან, გაერიდეთ ამ ქალაქს და ამ ხალხსო“. თუ გდევნიან ამ საზოგადოებიდან უნდა წახვიდე სხვა საზოგადოებაშიო. ე. ი. თუ გდევნიან ჩვენი ქვეყნიდან უნდა წახვიდე კაპიტალისტურ სახელმწიფოში. სოსომ მითხრა, რომ უნდა წავიდეთ აქედანო. მე ვუთხარი, თუ წავალთ უნდა წავიდეთ იერუსალიმში.“[191]

კახა ივერიელი დაკითხვისას აღნიშნავს: „ვიდრე მე მოსკოვში წავიდოდი ანტისაბჭოურად განწყობილი არ ვყოფილვარ. ჩემი მშობელი მამა ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ და იმათ წყობას არასოდ-

---

[190] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 21, ფურც. 32

[191] იქვე, ფურც. 26-27

ეს არ გვიყვებოდა, პირიქით ჩვენს წყობას ადიდებდა. ოჯახში ანტისაბჭოურად განწყობილი არავინ ყოფილა. როდესაც, მე ჩავაბარე ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში, მე პირველად შევეჯახე ჩვენსა და კაპიტალისტური სისტემის წყობას, რადგან ურთიერთობა მქონდა საზღვარგარეთელ სტუდენტებთან. ჩემს კურსზე სწავლობდნენ საზღვარგარეთელი სტუდენტები, ერთ-ერთი იყო მუჰამედი, რომელიც ფრიადებზე სწავლობდა. მე მიყვებოდნენ მათი ცხოვრების დონეს, თუ რა დონეზეა მედიცინა ასული მათთან და როგორ ცხოვრობდნენ ექიმები. ისინი კაპიტალისტურ წყობას ადიდებდნენ. მე მითხრეს, რომ კანადაში, ან ამერიკაში შემეძლო თავისუფლად დამეწყო მუშაობა ექიმად. მე შემომთავაზეს საზღვარგარეთელ ქალიშვილზე მომეწერა ხელი და შემეძლო წავსულიყავი. მე აგრეთვე მეუბნებოდნენ მომესმინა რადიოების საშუალებით „ამერიკის ხმა“, „ბი-ბი-სი“ და სხვა ინგლისურ ენაზე.“[192]

როგორც განხილული მასალა აჩვენებს, ჯგუფის პროტესტი მიმართული იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ და სწორედ ამ იდეის გარშემო გაერთიანდა თითოეული მათგანი. „თვითმფრინავის ბიჭების“ გარკვეულ ნაწილს კონტაქტი ჰქონდა უცხოელებთან, რომლებიც მათ მიერ დასახული მიზნის განხორციელებას გარკვეულ მუხტს და ძალას მატებდა. თუმცა, ეს საკმარისი არ იყო და როგორც შემდგომში განვითარებული მოვლენების დროს იკვეთება მათ შორის არ იყო ერთიანობა. ამას ადასტურებს თავად მამა თეოდორეს ჩვენება, საიდანაც ირკვევა: „გერმანე კობახიძე არავითარ შეკრებებს არ ესწრებოდა და ჩვენი გეგმების შესახებ მან არაფერი იცოდა. კობა-

[192] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 21, ფურც. 51-52

ხიძეს ვინ შეატყობინა თვითმფრინავით წასვლის შესახებ, მე არ ვიცი. კობახიძეს ფული ან სხვა რაიმე იარაღი არ მოუტანია."[193]

კახა ივერიელი დაკითხვისას აღნიშნავს: „იგი (იგულისხმება თეიმურაზ ჩიხლაძე – ნ. ს.) მეუბნებოდა, რომ ბიბლია უნდა იცოდე თუ გინდა გახდე ღვთის შვილიო. რომ მიაღწიო სიკითეს უნდა დატოვო საბჭოთა კავშირი. ჩიხლაძე ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირი არის „ჯოჯოხეთი" და უნდა დატოვო ეს მხარეო. ყველა რჩეულმა ხალხმა, რომლებიც გაეცნობიან „ბიბლიას" უნდა დატოვონ საბჭოთა კავშირი. იქნება მესამე მსოფლიო ომი და გაიმარჯვებენ ამერიკელები, რადგან იქ ქრისტეს შვილები მეტნი არიან და რაც შეიძლება მალე უნდა წახვიდეო...

... თანდათანობით დავიწყეთ საუბარი საზღვარგარეთ გადასვლის ხერხების შესახებ. თვითმფრინავის გატაცების შესახებ პირველად მე ჩიხლაძისგან გავიგე. ამის გარდა ჩვენ რამოდენიმე ხერხის შესახებ ვმსჯელობდით. ეს იყო დაქორწინება უცხოელზე ან ებრაელზე, ან წასვლაზე სახმელეთო საშუალებით ქ. ბათუმიდან. ჩიხლაძე ამბობდა, რომ შეიძლება ახალციხიდან, იქ არის მიწისქვეშა გადასასვლელები თურქეთთან ომის შემდეგო. აგრეთვე მსჯელობა იყო საზღვაო გზით. ეს გამოიხატებოდა მოტორიანი ნავით უცხოეთის გემამდე მისვლა და საჰაერო ბალიშებით გასვლა."[194]

თეიმურაზ ჩიხლაძე აღნიშნავდა: „ჩვენ გვქონდა საუბარი საზღვარგარეთ წასვლის უკანონო გზებზედაც. სახარებას გეფიცებით ყველაფერს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, რომ კატასტროფიულ წერტილამდე მივიდა ამ ხალხის ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება.

[193] იქვე, ფურც. 49-50
[194] იქვე, ფურც. 54-55

უკანონო გზებით წასვლის ერთ-ერთი საშუალება იყო „კომეტით“ წასვლა, ვინაიდან ზღვის ღელვის პერიოდში ღრმად შედის და შეიძლება ნეიტრალურ ზღვაში აღმოვჩენილიყავით. „კომეტაზე“ იქნებოდა ორი მოსამსახურე პერსონალი. მე ვთხოვდი უფროსობას, რომ შესულიყო ნეიტრალურ წყლებში. იქ ვთხოვდი უცხოური გემის კაპიტანს, რომ ავეყვანეთ, რადგან მათ კაპიტანს უფლება არ ექნებოდა არ მოეცა თავშესაფარი. განსაკუთრებით თუ შეგვხვდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების გემი.“[195]

მეორე ვარიანტი წასვლის შესახებ იყო თვითმფრინავის გატაცება. „ამის შესახებ გვქონდა ბუნდოვანი, ზოგადი საუბარი. ყველას გვახსოვდა მამაშვილ ბრაზინსკასების გადასვლის ვარიანტი და ისიც ვიცოდით, თუ როგორ მიიღეს ისინი. ასევე დიდი როლი ითამაშა „ვიდეოზე“ ფილმების ნახვამ ამ თემებზე.

მე (თეიმურაზ ჩიხლაძე – ნ. ს.) თეორიულად ვამბობდი, ანაფორის ქვეშ მექნებოდა სასწავლო ხელყუმბარა და თუ კონტროლის გასასვლელი მისცემდა სიგნალს, მე დავაბრალებდი ჩემს რელიგიურ ტანსაცმელს და მოსაცმელს. მე შევიდოდი მათ კაბინაში და ვეტყოდი „პილოტებს“, რომ მე ღვთის მსახური ვიყავი და ვთხოვდი საზღვარგარეთ გადასვლას. ხალხი ამას ვერც გაიგებდა და თურქეთსაც ნახავდნენ. საზღვარგარეთ წასვლა ხომ ძნელია, უჭირს ხალხს სხვა ქვეყნის ნახვა და შემდეგ დავლოცავდი მათ და ბოდიშს მოვუხდიდი.“[196]ამას გარდა დათო მიქაბერიძე და სოსო წერეთელი იყვნენ ტალინში, ბათუმში, სოხუმში და სწავლობდნენ საზღვარგარეთ გადასვლის გზებს.

---

[195] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 21, ფურც. 35-36

[196] იქვე, ფურც. 36-37

გეგა კობახიძე თავის ჩვენებაში აღნიშნავს: „ივნისის შუა რიცხვებში მე ჩემს სხვა მეგობრებთან ერთად წავედი დასასვენებლად კურორტ ლიძავაში. იქ ჩამოვიდა მიქაბერიძე და მითხრა გემით ჩამოვედი და ამ გემითვე მივდივარ ოდესაშიო. გავიდეთ პლაჟზე და წავიდეთ, ვისაუბროთ საქმე მაქვსო. მითხრა, რომ გადავწყვიტე ამერიკაში წასვლაო. ბათუმში დავაკვირდი და შეიძლება უცხოელების გემზე მოხვედრაო. ქრისტიანები ვალდებული ვართ იქ წავიდეთ. ოდესიდან რომ წამოვალ ბათუმში დამხვდი, ამ გემით ჩავალთ ბათუმში და იქ ავალთ უცხოელების გემზეო. მე ვუთხარი, რომ მე პირადად ვერაფერს ვერ გეტყვი მეთქი. ჩემში ამოტივტივდა დედა, მამა და წინააღმდეგობა წარმოშვა ჩემში. მე სურვილიც გამიჩნდა წასვლის, მაგრამ წინააღმდეგობა იმდენი იყო მშობლიური სიყვარულისა, მე არ შემეძლო წასვლა სოხუმში და სოხუმშიც აღარ დავხვდი, რადგან შემეშინდა ძალიან არ გადამიბიროს მეთქი. პირველ ოქტომბერს შევხვდი მიქაბერიძეს და მან მხოლოდ ის მითხრა, კარგი იქნებოდა რომ ჩამოსულიყავიო. ეს ხდებოდა თბილისში. ამ დროს უნგრეთიდან ჩამოვიდა სოსო წერეთელი, გვიყვებოდა იქ გატარებული დროს და ამბობდა იქ, რომ ასეა, წარმოიდგინეთ დასავლეთში რა იქნებაო. ჩემში გაძლიერდა დასავლეთში წასვლის სურვილი. წერეთელი ამბობდა, რომ ამერიკა არის ქრისტიანების სამშობლო, ხოლო ვაშინგტონი – მეორე იერუსალიმი.“[197]

სოსო წერეთლის ჩვენების მიხედვით ირკვევა: „დაახლოებით ერთი წლის წინათ, მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა სამშობლო და გავქცეულიყავით საზღვარგარეთ. თუმცა, აქვე მინდა

[197] იქვე, ფურც. 118-120

აღვნიშნო, რომ მე თავდაპირველად წინააღმდეგი ვიყავი იმ აზრისა, რომ გაქცევის შედეგად აღარ შემძლებოდა სამშობლოში დაბრუნება. ამიტომ მე ჩემს მეგობრებს ვთავაზობდი, მშვიდობიანი გზით სამშობლოს დატოვებას, რაც გამოიხატებოდა უცხოელზე ქორწინებით. პირველად მოთავე ამ საქმისა იყო გია ტაბიძე, რომელსაც ნათესავები ყავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გია ადრე სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ მან ხულიგნობა ჩაიდინა, რის გამოც იგი გარიცხული იქნა აკადემიიდან და მიცემული პასუხისგებაში. მე კარგი დამოკიდებულება მქონდა ასევე ჩვენი აკადემიის სტუდენტთან დათო მიქაბერიძესთან, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი გია ტაბიძის წინადადებას. ასევე საზღვარგარეთ გაქცევაზე აზრი გამოთქვეს ძმებმა ლეკიშვილებმა კახამ და პაატამ. როგორც მე ვიცი ორივე ძმებს დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი ქალაქ მოსკოვში, თუ არ ვცდები პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტი. თავიდანვე ჩვენ განვიზრახეთ თვითმფრინავის გატაცება და ამ გზით საზღვარგარეთ გაქცევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, დათო მიქაბერიძე პარავდა მამამისს ფულს და ამ ფულით ჩემთვის უცნობი პირებისაგან ყიდულობდა სასროლ იარაღს. ამ გზით დათომ შეისყიდა 2 ცალი რევოლვერი, ერთი ნაგანი და ერთიც თვითნაკეთი რევოლვერი... ყოველივე ამ ჩვენი სამზადისის შესახებ გეგა კობახიძემ, რომელსაც დათო მიქაბერიძესგან ვიცნობდი, არაფერი იცოდა. მას მხოლოდ ერთი კვირით ადრე გავუმხილეთ ჩვენი ჩანაფიქრი, რაზეც იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა. მანვე გაგვაფრთხილა, რომ მისი მეუღლისთვის ჩვენ არაფერი გვეთქვა, რადგან მას შეეშინდებოდა და არსად არ წამოგვყვებოდა, ხოლო როდესაც ფაქტის წინაშე დად-

გებოდა, თინიკო ფეტვიაშვილი თავის ქმარს ყველ-
გან გაყვებოდა. დაგეგმილ დღეს დათომ და კახამ
ბილეთები აიღეს. ხოლო ბილეთების აღების შემდეგ,
გადავწყვიტეთ თინიკოს მეჯვარეებიც წაგვეყვანა ვი-
თომდა ქალაქ ბათუმში, და მათი საშუალებით თუ
დახმარებით გაგვეტანა საკონტროლო პუნქტზე სას-
როლი იარაღი."[198]

საბჭოთა ხელისუფლება შემდეგნაირად ხსნიდა „თვითმფრინავის ბიჭების" ქმედებას: „წინასწარი და სასამართლო-სამსჯავრო გამოძიების საშუალებით დასტურდება, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები თავიანთ თავყრილობებზე განიხილავდნენ საზღვარ-გარეთ უკანონო წასვლის სხვადასხვა ვარიანტებს. გარდა ამისა, იმუშავებდნენ და მსჯელობდნენ ისეთ მეთოდებზედაც, რომლებიც დაკავშირებული იყო წა-სვლის ლეგალურ გზებთანაც. შემუშავებული გეგმის შესაბამისად სახავდნენ ღონისძიებებს იარაღის შე-საძენად. ვარიანტებს შორის იყო ისეთიც, რომ და-ქორწინებულიყვნენ უცხოეთის მოქალაქეებზე. მსჯე-ლობდნენ და გეგმავდნენ საზღვარგარეთ არალეგა-ლურად წასვლის შესაძლებლობებსაც, რისთვისაც ჩიხლაძის მითითებით, მიქაბერიძე და წერეთელი 1983 წლის ზაფხულში, არაერთხელ გაემგზავრნენ ბათუმსა და სოხუმში, სადაც ეძებდნენ საბჭოთა კა-ვშირიდან ან სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სა-ზღვრების გადალახვის საშუალებებს, უკავშირდებო-დნენ ასეთივე სურვილისა და განზრახვის მქონე პი-რებსაც. ასეთი ფაქტი გამოირკვა გამოძიების პრო-ცესში: ზემოხსენებული პირები რემოდენიმეჯერ წა-ვიდნენ ესტონეთის სსრ ქალაქ ტალინში, იქ გაიცნეს ვინმე ვ. გ. შმოილოვი, მასთან ერთად იგეგმებოდა

[198] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 6, ფურც. 243-245

მოტორიანი ნავის ფარული გატაცება და საზღვრის გადალახვა.

დანაშაულებრივ ღონისძიებათა შორის თ. ვ. ჩიხლაძის წინადადებით, ბანდიტური ჯგუფის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება თვითმფრინავზე შეიარაღებული თავდასხმის, მისი ხელში ჩაგდებისა და ასეთი საშუალებით უცხოეთში წასვლის შესახებ, რაც მათ მიერ მიჩნეული იქნა ყველაზე უსაფრთხო და ხელსაყრელ გზად, რის დასასაბუთებლადაც შემდეგი არგუმენტები მოიყვანა კ. ვ. ივერიელმა შემუშავებული თ. ვ. ჩიხლაძის მიერ: ჯერ ერთი ძალზე სწრაფად შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრის გადალახვა, ვერ მოესწრებოდა თვითმფრინავის ჩამოგდებაც... მეორე, ჩვენს ე. ი. ბანდიტებს შორის იქნებოდნენ თვითმფრინავში სხვა მგზავრებიც, ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმოამდგენლები ვერ დაღუპავდნენ თავისსავე მოქალაქეებს. მესამე – საზღვარგარეთ ჩვენ ჩავფრინდებით, როგორც ბანდიტები და იქ არ შეგვამოწმებდნენ, გაგვიგებდნენ, რომ უკან დასაბრუნებელი გზა არა გვაქვს და თუკი ვინმე გაბედავს საბჭოთა კავშირში დაბრუნებას, მას უცილობლად მიუსჯიან სასჯელის უმაღლეს ზომას.“ [199] თუმცა, მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც „თვითმფრინავის ბიჭები“ გეგმავდნენ და საბოლოოდ დაიღუპა ეკიპაჟის სამი წევრი და ერთი მგზავრი, ეკიპაჟის ერთმა წევრმა და შვიდმა მგზავრმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. როგორც გეგა კობახიძემ აღიარა: „დათო მიქაბერიძე მოვიდა ჩემთან, მან თქვა ჩვენი გეგმა არ განხორციელდებაო და უნდოდა ჩემთვის ესროლა. მე მას ვუთხარი რას შვრები მეთქი.

[199] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 21, ფურც. 384-385

იგი გავარდა უკან, მინდოდა იარაღის წართმევა, მიქაბერიძე ვერ დავიმორჩილე და მან თავი მოიკლა. იარაღი მიიდო შუბლზე და ამ გზით მან თავი მოიკლა. მისი იარაღი მე ავიღე. ამ დროს მე ფეხში დავიჭერი... კახა ივერიელი ითხოვდა გავეშვით თურქეთში, თორემ ავაფეთქეფთ თვითმფრინავს. მოვიდა კახა ივერიელი ჩემთან, თინას მოაძებნინა ძირს დაყრილი იარაღები და ერთი მე მომცა. კახას ვუთხარი ჩავბარდეთ მეთქი. მე მითხრეს თუ გინდა შენს მეუღლესთან ერთად ჩადიო. მე ვუთხარი, რომ მათ არ დავტოვებდი."[200] აგრეთვე იგი აღნიშნავს: „... ამავე დროს გარედან ატყდა სროლა, რის შემდეგაც სხვადასხვა ადგილებში მივიღეთ ჭრილობები მე, ძმებმა ლეკიშვილებმა, სოსო წერეთელმა, ანამ, გარდა ამისა დაჭრილი იყვნენ სხვა მგზავრებიც. მას შემდეგ, როდესაც შეწყვეტილი იქნა სროლა გარედან, მგზავრებმა მოინდომეს თვითმფრინავიდან გადასვლა, მაგრამ ვერ განახორციელეს ეს, ვინაიდან ჩვენ დავემუქრეთ მათ თვითმფრინავიდან გადასვლის შემთხვევაში იქნებოდნენ ფიზიკურად განადგურებულები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოგვეცა წინადადება გადმოვსულიყავით თვითმფრინავიდან და დავნებებულიყავით, ჩვენ ეს არ შევასრულეთ, რადგან შეგვეშინდა რომ არ მოვესპეთ. იქნებოდა დღის რვის ნახევარი, რომ თვითმფრინავში შემოვიდნენ სამხედროები და მათ მიერ ვიქენით დაკავებულნი და ჩამოსმული თვითმფრინავიდან."[201]

1984 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე სამართალში მიცემულმა თ. ვ. ჩიხლაძემ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ. იაშვილმა აღძრეს შუამდგომლობები დამატებითი მოწმეთა სახით მთელი რი-

[200] იქვე, ფურც. 141-142
[201] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 4, ფურც. 14

გი პირების მოწვევისა და დაკითხვის შესახებ. კერძოდ, ატვოკატმა იაშვილმა (წერილობითი და სიტყვიერი შემადგენლობით) ითხოვა დაიკითხონ თ. ჩიხლაძის ფსიქიური მდგომარეობის გამოსარკვევად და დასადასტურებლად მოქალაქე შალვა ჩიქოვანი, გაიოზ შარაშენიძე, ვისთანაც ჩიხლაძე სამკურნალოდ დაჰყავდათ მის მშობლებს. დაიკითხოს ჩიხლაძის ყოფილი მეუღლე მ. ერისთავი, მეზობლები: ა. ხვიჩია, ნ. მსხილაძე, კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“: გ. ფირცხალავა, გ. ხიჯავა, ბ. წულაძე; სამღვდელოებიდან: სოხუმის ეპარქიის მიტროპოლიტი დ. ჭკადუა, საჩხერის ეპარქიის ეპისკოპოსი ო. წამალაიძე; მცხეთის სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი. თავის მხრივ, ჩიხლაძე შუამდგომლობს მოწვეული იქნან აგრეთვე სასულიერო პიროები და სახელმწიფოს მეთაურები აშშ-დან, არგვეთის ეპისკოპოსი, მცხეთის, ქუთაისის, ბოდბის, მანგლელი ეპისკოპოსები, მსოფლიოს საერთაშორისო იურიდიული ასოციაციის, აშშ-ს ქრისტიანული ორგანოს ჟურნალისტებიდან წარმომადგენლები, აგრეთვე ექსპერტები საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებიდან, საქართველოს სამღვდელოების მეთაური შიოლაშვილი ილია მეორე.

სამართალში მიცემული გ. მ. კობახიძე შუამდგომლობს რომ სასამართლო კოლეგიამ წერილობით ან უშუალოდ მოუსმინოს ამერიკული ბაპტისტური ეკლესიების წარმომადგენელს, მისი თავმჯდომარე ბილი გრეჰემი ან მათი წარმომადგენელი კარსონი, „რომელსაც პირადად იცნობს“ და დაადასტურებენ, რომ მისი როგორც ბაპტისტის ამერიკაში წასვლა აუცილებელი იყო შესაბამისი განათლების მისაღებად. მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა.“[202]

[202] შსს, ფ. 6, საქ. №29313-86, ტ. 21, ფურც. 314-315

როგორც განხილული მასალა მოწმობს, ახალგაზრდათა აღნიშნული ჯგუფის დასახული მიზანი უდანაშაულო ადამიანების მორალური და ფსიქოლოგიური ზიანის ხარჯზე განხორციელდა და თავისთავად სასიამოვნო ფაქტი არ იყო, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „თვითმფრინავის ბიჭების“ კავშირი არ იყო დანაშაულებრივი და ბანდიტური, როგორი კვალიფიკაციაც მისცა შემდეგში საბჭოთა ხელისუფლებამ. აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენდა ახალგაზრდათა ერთ ნაწილს, რომელთაც საშუალება ჰქონდათ ენახათ და გასცნობოდნენ დასავლური სახელმწიფოების ცხოვრების სტილს და ამასთან, ბუნებრივია ჰქონდათ უფლება მისი გათვალისწინებით საკუთარი სამშობლოს თავისუფლებაზე ეფიქრათ და ეოცნებათ. ამ უკანასკნელ ტერმინს შემთხვევით არ ვიყენებ, მათ მიზანს ხომ არ წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების შეცვლა და არსებული იდეოლოგიის გაუქმება. ამის არც რესურსი გააჩნდათ და არც შესაძლებლობა შესწევდათ. უბრალოდ მათი მიზანი თავისუფლება იყო, რომლის საკუთარი და თავისებური აღქმა გააჩნდათ. ეს ძალიან კარგად მოეხსენებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ამ სისტემის იმ წარმომადგენლებსაც, ვისაც შეხება ჰქონდათ „თვითმფრინავის ბიჭებთან“.

აღნიშნული პროტესტის გამოხატულება იყო გარკვეული მეთოდების გამოყენებით საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლა, რომელიც მათი დახვრეტით დასრულდა, თუმცა იდეა გარკვეული სტიმულის მიმცემი გახდა ბრძოლის შემდგომი გაგრძელებისა.

მეხუთე თავი

ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში

XX საუკუნის 80-იან წლებში და განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე მნიშვნელოვნად აქტიური გახდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თუმცა აღნიშნულ ფაქტს მაშინვე მოჰყვა რუსეთის გამოხმაურება იმ თვალსაზრისით, რომ დაიწყო სხვადასხვა ნაბიჯების გადადგმა ეროვნული მოძრაობის შესაფერხებლად. პირველ რიგში მან ეთნოკონფლიქტების გაძლიერებას შეუწყო ხელი. მის მიზანს წარმოადგენდა დაენახვებინა და დაერწმუნებინა არაქართული ეთნოსი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში მათი მდგომარეობა გართულდებოდა.

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ ეს პრობლემა არ ჰქონდა. მიზნის მისაღწევად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სპეციალური დებულებების, პროგრამების შედგენა და მისი პრაქტიკაში დანერგვა. ქართული ეროვნული მოძრაობის მთავარი იდეოლოგების ძირითად ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა: 1. პირველ რიგში რუსეთის ხელისუფლების გავლენის შესუსტება ხალხის ცნობიერებაში, 2. საბჭოთა მოქალაქეობაზე უარის თქმა, 3. საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება.

საბჭოთა სისტემა მიუხედავად დიდი მცდელობისა ნელ-ნელა გავლენას კარგავდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეთნოკონფლიქტების გაღვივებით შეენარჩუნებინა გავლენა მის დაქვემდებარე-ბაში მყოფ სახელმწიფო-

ებში. აღნიშნული მცდელობის გამოვლინებას წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა რეჟიმი, მართალია დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა მაინც დიდი გავლენა ჰქონდა მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფოებზე.

რა განაპირობებდა საბჭოთა სისტემის დასუსტებას?

1. მართალია XX საუკუნის 80-იან წლებში ნათლად გამოიკვეთა საბჭოური პოლიტიკის უარყოფითი მხარეები, თუმცა ეს პროცესი მხოლოდ აღნიშნული პერიოდისათვის არ იყო დამახასიათებელი და გარკვეული საფუძველი გააჩნდა. კერძოდ, XX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული საბჭოთა სისტემაში გაერთიანებული ერები ნელ-ნელა იწყებენ საკუთარი სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლას.

რაც შეეხება 80-იან წლებს: 2. აღნიშნულ პერიოდში ხელისუფლების ხელმძღვანელობაში სამი მმართველი გამოიცვალა: ანდროპოვი, ჩერნენკო და გორბაჩოვი. ამათგან ანდროპოვის და ჩერნენკოს დროს არაფერი გაკეთებულა რეჟიმის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. მათი ასაკიდან გამომდინარე ამის რესურსი აღარ გააჩნდათ. ისინი მართალია ძველი წესების შენარჩუნებას ესწრაფვოდნენ, თუმცა მსოფლიოში დაწყებული ახალი ეტაპიდან გამომდინარე და აგრეთვე, თვითონ სისტემაში მიმდინარე მოვლენებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმა აუცილებლობას წარმოადგენდა. ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებაში მყოფი საზოგადოება აცნობიერებდა, რომ სისტემაში არსებობდა გარკვეული კრიზისი, მაგრამ მეორე მხრივ, ამის აღმოფხვრის შესაძლებლობა და უნარი არ გააჩნდა.

მათგან განსხვავებით მიხეილ გორბაჩოვს ჰქონდა იმის მცდელობა, რომ ახალი რეფორმების განხორციელებით შეენარჩუნებინა არსებული სახელისუფლებო სისტემა, თუმცა აღნიშნულ ფაქტსაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

3. ისმის კითხვა, ვის აწყობდა ხელისუფლებაში ისეთი პირების მოსვლა, როგორებიც იყვნენ: ანდროპოვი და ჩერნენკო? პირველ რიგში, სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი მისაღები იყო ძველი ნომენკლატურისთვის საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად და მეორე, სისტემა იმდენად იყო დასუსტებული, რომ მცდელობებისდა მიუხედავად რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

რა წარმოადგენდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანს?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის მთავარ მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. შეიქმნა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მეოთხე დასი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

ეროვნული მოძრაობის განვითარების ახალ ეტაპზე ქართული პოლიტიკური ელიტა რადიკალური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩევა. დღის წესრიგში დგება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ბეჭდურ ორგანოში ჩნდება მოწოდებები ქართველი ხალხისადმი. რაც

მთავარია ეროვნული ძალების გააქტიურება მხოლოდ საქართველოსთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ეს ყოველივე ქართულ ეროვნულ ძალებს ბრძოლის სტიმულს აძლევდა.

ქართველთა ერთიანობის გამომხატველად იქცა 1989 წლის 9 აპრილი, სადაც ერთხმად მოითხოვეს საქართველოს სსრ კავშირიდან გამოსვლა, ჯარების გაყვანა ჩვენი ტერიტორიიდან და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა, ამ ყოველივეს საფუძველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან დისიდენტების მოღვაწეობით, 80-იანი წლების II ნახევარი კი უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩევა. მაგალითად, 9 აპრილამდე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ 25 თებერვლის აქციაზე დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის პეტიციებზე ხელმოწერის კამპანია. პეტიცია ეგზავნებოდა გაეროს, ევროპის პარლამენტს და იმ დასავლურ სახელმწიფოებს, რომლებმაც „დე ფაქტო“ და „დე იურე“ ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამავდროულად ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაჩნდა მოწოდებები ეროვნული ცნობიერების გაძლიერებასთან დაკავშირებით, დაიწყო ისტორიული მეხსიერების აღდგენის აუცილებლობის ქადაგება. ეროვნული ძალების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის დამახასიათებელი ისტო-რიული ერთიანობის აღდგენა და ეროვნული ქვეყნის ჩამოყალიბება, რომელიც დემოკრატიული იდეალებით იქნებოდა წარმოდგენილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მახასიათებლები ქართველი პოლიტიკური ელიტის მეხსიერებაში მკვეთრად იყო ჩადებული და შესაბამისად მიზანიც გამოკვეთილი:

ეროვნული, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფოს აღდგენა და შექმნა, რომელიც საერთაშორისო სისტემაში გარკვეულ ადგილს დაიკავებდა. აღნიშნულის მიღწევა, რომ მარტივ საკითხს არ წარმოადგენდა, ამას ნათლად აცნობიერებდა ყველა და ძალღონეს არ იშურებდნენ საქართველოსთვის ღირსეული, მისთვის შესაფერისი ადგილის დამკვიდრებისათვის. ამისთვის სპეციალური მეთოდები იყო შესამუშავებელი: პირველ რიგში ქართველთა ცნობიერებაში ერთიანობის მუხტის გაცნობიერება იყო საჭირო, რათა ერთობლივი ძალებით ებრძოლათ საქართველოს განთავისუფლებისათვის.

XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში ეროვნული იდეის განვითარება ახალ ფაზაში გადადის. დისიდენტურმა მოძრაობამ გარკვეული პირობები შექმნა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის სფეროში. ამ ყოველივემ ნათლად გამოკვეთა საბჭოთა რეჟიმის სისუსტე და უსუსურობა. 80-იანი წლებიდან და განსაკუთრებით II ნახევრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აქტიურდება, რასაც ხელი შეუწყო არა მარტო საქართველოში, ან საბჭოთა სისტემაში, არამედ მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა. დასავლეთი სულ უფრო მეტად გამოხატავდა თავის ანტიკომუნისტურ შეხედულებას და მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო დემოკრატიული იდეის განვითარებისათვის. ფაქტობრივად, ყველასთვის ცნობილი გახდა საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე და ის ფაქტიც, რომ ნელ-ნელა „ბოროტების იმპერია“ დასასრულისაკენ მიდიოდა. თუმცა, მიზანმიმართული და გააზრებული მოქმედება იყო საჭირო, რათა საბჭოთა რუსეთს აღსასრულის გზაზე სხვა სახელმწიფოებიც არ ჩაეთრია. „ნაძალადევად გაერთიანებული იმპერია უფსკრული-

საკენ მიექანება, მაგრამ მას ჯერ კიდევ რეალური და საშიში ძალა აქვს. ის მუდამ მზად არის ეროვნული მოძრაობა ერებს შორის კომფლიქტად და ნამდვილ ომად გადააქციოს. მზად არის ჩვენი ყოველი აუწონავი და გაუთვალისწინებელი მოქმედება გამოიყენოს, მოაწყოს პროვოკაცია, რასაც შემდგომში „ეროვნულ უმცირესობებსა“ და „ერებს შორის კონფლიქტს დაარქმევს“ და შესანიშნავი საბაბი მიეცემა ეროვნულ მოძრაობასთან ანგარიშსწორებისა. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ არ მივცეთ კრემლს ფორმულის „გათიშე და იბატონე“-ს გამოყენების საშუალება“.[203]

ქართველი ხალხის მთავარი იდეოლოგები, ეროვნული მოღვაწეები ცდილობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დასავლეთის მხარდაჭერა მიეპოვებინათ. მართალია დასავლეთი, როგორც უკვე აღვნიშნე თავის ანტიკომუნისტურ განწყობილებას ცალსახად გამოხატავდა, თუმცა რადიკალური ნაბიჯების გადადგმისაგან მაინც თავს იკავებდა. ამიტომ ქართველებს მცდელობისდა მიუხედავად, ფაქტობრივად მარტო უხდებოდათ ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის. ქართველი კორესპოდენტის კითხვისას, ამერიკელი ჯემ ქლანსის მიმართ: თუ რას ამბობს ამერიკელი ხალხი 9 აპრილის შესახებ, იგი შემდეგნაირად პასუხობს: „მე ვერ გეტყვით, რომ ეს დღე ხალხთა თანხმობის დღეა: ჩემი აზრით, ეს დღე არის საქართველოსთვის მებრძოლი ხალხის გაერთიანების, სოლიდარობის დღე. ეს არის 9 აპრილს დაცემულ მამულიშვილთა გახსენების დღე. დღევანდელი დღე მარტო საქა-რთველოს დღე

[203] ნაირა ლობჟანიძე, კონსოლიდაციის გზით, გაზეთი, დანახვისი, 1990, №1, გვ. 1

არ არის, ეს ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის დღეა“.[204]

ქართველი ეროვნული მოღვაწეებისათვის და არა მხოლოდ მათთვის უკვე ნათელი იყო საბჭოთა სისტემის მიზნები, უფრო სწორად რუსეთის, რომელიც საბჭოთა რეჟიმის ლოზუნგით გამოდიოდა და მასში გაწევრიანებულ ერებს კვლავ არდაშლისაკენ მოუწოდებდა. ფაქტი იყო, რომ რუსეთმა თავისი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა, თუმცა შეიძლება ითქვას, ეს ფაქტი უცხო უკვე აღარავისთვის იყო, მაგრამ მათ ძალებს აღემატებოდა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1990 წლის გაზეთ „შემოქმედში“ ვკითხულობთ: საბჭოური აზროვნების სტილი თავისი ბუნებით დემაგოგიურია, რათა შეექმნა ილუზია და დაეფარა თავისი ნამდვილი ზრახვა, რაც იმპერიული საწყისის შენარჩუნებაში გამოიხატება, მან თვითნებურად შეიცვალა სახელი მხოლოდ და რუსეთის ნაცვლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაირქვა. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სახელი მხოლოდ და მხოლოდ შინა მოხმარებისთვის თუ გამოდგება, თორემ მსოფლიო სახელმწიფოებისათვის ის ისევ და ისევ რუსეთად რჩება და მასში შემავალი ყველა რესპუბლიკა ნაწილია მთელისა. ის, რომ რესპუბლიკების სუვერენიტეტი ფიქციაა, კარგად გამოაჩინა ე. წ. „პერესტროიკის“ პოლიტიკამ, რომლის მიზანიცაა საბოლოოდ მოუღოს ბოლო იმპერიაში შემავალი ხალხების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. მთელი საბჭოური ისტორია სხვა არაფერი არ იყო, თუ არა ხალხებისათვის ყველაზე სანუკვარი ოცნებების დამახინჯების, დეფორმაციის ცდა. დამოუკიდებელი ეროვნული კულტურების ნაც-

[204] საუბარი ამერიკელ სტუმართან, გაზეთი, შემოქმედი, 1990, №3, გვ.2

ვლად შეიქმნა ე. წ. საბჭოური კულტურა, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა ნაციონალური თვითშეგნება და ეროვნული ხასიათი. ერთიანმა საბჭოთა სახელმწიფოს ცნებამ მოსწყვიტა თავის ფესვებს და ისინი კატასტროფის წინაშე დააყენა. დაიკარგა მამულის შეგრძნება, რამაც იმპერიაში მცხოვრები ადამიანი მართლაც რომ იარაღის მკეთებელ ცხოველად გადააქცია, ამას დამატებით შეუწყო ხელი პოლიტიკურმა, შინსახკომურმა სისტემამ, მთელი თაობები მოექცნენ ფსევდომარქსისტულ-ლენინური იდეების ტყვეობაში".[205]

რაში მდგომარეობდა გამოსავალი?

1. ერთი რამ ფაქტი იყო, საბჭოთა რეჟიმი ძველი წესებით ცხოვრების სტილს ნელ-ნელა ცვლიდა. მიხეილ გორბაჩოვი სახელმწიფოებრივ სისტემაში დემოკრატიული ელემენტების შემოტანით არსებულის შენარჩუნებას და ამასთან ახლის დამკვიდრებას ცდილობდა. საბჭოთა რეჟიმისთვის წლების მანძილზე დამახასიათებელი დიქტატორული მმართველობა ახალი ე. წ. ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების შემოტანით იცვლებოდა. საზოგადოების ფართო ფენები ცდილობდნენ დაეძლიათ შიშის სინდრომი, რომელიც მთელ 70 წლიან პერიოდს გასდევდა. საბჭოთა კავშირის ნამდვილი სახე ყველასთვის ცნობილი იყო, მისი იდეოლოგია იმ მასშტაბით ვეღარ მოქმედებდა, რასაც სტალინიდან მოყოლებული მტკიცედ იცავდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ არსებობს სხვა სამყარო, სადაც მეტი თავისუფლებაა და მისი მოპოვებისთვის ბრძოლა დაიწყო. ბუნებრივია, ეს ბრძოლა მხოლოდ XX საუკუნის 80-იანი წლების-

[205] ლევან დადიანი, აზროვნება საბჭოური დემაგოგიის კლანჭებში, გაზეთი, შემოქმედი, 1990, №3, გვ. 3

თვის არ იყო დამახასიათებელი, თუმცა თავისი ინ-ტენსივობით ეს პერიოდი უდაოდ გამორჩეულია. ეს ბრძოლა გამოიხატებოდა არა შეიარაღებული გამო-სვლით, არამედ იდეურად. მაგალითად, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ცდილობდა ეროვნული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევით და საზოგადოების ცნობიერების ფორმირებით საქ-ართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაერწ-მუნებინა მოსახლეობა. 1989-1990 წლებში გამოსვლას იწყებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თუ გაერ-თიანების ბეჭდური ორგანოები, სადაც იმ საკითხებ-ზე იყო საუბარო, რაც საზოგადოების მთავარ გამო-წვევას წარმოადგენდა.

2. მართალია, საბჭოთა რეჟიმი დასასრულისკენ მიდიოდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ყველაფერი ისე წავიდოდა, როგორც საბჭოთა სისტემაში გაწევრიანებულ სახელმწიფოებს აწყობ-დათ და მათ შორის საქართველოს. საბჭოთა კავში-რის მთავარი იდეოლოგი რუსეთი არ აპირებდა სა-კუთარი პოზიციების მარტივად დათმობას და თავის მხრივ, დასავლეთიც, როგორც უკვე აღვნიშნე რადი-კალური ნაბიჯების გადადგმისაგან თავს იკავებდა. ამ ფონზე აუცილებლობას წარმოადგენდა მიზანმი-მართული და გააზრებული მოქმედება. გაზეთ „ივე-რიაში“ 1990 წლის იანვარში ილია ჭავჭავაძის საზო-გადოება წერდა: „ქართველებისთვის მძიმე, განსაც-დელით აღსავსე XX საუკუნემ უკანასკნელი ათწლე-ულიც გადაგვიშალა. რას გვპირდებოდა იგი: ქართ-ველი ერის წინაშე, ისე როგორც ამ საუკუნის და-საწყისში კვლავაც დგას უმთავრესი ამოცანა დამო-უკიდებლობის მოპოვებისა. ბოლშევიკთა ბატონობის სისხლიანმა ხანამ ჩვენს ერს ფიზიკური გადაშე-

ნებისა და სრული დეგრადაციის აშკარა საფრთხე შეუქმნა, მოსპო საუკეთესო ქართული გენოფონდი.

მსოფლიო ტექნოლოგიურმა ნახტომმა და რუსეთის დიდმა ჩამორჩენამ ამ ბოლო დროს საბჭოთა იმპერიაც აიძულა დასდევნებოდა მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ პროგრესთან მიახლოვება საზოგადოების დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელია. დემოკრატიზაციის პროცესებმა კი, თავის მხრივ, იმპერიაში დატყვევებულ ერთა თავისუფლებისაკენ ლტოლვა განაპირობეს. გამოფხიზლება დაიწყო ქართველმა ერმაც. ჩვენში დროის მცირე მონაკვეთში მრავალი პოლიტიკური საზოგადოება და პარტია წარმოიქმნა, რომლებიც მშობელი ერის სამსახურში ჩადგნენ და ერთადერთ წმიდათაწმიდა მიზნად საქართველოს თავისუფლება დაისახეს. სხვა საკითხია რა გზით აპირებენ ისინი ამის მიღწევას“.[206]

3. როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა რეჟიმი უკან დახევას არ აპირებდა და მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის შენარჩუნებას. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლა და მასში გაწევრიანებული სახელმწიფოების განთავისუფლება ყველა ამ ერის ოცნება იყო. მაგრამ პროცესი მეტად რთული გადასალახი აღმოჩნდა. ერთია, როდესაც დამოუკიდებლობას მოიპოვებ და მეორეა, მისი შენარჩუნება. ბუნებრივია, იმპერიის დაშლა, რომელიც 70 წლის მანძილზე მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას წარმოადგენდა, გარკვეულ სირთულეებს წარმოშობდა და ეს ასეც მოხდა. განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნული კონფლიქტები, რასაც იმპერია თავად უწყობდა ხელს. ზურაბ ჭავჭავაძე 1989 წელს გაზეთ „ივერიის“ მეთორმეტე ნომერში წერდა: „უმძიმესი გამო-

[206] გაზეთი, ივერია, 1990, №20, გვ. 1

ცდის წინაშე დგას ქართველი ერი. საქართველოს დაუძინებელი მტრის წაქეზებით აფხაზეთსა და ქვემო ქართლში ერთაშორისი ურთიერთობების დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. და სწორედ მაშინ, როცა აფხაზეთშიც და ქვემო ქართლშიც საგანგებო რეჟიმი იქნა შემოღებული, როცა განსაკუთრებული სიბრძნე და აუღელვებლობა გვმართებდა, სულთმობრძავმა იმპერიამ ჭორებისა და დეზინფორმაციის გავრცელებით სცადა მდგომარეობის სტაბილიზაცია საქართველოს სხვა რეგიონებში და ქართველების წაკიდება ოსებთან და ლეკებთან. არის შემთხვევები, როდესაც ზოგი პროვოკატორი ამ მიზნით არაფორმალურ გაერთიანებათა მიერ ჩატარებულ მიტინგებსაც კი იყენებს“.[207]

ასეთ ფონზე, ბუნებრივია რთული იყო სწორი პოლიტიკური მიმართულების განვითარება. იმპერია ნგრევის პროცესში იყო და ცდილობდა დაშლის შედეგები მის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა, მაგრამ ქართველთა სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ის მარტო არ იყო და საბჭოთა სისტემაში გაწევრიანებული ერები მაქსიმალურად ცდილობდნენ თავისუფლების მოპოვებას. ეს ყოველივე ქართველ ეროვნულ მოღვაწეებს ბიძგს აძლევდა და იმედს უსახავდა ბრძოლის გზაზე. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საკუთარ მოვალეობად თვლიდა თითოეული ქართველი ჩაერთო სამშობლოს თავისუფლებისათვის მოპოვების ბრძოლისას. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება გაზეთ „ივერიაში“ 1990 წლის მარტში აღნიშნავდა: „ღვთის წყალობით, სასიკეთო მოვლენები ბოროტების იმპერიაში და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყ-

[207] ზურაბ ჭავჭავაძე, პოტენციურ მოკავშირეებს მტრად ნუ გამოვეკიდებით, გაზეთი, ივერია, 1989, №12, გვ. 1

ნებში იმაზე ბევრად სწრაფად ვითარდება, ვიდრე ამას მოველოდით. უღვთო პოლიტიკურ სტრუქტურებში მოჯადოებული ერები მეტ-ნაკლები სისწრაფითა და ენერგიით ცდილობენ განთავისუფლებას, – ინგრევა კედლები, აპატიმრებენ მმართველ კომუნისტურ ხროვებს, აქვეყნებენ საიდუმლო პოლიციის აგენტთა სიებს და ა. შ...

... ილია ჭავჭავაძის საზოგადოება უდიდესი პატივისცემით ეკიდება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმულ თითოეულ ქართველსა და ყველა ჭეშმარიტ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას. დიადი მიზნების მისაღწევად აუცილებელია საერთო ძალისხმევა და კოორდინირებული მოქმედება. მხოლოდ ყოველმხრივ ანალიზზე დაფუძნებული – რეალური, ბრძნული და ილიასეული პოლიტიკა გადაგვარჩენს ქართველ ერს. ამისათვის კი საჭიროა მოძრაობაში აქტიურად ჩავრთოთ დღემდე განზე მდგომი ნაწილი ქართველებისა. ნუ დავაფრთხობთ მათ, დაუფიქრებელი მოქმედებითა და ქცევით. აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ჩავრთოთ ყველა წესიერი ქართველი, ვისაც საამისო უნარი შესწევს, ავიმაღლოთ პროფესიონალიზმი ამ სფეროში“.[208]

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: სჭირდებოდა თუ არა საუკუნეების მანძილზე ბრძოლაში გამობრძმედილ ქართველ ერს მოწოდება და ბრძოლის აუცილებლობაში დარწმუნება? მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული მოვლენები აჩვენებს საბჭოთა რეჟიმის ნგრევის ბოლო ეტაპზე ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა საკუთარი გავლენის შენარჩუნებას მასზე დაქვემდებარებულ ერებზე და ამიტომ საჭირო იყო

[208] გაზეთი, ივერია, 1990, №21, გვ. 1

სწორი და მიზანმიმართული მოქმედება, რათა მათ პროვოკაციებს შედეგი არ გამოეღო. „დღეს, როდესაც ქვეყანა მოიცვა დემოკრატიულმა მოძრაობამ, ეკონომიკური კრიზისით შერყეული იმპერია იძულებულია რაღაცა დათმოს, საქართველოს კიდევ ერთხელ დაუდგა ისტორიული მომენტი, რათა დაუძვრეს იმპერიის კლანჭებს. ურთულესი ამოცანაა: ერთის მხრივ ასეთი შესაძლებლობა და მეორე მხრივ, დარღვეული ეროვნული ფსიქიკა. სწორედ დღეს ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ეროვნული ფსიქიკის გაჯანსაღებისათვის. ამას შჭირდება წლები და პროცესის სწორად წარმართვა. თუ არასწორი მიმართულებით ვიარეთ, ჩვენში არ აღმოიფხვრება დიქტატურის მიმართ ნოსტალგია, რომელიც საზოგადოების შეგნებაში წესრიგთან არის გაიგივებული. ჩვენ უნდა ვისწავლოთ დემოკრატია, უმცირესობის აზრის პატივისცემა, პიროვნების თავისუფლების პატივისცემა“.[209]

ასეთ ფონზე აუცილებლობას წარმოადგენდა საკუთარი, წარსული ისტორიის გახსენება, ეროვნული ტრადიციების და ეროვნული გმირების წინა პლანზე წამოწევა. ცნობიერებაშელახულ საზოგადოებას ესაჭიროებოდა ახალი ძალების მობილიზება და სქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმა. 1990 წელს გაზეთ „კაბადონში“ ვკითხულობთ: „უდიდესი მისია დაგვაკისრა 90-იანმა წლებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. ვინ იცის რამდენი ქართველის ოცნება იყო ამგვარ დროებაში ყოფნა. ისინი არათუ ბრძოლის ფიქრსაც ვერ ბედავდნენ თავისუფლებაზე. ჭეშმარიტი პატრიოტი ყოველთვის მონახავს გზას ბრძოლისა, თუმცა უზურპაციის პირობებში ის მაინც დასაღუპა-

[209] ლერი გოშაძე, ერთი სერიოზული პრობლემის თაობაზე, გაზეთი, ივერია, 1991, №26, გვ. 5

დაა განწირული, რაც მხოლოდ ფიზიკურ არსებობას ეხება, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ მათმა თავგანწირვამ მოგვიყვანა დღევანდელ საქართველომდე, დღევანდელი ბრძოლის პერიოდში. ვინ იცის, რამდენი უსახელო გმირი ყავდა საქართველოს, დიახ მე მჯერა, რომ ისინი იყვნენ და ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა მათი დამსახურების წინ წამოწევა. ყოველ შემთხვევაში მე ახლა სხვა რამ შემთხვევაში მე ახლა სხვა რამეზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება – როგორები უნდა ვიყოთ დღეს, რათა უახლოეს ხანში ვიხილოთ სანუკვარი თავისუფალი საქართველო?!... იმისათვის, რომ იმპერიას თავისი მიზნებისათვის მიეღწია, მან მთელი თავისი ძალისმხევა ადამიანის სულის განადგურებისაკენ მიმართა, შეუტია ადამიანურ ღირებულებებს და მყარი, ზნეობრივად ჩამოყალიბებული პიროვნების ნაცვლად, მერყევი, ულოგიკო, გაქნილი, ხშირ შემთხვევაში გახრწნილი ადამიანის ფეტიში შექმნა, გააბატონა. მან იმასაც კი მიაღწია, რომ საბჭოთა ადამიანს საერთოდ ადამიანობის რწმენაც კი დააკარგვინა..... საერთო მიზანს რომ მივაღწიოთ, რა გზას დავადგეთ, ყოველი ჩვენთაგანი. მე მჯერა ადამიანის გულის სიწრფელისა, ოღონდაც მთავარია ყოველი ჩვენთაგანი ავმაღლდეთ პირადულ განცდებზე, ყოველდღიურ წვრილმანებზე და სამშობლოს, ჩვენი ბედკრული საქართველოს ძახილს მივაპყროთ გულისყური. მხოლოდ ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ყველანი საქართველოს ჯარისკაცები გავხდეთ და მალე გავიმარჯვებთ“.[210]

იმავე გაზეთში აღნიშნულია: „ერი ან დამოუკიდებელი უნდა იყოს, ან უნდა იბრძოდეს დამოუკი-

[210] საქართველოს ჯარისკაცები გავხდეთ ყველანი, გაზეთი, კაბადონი, 1990, №2, გვ. 1

დებლობისათვის. თუკი დაპყრობილი ერი არ იბრძვის თავისუფლებისათვის, ასეთი ერი ერი არაა – ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. 9 აპრილის უპირველესი მადლი ისაა, ჩვენ ხმა ამოვიღეთ და ერი გავხდით.

ერს, რომელსაც არ შეუძლია მსხვერპლის გაღება, ძნელია ერი ეწოდოს. არსებობს მაღალი, მარადიული ღირებულებანი, რომელთაგან უპირველესია სამშობლოს სიყვარული.

სამშობლო მშობლისგან განსხვავებით კი არ გივლის, არამედ თვითონ თხოულობს მოვლა-პატრონობას. ის რაღაცით პატარა, სათუთ ბავშვსაც კი გაგონებს. თუკი სამშობლოს არ უვლი, ის როგორც თოთო ბავშვი ავადდება და დასაღუპავად ხდება განწირული. სამშობლოს მოვლის ერთადერთი რეცეპტი არ არსებობს, ზოგი ოფლით აკეთებს ამ საქმეს, ზოგი წიგნებში კირკიტით, ზოგი დაზგასთან დგომით, ზოგი ხნულის გაკვალვით და ზოგიც სამშობლოს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი უსაფრთხოებისათვის უნდა ზრუნავდეს, ასევე როგორც მშობელი ზრუნავს შვილის უსაფრთხოებისათვის. 9 აპრილს, პირველად პირსისხლიანი დიქტატურის პირობებში, ერთად დავდექით საქართველოს სადარაჯოზე. პირველად, მთელი 70 წლის განმავლობაში, გავაშინაგანეთ, რომ ჩვენი სამშობლო არაა ტაიგის ტყეები, ყირგიზეთის სტეპები, ესკიმოსების ყინულოვანი წყალი თუ მოსკოველების კრემლი, არამედ მრავალტანჯული, ბედკრული და გმირული საქართველო“.[211]

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ხაშურის ფილიალის და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის რეგიონალური კომიტეტის ორგა-

[211] საქართველოს ჯარისკაცები გავხდეთ ყველანი, გაზეთი, კაბადონი, 1990, №2, გვ. 1

ნო მოუწოდებდა ქართველ ხალხს: „საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფა-ზაში შევიდა. ურთულესი პოლიტიკური ვითარება დღეს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისაგან არ-ნახულ მობილიზებას და მამულისადმი თავგანწირ-ვას მოითხოვს. კომუნისტური პარტიის მიერ შეთით-ხნილი ილუზირებულ კომუნიზმისაკენ თვალებდახუ-ჭული და გონებამოწამლული ერი უფსკრულის პი-რას შეჩერდა და იმედგაცრუებული, ჭეშმარიტი მა-მულიშვილების მცდელობამ, მათმა უთანასწორო ბრძოლამ ბოროტების იმპერიასთან შედეგი გამოიღო: ქართველ ხალხში გაიღვიძა ეროვნულმა სიამაყემ, აუტანელი გახდა კოლონიური უღელი“.[212]

ამ მხრივ დიდი სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილი ქართველი ერისთვის. საზოგა-დოებამ მოახერხა გაერთიანებულიყო და ერთობ-ლივი ძალებით ებრძოლა საქართველოს თავისუფ-ლებისათვის. 1990 წლის გაზეთ „სარანგში“ ვკითხუ-ლობთ: „9 აპრილი იყო ეროვნული რევოლუციის დღე, ამ დღეს დაეცა რესპუბლიკის ადმინისტრაცი-ულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვის აპარატი, ნათელი გახდა, რომ ძველებურად ცხოვრება ქართ-ველ ერს აღარ სურდა.

ცდა, უხეში ძალით, სისასტიკით, ბარბაროსობით დაეშინებინათ ქართველი ერი, სრული კრახით დამ-თავრდა.

პირიქით, ჭეშმარიტი ღვთიური საქმისათვის და-ღვრილმა სისხლმა შეკრა, გააერთიანა და მანამდე

[212] წმინდა ილია მართლის საზოგადოების ხაშურის ფილიალის და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის რეგიონალური კომიტეტის ორგანოს მოწოდება ქართველ ხალხს, გაზეთი, ილიას სამრეკლო, 1989, №1, გვ. 1

არნახულ სიმაღლეზე აიყვანა დაქსაქსული ერი და ეროვნული მოძრაობა.

... დღეს აუცილებელია მთელი ეროვნული მოძრაობის ძალისხმევა მიმართული იქნეს ერის მოსამზადებლად დაუმორჩილებლობისათვის. საჭიროა თავისუფლება თითოეული ქართველის სასიცოცხლო აუცილებლობად იქცეს".[213]

„ბუნებრივია, ადამიანის გონებაში დაისმის კითხვა – რა მოგვცა 1989 წლის 9 აპრილმა? ჩვენი აზრით, 1989 წლის 9 აპრილიდან იწყება ნამდვილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მან დარაზმა ერი და ბერი. ხალხს გაუჩნდა რწმენა, რომ თუ მთელი ქართველი ხალხი ერთ მუშტად შეიკვრება, მიაღწევს სანუკვარ საწადელს, რომელსაც ერის თავისუფლება ჰქვია".[214]

1990 წელს გაზეთ „ბორჯში" ზურაბ გუჩუა წერდა: „ჩვენში ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია გაბატონებული იმის შესახებ, თუ რამდენად დროულია ეროვნული მოძრაობის მიერ წამოყენებული საკითხები სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის თაობაზე.

ადამიანთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ჯერ არა ვართ მომზადებული დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, რომ ჯერ მოსაგვარებელია მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საკითხები. ყოველივე ამას, ვერავინ ვერ უარყოფს, პრობლემები მართლაც თავსაყრელი გვაქვს, მაგრამ იგი არ შეიძლება გადაწყდეს არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის ჩარჩოებში. ეს რომ შესაძლებელი იყოს, საბრძოლო და თავსატეხი მაშინ არაფერი გვექნებოდა. ე. ი. იმის თქმა, რომ ჯერ ეს სა-

[213] გაზ. სარანგი, 1990, №2, გვ. 2
[214] იქვე, გვ. 3

კითხები მოვაგვაროთ და მერე ეროვნული თავისუფლების საქმესაც მივხედოთ არ იქნება სწორი. პირიქით, ჩვენ გამოსავალი იმაში უნდა ვნახოთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას შევხედოთ, როგორც პროცესს, რომელმაც მოძრაობაში უნდა დაბადოს შედეგი. რა თქმა უნდა ამ აზრში არ იგულისხმება მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად ქუჩაში გასვლა და მასობრივი მიტინგების მოწყობა. მთავარია ყველამ თავისი საქმიანობა ერთ იდეასთან განთავისუფლებას დაუმორჩილოს"[215]

1989 წელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გაზეთი „პატიმრის ხმა" აღნიშნავდა: „თქვენ დამონებულები, დაბრმავებულები და დაყრუებულები მონოპოლისტური საბჭოთა იმპერიისაგან ცდილობდით ასევე მონად გექციათ მუდამ თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერი. ამის მაგალითია უამრავი დაპატიმრებები და გადასახლებები, პოლიტიკურად არასწორად მოაზროვნე ადამიანების, როგორც თქვენ უწოდებდით ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსება, მორალური, სულიერი, მატერიალური და ფიზიკური განადგურება იმ ვაჟკაცი ადამიანებისა, რომლებიც ხმას აღიმაღლებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ.

...საბჭოთა იმპერიაში მცხოვრები თავისუფლების მოყვარე ყოველი ადამიანი თავს პატიმრად გრძნობდა. კომუნისტური იდეოლოგია და პოლიტიკა ცდილობდა მონური ფსიქოლოგიის ქვეშ მოექცია ყოველი ადამიანი. იგი თავისუფლებისათვის ბრძოლის ყოველ გამოვლინებას ადამიანში ძირშივე ახშობდა. მიმაგრება, იძულება, უმუშევრობაზე სისხლის სამარ-

[215] ზურაბ გუჩუა, გონივრულად ვმართოთ პროცესები, გაზეთი, ბორჯი, 1990, №1, გვ. 2

თლის მუხლის არსებობა ადამიანის დამონების საბ-ჭოური პოლიტიკაა“.[216]

1989 წელს გაზეთი „სამრეკლო წერდა: 9 აპრილის ტრაგედიამ კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. პოლიტიკური ორგანიზაციები შეიქმნა არა მრტო ქალაქებში, არამედ რაიონებშიც. თიანეთის რაიონში ჩამოყალიბდა ორი ორგანიზაცია, ერთი დაბა თიანეთში–ეროვნული ხსნის თიანეთის კავშირი, მეორე კი –ერწოს ზონაზე.

ამ უკანასკნელს თავდაპირველად ეწოდა ეროვნული ხსნის ერწოს ჯგუფი. იგი შეიქმნა 1989 წლის 9 ივნისს, სოფელ ხევსურთსოფელში, როცა ნ. ჭოლიკაურის, მ. ბასიალურის, ე. არაბულის, კ. კენკიშვილის ინიციატივით პირველად შეიკრიბა ჯგუფის მომავალ წევრთა უმარვლესობა. ჯგუფის შექმნის მიზანი არის თიანეთის რაიონის ერწოს ზონაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, მოსახლეობის გააქტიურება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და ადგილობრივი, რეგიონალური პრობლემების მოგვარებისათვის ბრძოლა“.[217]

1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ წერილი გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, სადაც აღნიშნულია: „ 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე საბჭოთა რეჟიმმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ნამდვილი სახე. საქართველოს დედაქალაქ თბილისში მთავრობის სახლის წინ მოაწყო მშვიდობიან მანიფესტანტთა წინასწარ განზრახული ხოცვა-ჟლეტა, რისთვისაც გამოიყენეს არამრტო

[216] გაზეთი, პატიმრის ხმა, 1989, №1, გვ. 1

[217] 19 სექტემბერი, გაზეთი, სამრეკლო, 1989, №1, გვ. 1

სპეცჯარები, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, არამედ ორლესული ფოლადის ნიჩბებით შეიარაღებული პროფესიონალი მკვლელები და სულ ცოტა სამი სახის ქიმიური იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა მინიმუმ 21 და უკვალოდ გაქრა 13 კაცი, ბევრია დაჭრილი და მოწამლული, რომელთაგან რვაასამდე პირი მოხვდა საავადმყოფოებში, დახოცილთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ქალები, ბავშვები და მოხუცები, საბჭოთა ჯარების აღვირახსნილ საქციელს წინ აღუდგნენ მილიციელები, რის შედეგად დაზიანდა ასობით მათგანი, დამსჯელმა ჯარებმა ამასთანავე დაარბიეს მძინარე მოქალაქეები, რომელთაც უვარდებოდნენ ბინებში, სცემდნენ და წამლავდნენ ქიმიური იარაღით...“[218]

ანალოგიური შინაარსის წერილები გაეგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს, რომის პაპს იოანე პავლე მეორეს. აგრეთვე წერილი გაეგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს, სადაც აღნიშნულია: 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე არმიის მიერ მშვიდობიან მანიფესტანტთა ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დააპატიმრეს არაფორმალურ გაერთიანებათა რამდენიმე წარმომადგენელი. მაშინ როდესაც მასობრივი ხოცვა-ჟლეტის არც ერთი ინიციატორი და შემსრულებელი დაპატიმრებული არ არის, მკვლელები დასუჯელნი არიან, ხოლო მიტინ-

[218] საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, გვ. 61

გის აქტიური მონაწილენი დაპატიმრებულნი, მხოლ-
ოდ ზეპირი ლოზუნგების წარმოათქმისათვის.

მოგმართავთ თქვენ, არა მხოლოდ როგორც დე-
მოკრატიული და ჰუმანისტური ტრადიციების მქონე
ქვეყნის მეთაურს, არამედ როგორც ადამიანს, რომ-
ელსაც დიდი პირადი წვლილი მიუძღვის ქართველი
პოლიტპატიმრების დაცვისა და განთავისუფლების
საქმეში და გთხოვთ ხელი შეუწყოთ ახალი პოლიტ-
პატიმრების განთავისუფლებას“.[219]

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ჯერ კიდევ 1988 წელს აღნიშნავდა: „ჩვენი პარტიის
მთავარი ამოცანაა აღადგინოს დამოუკიდებლობა,
ააღორძინოს დემოკრატიული, საპარლამენტო და
ქრისტიანული საქართველო. ჩვენ უარვყოფთ ყოველ-
გვარ ძალადობას და ვიმოქმედებთ, როგორც პოლი-
ტიკურ-საზოგადოებრივი ძალა. ჩვენი აზრით, ყოველ
ერს აქვს სრული უფლება აირჩიოს თავისი მომავა-
ლი და არავის აქვს იმის უფლება, რომ ამა თუ იმ
ერს მიუთითოს, როგორი უნდა იყოს მომავალი. ყოვ-
ელმა ხალხმა თავად უნდა განსაზღვროს ის საზო-
გადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც თა-
ვისთვის მისაღებად მიაჩნია...

... იმის გამო, რომ ხელოვნურად ირღვევა დემოგ-
რაფიული წონასწორობა, საქართველოს წინააღმდეგ
გამოცხადებულია ეკოლოგიური ომი, სისტემატურად
ირღვევა ადამიანის უფლებები, თვით საქართველოს
ზოგიერთ რეგიონში იდევნება ქართველი მოსახლე-
ობა, ქართული ენა ფაქტობრივად გამოდევნილია
საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, რომ

[219] საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, გვ. 63

არ გვყავს ეროვნული ჯარი, ზემოდან დაგეგმილად კნინდება ქართული კულტურა, ფაქტობრივად დაკნინდა ქართული ეკლესია, ერთი სიტყვით ილახება ქართველი ერის უფლებები, არავინ არაფრად აგდებს მის ნებასურვილს, ყოველივე ეს უდიდეს საფრთხეს გვქიმნის და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მიაჩნია არა მარტო ამ ჩიხიდან გამოსვლის ძიება, არამედ საქართველოს სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის აღდგენა".[220]

1989 წლის გაზეთ „ქართულ ქრონიკაში", გიორგი ჭანტურია სტატიაში „რას უპირებს კრემლი საქართველოს" წერდა, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას გააჩნდა ძირითადი ნიშნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. „უარყოფა ყოველივე საბჭოურისა". [221] ბუნებრივია, მარტივი არ იყო საბჭოური პოლიტიკის გავლენაზე უარის თქმა, თუმცა ქართველი ეროვნული მოღვაწეები და მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ანტისაბჭოური ლოზუნგით გამოდიოდა. ამ ყოველივეს ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირი ნელ-ნელა დაშლისკენ მიდიოდა, ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სწორად შემუშავებული გეგმის და იდეოლოგიის არსებობა, რასაც შედეგად საქართველოს თავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეს მოწოდება მნიშვნელობას მოკლებული ნამდვილად არ იყო. საქართველოს, რომელსაც 1989 წლის 9 აპრილი უკვე გავლილი ჰოქნდა მოეთხოვებოდა უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, რაც პირველ რიგში ყოველგვარი საბჭოურის უარყოფით და

[220] იქვე, გვ. 11-12

[221] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

ქართულის წინა პლანზე წამოწევით უნდა დაწყებულიყო.

2. „შენიღბვაზე უარის თქმა და უკიდურესი რადიკალიზმი“.[222] ის დრო ნამდვილად გასული იყო, როდესაც ეროვნული ძალები სააშკარაოზე გამოსვლას ვერ ბედავდნენ და ე. წ. იატაკქვეშა გაერთიანებებით მოქმედებდნენ. XX საუკუნის 80-იანი წლები საქართველოსთვის გამორჩეულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის მნიშვნელობით. ჯერ ერთი გრძელდება დისიდენტური მოძრაობის განვითარება 80-იანი წლების I ნახევარში და მეორეც, II ნახევრიდან საფუძველი ეყრება სხვადასხვა ორგანიზაციის თუ პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას, რომლებიც აქტიური და სახალხო ლოზუნგებით გამოირჩევიან. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის და ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საზოგადოებას მოუწოდებს ამ პროცესში მაქსიმალური ჩართვისკენ.

ეს არის პერიოდი, როდესაც საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე ყველასთვის ცნობილია და ისიც აშკარა იყო, რომ საბჭოთა რეჟიმის აღსასრული ახლოვდებოდა. ამიტომ ხელსაყრელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ყველა ქართველს, ვისთვისაც სამშობლოს ინტერესების დაცვა მნიშვნელოვანი იყო ებრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ბუნებრივია, ეს არც ისე მარტივად მისაღწევი საშუალება იყო, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რეჟიმი ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა საკუთარი ძალაუფლება და ყოველ შემთხვევაში თუ

[222] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

სისტემა მაინც დაიშლებოდა მასში გაწევრიანებულ სახელმწიფოებზე კონტროლი არ დაეკარგა. აქედან გამომდინარე, ქართველი ერის ბრძოლის აღნიშნულ ეტაპზე გააზრებული მოქმედება იყო საჭირო, თუმცა ფაქტი იყო, რომ ეროვნული მოძრაობა სააშკარაოზე გამოდიოდა და სულ უფროდაუფრო აქტიური ხდებოდა.

3. „იმპერიის ტრანსფორმაციის ყოველგვარი შესაძლებლობების გამორიცხვა“.

4. „სტრატეგიული მიზნის, მისი რეალური განხორციელების შესაძლებლობის შენარჩუნება შეგნებულად დაშვებული ტაქტიკური შეცდომების ფასად“.[223]

მე-3 და მე-4 მუნქტებში გატარებულია აზრი, იმპერიის ნამდვილი მიზნების გააზრებაზე და საქართველოს დასახული გეგმის მიღწევაზე. საჭიროებას წარმოადგენდა საბჭოთა იმპერიის სრული დაშლა, რადგან რაიმე ტრანსფორმაციის შემთხვევაში, როგორც ეს „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ დროს გამოიხატებოდა ის ნამდვილ სახეს მაინც შეინარჩუნებდა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის თვალის ახვევით საკუთარ შესაძლებლობებს მაინც გამოიყენებდა საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად.

იმპერია არსებობის ბოლო ეტაპზე იმყოფებოდა. ამას კარგად აცნობიერებდა საბჭოთა ხელისუფლებაში მყოფი პირები, ამიტომ ისინი ყოველნაირად ეცდებოდნენ დაშლის პროცესი წარმართულიყო ისე, რომ მათთვის ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნილიყო. ამიტომ ამგვარი ფაქტის თავიდან ასაცილებლად აუცილებლობას წარმოადგენდა ადგილობრივი და

[223] იქვე, გვ. 1

საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოების ისეთი აქტიურობა, რომ საბჭოთა იმპერიას ამგვარი შესაძლებლობა არ მისცემოდა. თავის მხრივ, ქართველ ერს ნათლად უნდა გაეცნობიერებინა ის ფაქტი, რომ ქვეყანა ნელ-ნელა დამოუკიდებლობისაკენ მიდიოდა და ფრთხილი და მიზანმიმართული მოქმედება იყო საჭირო. აღნიშნულის მისაღწევად კი ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტას უნდა ეაქტიურა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც და მისი წარმომადგენლები ერთ-ერთი მათგანნი იყვნენ. ამიტომ მათ თავის საპროგრამო ნიშნად ეს პუნქტიც შეიტანეს.

5. „ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება პროგრამა-მინიმუმის განხორციელების მიზნით, არამედ ახალი, დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის დაწყება პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის.

6. უარყოფა სრული გაერთიანების ილუზორული მოთხოვნისა და ეროვნული ჭეშმარიტად ჯანსაღი ძალების დაპირისპირება ანტიეროვნულ, ანტიდემოკრატიულ თუ ფსევდოლიბერალურ, შემრიგებლურ ძალებთან“.[224]

მე-5 და მე-6 პუნქტებში გატარებულია აზრი საბჭოურ სისტემაზე უარის თქმისა და დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე, ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაზე. საბჭოური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც მეტად მნიშვნელოვანი იყო. რადგანაც საზოგადოება მიჩვეული იყო საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში ცხოვრებას და მასობრივი რეპრესიების

[224] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

მეშვეობით დაშინებული და ცნობიერებამოდუნებული. ქართველი ერისთვის მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში 70 წლიანი ყოფნა არ იყო მხოლოდ მოსანელებელი, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 117 წლის მანძილზე ქართველობა ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ 1922 წლიდან კი საბჭოთა კავშირის გავლენაში იყო. გამონაკლისი იყო 1918-1921 წლები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა. ამგვარად, ქვეყანა დაპყრობილი იყო წლების მანძილზე არა მხოლოდ პოლიტიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად, არამედ რელიგიური და კულტურული ნიშნითაც. დამპყრობელი წლების განმავლობაში ცდილობდა ქართველებისთვის წაერთმია არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არამედ ეროვნული ცნობიერებაც. ამიტომ ორი საუკუნის მანძილზე ჭიდილში ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნება, მისი ბრძოლისუნარიანობა გარკვეულწილად შეიცვალა. ის, რაც მეფის რუსეთმა ვერ შეძლო, საბჭოთა კავშირმა განახორციელა. მასშტაბური და მასობრივი რეპრესიებით გაანადგურა ქართული გენოფონდი.

სწორედ ამიტომ, ეროვნულ-დემოკრატები მიზნად ისახავდნენ ყოველგვარი საბჭოურის წინააღმდეგ ბრძოლას, დემოკრატიული იდეების და პრინციპების დამკვიდრებას. ბუნებრივია, ამგვარი ბრძოლა მარტივი ნამდვილად არ იყო, რადგან გარდა იმისა, რომ უნდა ებრძოლათ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ქართულ საზოგადოებასაც გარკვეული მომზადება სჭირდებოდა. წლების მანძილზე მოდუნებული ეროვნული ხასიათის გამოღვიძება და კიდევ ახალი ფორმით აღორძინება სჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების II ნახევარში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას წინ უძღოდა დისიდენტური მოძ-

რაობა, რომლის მეშვეობითაც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა დასახული მიზნის მიღწევა რეალობისგან ჯერ კიდევ შორს იდგა. რადგან დისიდენტების მოღვაწეობა უფრო ვიწრო ჯგუფური იყო და მათი არალეგალური გამოცემები, გარდა პროკლამაციებისა საზოგადოების ფართო ფენებში არ ვრცელდებოდა. ამასთან, რთულად მისაღწევი იყო დემოკრატიული ფასეულობების და ღირებულებების დამკვიდრება. ქართული საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ იყო. მით უმეტეს, მოსახლეობის ფართო ფენებში არსებობდა აზრი, ბუნებრივია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გავლენით, რომ დამოუკიდებლობა-დაკარგულ სახელმწიფოში დემოკრატიული იდეები ადვილი დასამკვიდრებული არ იყო. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა არსებული წინააღმდეგობების გადალახვით და დაძლევით მიეღწია საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და თავისუფლების მოპოვება მხოლოდ მათი მიზანი არ იყო და ყველა ეროვნულად მოაზროვნე ძალა იზიარებდა ამ აზრს. განსხვავება ის იყო, რომ თავისუფლებამდე მისასვლელი გზები და ბრძოლის მეთოდები იყო განსხვავებული.

7. „პოლიტიკის უფრო მაღლა დაყენება თანდათანობით, ვიდრე ნაციონალიზმისა (ამ სიტყვის არასაუკეთესო, ობივატელური გაგებით).

8. ეროვნული ხსნისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განუყოფლობა, რამეთუ ჩვენი ხსნა დამოუკიდებლობაშია (დამოუკიდებლობა მოგვიტანს ხსნასაც და აღორძინებასაც და არა ისე, რომ „ჯერ უნდა გადავრჩეთ, ავღორძინდეთ, რისი გაკეთებაც დღეს შე-

იძლება გავაკეთოთ, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა...)“.[225]

ნაციონალური იდეა ქართველთა არსებობის მანძილზე ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ეროვნულმა ცნობიერებამ გარკვეული ფორმაცია და განვითარება განიცადა, თუმცა ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები: ენა, სარწმუნოება ყოველთვის მნიშვნეოლვან როლს თამაშობდა და ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული წვლილი შეჰქონდა ეროვნული იდეის ფორმაციასა და რეალიზაციაში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთელი 70 წლის განმავლობაში ეროვნული იდეოლოგია ყოველმხრივ უფლებაშეზღუდული აღმოჩნდა. ის, რაც წლების და საუკუნეების მანძილზე ქართველთა ერთიანობას უწყობდა ხელს მაქსიმალურად მეორეხარისხოვანს ხდიდა საბჭოთა ხელისუფლება. თვით მეფის რუსეთის დროსაც კი არ განიცდიდა ეროვნული ფასეულობები ისეთ დარტყმას, როგორც ეს საბჭოთა რეჟიმის პირობებში ხდებოდა. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე უკვე დისიდენტურ მოძრაობას ჰქონდა მცდელობა ქართველთა ერთობის განმტკიცებაში და გაძლიერებაში გარკვეული წვილილი შეეტანა. 80-იანი წლები კი უკვე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა ქართველთაგან და განსაკუთრებით იმ პოლიტიკური ძალებისგან, რომლებმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბებას და აღმავლობას შეუწყეს ხელი. ამ შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატების მთა-

[225] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

ვარი მიზანი იყო მომხდარიყო ქართველი საზოგადოების ტრანსფორმაცია პოლიტიკურ ორბიტაზე და ეროვნულთან ერთად პოლიტიკური ერთობაც მიღწეულიყო. რაც მარტივად მისაღწევი საშუალება ნამდვილად არ იყო და დიდი მუშაობა იყო ჩასატარებელი ამ მიმართულებით. თუმცა, იდეის ამ კუთხით დაყენება წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

9. პოლიტიკური რეალიზმი, რაც ყოველგვარ სხვასთან ერთად გამოიხატება იმაში, რომ შეგნებული გვაქვს – საქართველოს გამოყოფა არარეალურია, დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმპერიის დაშლის შემდგომ.

ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანია იმპერიის დაშლის პროცესებისათვის ხელის შეწყობა და ამ გზით თავისუფლების მიღწევა და არა ცალკეული „რესპუბლიკის“ იმპერიისაგან „გამოყოფა“ – ჩვენ ეს არარეალურად მიგვაჩნია.

ჩვენ მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით და იმავდროულად მივაღწევთ დამოუკიდებლობას.

10. მოძრაობის უაღრესად მშვიდობიანი ბუნება, დემოკრატიული ხასიათი. ჩვენი დევიზია – „ერი და დემოკრატია“.

ქართული პოლიტიკური სპექტრი და მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ნათლად აცნობიერებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობას და რაც მთავარია ეს მიზანი მიიღწეოდა მხოლოდ ქართველი ერის ერთობით, საბჭოურ გავლენაზე უარის თქმით, დემოკრატიულ ფასეულობებზე აღებული ორიენტაციით.“[226]

---

[226] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული ეროვნული ძალები ყველანაირად ცდილობდნენ ქართველი ერის მობილიზებას საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში გარკვეული წვლილი შეეტანათ და რაც მთავარია დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში საკუთარი სიტყვა ეთქვათ. სწორედ ამიტომ მე-9 და მე-10 პუნქტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღნიშნულ საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას.

1989 წლის 9 აპრილი ერთგვარი წინაპირობა იყო ბრძოლის შემდგომი გაგრძელებისა და გაღრმავებისა. საკუთარი პროტესტით ქართველმა ერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ძველებური წესით ცხოვრებას აღარ აპირებდა. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, ამ ყველაფერს გაგრძელება ესაჭიროებოდა და უფრო მეტი მობილიზება იყო აუცილებელი.

მართალია, ქართული პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი ნაწილის ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია როგორც ამ პუნქტებიდან იკვეთება ეროვნული მოძრაობის განვითარების მშვიდობიან ხასიათში მდგომარეობდა, თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ მათ მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრი და ამ მიმართულებით მუშაობა არ აწყობდა საბჭოთა ხელისუფლებას და თუნდაც თავისუფლების მოპოვების შემთხვევაში ამ ორ ძალას შორის ურთიერთობის გამწვავებას გამოიწვევდა.

რაც შეეხება, ეროვნულ-დემოკრატების მიერ დემოკრატიულ ფასეულობებზე ყურადღების გამახვილებას, ზოგადად ეს ღირებულება ქართული ეროვნული მოძრაობისთვის მეტ-ნაკლებად ახალი იყო. მართალია, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დასავლეთთან ურ-

თიერთობის დამყარება იყო, სადაც დემოკრატიული იდეები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოშიც ისეთივე დოზით შემოვიდოდა ეს იდეოლოგია იმ ეტაპზე, როგორც დასავლურ სამყაროში იყო, თუმცა ამ კუთხით მუშაობა და იდეის განვითარება უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

11. „ზემოდან“ წამოსული ყოველგვარი „სასიკეთო“ რეფორმისადმი სკეპტიკური, უფრო მეტიც, მტრული დამოუკიდებულება, რადგან „რეფორმა“ ანელებს იმპერიის რღვევის პროცესს, ქმნის ილუზიებს, რასაც საბოლოო ჯამში ტოტალიტარიზმის რეანიმაცია მოყვება შედეგად.

12. საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური მისიის აღიარება, იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ მძიმე ჯვარი გვარგუნა უფალმა, მაგრამ ეს ჩვენი ჯვარია“.[227]

და ბოლოს, ეროვნულ-დემოკრატების პროგრამაში გარკვეული ადგილი უკავია რელიგიას. ეს შემთხვევითი ნამდვილად არ არის, ქართველთა შეგნებაში რელიგიის – ქრისტიანობის როლი მნიშვნელოვნად დიდია და შესაბამისად აღნიშნული პოლიტიკური პარტიის პროგრამაშიც ამ იდეას განსაკუთრებული ადგილი უკავია. თითოეული ქართველის ვალია გააცნობიეროს ის გზა, რაც საუკუნეების მანძილზე გაიარა და ის, რამაც გადაარჩინა. სწორედ ამიტომ რელიგიის არსში ჩაწვდომა და მისი მისიის გამოხატვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე მასში გაწევრიანებულ სახელმწიფოებს მრავალი პრობლე-

[227] გიორგი ჭანტურია, რას უპირებს კრემლი საქართველოს, გაზეთი, ქართული ქრონიკა, 1989, №55, გვ. 1

მის გადალახვა მოუწია. ამ მიმართულებით გამონაკ-ლისს არც საქართველო წარმოადგენდა. XX საუკუ-ნის 80-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა საბჭოთა სისტემაში მყოფ ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს საშუალება მისცა ახალი ფორმა და მიმართულება მიეცა ეროვნული მოძრაობისთვის და განვითარების ახალ ეტაპზე გადასულიყო. ზემოთ აღნიშნული საკითხები ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით პრობლემა შე-საძლოა ორი კუთხით დაისვას: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრა-ობის აღმავლობა XX საუკუნის 80-იან წლებში და 2. რა ნაბიჯები გადაიდგა ქართული ეროვნული ძალე-ბის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუ-კიდებლობის აღსადგენად?

1. ბუნებრივია, ეროვნულ-განმათავისუფლებლი მოძრაობის აღმავლობა-განვითარება მხოლოდ და უცებ XX საუკუნის 80-იან წლებში არ დაწყებულა და ამას ყოველივეს თავის საფუძველი გააჩნდა. პროცესი ბევრად ადრე, II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იწყება და დისიდენტური მოძრაობის ჩა-მოყალიბებით გრძელდება. დროის აღნიშნული მო-ნაკვეთი კი ერთგვარ დასკვნით ეტაპს წარმოად-გენდა, რასაც შედეგად საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კა-ვშირის დაშლა მოჰყვა.

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა XX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული მაქსიმა-ლურად ცდილობდა საქართველოს განთავისუფლე-ბას საბჭოთა რეჟიმისაგან. ყველა ნათლად აცნობიე-რებდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს როგორც სახ-ელმწიფოს ჰქონდა ყველანაირი პირობა და უფლება ყოფილიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი. ეს

პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება XX საუკუნის 80-იან წლებში, ქართული ეროვნული ძალები ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობის ლოზუნგით გამოდიან. ყველა პოლიტიკურ პარტიას თუ მიმართულებას თავისი გეგმები გააჩნდა აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ამას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა რეჟიმის არსებობა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდებოდა. მცდელობისდა მიუხედავად, სისტემის შენარჩუნება ვეღარ ხერხდებოდა. ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება ანდროპოვის, ჩერნენკოს და გორბაჩოვის მოღვაწეობის გარკვეულ ნიშნებზე, ამიტომ აქ დეტალურად აღარ შევუდგები პრობლემის განხილვას, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, XX საუკუნის 80-იანი წლები ქართული ეროვნული ძალების აქტიურობით გამოირჩევა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით უნდა დამთავრებულიყო. ეს პერიოდი გამორჩეულია იმითაც, რომ სულ უფრი იზრდებოდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდა და აღარ სურდა ძველი წესებით ცხოვრება. თუ მანამდე ანტისაბჭოურად განწყობილი მხოლოდ ვიწრო ჯგუფები იყო და სააშკარაოზე გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ამჯერად საქმე სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს. საზოგადოების დიდი ნაწილი თავისი სურვილით ამბობდა უარს ხელისუფლების მორჩილებაზე. „საქვაჭრობმონტაჟის“ ზეინკალი ბეჟან თავართქილაძე ხელისუფლებას მიმართავდა შემდეგი განცხადებით: „1987 წლის იანვარში მიმიღეს სკკპ პარტიის წევრად ე. წ. „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პერიოდში. იმედი მქონდა, რომ ბოლოსდაბოლოს, პარტია, პირველ ყოვლისა, მთელ ძალისხმევას მიმართავდა ადა-

მიანის ბედნიერებაზე ზრუნვისაკენ, ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის, და მსურდა ჩემი წვლილი შემეტანა ამ პროცესში.

აღმოჩნდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ოცნებაა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა განსაკუთრებით პარტიის მიერ ეროვნული და სამართლებრივი პრინციპების სისტემატურმა უგულვებელყოფამ, რაც მთელი სიცხადით გამოიხატა კონსტიტუციაში ცვლილებებისა და შესწორებების განხილვის დროს, დამარწმუნა, რომ სკკპ მიზნები არ ეთანხმება ჩემი ერისა და კონკრეტული პიროვნების ინტერესებს. ამრიგად, აღარ მსურს სკკპ წევრობა და ვაბრუნებ მანდატს“.[228]

სკკპ წევრი ს. ქარქაშაძე 1988 წელს ხელისუფლებას შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართავდა: მე, სოსო მიხეილის ძე ქარქაშაძე სკკპ რიგებში შევედი 1979 წელს, რათა მებრძოლი სიმართლისათვის და ჩემი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

სკკპ პარტიის რიგებში ყოფნისას მე დავრწმუნდი, რომ ეს ყველაფერი აუხდენელი ოცნებაა, რადგან კომუნისტური პარტია ყოველნაირად თრგუნავს საღ აზრს, ყველანაირ ინიციატივას ქვემოდან და ემსახურება ტოტალიტარული სახელმწიფოს ძლიერებას, რომელსაც არა და არ სურს გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდშიც კი დაადგეს დემოკრატიისაკენ მიმავალ თუნდაც ვიწრო ბილიკს.

ამ ბოლო დროს, როდესაც ფაქტიურად ტერორიზმი აიყვანეს სახელმწიფოს სამაღლის დონეზე, როდესაც სკკპ, ცკ-ის ორგანოები, პრესა, რადიო და ტე-

---

[228] საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, გვ. 37

ლევიზია ათასგვარ სიცრუეს, სიბილწესა და მონა-ჩმახს ავრცელებს ხალხში, რათა სახელი გაუტეხონ ნათელი მომავლისათვის მებრძოლ ეროვნულ-პა-ტრიოტულ ძალებს, სკკპ რიგებში ჩემი ყოფნა არა მარტო დანაშაულად, არამედ სამშობლოს ღალატა-დაც მიმაჩნია. მე დავკარგე რწმენა, რომ სკკპ ოდ-ესმე დაადგება სიმართლის გზას, რეალურად დაიწ-ყებს ხალხთა უფლებების პატივისცემასა და დაცვას და საბჭოთა კავშირი გადაიქცევა სამართლებრივ სა-ხელმწიფოდ. ამის ბრწყინვალე მაგალითია მის მიერ განვლილი 71 წლის გზა და მისი დღევანდელი ან-ტიხალხური მოქმედება, ბრძოლა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ამიტომ, მე ვტოვებ სკკპ რიგებს და გიგზავნით ჩემს მანდატს, რომელიც 9 წლის განმავლობაში სირცხვილით მიწვავდა ჯიბეს“.[229]

მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველ-თა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მუდ-მივად არსებობდა, რაც გამოიხატებოდა როგორც შეიარაღებული ფორმით, ასევე იდეოლოგიურად. ბრძოლა მიმდინარეობდა არა მხოლოდ საქართვე-ლოში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ეროვნული ძალების მიერ. XX საუკუნის 80-იან წლებში ქართული პოლიტიკური ელიტა უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩევა. ბუნებრივია, მნიშვნელობას მოკლებული არც ზემოთ აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ბრძოლები იყო, თუმცა დროის ამ მონაკვეთში სააშკარაოზე გამოვი-და არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა, არამედ სა-

[229] საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, გვ. 38

ზოგადოება. ეს კი მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. 80-იანი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით მის დასკვნით ეტაპზე ჩატარდა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები, აქციები, სადაც ეროვნულ-პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით გამოდიოდნენ.

2. მართალია, როგორც ზემოთ განხილული მოვლენები აჩვენებს, ეროვნული ძალები განსაკუთრებულად აქტიურობენ, თუმცა, ბუნებრივია, არც ისე უნდა მოვიაზროთ, რომ ყველაფერი იდეალურად იყო. არსებულ ბრძოლებს გარკვეული სირთულეები ახლდა თან. ეს გამომდინარეობდა, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკური ვითარებიდან. 1. მართალია, იმპერია ინგრეოდა, მაგრამ რღვევის შედეგად წარმოშობილი უარყოფითი მხარეები საქართველოს მდგომარეობაზეც ნეგატიურად ისახებოდა. გარდა ამისა, საქართველოს არ ჰყავდა მოკავშირე, რომელიც მის სუვერენობას, დამოუკიდებლობას სცნობდა და გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში. 1990 წლის იანვარში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა მიმართეს აშშ-ს პრეზიდენტს და კონგრესმენებს: „... ჩვენს დიდ გულისტკივილს იწვევს ის ფაქტი, რომ დასავლეთის ოფიციალურ წრეებში სათანადო გამოძახილს ვერ პოულობს ქართველი ერის უკომპრომისო და სამართლიანი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, სარწმუნოებრივი, კულტურული ისტორიისა და ტრადიციების მატარებელი ქართველი ერი დგას ნაციონალური კატასტროფის რეალური საშიშროების წინა-

შე. მისი ხსნა მის თავისუფლებაშია და თავისუფალი სამყარო ვალდებულია აქტიურად დაუჭიროს ქართველ ხალხს მხარი ამ წმინდა ბრძოლაშ ი“.[230]

1989 წელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს ხავიერ პერეს დე კუელიარს, გაეროს გენერალურ ასამბლეას, უშიშროების საბჭოს, მეურვეობის საბჭოს, აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს, ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მთავრობებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფოთა მთავრობებს: „... საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს აქვთ ისტორიული, პოლიტიკური, ეროვნული და მორალური უფლება პრონციპულად დააყენონ საკითხი პროგრესული და დემოკრატიული მსოფლიოს წინაშე საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. საქართველოს მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, მოაქცევს თუ არა მას დემოკრატიული სამყარო მსოფლიო პოლიტიკის არეალში, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. გამომდინარე აქედან, საქართველოს ოპოზიციური ეროვნული ძალების თავისუფალი და დემოკრატიული ერთიანობა მოგმართავთ თხოვნით:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიქმნას საქართველოს მიმართ რსფსრ-ს მიერ ჩადენილი აგრესიის დამდგენი სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის და ოფოციალურად დაადგენს აგრესიის ფაქტს.

---

[230] მიმართვა, გაზეთი, დროება, 1990, №10, გვ. 3

2. აგრესიის ფაქტის დადგენის შემდგომ 1921 წლის 25 თებერვლის აქცია აღიარებულ იქნას, როგორც ანექსია, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და არსებობა და საქართველოს ყოფნა სსრ კავშირის შემადგენლობაში შეფასებულ იქნას, როგორც აგრესიის უშუალო შედეგი, ამ აგრესიის გაგრძელება.

3. საქართველოს სსრ-ს ყალბი სუვერენიტეტი მიჩნეულ იქნას გაუქმებულად. ფარდა აეხადოს სუვერენიტეტის ფალსიფიკაციის საკითხს, რომელიც გამოხატულია მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის არსებობაში. განისაზღვროს საქართველო, როგორც ისტორიულად და უფლებრივად სუვერენული ნაცია, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლიდან დღემდე რუსეთის მოდერნიზებული საბჭოთა კომუნისტური იმპერიის მიერ დაპყრობილი და ამ იმპერიის ჯარებით ოკუპირებული ქვეყანა და იგი, როგორც თვითმმართველობის არმქონე სუბიექტი, ჩართულ იქნას მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში.

4. ამის შედეგად ქართველ ერს მიეცეს საშუალება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნებისა, როგორც სუვერენული ნაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა მიიჩნიოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და რსფსრ-ს მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩადენილი აგრესიის საკითხის განხილვა სსრ კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევად. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

ბის აღდგენა იქნება სამართლიანობის დიდი გამარჯვება საკაცობრიო ასპარეზზე“.[231]

2. ქვეყნის შიგნით, მართალია ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, თუმცა მათ მოღვაწეობას ცალკეული სირთულეები ახლდა თან. „საქართველო ოკუპირებულია დამპყრობლის მიერ. ქვეყანა ფორმალურად ითვლება სუვერენულ რესპუბლიკად, მაგრამ მას არ გააჩნია სუვერენობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი-შეიარაღებული ძალები. ამის ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია ოკუპანტის ჯარები, პლუს ამას საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები იძულებით მიჰყავთ ოკუპანტის არმიაში ეგრეთწოდებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. აქედან გამომდინარე, ოპოზიციური ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ საქართველოდან გაყვანილ იქნეს საოკუპაციო ჯარები, შეწყდეს ჩვენი ჭაბუკების იძულებითი წაყვანა მტრის არმიაში და აღსდგეს საქართველოს ჭეშმარიტი სუვერენობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტი – საქართველოს ეროვნული არმია“.[232] 1989 წლის გაზეთ „თავისუფლებაში“ აღნიშნულია: საქართველოს ახლა, ისე როგორც არასდროს, სჭირდება განათლებული, ნიჭიერი და გაბედული ადამიანები, რათა ისინი წარუძღვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და გადავიგდოთ საბჭოთა ტოტალიტარიზმის უღელი. საქართველო დღეს პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას. ქვეყანა დაპყრობილია ყველაზე ვერაგი მტრის მიერ. არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში სავსებით შესაძლებელია საქართველოს განთავისუფლება სამა-

---

[231] საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობლივი კომუნიკე, 1989, №11, გვ. 11

[232] გაღმა არ ვედავებით, გაზეთი, თავისუფლება, 1989, №19, გვ. 1

რთლებრივ-პოლიტიკური მშვიდობიანი ბრძოლის გზით.“[233]

1989 წელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საზოგადოებას მიმართავდა: „ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სამართლიანია და თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიო ვალდებულია აქტიურად დაუჭიროს მხარი მას ამ ბრძოლაში. არავითარი კანონიერი საფუძველი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობას და საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნას არ გააჩნია, რადგან იგი უშუალო შედეგია შეიარაღებული აგრესიისა და თავიდან ბოლომდე ემყარება რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შეიარაღებულ ძალებს. ქართველ ხალხს გასაბჭოებიდან მოყოლებული მთელი 68 წლის მანძილზე არც პლებისციტით და არც საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება არ უცვნია. 1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის მიერ მოხდენილი თავისუფალი თვითგამორკვევა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება დღესაც ძალაში მყოფი, იურიდიული ძალმოსილების მქონე პოლიტიკური აქტია, რომელიც ახალ დადასტურებას არც პლებისციტით და არც რეფერენდუმით აღარ საჭიროებს, ამრიგად, ქართველი ხალხის დღევანდელი ბრძოლა თავისუფლებისათვის ნიშნავს ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რაც ითვალისწინებს:

1. საქართველოს ტერიტორიიდან მოდერნიზებული იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას.

---

[233] იქვე, გვ. 1

2. საქართველოს გამოსვლას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შემადგენლობიდან იმ ტერიტორიული მთლიანობით, რომელიც მას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ძალით ჰქონდა დამტკიცებული ერთა ლიგის მიერ გასაბჭოებამდე.

3. საქართველოში საბჭოთა წყობილებისა და ხელისუფლების გაუქმებას საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ეროვნული მთავრობისა და პარლამენტის არჩევას.

4. დღეს, როდესაც ქართველი ხალხი უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს თავისუფლებისათვის, როდესაც ქართველ ხალხს თავდადებულმა ბრძოლამ ათობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დემოკრატიული საზოგადოება გულგრილი არ უნდა დარჩეს საქართველოს ხვედრისადმი, რამეთუ კაცობრიობის პროგრესული განვითარება ყოველი ერისა და ადამიანის თავისუფლებას ემყარება. თავისუფალი სამყაროს მხარდაჭერის გარეშე ქართველი ერი ვერ შეძლებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიყვანას გამარჯვებამდე, ამიტომ თავისუფალმა სამყარომ, თუ მისთვის ჭეშმარიტად ძვირფასია თანამედროვე კაცობრიობის მიერ აღიარებული ზნეობრივი იდეალები და კანონები, ის სამართლებრივი ნორმები, რომლის განუხრელი დაცვითაც იბრძვის ქართველი ერი თავისუფლებისათვის, დაუყონებლივ უნდა იმოქმედოს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღიძრას საქართველოს საკითხი და ეს საკითხი უმოკლეს ვადაში გადაწყდეს ქართველი ერის, როგორც ისტორიის სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად“.[234]

[234] გაზეთი, ბიულეტენი, 1989, №6, გვ. 3

რუსთაველის საზოგადოების მიზანს წარმოადგენდა: „ჩვენი მიზანია თავისუფლების მიღწევა არა ეკონომიკის მოშლით, არამედ მისი გაძლიერებით. ამიტომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა იქმნებოდა არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, არამედ ქართული სახელმწიფოს მატრეიალურად და სულიერად მოსაღონიერებლად. იგი მოწოდებულია იმისათვის, რომ ქართველი ადამიანი არ იყოს მშიერი და მწყურვალი, ჩაუცმელი და დაუხურავი, უმიწო და უსახლკარო, უკულტურო და დამცირებულია.

ამრიგად, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის ძირითადი მიზანია საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება, ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სურსათით, საქონლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, განათლებით. იგი მოწოდებულია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის სასიკეთო პირობების შესაქმნელად“.[235]

რაც შეეხება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება მერაბ კოსტავას ინიციატივით დაარსდა 1988 წელს. საინიციატივო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო 1988 წლის სექტემბერში შეიქმნა საზოგადოების პროგრამა-წესდების პროექტი. 1988 წლის ნოემბერში შიმშილობაში მონაწილეობას იღებს საზოგადოების 2000 წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 62 წევრი. საზოგადოების გამგეობა წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, ი. წე-

[235]რომან გოცირიძე, გზა ეკლიანი იქნება, გაზეთი, მამული, 1989, №4, გვ. 3

რეთელი, ი. ბათიაშვილი, თ. პაატაშვილი, ვ. ადამია, გ. გოგბაიძე, ნ. მჭედლიშვილი, თ. სუმბათაშვილი.

1989 წლის დასაწყისში საზოგადოებას გამოეყო მცირე ჯგუფი, შემდგომში დამოუკიდებლობის პარტიად წოდებული ი. წერეთლის, ი. ბათიაშვილის და თ. სუმბათაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ გამგეობიდან მათი გაყვანის საკითხი არ დამდგარა იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება დარჩნენ ერთ ორგანიზაციულ მთლიანობაში. ...

... 1990 წლის იანვარში საზოგადოებას გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა ჯგუფი საზოგადოების წევრების და ვ. ადამიას ხელმძღვანელობით. ჩამოყალიბდა მერაბ კოსტავას საზოგადოება.

... 1990 წელს შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და წევრი იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოება, თუმცა 1990 წლის აპრილში ეროვნული ფორუმი დატოვა".[236]

წმინდა ილია მართლის საზოგადოების წესდება:

1. წმინდა ილია მართლის საზოგადოება არის დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. წმინდა ილია მართლის საზოგადოება მიზნად ისახავს:

ა) საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

[236] გაზ. შავლეგო, 1990, №1, გვ. 5

ბ) საქართველოში რუსული კოლონიური რეჟიმის, ე. წ. საბჭოთა ხელისუფლების გაუქმებასა და დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

გ) ქართველი ერის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ქართულ ფასეულობებზე (რელიგია, კულტურა, ბუნება, ყოფა) ზრუნვას.

დ) საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის ჭეშმარიტად სულირი ერთობისა და ქართული თვითცნობიერების აღორძინებას, მის კონსოლიდაციასა და დარაზმვას ეროვნული მიზნების განსახორციელებლად.

3. წმინდა ილია მართლის საზოგადოება დასახული მიზნების განსახორციელებლად იყენებს მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის ფორმებს – საგამომცემლო საქმიანობას, ფონდების შექმნას, სამუშაო კომისიების ჩამოყალიბებასა და დაფინანსებას, საჯარო ღონისძიებათა (მიტინგი, დემონსტრაცია, მანიფესტაცია და სხვა) ორგანიზაციას, თანამშრომლობას იმ ორგანიზაციებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან, რომალთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება წმინდა ილია მართლის საზოგადოების იდეალებს და ხელს უწყობს ამ საზოგადოების მიზნების განხორციელებას.

4. წმინდა ილია მართლის საზოგადოების დევიზია: მამული, ენა, სარწმუნოება.

5. წმინდა ილია მართლის საზოგადოებას გააჩნია თავისი სიმბოლიკა: დროშა და გერბი“.[237]

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა 1988 წლის 8 დეკემბერს, წმინდა ილია მართლის საზოგადოების

[237] იქვე, გვ. 6

წევრებისაგან, რომელსაც სათავეში ედგა ირაკლი წერეთელი.

ჯგუფმა წამოაყენა დამოუკიდებლობისათვის დაუყოვნებელი ბრძოლის პოლიტიკური დოქტრინა.

1989 წლის 8 თებერვალს, წმინდა დავით აღმაშენებლის აღსაყდრების 900 წლისთავთან დაკავშირებით მიტინგზე, რომელიც მოაწყო სედპ-მ წმინდა ილია მართლის საზოგადოებასთან ერთად, ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.[238]

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის წესდების ძირითადი ასპექტები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

მუხლი 1. ა) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არის ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა რადიკალური ნაწილის, ერთიანი პოლიტიკური პლატფორმისა და სტრუქტურის მქონე დემოკრატიული გაერთიანება.

ბ) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მიზნად ისახავს სამართლებრივი, მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, დემოკრატიული, რესპუბლიკური ქართული სახელმწიფოს აშენებას.

გ) საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია არის ქართველი ერისა და იმ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური გაერთიანება, რომელთაც საქართველოს მომავალი სრულფასოვანი არსებობის ერთადერთ მისა-

[238] გაზეთი, დამოუკიდებლობა, 1990, №1, გვ. 1

ღებ ფორმად მიაჩნიათ სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი, დემოკრატიული, რესპუბლიკური საქართველო“.[239]

1989 წლის 25 ოქტომბერს, პეტერბურგში შეიქმნა „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართველთა დემოკრატიული ასოციაცია“. პირველ პლენარულ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა დროებითი საბჭო ჯ. ქალდანის, ბ. ქარდავასა და გ. გაბრიჭიძის შემადგენლობით. შეიმუშავეს სპეციალური მიმართვა:

„ქართველი ერის პროგრესული ნაწილი არ სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, არ სცნობს საქართველოს ეგრეთწოდებულ მარიონეტულ მთავრობას. დღესდღეობით საქართველოში მიმდინარე დიად ძვრებს თავის ხმას უერთებს ქართველთა დემოკრატიული ასოციალცია. იგი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად თვლის ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტს და სრულიად ემორჩილება მის გადაწყვეტილებებს.

ქართველთა დემოკრატიული ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ხალხს:

1. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები დაუბრუნდნენ საქართველოს.

2. ყველა ქართველი ჩაებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რის შედეგადაც უფრო დაჩქარდება ბოროტების იმპერიის დანგრევა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა.

3. ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოთა არჩევნებს და ხმა მისცენ ეროვნული სათათბიროს შექმნას.

---

[239] გაზეთი, დამოუკიდებლობა, 1990, №2, გვ. 1

იმ პერიოდში, როცა მოცილებული ვართ სამშობლოს, ნუ დავივიწყებთ „ვისი გორისანი ვართ“...

... გჯეროდეთ და გავიმარჯვებთ!

ღმერთი არს ჩვენთან!

გაუმარჯოს ერთიან, ქრისტიანულ, დამოუკიდებელ საქართველოს!“[240]

1990 წლის 13-15 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება და თეთრი გიორგის კავშირი.

კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტი, იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ოფიციალური ორგანოს განსაზღვრა, რომელიც აღჭურვილი იქნება ხალხის ნდობის მანდატით.

2. 1990 წლის 9 მარტს მოწვეული საქართველოს ე. წ. უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დადგენილების შეფასება.

3. საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა საგანგებო კონფერენციის მიერ.

4. სრულიად საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მოწვევა.

5. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სრული ბოიკოტი საბჭოთა სამხედრო ბეგარის მიმართ.

---

[240] გაზეთი, თერგდალეული, 1989, №1, გვ. 1

6. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ 25 მარტს დაგეგმილი საბჭოთა არჩევნების ჩაშლა.

7. საქართველოს ე. წ. კომკავშირის ლიკვიდაცია.

საგანგებო კონფერენციამ აირჩია ეროვნული ფორუმი-ორგანო, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და უმოკლეს დროში მოამზადოს და უზრუნველყოს ეროვნული კონგრესის არჩევა საყოველთაო ფარული კენჭისყრით.[241]

რაც შეეხება სახალხო ფრონტს. „მას მიაჩნია, რომ საქართველო ვერ მიაღწევს ვერც კეთილდღეობას, ვერც უსაფრთხოებას, ვერც თავისი ეროვნული ღირსების დაცვას, თუ არ აღიდგინა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ასევე, საქართველოს მაცხოვრებელი ყოველი ადამიანის-როგორც ქართველის, ისე არაქართველის-მოქალაქეობრივი უფლებები და ღირსება საფრთხეში იქნება მანამდე, სანამ საქართველო დამოუკიდებლობას არ მიაღწევს, ვინაიდან არათავისუფალ ქვეყანაში ხალხი ვერასდროს შეძლებს ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების შექმნას. ამგვარად, საქართველოს სახალხო ფრონტს მიზნად აქვს საქართველოს გამოსვლა სსრკ შემადგენლობიდან და თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა“.[242]

1990 წლის მარტში არჩევნებამდე სახალხო ფრონტი მიმართავდა საქართველოს მოსახლეობას: „დღეს ქართველი ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო განსაცდელშია. ჩვენ გვჭირდება თავდაუზოგავი ბრძოლა მის გადასარ-ჩენად. თუ არ ვივარგებთ, ან შეგვეშლება, მაშინ ჩვე-ნი ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა კიდევ უფრო შეიზღუდება , ვიდრე

[241] გაზეთი, სარანგი, 1990, №2, გვ. 6
[242] გაზეთი, საქართველო, 1990, №2, გვ. 2

დღეს არის, ჩვენი ეკონომიკური გაჭირვება კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი ბუნებაც კი კიდევ უფრო უწყალოდ განადგურდება, ვიდრე დღეს, მავნე წარმოებებით მოიწმალება და საბჭოთა კავშირის ქიმიური ნარჩენების სანაგვედ იქცევა.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნისა და შთამომავლების გადარჩენისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გზა არის საპარლამენტო ბრძოლის გზა. საქართველოს დღეს ისე სჭირდება ერთგული უზენაესი საბჭო, როგორც ჰაერი.[243]

გაზეთ „ბორჯის“ 1990 წლის პირველ ნომერში, ზურაბ გუჩუა სტატიაში, როგორ ვმართოთ პროცესები, წერდა: „არჩევნებმა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისათვის სასურველი შედეგი რომ გამოიღოს, აუცილებელია ამომრჩევლებთან ურთიერთობის გათვალისწინება, რადგანაც, მათმა პოლიტიკურმა შეგნებამ და შედეგებმა უნდა განსაზღვროს, თუ ვის გაეხსნება გზა პარლამენტისაკენ. ამომრჩეველთა მდგომარება კი არც ისე ადვილია, რესპუბლიკაში შექმნილ რთულ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ. ჩვენში ეხლა ყველა, დიდიან-პატარიანად ეროვნული მოძრაობის ქურქშია გახვეული. არ არსებობს ფრომალ-არაფორმალი, ძველი-ახალი. ლოზუნგები, რისთვისაც ადამიანებს ორი-ოდე წლის წინათ ციხეებში და გადასახლებებში ერეკებოდნენ, თვით ხელისუფლების პოლიტიკური პლატფორმის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამ დროს კი როგორ უნდა გაარჩიო ერთმანეთისაგან ყალბი და მართალი პოზიცია, ცრუ და სწორი სიტყვა.

[243] გაზეთი, საქართველო, 1990, №5, გვ. 1

ასეთ პირობებში მართებული იქნება შემუშავდეს საზოგადოებაში გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში.

პირველ რიგში, ყველას უნდა ავუხსნათ, რომ თუ ჩვენ მართლა გვსურს ტოტალიტარული რეჟიმის უარყოფა, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება, აუცილებელია წარმოვაჩინოთ ის მთავარი მიზეზები, რომელსაც ეფუძნება ჩვენთვის მიუღებელი სინამდვილე. თუ ამ მოსაზრებას მივყვებით, აუცილებლად მოგვიწევს თვით სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების უარყოფა.

მეორე მომენტი, რაც აუცილებლად უკავშირდება ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების მიღწევას, არის პარტიის პოლიტიკური მონოპოლიის აუცილებელი უარყოფა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ერთპარტიული სისტემის შენარჩუნების პირობებში, როცა საქართველოს კპ წარმოადგენს სკკპ ნაწილს, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ განთავისუფლდება ცენტრის დიქტატისაგან, მაშასადამე, იგი ვერ გამოვა ერის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველად“.[244]

1990 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და მონარქისტთა პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგით.„6 იანვარს აქციას შემოუერთდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. ამავე დღეს სკკპ ცკ პოლიტბიუროს მისამართით აქციის მონაწილეებმა გაგზავნეს დეპეშა.

---

[244] ზურაბ გუჩუა, გონივრულად ვმართოთ პროცესები, გაზეთი, ბორჯი, 1990, №1, გვ. 2

8 იანვარს გამოცხადდა შიმშილობა, რომელშიც მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაციები მონაწილეობდნენ.

თბილისში დაწყებული აქციის მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასის გურჯაანის კომიტეტმა იმავე დღეს რაიკომის შენობის წინ გამართა მიტინგი. ედპ – IV დასის წევრებმა ბ. ბეციაშვილმა და ჯ. ჯავახიშვილმა ინფორმაცია გააკეთეს სამაჩაბლოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის შესახებ. ხაზი გაესვა კრემლის როლს, როგორც ეროვნებათშორის შუღლის ინსპექტორს. ითქვა, რომ საჭიროა არ ავყვეთ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციებს და მთელი ძალები მივმართოთ მთავარი მიზნისაკენ – აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: სახალხო ფრონტის წევრი თ. ქურდაძე, სოფ. კალაურის მკვიდრი ა. დემეტრაშვილი და ქ. გურჯაანში მცხოვრები გ. ჭამიაშვილი. ბოლოს მომიტინგეთა ნაწილი გაემგზავრა თბილისში აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად.

9 იანვარს თბილისში დაწიყო გაფიცვები. გაიფიცა თითქმის ყველა რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საწარმო. მთლიანად გაიფიცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. 10 იანვარს ხალხმა ჩამოაგდო ძერჟინსკის, კამოსა და ბორის ძნელაძის ძეგლები. 12 იანვარს ქ. ლაგოდეხის ცენტრში, თბილისში მიმდინარე აქციის მხარდასაჭ რად ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი...“[245]

1990 წელს ვაჟა მთავრიშვილი სტატიაში თუ გვინდა საქართველოს თავისუფლება წერდა: „ჩვენ არც გარდაქმნის მომხრენი ვართ და არც მოწინააღმდეგ-

[245] გაზეთი, ეროვნულ-დემოკრატი, 1990, №1, გვ. 1-2

ენი, გზა დაგვილოცნია გორბაჩოვის პოლიტიკისათვის რუსეთში ისევე, როგორც ამას დასავლეთი აკეთებს, მაგრამ ის არ უნდა შეეხოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საქართველოს. ჩვენი ერთადერთი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამავე დროს მხარს დავუჭერთ მსოფლიოში ყველა დემოკრატიულ, პროგრესულ ძალას დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს იგი.

მაგრამ საქართველო უნდა განთავისუფლდეს სსრ კავშირის კოლონიური მარწუხებისაგან, საქართველო უნდა დაუბრუნდეს მსოფლიო ხალხების ისტორიას, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფო“.[246]

„საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება ითვალისწინებს ქართველი ერის ფიზიკური განადგურების საშიშროებას და ერთადერთ გამოსავალს ხედავს ქართველი ერის მიერ სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება მთელი თავისუფალი და დემოკრატიული მსოფლიოს წინაშე პრინციპულად აყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს, ხოლო მოდერნიზებული იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან კატეგორიულად მოითხოვს;

1. საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას;

[246] გაზეთი, თავისუფლება, 1990, №21, გვ. 2

2. საქართველოს გასვლას რუსეთის საბჭოთა იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის შემადგენლობიდან;

3. საქართველოში მარიონეტული საბჭოთა მთავრობისა და ხელისუფლების გადაყენებასა და გაუქმებას.

ამ მიზნით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება სრულიად საქართველოს მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვებისა და გამოსვლებისაკენ!"[247]

1990 წელს გაზეთი „ბეგთარი" შემდეგნაირად ეხმაურება 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებს: „საქართველოში დემოკრატიული არჩევნები მშვიდობიანობის პირობებში ჩატარდა. ერთი რამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას: არჩევნების ასეთმა ხასიათმა და მისმა ანტიკომუნისტურმა შედეგმა ქართულ ეროვნულ მოძრაობას გარკვეული დადებითი ელფერი შესძინა ანტიკომუნისტური დასავლეთის თვალში. არჩევნების მშვიდობიანი ატმოსფერო არ იყო განპირობებული მარტოოდენ ხალხის მაღალი შეგნებითა თუ რიგი სხვა საშინაო ფაქტორებით. ამაში გარკვეული როლი ითამაშა არჩევნების წინა პერიოდში არსებულმა საერთაშორისო ვითარებამ...

28 ოქტომბრის არჩევნები ფაქტიურად იყო რეფერენდუმი, რომლის მეშვეობითაც გამოირკვა უნდოდა თუ არა ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა. აღმოჩნდა, რომ ქართველი ღირსია თავისუფლების, იცის რა ეკლიანი გზაც აირჩია სავალად".

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების საკითხს გამოეხმაურა ქართველი ემიგრაცია. კერძოდ: „თქვენ,

---

[247] საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, გვ. 215

თქვენი მაღალი პოლიტიკური შეგნებით, უნდა გადალახოთ ყველა დაბრკოლება, მასიურად უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატებს, იმ კომპარტიისა, რომელიც არჩევნებში თვალთმაქცურად „საქართველოს კომპარტიად“ გამოდის, სინამდვილეში კი ჩვენი სამშობლოს დამპყრობთა პარტიაა და რომლის 69 წლის მმართველობამ უფსკრულის პირას მიიყვანა საქართველო და ქართველი ერი. მასიურად ხმა მიეცით თქვენთვის კარგად ცნობილ, პატიოსან, მტკიცე ხასიათის დემოკრატ მამულიშვილებს, ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, მათ, რომელთაც ღრმად სწამთ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და მზად არიან თავიც დასდონ მისთვის, თუკი საჭიროებამ მოითხოვა“.[248]

საინტერესოა რა შეფასებას აძლევდა უცხოური პრესა და რადიო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. „გაზეთ „ლოს ანჟელეს ტაიმსის“ კორესპოდენტი ელიზაბეტ შოგრენი აღწერს, თუ რაოდენ დრამატული იყო ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი, მისი დასწრება წირვაზე წმინდა ნინოს ეკლესიაში. ზვიად გამსახურდიასთვის ქრისტიანობა არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიას, იგი თავის ბედს გადახლართულად ხედავს იმასთან, რაც მისთვის ქართველობას ნიშნავს. სწორედ ეროვნულმა თვითგამორკვევამ მისცა ძალა მას სამი ათწლეულის მანძილზე ბრძოლა გამოეცხადებინა კომუნისტური წყობისათვის“.[249]

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმისის“ სპეციალური კორესპოდენტი ფრანსის კლაინსი ყურადღებას

[248] იქვე, გვ. 252

[249] გაზეთი, შავლეგო, 1991, №2, გვ. 4

ამახვილებს ზვიად გამსახურდიას სიტყვებზე: საქართველოს სჭირდება სხვა ქვეყნების მხარდაჭერა ამ დეკლარა-ციის უსაფრთხოების დასაცავად და სხვა ქვეყნებმა უნდა აღუთქვან, რომ ცნობენ ჩვენი ქვეყნის ისტო-რიულ დამოუკიდებლობას“.[250]

ფეიჩ სელვანმა, რომელიც ზბიგნევ ბჟეზინსკისთ-ან ერთად მუშაობდა განაცხადა: „ჩემის აზრით და ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ბევრი სენატო-რიც ასე მიიჩნევს, საქართველოს მთავრობამ უაღრე-სად ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო დამოუკიდე-ბლობის გამოცხადებით. 9 აპრილს ყოველწლიურად უნდა აღიმნიშნოს ეს მოვლენა, უფრო უნდა გამტკი-ცდეს კავშირები ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მე მგო-ნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს სანიმუშო და მისაბაძი ქვეყანა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისათვის. მან აშკარად უნდა მიმა-რთოს ხალხს საზღვარგარეთ და განსაკუთრებით ამ-ერიკელებს უნდა გააცნოს თავისი მიზნები და გეგ-მები. ჩვენ უნდა გვქონდეს სწორი ინფორმაცია. ამე-რიკელები სულით და გულით ვუჭერთ მხარს ქართ-ველებს დამოუკიდებლობის ბრძოლაში“.[251]

1990 წელს 29 ოქტომბერს თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ საზეიმო მიტინგზე, რომე-ლიც მიეძღვნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არ-ჩევნებში საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ გამარჯვებას, ზვიად გა-მსახურდია აღნიშნავდა: „იმპერიამ, იმპერიულმა ძა-ლებმა დაქსაქსა ეროვნული მოძრაობა, სხვაგვარად ისინი ვერ მოახერხებდნენ გამარჯვებას, ვერ მოგვახ-ვევდნენ თავს კოლონიურ მონობას, კომუნისტურ რე-ჟიმს თუ არა ამგვარად! მაგრამ ჩვენც სწორედ ამით-

[250] იქვე, გვ. 4
[251] იქვე, გვ. 5

ვე უნდა დავუპირისპირდეთ. სადაც იმპერია გათიშავს – იქ ჩვენ უნდა შევაერთოთ, სადაც იმპერია იწვევს შუღლს – ჩვენ სიყვარული უნდა ვთესოთ, სადაც იმპერია სიძულვილს თესავს – ჩვენ ურთიერთგაგება უნდა აღვადგინოთ....

... ძალიან დიდი, დიდი ბრძოლა მოგველის მეგობრებო. ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა ეხლა დაიწყო და თუ ეხლა არ იქნა ჩვენში ერთიანობა, ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ. ქართველი ერი, მთელი ქართველი ერი უნდა დაირაზმოს".[252]

[252] გაზეთი, შავლეგო, 1990, №1, გვ. 2-3

დასკვნა

1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოში ხელისუფლების კონტროლი გადავიდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“-ს ხელში, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. 1991 წლის 9 აპრილს კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღსდგა. ამავე წლის 26 მაისს კი საყოველთაო არჩევნების შედეგად ქვეყნის პირველი პირი გახდა პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდიას სახით, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობამდე ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა, დისიდენტობიდან-პრეზიდენტობამდე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას წინ მრავალი კარდინალური პრობლემის გადაჭრა და მოგვარება უძღოდა. 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის შედეგები უარყოფითი გამომხატველობით გამოირჩეოდა, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, ასევე საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერებაზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიჩვეული იყო საბჭოთა სისტემის კანონებს და წესებს და ამიტომ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილს სჭირდებოდა ძალისხმევა არსებული მანკიერი ცნობიერების შესაცვლელად. ამას გარდა აუცილებლობას წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკის მოწესრიგება, საერთაშორისო მხარდამჭერების მოპოვება, რაც მარტივად მისაღწევ საშუალებას არ წარმოადგენდა, რადგანაც საბჭოთა რეჟიმი თავისი უპირატესობის დაკარგვას არ ეპუებოდა და მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას საერთაშორისო არენაზე. საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ კი 1991 წლიდან მოყოლებული რუსეთი, რომე-

ლიც მის სამართალმემკვიდრედ აცხადებდა თავს ახალი ძალებით გამოდის და ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე. ასეთ ფონზე, ბუნებრივია რთული იყო საქართველოს დაეძლია სირთულეები და განეგრძო არსებობა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. განსაკუთრებული აქტიურობით და სააშკარაოზე გამოსვლით გამოიხატებოდა 80-იანი წლების II ნახევრის ეროვნული მოძრაობა. 1989 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა: „ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვცხოვრობდით სხვისი ჭკუით, სხვისი სინდისით, სხვისი ნებით, სხვისი კარნახით, თავის შეუწუხებლად. ახლა აღარ გვინდა ეს. თვალი გავახილეთ. გონება გაგვეხსნა და ნამუსმა შეგვაწუხა. გვინდა გვქონდეს ვაუკაცობა და ვცხოვრობდეთ საკუთარი ჭკუით. გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილება, გვინდა თავისუფალი ადამიანის დემოკრატია. ამიტომ ვთქვით უარი მორჩილებაზე.“ ეს კანონზომიერი შედეგია „დემოკრატიისა“, რომელიც უარს არ ამბობს მორჩილებაზე, რომელმაც არ იცის რა არის თავისუფლება. ასე რომ, მორჩილების „დემოკრატიამ“ კიდევ ერთხელ მოგვატყუა, მაგრამ მომხდარმა ტრაგედიამ ჩვენ არ უნდა დაგვაბნიოს და არ უნდა შეგვაშინოს...

პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ადრე იქნება თუ გვიან დამთავრდება ერთი შედეგით – საბჭოთა ხალხის განთავლსიუფლებით. რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას? უპირველესად ის მოვლენები, რომლებიც ხდება ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ამიერკავკასიაში, თვითონ რუსეთში.

მალევე ამგვარი მოვლენები გაჩნდება შუა აზ-იაში, უკრაინაში, ბელარუსიაში. აღორძინებულ ერო-ვნულ მოძრაობას ვერარა ძალა ვეღარ შეაჩერებს“.[253]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ აღიდგინა XX საუკუნის დასაწყისში დაკარგული სუვერენიტეტი. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. რეფერენდუმის მიხედვით საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, როთაც ქვეყანამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველოში დაიწყო სუვერენული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა... ეს პროცესი შემდეგნაირად განვითარდა: „1991 წლის 17 მარტს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ რეფერენდუმი დანიშნა. მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ კითხვაზე: „თვლით თუ არა საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. ახალ ფედერაციაში „ნებისმიერი ეროვნების“ უფლებების დაცვას საბჭოთა ხელმძღვანელობა ავტონომიური წარმონაქმნების დამოუკიდებლად შესვლის გზით ფიქრობდა. ეს გარემოება წინააღმდეგობას მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში არ იწვევდა. ასეთი პერსპექტივა თვით რუსეთის ფედერაციაშიც ბევრისთვის მიუღებელი იყო.

რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი ექვსმა რესპუბლიკამ – ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდ-

[253] დამოუკიდებლობის გაკვეთილები, შეადგინა ეკა წამალაშვილმა, თბილისი: არტანუჯი, 2016, გვ. 133-135

ოვამ, სომხეთმა და საქართველომ განაცხადა. ცხრა რესპუბლიკაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80 პროცენტმა, რომელთა 76 პროცენტმა მხარი დაუჭირა განახლებული სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, 21 პროცენტმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

17 მარტის საპირისპიროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თითქოს, არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ქართველი ხალხის განწყობა სამართლებრივადაც დადასტურებულიყო“.[254]

[254] უ. ბლუაშვილი, საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1987-2003 წწ., თბილისი, უნივერსალი, გვ. 122-123

Summary

The study of the history of *Soviet Regime* is one of the actual and important topics of the contemporary historiography. This period of the 20th century is known for the variety of scientific evaluations, attitudes and positions in the World History. None of the historical periods arouses so much interest not only of historians, but also of writers, artists and filmmakers.

There are many scientific works dedicated to the Soviet system in the Georgian and foreign historiography, and accordingly there occur various positions and attitudes. Hence, it is difficult and at the same time necessary to view the issues related to this period from a different angle and carry out new, objective research, find comprehensive answers to various questions, which still necessitate investigation.

The events, which had place in the period of 1921-1991, have often become the objects of scientific research and there is immense specialist literature in this regard. However, the time transforms the attitudes towards the facts, evaluation trends also change, and in a concrete period, it becomes necessary to reconsider and reveal the tabooed facts of history. The ideological survivals of the Soviet system still affect the mentality of the part of the post-Soviet society. This situation is favored by unilateral coverage of the information and the ignorance of definite historical sources by the wide circles of the society. The monographs of the Soviet times are mainly subjective and correspond to the standards of the ideology of the epoch.

The history of Soviet regime embraces the period of 1921-1991, characterized by the uniform policy and ideology; however, it seems so from the first view; in reality they have undergone the definite ways of development. New ideas and ideologies originate and change throughout centuries.

Attitudes towards historical facts and the style of their comprehension also change. Each epoch has its own challenges and tendencies. The Soviet policy was directed towards sovietization of the states under the Russian rule. For this purpose, both ideological and practical struggles were carried out. Similar was the situation in Soviet Georgia. For Georgia the period of 1921-1991 was hard and full of contradictions. We can identify some chronological periods, which had influenced the political, social, economic, religious or cultural life in Georgia in those times. The main objective of the project will be elicitation of real documental materials of the Soviet period in Georgia and their analysis.

Our research will consider the specificities, challenges and transformations characteristic to the epoch.

From the ideological point, we have selected some periods in the mentioned chorological section:

1. **The 1920s,** when the Soviet system and policy was just beginning to form. The population of Georgia met it differently. To most of them the system and ideology, proposed by Russia was not acceptable. Examples of this are those demonstrations of protest, which are regarded as the part of Georgian national-liberation movement: the 1923-1924 uprisings, which were doomed to be defeated, though it was the important period in the newest history of Georgia and partially determined the dynamics of the events of 1920.

2. **The 1930s**, when the relation of Soviet Russia towards the peoples under the Soviet rule had changed and was demonstrated through more loyal position towards the national problem; however, all these were accompanied by repressions and this period in the 20th century is estimated as the most complex and tyrannical. Since the 1930s, the situation with teaching of Georgian literature and language comparatively improved. Special schoolbooks were published.

3. The 1940-1950s, includes the death of Stalin. This is the mightiest period in the history of the USSR, when Stalin managed to realize his ideas and mobilize the society under the common ideology. This is the period of the World War II and after, when National movement becomes more intense.

4. The 1950-1960s are the interim of revival of Stalin's ideology and the system, as well as the beginning of its decay, which found its final expression in1991.

5. The 1970-1980s, the period of disintegration of the Soviet Union and Georgia's new challenges.

National-liberation movement was one of the most difficult questions to assess in Soviet times. This was a taboo. Only with the post-Soviet period, it became possible to overestimate this interim of the 20th century. This phenomenon embraced nearly the whole society. Position towards things and facts had changed diametrically. Gradually the "terrifying" information has been brought to light. It is now known what the 20th century concepts – "epochal ideas", "Socialist theory", "the ghost of communism", "the socialist revolution", etc. mean. Today the political thought which had embraced the whole Soviet space and Georgia as well ,is being studied and reconsidered.

In the last years some works on the national liberation movement in Georgia were issued, but they throw light over a concrete epizode of national movement.There was not done a comprehensive and monographical study of the problem yet.

The research will be divided into some periods. Initially the position of different social classes towards the libertion movement will be presented, seperate place will be determined to the legal and illegal forms of the movement, the underground movement , evolution of dissident ideas. Special interest will be paid to the role and place of ethnic and religious minorities of Georgia in familiarizing the common Georgian

problems and sociopolitical opinion towards the movement will be evaluated. Attention will be paid to the disposition of Georgian emigrans and the forms of their participation in anti-Soviet movement, the contribution of those people who sacrificed themselves to the struggle for the Georgia's freedom. The methods and ways of the struggle of the state against the national movement, activities of secret service and repressions will be shown.

One of the objectives of the study is the national - liberation movent in the second half of the 20th century after the death of Stalin, when on the one hand, the dissolution of the Soviet empire began and the national movement was activated, various organizations (Sota Rustaveli, Ilia, etc.) aiming to revitalize and propagate national ideology emerged. Besides, the team plans to analyze events of the 1970-1980s. The study will result in reconstruction of the complete picture of the development of the national liberation movement in Soviet Georgia.

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com